

675-9/2
1979

ISSN-0132-6082
საქართველოს
სსრ მეცნიერებათა
აკადემიის

მაცნე

ფილოსოფიის,
ფსიქოლოგიის,
ეკონომიკისა და
სამართლის სერია

2 · 1979

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის,
ეკონომიკისა და სამართლის
სერია

СЕРИЯ
ФИЛОСОФИИ, ПСИХОЛОГИИ,
ЭКОНОМИКИ И ПРАВА



თბილისი
ТБИЛИСИ

2. 1979

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

ს ა რ ე ლ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე ჯ ი ა: ნ. ჭავჭავაძე, (რედაქტორი),
ა. ბოჭორიშვილი, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), პ. გუგუშვილი,
ა. გუნია, ი. დოლიძე, გ. თევზაძე, ი. მიქელაძე, რ. ნათაძე, ა. ფრანგიშვილი,
თ. წერეთელი, თ. ჯიფიძე.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Чавчавадзе Н. З. (редактор),
Бочоришвили А. Т., Григолава В. В. (зам. редактора), Гугушвили П. В.,
Гуния А. Л., Долидзе И. С., Джиев О. И., Микеладзе И. С., Натадзе Р. Г.,
Прангишвили А. С., Тевзадзе Г. Б., Церетели Т. В.

პასუხისმგებელი მდივანი ც. შალამბერიძე
Ответственный секретарь Ц. А. Шаламберидзе

რ ე ლ ა ქ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-95-46 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.3.80; შეკვ. № 2541; ანაწყოების ზომა 7×111/2;
ქალაქის ზომა 70×108 №1/16; ნაბეჭდი თაბახი 17.5; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 15; უე 07269; ტირაჟი 600;
ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა «მეცნიერება», თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниერება», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

ფილოსოფია

ი. პალანდია, მეცნიერება და ზნეობა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში	5
ბ. შუშანაშვილი, კატეგორიების განსაზღვრისათვის	28
მ. ჯულაღი, შემეცნებელი სუბიექტის შესახებ	86
მ. დოლიძე, ობიექტი და ხელსაწყო ქვანთურ მექანიკაში	57
ი. რიხვიანი, ზოგიერთი მოსაზრება ღმერთის ცნების ადგილის შესახებ ლაიბნიცის ფილოსოფიაში	64

ფსიქოლოგია

ნ. ბარამიძე, სწავლის მოტივის ზოგადი და სპეციფიკური თავისებურების შესახებ	71
ზ. ხოჯაშვილი, მ. სურბულაძე, განწყობის ილუზიების სიხშირე, სიდიდე და ხანგრძლივობა მხედველობის ველის ცენტრალურ და პერიფერიულ არეებში	85
ნ. ლოკალაშვილი, ვ. მანჯგალაძე, ლატენტურად აღბეჭდილი მასალის აღდგენის ორი ხერხის შედარებითი ანალიზი	108
მ. ზარნიძე, ჭორჯ მიღერის მნიშვნელობის თეორიის გამო	117

ეკონომიკა

დ. კოდუა, ი. მასურაშვილი, ი. სტეფანოვი, თ. ჩუბინიშვილი, მომხმარებელთა ტრანზიტით და საწუობიდან მომარაგების სისტემის იმიტაციური მოდელი	129
მ. როკატლიშვილი, კაპიტალური დაბანდების ეფექტურობის ამაღლების მნიშვნელობა საბინაო მშენებლობის დაფინანსება-დაკრედიტებაში	135
მ. ბურღული, ეფექტიანობის ამაღლებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხები საქართველოს სსრ მრეწველობაში	152
ჯ. მათიანი, პროდუქციის თვითღირებულების კალკულირებისა და საკალკულაციო მუხლების სრულყოფის პრობლემური საკითხები სოფლის მეურნეობაში	166

სამართალი

ი. დოლიძე, ვახტანგის სამართლის წიგნის კრიტიკული ტექსტის დადგენისათვის	182
---	-----

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ი. მისხია, ა. ჩაჩიანი, დ. კურტიანიძე, საბჭოთა საქართველოს მანქანათმშენებლობის ოპტიმალური განვითარებისა და გადაადგილების საკითხები	199
---	-----

СОДЕРЖАНИЕ

ФИЛОСОФИЯ

И. Д. КАЛАНДИЯ, Наука и нравственность в условиях научно-технической революции	5
Г. И. ШУШАНАШВИЛИ, Для определения категории	28
О. Н. ДЖУГЕЛИ, О познавательном субъекте	36
М. Г. ДОЛИДZE, Роль прибора и объекта в квантовой механике	57
Э. Д. РЕХВИАШВИЛИ, Некоторые размышления о месте понятия Бога в философии Лейбница	64

ПСИХОЛОГИЯ

Н. Х. БАРАМИДZE, Об общих и специфических особенностях мотива учения	71
З. И. ХОДЖАВА, М. Т. СУРГУЛАДZE, Частота, величина и длительность иллюзии установки в центре и на периферии поля зрения	85
Н. П. ЛОКАЛОВА, В. В. МАНДЖГАЛАДZE, Сравнительный анализ двух способов воспроизведения латентно запечатленного материала	103
Т. Г. ЗАРИДZE, По поводу теории значения Дж. Миллера	117

ЭКОНОМИКА

Д. М. КОДУА, И. Ш. МАСУРАШВИЛИ, Ю. А. СТЕПАНОВ, Т. Н. ЧУБИНИШВИЛИ, Имитационная модель системы снабжения потребителей транзитом и через базу	129
М. РОКЕТЛИШВИЛИ, Значение повышения эффективности капитальных вложений в финансирование и кредитование жилищного строительства	135
В. Ш. БУРДУЛИ, Вопросы повышения эффективности и ускорения научно-технического прогресса в промышленности Грузинской ССР	152
ДЖ. А. ШАТИРИШВИЛИ, Проблемные вопросы совершенствования калькулирования себестоимости продукции и калькуляционных статей в сельском хозяйстве	166

ПРАВО

И. С. ДОЛИДZE, К установлению критического текста Судебника Вахтанга VI	182
---	-----

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

А. Я. ЧАЧИБАЯ, Я. И. МЕСХИЯ, Д. А. Куртанидзе, Вопросы оптимального развития и размещения машиностроения в Советской Грузии	199
---	-----



ფილოსოფია

ირაკლი კალანდია

მეცნიერება და ზნეობა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია რომ პროგრესული მოვლენაა, ეს უეჭველია: მაგრამ ისიც უეჭველია, რომ მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ მეტად მწვავედ დააყენა დღის წესრიგში სულიერ ღირებულებათა პრობლემა. ამჟამად, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის პირობებში, ცხადი ხდება, რომ ამ პროგრესს დადებით შედეგებთან ერთად თან ახლავს რიგი უარყოფითი მომენტებისა, რომელთა ვათვალისწინება და კონტროლი ყოველდღიურად სულ უფრო აუცილებელი ხდება. ეკოლოგიური კრიზისი, ადამიანთა მასობრივი მოსპობის საშუალებების დიდი რაოდენობით დაგროვება, მომხმარებლური ტენდენციების მოჭარბება ადამიანებში და სხვ. ცხადყოფენ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია მრავალ სიკეთესთან ერთად, არაერთი საჭირობო პრობლემის წინაშე აყენებს კაცობრიობას.

როგორ იქნება მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარების გზა, საით წაიყვანს ეს პროგრესი ადამიანებს — კატასტროფული შედეგებისაკენ, თუ ბედნიერებისა და აყვავებისაკენ, ეს დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოეპყრობიან ადამიანები ამ პროგრესს და მის მონაპოვრებს. მაგრამ თავის მხრივ, თუ როგორ მოეპყრობიან ადამიანები ამ პროგრესს და მის მიღწევებს, რა მიზნებისათვის გამოიყენებენ მათ, ეს დიდად არის დამოკიდებული ადამიანთა კულტურის დონეზე. კულტურა კი თვითონ განიცდის მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გავლენას და როგორც ხშირად მიუთითებენ ხოლმე, ეს გავლენა მკვეთრად უარყოფითი ხასიათისაა. ამის შესახებ ბევრს წერენ და ლაპარაკობენ უცხოელი მოაზროვნენი: ფილოსოფოსები, სოციოლოგები, მწერლები, ხელოვნების წარმომადგენლები და სხვ. მათ ნააზრევში სჭარბობს ტენდენცია, სადაც გამოთქმულია არცთუ მთლად უსაფუძვლო პესიმისტური მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, — მეცნიერებისა და ტექნიკის უპირატესი განვითარების წყალობით, — ანგრევს კულტურას საერთოდ და ზნეობრივ ცნობიერებას განსაკუთრებით. მათი აზრით, ყოველივე ამას კაცობრიობა მიჰყავს დაღუპვისაკენ. ჩვენ შეგვიძლია არ გავიზიაროთ ეს უკიდურესად პესიმისტური აზრი, მაგრამ ხსენებული ხიფათი რომ დიდი ყურადღების ღირსია, ეს საკმაოდ ცხადია და ნათელი.

ჩვენს მიზანს შეადგენს სწორედ მეცნიერებისა და ზნეობის ურთიერთობის ანალიზი; კერძოდ იმის ანალიზი, თუ რა ურთიერთობაა სულიერი კულტურის ამ ორ მნიშვნელოვან ფენას შორის მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში.

აღნიშნული პრობლემა ფილოსოფიისა და ეთიკის ერთ-ერთი უძველესი

კ. ბარქსის სხ. საქ. ნაბრ.
საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფილოსოფიის ფაკულტეტი

პრობლემა. ამიტომ, სანამ უშუალოდ იმ ცვლილებებს შევეხებოდეთ, რაც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გავლენით ხდება მეცნიერებისა და ზნეობის ურთიერთობაში, მოკლედ შევეხთ საკითხს იმის თაობაზე, თუ როგორია ამ პრობლემის ისტორია.

მეცნიერებისა (ცოდნისა) და ზნეობის (სიკეთის) ურთიერთობის საკითხს თავისებურად განიხილავდნენ და წყვეტდნენ ანტიკური ფილოსოფიის წარმომადგენელი. მათთან ეს პრობლემა ქეშპარიტებისა და სიკეთის ურთიერთობის ასპექტში განიხილებოდა. კერძოდ, სოფისტები, პლატონი და არისტოტელე ძირითადად იმ აზრს იცავდნენ, რომ ცოდნა და მორალი ადამიანური მოღვაწეობის ორი სრულიად სხვადასხვა სფეროა, მათ შორის არავითარი კავშირი არ არის. არისტოტელე თვლიდა, რომ ცოდნა სრულიადაც არ იძლევა მორალური ქცევის გარანტიას. ცოდნა და მორალი იმდენად განსხვავებული, სპეციფიკური მოვლენებია, რომ შეუძლებელია მათ შორის რაიმე მსგავსებაზე ვილაპარაკოთ.

სოკრატესთვისაც დამახასიათებელია მორალისა და ცოდნის განსხვავების პოზიცია. მაგრამ მიუხედავად ამისა, მან სცადა ამ ორ სფეროს შორის საერთო მოენახა. სოკრატეს ცნობილი დებულება: „გონებას მივყავართ სიკეთისაკენ, აქედან კი — ბედნიერებისაკენ“, ნათელს ხდის, რომ იგი ცდილობდა ერთიანობაში წარმოედგინა სიბრძნე (ცოდნა) და ზნეობა (სიკეთე).

ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს ცოდნისა და ზნეობის ურთიერთობის თაობაზე ანტიკური ფილოსოფიის წარმომადგენელთა თვალსაზრისების დაწვრილებითი განხილვა. აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: ბერძნულმა და რომაულმა ცივილიზაციამ გვიჩვენა, რომ ცოდნა და ზნეობა ერთმანეთთან მიმართებაში ვითარდებიან არათანაბრად, სწორედ აქ იქნა გაცნობიერებული, რომ აუცილებელია ადამიანური მოღვაწეობის ამ ორი სფეროს ჰარმონიული განვითარება.

შუა საუკუნეებში, როგორც ცნობილია, ამ პრობლემამ ცოდნისა და რწმენის ურთიერთობის სახე მიიღო.

მეცნიერებისა და ზნეობის ურთიერთობა თავისებურად აქვს გადაწვეტილი ცნობილ ფრანგ განმანათლებელს ე. ე. რუსოს. დიკონის აკადემიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომში (რომელმაც პირველი პრემია მიიღო) „ხელი შეუწყო თუ არა მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებამ ზნეობრივ სრულყოფას?“ რუსომ სრულიად მოულოდნელად უარყოფითი პასუხი გასცა (კონკურსის ორგანიზატორები კი ვარაუდობდნენ, რომ პასუხი დაედბოთი უნდა ყოფილიყო). თავისი მოსაზრებანი აღნიშნულ ნაწარმოებში რუსოს შემდეგნაირად აქვს გადმოცემული: სანამ ხელოვნება ჩვენი ქცევის მანერებს დახვეწდა, უფრო ფაქიზს გახდიდა, ჩვენი ზნე-ჩვეულებები შედარებით უხეშნი და მარტივი იყვნენ, მაგრამ მათი სილამაზე იმაში იყო, რომ ისინი ბუნებრივი იყვნენ და ქცევებში განსხვავება ყოველთვის მიგვანიშნებდა ზნისათვის განსხვავებაზე. ახლა კი, როცა ხელოვნების ზეგავლენით ჩვენი ადათ-წესება და ზნე-ჩვეულებებში გაბატონდა მოსაწყენი ერთფეროვნება, ადამიანები უკვე არ ცდილობენ გამოჩნდნენ ისეთნი, როგორც სინამდვილეში არიან. ამიერიდან ადამიანი ძველი გასაგები გახდა. ახლა თვალთმაქცობის უამრავი ხერხი და საშუალება არსებობს და ადამიანები მოიქცევიან ამ ხერხების მეშვეობით მუდამ, თუ უფრო მძლავრმა მიზეზებმა ისინი არ ა-

ძულა ამაზე უარი თქვან. ასეთ ვითარებაში, ნამდვილად არასდროს არ იცი, ვისთან გაქვს საქმე: იმისათვის, რომ შენი მეგობარი კარგად გაიცნო, უნდა გლოდო რაიმე დიდ განსაცდელს ან საერთოდ სიტუაციის მკვეთრ შეცვლას.

ამეამად აღარ არის ნამდვილი მეგობრობა, პატივისცემა, ნდობა ერთმანეთისადმი. ეჭვი, უნდობლობა, გულგრილობა და სიძულვილი იმალება ხშირად მოჩვენებითი თავაზიანობის იქით. ყოველივე ამას კი ჩვენი საუკუნის „განსწავლელობას“ უნდა „ვემადლოდეთ“. ამეამად, ამბობს ე. ე. რუსო, უამრავი საშუალება არსებობს იმისათვის, რომ უხეშად არ შეურაცხო მტერი, სამაგიეროდ შესაძლებელია მოხერხებულად ცილი დასწამო მას. ყოველივე ამის შემდეგ, რუსო აკეთებს თავის ცნობილ დასკვნას: „საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ადვილი აქვს აშკარა გაფუჭებულობას. და ადამიანის სული ირყევებოდა იმის შესაბამისად, თუ რამდენად ვითარდებოდა მეცნიერება“¹.

რას ემყარებოდა რუსო ამგვარი მსჯელობისას? უწინარეს ყოვლისა, საფრანგეთში გავრცელებული ანტიფეოდალური იდეოლოგიის ერთ-ერთ ძირითად თეზის იმის თაობაზე, რომ ადამიანები მთელი თავისი გრძნობებით, ღირსებითა და ნაკლოვანებებით არის ბუნების პროდუქტი, „ბუნებრივი არსება“.

ფეოდალური ცრურწმენების წინააღმდეგ, რომელნიც განამტკიცებდნენ ადამიანთა შორის უთანასწორობას, ჩასახვის პროცესში მყოფი ბურჟუაზია იცავდა „ბუნებრივი თანასწორობის“ პრინციპს: ყველა ადამიანი დაბადებიდან თანასწორია, ამიტომ ისინი თანაბარუფლებიანადაც უნდა იქნან მიჩნეულნი; მათ სავსებით ერთნაირი უფლებები გააჩნიათ. ემყარება რა აღნიშნულ თვალსაზრისს, რუსო მოითხოვს, რომ ადამიანები დაუბრუნდნენ პატრიარქალური ცხოვრების წესს — მშვიდობიან სამიწათმოქმედო შრომას. ამით უზრუნველყოფილი იქნება ძველი სისადავე, მარტივი ბუნებრივ-ადამიანური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით გამოწვეული ნამდვილი კმაყოფილება და სიხარული. ყოველივე, რაც არღვევს ამ რიტმს, რუსომ გამოაცხადა გარყვნილებად, გაფუჭებულობად. უწინარეს ყოვლისა, ესაა: სიზარმაცე, ნებევრობა, ფუფუნებისადმი სწრაფვა, რაშიც მთავარი დამნაშავე, რუსოს მიხედვით, არის მეცნიერება, მისი თანმხლები მრეწველობა და ხელოვნება.

თავისი მსჯელობის დასადასტურებლად რუსო მიმართავს ისტორიას, ისტორიულ ფაქტებს. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია განებივრებული ათენისა და სპარტას შედარება რუსოს მიერ. მისი აზრით, ათენში მანკიერებათა მომრავლება, რაც საბოლოოდ მისი დაცემის მიზეზი გახდა, დაკავშირებულია ხელოვნების განვითარებასთან. სპარტაში იღვევებოდა ის, რასაც თაყვანს სცემდნენ ათენში და მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო: ათენელებისაგან დარჩა მხოლოდ ხელოვნების ნიმუშები, ხოლო სპარტა დღესაც გვზიბლავს გმირობისა და მამაცობის მაგალითებით. ეს უკანასკნელი კი ადამიანებისათვის ვაცილებით ღირებული და მნიშვნელოვანია, — ამბობს რუსო.

რა თქმა უნდა, რუსოს თვალსაზრისი უკიდურესი და მცდარია. იგი მრავალმხრივ იმსახურებს კრიტიკას. საკითხავია: ნუთუ მართლა ასე უზნეონი იყვნენ უდიდესი კულტურის შემქმნელი ათენელები და ამ მხრივ კეთილ სიტყვებს მხოლოდ მკაცრი სპარტელები იმსახურებენ?

¹ Ж а и - ж а к Р у с с о. Тракаты. М., 1969, с. 14.

შეიძლება საკითხი უფრო ფართოდაც დაისვას: ნუთუ ისე კეთილია პირველსაწყისი ბუნება ადამიანისა, რომელზეც რუსო აქცენტირებას ახდენს? ვინ არის უფრო ზნეობრივი, — ველური, რომელსაც ჯერ კიდევ „ვერ მოუსწრია მშვენიერი ქანდაკების ცქერით გრძნობების გარყვნა“, — როგორც რუსო ამბობს, თუ ადამიანი, რომელმაც განიცადა ცივილიზაციის გავლენა, რომელსაც სიამოვნებას ჰგვრის დიდებული ქანდაკების ხილვა თუ მშვენიერი მუსიკის მოსმენა.

ცხადია, კრიტიკას ვერ უძლებს რუსოს თვალსაზრისი იმის თაობაზეც, რომ ადამიანი არის ისეთი არსება, რომლის ყველა გრძნობა, სურვილი თუ მოთხოვნა იღვრება გაპირობებულია ბუნებით. ეს თვალსაზრისი ჯერ კიდევ დენი დიდრომ გააკრიტიკა, ხოლო საბოლოოდ მარქსმა დაასაბუთა, რომ ადამიანი არის არა მხოლოდ ბუნებრივ-ბიოლოგიური, არამედ ამავე დროს, სოციალური არსება.

რუსო იზიარებს გავრცელებულ თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ ადამიანი არის ისეთი არსება, რომლის უმთავრესი მიზანია ბედნიერების, როგორც სიამოვნება-ტკბობის ერთობლიობის მიღწევა.

მართალია, ადამიანი უსიამოვნებას ერიდება და სიამოვნებისკენ მიიღტვის, მაგრამ სწორი არ იქნება თუ შევეცდებით ამ ფაქტიდან აეხსნათ ადამიანის მთელი ქცევა: ადამიანის ამნაირი გაგება უგულვებლყოფს იმ გარემობას, რომ ადამიანი არის სოციალური არსება. ადამიანი მხოლოდ იმას როდი აკეთებს, რაც მას სიამოვნება-ტკბობას ანიჭებს, არამედ ავრთვე იმასაც, რისი გაკეთებაც მას სწორად მოაჩნია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანი როგორც სოციალური არსება, გარკვეული ღირებულებითი ორიენტაციების მიხედვით მოქმედებს. ღირებულებითი ორიენტაციები სწორედ ადამიანთა ურთიერთობებში, საზოგადოებაში „ყალიბდება“, იგი კაცობრიობის ისტორიული და კულტურული განვითარების შედეგია.

რუსოს თვალსაზრისი იმ მხრივაც არის შეზღუდული, რომ თუნდაც დავეთანხმით მას იმაში, თითქოს ადამიანის ძირითადი მიზანია ბედნიერების, როგორც სიამოვნება-ტკბობის ერთიანობის მიღწევა, მაშინ უსუსურია რუსოს მითითებანი იმის თაობაზე, რომ ბედნიერების მისაღწევად საკმარისია ადამიანი ბუნებას დაუბრუნდეს, აღდგეს პირველყოფილი უშუალო ურთიერთობა ადამიანისა ბუნებასთან და ფიზიკური არსებობისა და ადამიანის არსობრივი ძალბის გამოვლენისათვის გამოვიყენოთ ის პრიმიტიული საშუალებანი, რომელთაც იყენებდნენ ადამიანები განვითარების დაბალ საფეხურზე.

შეიძლება რუსოს შევედავოთ იმაშიც, რომ თითქოს მეცნიერებისა და მანქანური წარმოების განვითარების თანხლები კოლიზიები უფრო შემამრწუნებელნი არიან, ვიდრე პირველყოფილი ადამიანის პრიმიტიული ცხოვრების საშინელებანი. ამჟამად გარკვეულია საკითხი იმის თაობაზე, რომ მეცნიერება, ტექნიკა და ხელოვნება კი არ არიან უშუალოდ ადამიანთა უბედურების მიზეზი, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცივილიზაცია კი არ არის ბოროტებათა წყარო, არამედ ცალკეული ადამიანების მიერ ცივილიზაციის მონაპოვართა გამოყენების ესა თუ ის ფორმა.

რა თქმა უნდა, რუსოს ნააზრევში სხვაც ბევრია სადავო. მაგრამ, ჯერ ერთი, ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს მისი მოძღვრების დაწვრილებითი

განხილვა და მეორეც, ამ მოძღვრების კრიტიკისას, არ უნდა დავივიწყოთ ის დადებითი მომენტები, რომელნიც უშუალოდ ყურადღებას იპყრობენ.

ერთ-ერთი ასეთი მომენტი რუსოს მოძღვრებაში ის არის, რომ ზნეობა მიჩნეულია ადამიანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს სფეროდ. რუსო მოითხოვს, რომ საზოგადოების განვითარების დონის ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებლად მიჩნეული იყოს ზნეობა, ზნეობრივი ღირებულებანი. რუსოს მიხედვით, ადამიანთა ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს ნდობას, სიყვარულს, პატივისცემას, მეგობრობას, გულწრფელობას და ა. შ. და მართლაც: როგორი განვითარებულიც არ უნდა იყოს საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რა ტექნიკური სიახლენი არ უნდა შემოგვთავაზონ ე. წ. „ზუსტმა“ მეცნიერებებმა, თუ ყოველივე ამასთან ერთად, ადამიანები ერთმანეთისადმი სიყვარულით, თანაგრძნობით, ნდობით არ იქნებიან გამსჭვალულნი, ვერ ვიტყვით, რომ ასეთი საზოგადოება განვითარების მაღალ საფეხურზეა.

მეცნიერებისა და ზნეობის ურთიერთობის გარკვევისას, რუსომ საფუძველი ჩაუყარა ერთ მეტად მნიშვნელოვან თვალსაზრისს, რომელიც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დროს უფრო კარგად იქნა გაცნობიერებული და შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის პირობებში გულუბრყვილო ოპტიმიზმი და რწმენა იმის თაობაზე, რომ მეცნიერება თავისი განვითარების გზაზე თვითონ გადაწყვეტს კაცობრიობის წინაშე წამოჭრილ პრობლემებს, — მათ შორის მორალურ პრობლემებსაც, — შეიცვალა იმის გაცნობიერებით, რომ მეცნიერების სოციალური როლის კრიტიკულში თვით მეცნიერებაში არ არის, მის გარეთაა და რომ მეცნიერება, მეცნიერების პროგრესი თვით მიზანი კი არ არის, არამედ დაქვემდებარებულია იმ მიზნებისა და ამოცანებისადმი, რასაც საზოგადოება ისახავს განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე.

მაშასადამე, ერთი მხრივ, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი აუცილებელია საზოგადოების განვითარებისათვის, მაგრამ მეორე მხრივ, საჭიროა მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის გარკვეული შეზღუდვა, უფრო სწორად, აღნიშნული პროგრესისადმი კონტროლი.

რუსოს თვალსაზრისი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, უკიდურესია და ცალმხრივი. მას არასწორად ესმის კულტურაში და საერთოდ საზოგადოების განვითარებაში მეცნიერების როლის საკითხი. რუსოს მიერ მეცნიერება (ხელოვნებასთან ერთად) უარყოფილია, როგორც ადამიანური კულტურის მიმართ მტრული მოვლენა. ამ მხრივ იგი შეიძლება ჩაითვალოს ანტიციენტრიზმის პირველ წარმომადგენლად.

საინტერესოა რუსოს მოძღვრების შედარება იმ დეავსთან, რომელიც წარმოებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა ძირითადი ტენდენციების თაობაზე.

აღმოსავლეთის აზროვნებაში, კულტურაში, როგორც ხშირად აღნიშნავენ, შეინიშნება უპირატესი ინტერესი სულიერი ღირებულებებისადმი. ე. წ. „კომპარტივისტა“ ნაშრომებში, რომლებიც ეძღვნება აღმოსავლეთისა და დასავლეთის იდეალების სინთეზის პრობლემას, მთავარი ყურადღება ექცევა აღმოსავლეთის სულიერი ღირებულებებით დასავლეთის ცივილიზაციის გამდიდრების აუცილებლობას. „აღმოსავლეთის ადამიანს არ დაუკარგავს კავშირი მიწასთან, მეცნარეულობასთან, ცხოველთა სამყაროსთან, სახლთან,

ოჯახთან და სოფელთან. იგი ნაკლებად სპეციალიზებულია, ნაკლებად ურბანიზებულია. დასავლეთის ადამიანმა, მართალია, გახსნა ბუნების მრავალი საიდუმლოება, მაგრამ ამასობაში დაკარგა თავისი თავი... ამიტომაც დასავლეთის ცივილიზაციის თემა — ადამიანის მიერ დაუღალავი ძიება იმ ბალისა, საიდანაც იგი განიდგენა, სახლისა, საიდანაც გამოვლდებოდა და მიწისა, რომლისგანაც მოწყვეტილია. და სრულიად ბუნებრივია, რომ თავის „ხეტილში“ ადამიანი უნდა ეცადოს დაუბრუნდეს აღმოსავლეთს, საიდანაც იღებს საწყისს“², — ასეთია კომპარატივისტების აზრი.

ერთ-ერთი კომპარატივისტის — ბერტუს მიხედვით, ინდოეთი პირველ ყოვლისა დაინტერესებულია პიროვნებით, ჩინეთი ძირითადად იკვლევს საზოგადოებას, ადამიანებს შორის ურთიერთობებს, დასავლეთი კი ინდივიდუალიზმით და გარესამყაროს, ფიზიკური რეალობის კვლევით არის დასაქმებული.

3. სმიტის აზრით, რომელიც (რასელის მსგავსად) თვლის, რომ ადამიანი სამ ძირითად კონფლიქტშია ჩართული, — ბუნებასთან, სხვა ადამიანებთან და თავის თავთან, — ინდოეთი მთავარ ყურადღებას აქცევს ფსიქოლოგიურ პრობლემას, ჩინეთი — სოციალურს, ხოლო დასავლეთი — ორიენტირებულია ძირითადად გარესამყაროზე.

ცნობილი ინდოელი მოაზროვნე სვამი ვივეკანანდა თანამემამულეებისადმი მიმართვაში აღნიშნავდა: „ყველა კულტა შორის უპირველესია ვირატა — თქვენს გარშემო მყოფი ადამიანების კულტი. ადამიანები, ცოცხალი ადამიანები — აი, ჩვენი ღმერთები, და უპირველესი ღმერთები, ვისაც ჭერ არს თავიანი ვცეთ, ჩვენი თანამემამულენი არიან“³.

ინდოეთის ფილოსოფიასა და კულტურაში, ისევე როგორც საერთოდ აღმოსავლეთის კულტურაში, დომინირებს ადამიანურ-ღირებულებებით მომენტები, ზოგადსაკაცობრიო იდეალები. ამის ერთ-ერთ ნიმუშად გამოდგება ცნობილი ინდოელი მოაზროვნის და საზოგადო მოღვაწის ჯავაჰარლალ ნერუს შემდეგი სიტყვები: „ის, რასაც ელოდება დღეს მთელი მსოფლიო... არის მსოფლიოს სულიერი ერთიანობის გრანდიოზული იდეა. ეს არის ერთადერთი და დაუსაბამო არსი, რომელიც ყოველში არსებობს, თქვენშიც და ჩემშიც, ჩემს გულში და თქვენს გულში... ეს არის დაუსაბამო ერთობა სულისა, იდეა, რომ მე და შენ არა მარტო ძმები ვართ, არამედ ეს ერთიდაიგივეა. ევროპას ესაჭიროება იგი ისევე, როგორც ჩვენს დათრგუნვილ მასებს. ეს დიადი პრინციპი ამჟამად საფუძვლად უდევს, თუმცა კი გაუცნობიერებლად, ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთისა და ამერიკის ყოველ ახალ პოლიტიკურ და სოციალურ მისწრაფებას“⁴.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა ურთიერთობის საკითხის ერთ-ერთი საბჭოთა მკვლევარი ე. ზავადსკაია ჩინეთის ფილოსოფიისა და კულტურის ანალიზისას, ამ ქვეყანაში V—VI საუკუნეთა მიჯნაზე შექმნილი ბუდისტური მოძღვრების „ჩან“-ის შესახებ აღნიშნავს: „ჩან“-ის ფილოსოფია, როგორც სიცოცხლის მშვენიერებისა და მნიშვნელობის დამამკვიდრებელი მოძღვრება, პრინციპულად განსხვავდება ექსისტენციალიზმისაგან, რომელიც

² Современные проблемы социального развития и идеологии стран Азии и Африки, выпуск XX, М., 1975, с. 83—86.

³ ინდოეთის ახალი მოაზროვნეები, თარგმანი თ. ჩხენკელისა, თბ., 1978, გვ. 10.

⁴ იქვე, გვ. 8.

გაურბის სიციცხლეს და ძრწის მის წინაშე⁵. მიუხედავად ამისა, „ჩან“-ის მოძღვრების გავლენა გამოიხატა ექსისტენციალიზმის ფილოსოფიაზეც. ეს კარგად ჩანს ჰაიდეგერის, სარტრის, კამიუს მოძღვრებათა ანალიზის დროს. ამის თაობაზე ჰაიდეგერი აღნიშნავდა, რომ მან იპოვა „ჩან“-ში ყოველივე, რის შესახებაც აპირებდა მსჯელობას თავის თხზულებებში.

ჩინური ფილოსოფიის წარმომადგენლის ლაო-ცზის მოძღვრებაში ლ. ტოლსტოიმ და ა. შვაიცერმა ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ მოძღვრებაში ერთ-ერთი მთავარი კატეგორიაა სიყვარული, როგორც ადამიანების ერთმანეთთან და საერთოდ სამყაროსთან დამოკიდებულების უმაღლესი ფორმა.

ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა მსგავსება-განსხვავების დაწვრილებითი ანალიზი. ამ ანალიზს წარმატებით ახორციელებენ კომპარატივისტები, რომელთა ნააზრევი შეიძლება ასე შეჯამდეს: აღმოსავლეთი და დასავლეთი ქმნიდნენ ფილოსოფიურ სისტემებს, კულტურას, რომლებშიც წინა პლანზე იყო წამოწეული ესა თუ ის ცხოვრებისეული, ადამიანური ღირებულებანი და, შესაბამისად, ნაკლები ყურადღება ექცეოდა სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან პრობლემებს.

ამჟამად კი, როცა ორივე რეგიონი (აღმოსავლეთი და დასავლეთი) შედარებით მჭიდრო კონტაქტში იმყოფება, ნათელი ხდება, რომ მხოლოდ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირით შეიძლება იმ ცალმხრივობის დაძლევა, რაც, ერთი მხრივ, დამახასიათებელია ადამიანისა და მისი სულიერი ღირებულებისადმი ყურადღების მიმქცევი აღმოსავლეთისათვის და, მეორე მხრივ, გარეგანი სამყაროსადმი ორიენტირებული დასავლეთის კულტურისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დასავლეთის კულტურისათვის, რომელშიც მეცნიერებისა და ტექნიკის უპირატეს განვითარებას აქვს ადგილი, აუცილებელია სულიერი ღირებულებების პრობლემას მეტი ყურადღება მიექცეს, ხოლო აღმოსავლეთის კულტურამ, რომელშიც ღირებულებითი მომენტი დომინირებს, უარი უნდა თქვას ადამიანების ერთმანეთთან და ბუნებასთან ურთიერთობის უშუალო, მავრამ ხშირად პრიმიტიულ ხერხებსა და მეთოდებზე.

თანამედროვე დასავლეთის ბურჟუაზიულ ფილოსოფიასა და ეთიკაში მეცნიერებისა და ზნეობის ურთიერთობის საკითხი მწვავე დავისა და კამათის საგანია. ამ მხრივ განსხვავებულ პოზიციებს იკავენ სციენტისმისა და ანტისციენტისმის წარმომადგენლები.

სციენტისმის წარმომადგენლები თვლიან, რომ ეთიკაში აქამდე ვერ გადაწყდა ზნეობის ძირითადი პრობლემები. ეს, მათი აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ მეთოდები, რომელთაც ამ პრობლემათა კვლევის დროს იყენებენ, არ არიან ზუსტნი. ამიტომ საჭიროა ეს პრობლემები გადასაწყვეტად „მივიანდოთ“ იმ მეცნიერებებს, რომელთაც გააჩნიათ სათანადო საშუალებანი, რათა წარმატებით გადაწყვიტონ „მარადიული“ მორალური პრობლემები.

რას ემყარება ეს უკიდურესი ოპტიმიზმი? იმ დიდმა წარმატებებმა, რასაც ე. წ. „ზუსტმა“, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებმა მიაღწიეს, წარმოშვა სწორედ აღნიშნული უკიდურესი ოპტიმიზმი ტექნიკურ მეცნიერებათა შესაძლებლობების მიმართ; წარმოიშვა ტექნიკური აზროვნების წესის უნი-

⁵ Е. Завадская. Культура Востока в современном западном мире. М., 1977.

ვერსალეზაციისა და აბსოლუტიზაციის ტენდენცია. იფიქრეს, რომ ადამიანისა და ადამიანური მოვლენების კვლევაში ასევე საგრძნობი წარმატებები მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მოპოვებული, თუ ამ სფეროშიც გამოყენებული იქნება აზროვნების იგივე წესი, რასაც ტექნიკურ მეცნიერებაში იყენებენ. მაგრამ როგორც ცნობილია, აზროვნების წესი საკვლევი ობიექტის ხასიათით არის განსაზღვრული და თუ საკვლევი ობიექტის ხასიათი არ შეესატყვისება მის მიმართ გამოყენებულ აზროვნების წესს, მაშინ ამგვარ აზროვნებას აუცილებლად მიუყვართ საკვლევი საგნის სურათის დამახინჯებამდე. ადამიანი რომ მხოლოდ ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურ ორგანიზაციას წარმოადგენდეს და სხვას არაფერს, მაშინ სრულიად შესაძლებელი იქნებოდა ადამიანის, როგორც საკვლევი ობიექტის მიმართ ტექნიკურ-მეცნიერული აზროვნების წესის გამოყენება. მაგრამ კერძო, ზუსტ მეცნიერებათა რომელი მეთოდებითა შესაძლებელი მორალური ნორმების, ესთეტიკური კრიტერიუმების, სოციალური დაინტერესებულობის და საერთოდ ადამიანის ღირებულებებითი ორიენტაციის კვლევა?

ნათქვამიდან ცხადი უნდა იყოს, რომ სციენტში არის უყიდურეა, ცალმხრივი მიმდინარეობა, რომლის წარმომადგენლები ახდენენ მეცნიერების როლის გაზვიადებას, აბსოლუტიზაციას და, შესაბამისად, ზნეობის მნიშვნელობის დაკნინებას. ეს გამოიხატება შემდეგში: ციენტის წარმომადგენლები მოითხოვენ ყველაფრის შემეცნებას ტექნიკურ მეცნიერებათა მეთოდების გამოყენებით და მიდიან რა უფრო შორს, უაზროდ და უმნიშვნელოდ აცხადებენ ყოველგვარ, რაც ამ გზით არ შეიძლება, ე. ი. გრძნობების სფეროს, ხელოვნების, ზნეობის სფეროებს და სხვ.

ამ თვალსაზრისის საპირისპიროდ, ანტისციენტისათვის დამახასიათებელია მეცნიერების როლის უგულვებელყოფა, ადამიანური არსის ერთადერთ გამოხატველად ღირებულებათა სფეროს აღიარება. მხედველობაში აქვთ რა მეცნიერულ აღმოჩენათა არაპუმანისტური მიზნებისათვის გამოყენების შემთხვევები, ანტისციენტის წარმომადგენლები მოითხოვენ, რომ მთავარი ყურადღება გადატანილ იქნეს მორალურ პრობლემებზე, როგორც წმინდა ადამიანურ პრობლემებზე. მათი აზრით, მეცნიერებისა და ტექნიკის ყოველი პროგრესი კაცობრიობას თავს ახვევს უამრავ თავსატეხს, საჭირობოტო პრობლემას. ამიტომ მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის გზაზე ყოველი წინსვლა მათ მიერ ცხადდება ახალ ბოროტებად ადამიანების მიმართ. აქედან გამომდინარე, ისინი თვლიან, რომ საჭიროა ყოველნაირად შეფერხდეს შემდგომი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი.

ნათელია, რომ ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ცალმხრივ, არამეცნიერულ თვალსაზრისთან, მეცნიერების როლის არასწორ გაგებასთან, ანტისციენტის წარმომადგენლები მართლნი არიან, როცა მოითხოვენ, რომ მორალურ პრობლემებს, როგორც წმინდა ადამიანურ პრობლემებს მეტი ყურადღება სჭირდებათ. მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ადამიანური მოღვაწეობის სხვა სფეროებისადმი ყურადღების შენელების და, მითუმეტეს, ადამიანის სინამდვილისადმი დამოკიდებულების სხვა ფორმის სრული იგნორირების ხარჯზე.

ამიტომ მეცნიერების შესაძლებლობათა ყოველი კრიტიკული ანალიზი ხელს უნდა უწყობდეს მეცნიერების შემდგომი განვითარების გარკვეული შეზღუდვის საჭიროების გამოვლენას და არა უარის თქმას მეცნიერებაზე,

როგორც ისეთ რაიმეზე, რაც თითქოს მტრული და საზიანოა ნამდვილი ადამიანური კულტურის მიმართ.

კულტურის ამა თუ იმ ფენის მნიშვნელობის გარკვევაში სციენტისმიასა და ანტიციენტისმიის ბრძოლის თანამედროვე პირობებში სულ უფრო ცხადი ხდება, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, ამ რევოლუციის მონაპოვრები, უნდა დაექვემდებარონ ადამიანთა უფრო მაღალი რანგის ღირებულებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება კულტურის პროგრესი.

ფენომენი, რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს სამყაროსადმი ადამიანის ღირებულებითი მიდგომის რეგულირება, არის სწორედ კულტურა, რომელიც, ერთი მხრივ, გამოხატავს ბუნებაზე ადამიანთა გაბატონების ღონეს, ანუ გვიჩვენებს, რას მიაღწია ადამიანმა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მიმართულებით და ამავე დროს გვიხასიათებს ადამიანთა ურთიერთობების ჰუმანიზაციის ღონეს.

რათა უფრო ნათელი გახდეს საკითხი იმის თაობაზე, რომ სულიერი კულტურის ყველა ფენა თანაბარი მნიშვნელობის მქონეა და კულტურის ნამდვილი პროგრესისათვის მისი ფენების ჰარმონიული ურთიერთობა და განვითარებაა საჭირო, მოკლედ დავახასიათოთ აღნიშნული ფენომენის ორი მეტად მნიშვნელოვანი ფენა — მეცნიერება და ზნეობა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კულტურის განხილვა სრული და ამომწურავი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ დავახასიათებდით თეორიულ შემეცნებას, ღირებულებით-ზნეობრივ დამოკიდებულებას და მხატვრულ შემოქმედებას, როგორც ადამიანის მიერ სამყაროს სულიერი ათვისების სამ ძირითად ფორმას და, შესაბამისად, მეცნიერებას, ზნეობას და ხელოვნებას — სულიერი კულტურის ამ სამ ძირითად ფენას. მაგრამ ამჟამად ჩვენ გვინტერესებს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორია მეცნიერებისა და ზნეობის ურთიერთმიმართება და რა ცვლილებები შეაქვს ამ მიმართებაში თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას. ამიტომ არ შევჩვენებთ საკითხს კულტურის სტრუქტურაში ხელოვნების ადგილისა და როლის თაობაზე.

ადამიანის მიერ სამყაროს ათვისების ერთ-ერთი სპეციფიკური ფორმაა თეორიული შემეცნება, მეცნიერება. განსხვავებით ცხოველებისაგან, რომლებიც იკმაყოფილებენ რა თავიანთ ელემენტარულ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს, მუდმივად რჩებიან განვითარების ერთ დონეზე, ადამიანები ცდილობენ როგორც გარესამყაროს, ისე საკუთარი თავის გარდაქმნას: გარემომცველი სამყაროსა და საკუთარი თავის შეცვლისაკენ მარადიული სწრაფვა — ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა. ამის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი საშუალება კი — თეორიული შემეცნება, მეცნიერება.

მაგრამ ცხადია, ყოველგვარი ცოდნა ვერ იქნება კულტურის ელემენტი, ასე რომ იყოს, გამოვიდოდა, რომ კულტურა არის რაღაც კრებითი სიტყვა. კულტურის ხასიათიდან გამომდინარე, ცოდნა მხოლოდ იმდენად წარმოადგენს კულტურას, კულტურის ელემენტს რამდენადაც ის ადამიანის გარკვეულ დამოკიდებულებას გამოხატავს სინამდვილისადმი: ეს დამოკიდებულება გარკვეულ თანაქვემდებარებაშია სამყაროსადმი ადამიანის დამოკიდებულების სხვა ფორმებთან, ადამიანის მიერ სამყაროს ათვისების სხვა სახეებთან, კერძოდ, რეალურ ათვისებასთან, ანუ ადამიანის გარდამქმნელ მოღვაწეობასთან. სწორედ ის გარემოება, რომ ადამიანის გარდამქმნელ მოღვაწეობაში მნიშვნე-



ნელოვან როლს ასრულებს თეორიული შემეცნება, არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მეცნიერება კულტურის ელემენტად მივიჩნით. მაგრამ მეცნიერება კულტურის ელემენტია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანებს სთავაზობს საშუალებებს ბუნებაზე გაბატონების და, შესაბამისად, სასიცოცხლო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, არამედ იმიტომაც (და, ალბათ, უფრო იმიტომაც), რომ აკმაყოფილებს ადამიანის ისეთ არსებით მოთხოვნილებას, როგორცაა შემოქმედების მოთხოვნილება. მეცნიერება ადამიანს მხოლოდ ტექნიკურ პრობლემათა გადასაწყვეტად კი არ სჭირდება, არამედ იგი ამავე დროს, გვევლინება ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალების, არსობრივი ძალების გამოვლენის ასპარეზად.

მაშასადამე, მეცნიერება სამყაროს კანონზომიერებათა შემეცნებისა და, შესაბამისად, ბუნებაზე გაბატონების ხერხებისა და მეთოდების გამოვლენის წყალობით, გვევლინება როგორც სინამდვილის გარდაქმნის, ადამიანური ცხოვრების მრავალი პრობლემის გადაჭრის საშუალება. მაგრამ მეცნიერება ამავე დროს წარმოადგენს სარბიელს, სადაც ადამიანის შემოქმედებითი უნარის გამოვლენა ხდება. ხოლო ის, თუ როგორ გარდაქმნის ადამიანი სამყაროს, როგორია მისი შემოქმედებითი პოტენციალები, რას მიაღწია ამ მხრივ ადამიანმა, ასახავს იმას, თუ რამდენად გარდაიქმნა თვით ადამიანი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეცნიერება როგორც ადამიანის არსობრივი ძალების გამოვლენა-განვითარების საფუძველი, გამოხატავს ადამიანის განვითარების, მისი ქმნადობის პროცესს.

ამდენად, მეცნიერება გამოხატავს რა ადამიანის ქმნადობის, მისი „გაადამიანურების“ პროცესს, კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.

ამიტომ, სავსებით გასაგებია, რომ მარქსისტულ ფილოსოფიაში მეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად მიჩნეულია ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბების ამოცანა.

ეს დებულება ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ადამიანის ყოველმხრივ განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერების საფუძველზე ან ადამიანის ყოველმხრივ განვითარებისათვის ხელშეწყობის ფუნქცია მეცნიერების ერთადერთი ფუნქციაა. ცხადია, ადამიანის ყოველმხრივი განვითარება მხოლოდ მეცნიერების საფუძველზე შეუძლებელია, ვინაიდან ადამიანს თეორიული შემეცნებისაგან განსხვავებული სხვა უნარიც გააჩნია. ასევე მეცნიერების დაწინაურება როდღე ამოიწურება ადამიანის ყოველმხრივ განვითარებისათვის ხელშეწყობით.

ისტორიაში ცნობილია მეცნიერებისადმი, როგორც სამყაროს თეორიული ათვისების ერთ-ერთი ფორმისადმი, სხვაგვარი დამოკიდებულების ნიმუშები.

ერთ-ერთი ასეთი ნიმუშია ანტიკურობაში გაბატონებული შეხედულება იმის თაობაზე, რომ შემეცნების საბოლოო მიზანია ჭეშმარიტების დადგენა, თანაც ისე, რომ შემეცნების პროცესი უნდა იყოს უანგარო კვლევის პროცესი, რომელიც შორსაა ყოველგვარი მატერიალური ინტერესებისაგან. ამ თვალსაზრისში, რომელიც არაა უცხო შემდგომი დროის ფილოსოფიაშიც, მითითებულია სამყაროს თეორიული ათვისების, კერძოდ, მეცნიერული მოღვაწეობის, ერთ მეტად მნიშვნელოვან მომენტზე. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ მეცნიერება მართლაც უნდა გამოდიოდეს სრული ობიექტურობის



პრეტენზიით, ის უნდა იდგეს უტილიტარისტული ინტერესების ზევით, არ უნდა მოხდეს ჰეგემონიზმის დამახინჯება სოციალური კლასებისა თუ ჯგუფების ან თუ იმ ინტერესების მიხედვით. თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს მეცნიერების მონაპოვრები, დადგენილი ჰეგემონიზმის, ასევე მოკლებულია უტილიტარულობას.

არსებობს ისეთი შეხედულება, რომლის მიხედვით, მეცნიერების საბოლოო მიზანია ადამიანთა უტილიტარისტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ახალ-ახალ საშუალებათა აღმოჩენა და დანერგვა ტექნიკაში. ამ შეხედულების ლოგიკური შედეგია ტექნიკისა და, შესაბამისად, ყოველგვარი კომფორტის გაფუჭება, რასაც თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში აქვს ადგილი. ეს შეხედულება სამართლიან კრიტიკას იმსახურებს ხოლმე მაგრამ ამ კრიტიკის დროს ხშირად იგნორირებულია ის გარემოება, რომ მეცნიერებისათვის უტილიტარობა მართლაც არ არის უცხო.

ადამიანის თეორიული მოღვაწეობა ყოველთვის გარკვეული პრაქტიკული მოთხოვნილებით არის გაპირობებული და მისთვის სულერთი როდია თეორიული მოღვაწეობის შედეგები აღმოჩნდებიან სასარგებლონი, ნამდვილნი, თუ პირიქით. თეორიული მოღვაწეობის „გამართლება“ ის პრაქტიკული შედეგებია, რომელთაც ადამიანები თავიანთ საკეთილდღეოდ გამოიყენებენ.

ამდენად, მეცნიერებისადმი უტილიტარული დამოკიდებულება ადამიანის მიერ სამყაროს თეორიული ათვისების აუცილებელი მომენტი. უტილიტარობა სრულიადაც არ არის უცხო მეცნიერებისათვის. ბურჟუაზიულმა ეპოქამ კარგად გამოავლინა მეცნიერების ეს საიდუმლოება. მაგრამ ბურჟუაზიული უტილიტარისმის ცალმხრივობა იმაშია, რომ მან მეცნიერების ერთადერთ ფუნქციად უტილიტარობა მიიჩნია და, შესაბამისად, ადამიანის არსი სარგებლიანობაზე დაიყვანა.

როგორც არ უნდა შეიცვალოს მეცნიერების სახე, მეცნიერებისადმი დამოკიდებულების რა ახალ-ახალი მხარეებიც არ უნდა გაჩნდნენ, ერთი რამ ცხადია, რომ მეცნიერება, როგორც ადამიანის მიერ სინამდვილის სულიერი ათვისების ერთ-ერთი ფორმა და, შესაბამისად, როგორც კულტურის ორგანული ფენა, მუდამ დარჩება თეორიულ მოღვაწეობად, რომლის მთავარი მიზანია ჰეგემონიზმის ძიება და დადგენა.

მაგრამ ადამიანური მოღვაწეობა ექვემდებარება არა მხოლოდ მეცნიერულობის, არამედ ეთიკურ, ესთეტიკურ და სხვა კრიტერიუმებს. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანური მოღვაწეობა არ ამოიწურება სამყაროს ათვისების ისეთი ფორმით, როგორცაა თეორიული შემეცნება. ადამიანურ მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ღირებულებით ორიენტაციებს. თუ სინამდვილის თეორიულ-შემეცნებითი ათვისება გულისხმობს საგნის ობიექტური თვისებების წვდომას, საგნის შემეცნებას ისე, როგორც ის არის თავისთავად და საბოლოო მიზანს ამ შემთხვევაში წარმოადგენს ობიექტური ჰეგემონიზმის დადგენა, მოვლენებისადმი ღირებულებითი მიდგომის დროს ვითარება იცვლება: აქ ყურადღება გადატანილია სწორედ ამა თუ იმ მოვლენის ადამიანთან მიმართებაზე, ადამიანური სამყაროს მიმართ გარკვეული მნიშვნელობისა და „ძალის“ მქონე ღირებულებათა სისტემაზე. ღირებულებათა ეს სისტემა თავის მხრივ განსაზღვრულია, გაპირობებულია სინამდვილისადმი ადამიანის უმნიშვნელოვანესი დამოკიდებულებით — ზნეობრივი დამოკიდე-



ბულებით. დავახასიათოთ სწორედ ეს უკანასკნელი. უფრო სწორად, განვიხილოთ რას წარმოადგენს ზნეობა როგორც სულიერი კულტურის უღრმესი ფენა.

ზემოთ უკვე არაერთგზის იყო აღნიშნული, რომ ადამიანი არის ბიოლოგიური და ამავე დროს სოციალური არსება. მარქსმა, როგორც ცნობილია, ამ საკითხის დამუშავებისას, შემდეგ მნიშვნელოვან გარემოებაზე მიუთითა: უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ადამიანის მოქმედების ორგანიზაციული მიმართულება. ერთ-ერთი მიმართულება გულისხმობს ბიოლოგიური ორგანიზმის სახით არსებობის შენახვა-განმტკიცებაზე ზრუნვას და ამ მიზნით მოხმარების საგნების წარმოებას, რაც ბუნების ძალების შეცნობასა და დამორჩილებას ემყარება. მეორე მიმართულება კი გამოიხატება ადამიანის, როგორც პიროვნების, თვითგამოსახვის გზით მისი ბიოლოგიური არსებობის ფარგლებს იქეთ გასვლასა და სხვა პიროვნებებთან, საზოგადოებასთან და საერთოდ კაცობრიობასთან როგორც პიროვნებათა მთლიანობასთან შინაგან, სულიერ გაერთიანებაში. ანუ გარდა ბიოლოგიურ არსებობაზე, თვითშენახვაზე ზრუნვისა, როგორც მარქსი ამბობდა, ადამიანი თავს ავლენს აგრეთვე „პიროვნებასა და სიყვარულში“.

კულტურის და, შესაბამისად, ზნეობის სათავე „ადამიანის იმ თვისებაში ძეგს, ბიოლოგიური ორგანიზმის სახით საკუთარი არსებობის იქეთ ფასს რომ ადებს და ღირებულებად ცნობს რაიმეს, ამას რომ გამოთქვაშს თავისი განწყობილებებისა და შეხედულებების სახით და ზემოქმედებას ახდენს სხვათა ცნობიერებაზე, შინაგან ორიენტაციაზე, თავის მხრივ ყურად რომ იღებს სხვათა განწყობილებებსა და შეხედულებებს და მზად რომაა მათ მხრივ ზემოქმედების მიღებისათვის, ამგვარად მათთან ერთი მიმართულებით ხედვას ანუ შინაგან გაერთიანებას რომ ეძებს და აღწევს“⁶.

ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანები მოქმედებენ არა მხოლოდ საკუთარი ბიოლოგიური არსებობის შენარჩუნების ინტერესების შესაბამისად (ამ ინტერესების შესაბამისად ისინი რა თქმა უნდა, იმოქმედებენ როგორც ბიოლოგიური არსებანი), არამედ, ამავე დროს, ადამიანები მოქმედებენ ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით. უფრო მეტიც, ადამიანები თანაუგრძნობენ ერთმანეთს: თანაგრძნობა, სიმბათია არის სწორედ ის ფენომენი, რომელიც საფუძვლად ედება და საერთოდ შესაძლებელს ხდის ზნეობას, ზნეობრივ ურთიერთობებს. ხშირად, ტექნიკური ფეტიშიზმის გავლენით, ადამიანისათვის ნივთები უფრო ღირებულია, ვიდრე მეორე ადამიანი, სწორედ ეს ვითარება ჰქონდა მხედველობაში გამოჩენილ ჰუმანისტს ა. შვაიცერს, როცა წერდა: „ჩვენ თანდათანობით ვკარგავთ ახლობლობის, ნათესაობის გრძნობას და ამრიგად, მივექანებით ანტიჰუმანიზმის გზაზე... როცა ქრება იმის შეგნება, რომ ყოველი ადამიანი ჩვენთვის ახლობელია როგორც ადამიანი, მაშინ ირყევა კულტურისა და ზნეობის საფუძვლები. ჰუმანიზმის რეგრესი ამ შემთხვევაში, უბრალოდ დროს საქმეა“⁷.

ადამიანებს შორის გულთბილი, უშუალო დამოკიდებულების დაკარგვის ოაზაზე თავისებურად წუხს ვ. შუქშინის ფილმის „წითელი ძახველის“ მთავა-

⁶ ზ. კაკაბაძე, კულტურის ზოგიერთი საკითხი, კრებული: კულტურა და სოციოლოგია, თბ., 1975, გვ. 35.

⁷ А. Швейцер. Культура и этика. М., 1973, с. 28.



რი მოქმედი გმირი: ადამიანი ადამიანს განიხილავს როგორც მხოლოდ „მალაქებს ქალაქებს“, როგორც რომელიმე სამეურნეო ორგანიზაციის წევრს და აფასებს მას მეურნეობაში ოფიციალური მონაწილეობისა და წარჩინების მიხედვით, ცოცხალი ბუნება მისთვის მხოლოდ საექსპლოატაციო მასალაა, — ამბობს ის. ესაა უშუალო, შინაგანი, ნამდვილად ადამიანური კონტაქტების დაკარგვით გამოწვეული სევდა.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ადამიანი მოქმედებს თვითშენახვის ინტერესების შესაბამისად. მაგრამ ადამიანი მოქმედებს არა მხოლოდ ამ მიმართულებით. მისი მოქმედების განმსაზღვრელი არის აგრეთვე ისიც, თუ რას თვლის იგი ადამიანურად, ე. ი. თავისი გვარობითი არსის შესაბამისად, როგორც ო. ჯიოვიე აღნიშნავს, ამგვარი არსის შესაბამისი არის არა საკუთარი, ინდივიდუალისტური ინტერესების, თვითშენახვის ინტერესების შესაბამისი მოქმედება, არამედ მოქმედება საგანთა ზომის შესაბამისად. მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ადამიანი მოქმედებს ამ ზომის შესაბამისად, ხოლო ადამიანურ ურთიერთობაში ეს ნიშნავს იმგვარად მოქცევას, რომ სხვა ადამიანში ადამიანი დაინახოს და არა საკუთარი ინდივიდუალისტური მოთხოვნილებების იარაღი, — მხოლოდ ამდენად გრძნობს ადამიანი ზნეობრივ კმაყოფილებას.

აქ წამოიჭრება ასეთი საკითხი: კი მაგრამ რანაირად შეიძლება ადამიანის მიერ სამყაროს ღირებულებითი შეფასების, ზნეობრივი პროგრესის საფუძვლად გვარეობითი არსის აღიარება? ადამიანის არსება ხომ არ ემთხვევა მის გვარეობით არსს, ეს უკანასკნელი არის ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთობლიობა, ამიტომაც ადამიანებს სხვადასხვა შეხედულებები გააჩნიათ თავიანთი თავისა და საკუთარი ზნეობრივი იდეალების შესახებ. გამოსავალი აქ შემდეგში უნდა იყოს: „რამდენადაც ადამიანი არ კარგავს მთლიანად თავის გვარეობით არსს, ეს უკანასკნელი მაინც წარმოადგენს ზნეობრივი პროგრესის, ადამიანის მიერ სამყაროს ღირებულებითი შეფასების საფუძველს“⁸.

სწორედ ამიტომ არის, რომ წუხან ა. შვაიცერი, „წითელი ძახელის“ მთავარი გმირი და სხვები იმის გამო, რომ ზოგჯერ ადამიანში ადამიანი საკუთარი ინდივიდუალისტური მოთხოვნილებების იარაღს უფრო „ხედავს“, ვიდრე ადამიანს. ანუ ეს წუხილი საბოლოო ჯამში მიმართულია ინდივიდუალისტური ზნეობრივი ცნობიერების წინააღმდეგ, რომელსაც ზნეობის განვითარებაში პქონდა ადგილი და ზოგჯერ თანამედროვე პირობებშიც იჩენს ხოლმე თავს. ამგვარი პოზიცია ინდივიდს ათავისუფლებს ზეინდივიდუალისტური ძალების წინაშე ქედმოხრისაგან და ინდივიდის მოვალეობად მიიჩნევს მოიქცეს ისე, რომ თავის თავს მოუტანოს სარგებლობა. ასეთი პოზიცია არც ჩაითვლება ზნეობრივად. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალისტური ზნეობრივი ცნობიერებაც არ იყო სრულიად უნაყოფო სამყაროს ღირებულებითი ათვისების პროცესში. მანაც მიგვიტოთა ეთიკური ფენომენის ერთ საიდუმლოებაზე, კერძოდ იმაზე, რომ ღირებულებითი დამოკიდებულების დაფუძნებისას არ შეიძლება ტრანსცენდენტური ძალების იმედზე ვიყოთ.

ზნეობის განვითარების გზაზე ცნობილია ისეთი პოზიცია, როცა ზნეობრივის გამართლება ტრანსცენდენტურ ძალებზე (ზოგჯერ კოსმოსზე, ზოგჯერ კი

⁸ ო. ჯიოვიე, კულტურის სტრუქტურა, კრებულში: კულტურაროგორც ფილოსოფიური კვლევის საგანი, თბ., 1977, გვ. 89.

2. „მაცნე“, ფილოსოფიის... სერია, 1979, № 2

ქ. შაქსის ს.ტ. საქ. ხხბ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა
ბნ. აღმოსავლეთი



ადამიანისათვის შედარებით ახლობელ — სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა ხელშეწყობით. არც ასეთი შეხედულება უნდა იყოს შემთხვევითი ზნეობის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ცნობიერება ახდენს იმის გაფართოებას, რაც ადამიანისათვის გარეგნულია ან მის მიერვე შექმნილი, ასეთი პოზიცია ამკლავებს ზნეობრივი ცნობიერების ერთ მნიშვნელოვან მომენტს — ჯერარსობას, როგორც მისი არსებობის ფორმას. მართლაც, ზნეობა არ შეიძლება არსებობდეს იქ, სადაც არ არის ჯერარსობა — ბუნებრივი მიდრეკილების მიხედვით ხომ ადამიანი ყოველგვარი ზნეობის გარეშეც კარგად მოქმედებს.

ზნეობის დახასიათებისას ჩვენ არ შევხებივართ საგანგებოდ საკითხს იმის თაობაზე, თუ რა სიძნელებები იჩენენ თავს ზნეობის დაფუძნების, ზნეობრივი პროგრესის კრიტიკიკის დადგენის დროს. ეს, გარდა იმისა, რომ ურთულესი საკითხია, ვფიქრობ, სპეციალური კვლევის საგანიცაა. რაც უკვე ითქვა ზნეობის შესახებ, ალბათ ნათელს ხდის იმ გარემოებას, რომ ზნეობა, ზნეობრივი ღირებულებები უსათუოდ კულტურას მიეკუთვნება. თუ მეცნიერება გამოხატავს ადამიანის ქმნადობის, „გაადამიანურების“ პროცესს, ეს უფრო მეტად ითქმის ზნეობის მიმართ. ზნეობრივი ღირებულებანი გამოხატავენ თუ რამდენად „ადამიანური“ გახდა ადამიანი, როგორია ადამიანურ ურთიერთობათა ჰუმანიზაციის დონე.

სწორედ ზნეობრივი ღირებულებების მეშვეობით გვევლინება კულტურა ისეთ ფენომენად, რომელშიც ადამიანური ცხოვრების ჰუმანიზაციის დონეა გამოხატული. ამ აზრით, ზნეობრივი ღირებულებანი კულტურის უმაღლეს ფენას შეადგენენ.

ამას გულისხმობს, ალბათ, ა. შვაიცერი, როცა ამბობს, რომ კულტურა ეს არის ყველა სფეროში, ყველა მიმართულებით ადამიანისა და კაცობრიობის პროგრესთა ერთობლიობა იმ პირობით, რომ ეს პროგრესი ემსახურება ინდივიდის სულიერ და ზნეობრივ სრულყოფას, როგორც პროგრესთა პროგრესს.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან ნათელი უნდა იყოს, რომ მეცნიერებისა და ზნეობის ურთიერთობის სათანადოდ გარკვევისათვის აუცილებელია ჰუმანიზაციისა და ღირებულების ურთიერთობის დახასიათება.

არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მეცნიერებასა და ზნეობას, ჰუმანიზაციასა და ღირებულებას შორის არ არის არავითარი კავშირი. ასეთ თვალსაზრისს იცავენ ძირითადად პოზიტივისტები. ეს უკანასკნელი თვლიან, რომ ეთიკური მსჯელობა მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულობას. აღნიშნული თვალსაზრისები მიუხედავად იმისა, რომ უკიდურესია, მცდარია, შეიცავენ მნიშვნელოვან მითითებას იმის თაობაზე, რომ მეცნიერება და ზნეობა, ჰუმანიზაცია და ღირებულება განსხვავებული ფენომენებია, სინამდვილისადმი ადამიანური მიდგომის განსხვავებული სახეებია.

სინამდვილისადმი თეორიულ-შემეცნებითი მიდგომის მიზანია მოახდინოს საგნის ობიექტური ბუნების ფიქსირება, საგნის დახასიათება ისე, როგორც ის არის, ანუ დაადგინოს ობიექტური ჰუმანიზაცია. შემეცნებაში დგინდება ფაქტები ისე, რომ ამ ფაქტებისადმი სუბიექტის, ადამიანის დამოკიდებულება არ ჩანს.

მაგრამ სინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულებას სხვა მხარეც გააჩნია. ესაა შეფასებითი, ღირებულებითი მიდგომა სინამდვილისადმი. შეფასე-



ბთი მიდგომა ისევე როგორც შემეცნების პროცესი, ყოველთვის გულისხმობს სუბიექტისა და ობიექტის გარკვეულ ურთიერთმიმართებას, მაგრამ აღნიშნული ურთიერთმიმართება სხვადასხვაგვარია იმისდა მიხედვით, შემეცნებასთან ვაკეხს საქმე თუ ღირებულებით მიდგომასთან: თუ შემეცნება მიზნად ისახავს ობიექტის კვლევას ისე, რომ ფაქტიური ვითარება ობიექტურად იქნეს ასახული, ღირებულებითი მიდგომა ყოველთვის სუბიექტის პოზიციას გამოხატავს, ანუ აღნიშნული მიდგომისას მთავარია დადგინდეს, სუბიექტის დამოკიდებულება ობიექტისადმი, — კერძოდ ის, თუ რანაირი თვისებები გააჩნია ობიექტს, რის გამოც ჩვენ მას ვიწონებთ ან ვიწუნებთ, ვაფასებთ როგორც დადებითს, მისაღებს ან როგორც უარყოფითს, მიუღებელს.

მაშასადამე, ჭეშმარიტი მსჯელობის შინაარსი დამოუკიდებელია სუბიექტისაგან და არის მხოლოდ საგნის, ობიექტური ვითარების ასახვა. ამ შინაარსს შემეცნებელი სუბიექტი რაიმეს არც უმატებს და არც აკლებს. ესა თუ ის ფაქტიური ვითარება სუბიექტს მოსწონს თუ არ მოსწონს, ჭეშმარიტისათვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. სულ სხვა ბუნებისაა ღირებულება. მისი გამოთქმით ფაქტიურ ვითარებას კი არ აღვწერთ, არამედ გამოვხატავთ ჩვენს დამოკიდებულებას მის მიმართ — მას ვიწონებთ ან ვიწუნებთ, ვაფასებთ როგორც დადებითს, ან უარყოფითს. აქ მთავარი ის არის, როგორია საგანი ჩვენთვის და არა ის, როგორია ის თავისთავად, ე. ი. ღირებულებითი მიდგომა ცდილობს აქცენტირება მოახდინოს სუბიექტის პოზიციასზე, ამ უკანასკნელის ობიექტთან მიმართებაზე.

ღირებულებით მიდგომას მხედველობაში აქვს არა ცოდნა წმინდა სახით, არამედ მატერიალურ და სულიერ კულტურაში მისი განხორციელება, რასაც შეუძლია ემსახუროს ადამიანს, მის მიზნებს.

სტატიაში „მორალური მსჯელობის ბუნების შესახებ“ ო. ბაკურაძე მართებულად აღნიშნავს, რომ „მორალური მსჯელობა არ დაიყვანება შემეცნებით მსჯელობაზე, რამდენადაც ადამიანის ინტერესი არ ამოიწურება მხოლოდ შემეცნებით. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ადამიანის ქცევების შესახებ ყველა საკამათო საკითხი შემეცნებას უნდა გადაეწყვიტა და ლოგიკა შეძლებდა საპირისპირო მორალური პრინციპების მორიგებას. მაგრამ ეს ასე როდია. საპირისპირო მორალური პრინციპების არსებობა არ წარმოადგენს შემეცნებაში ნაკლოვანებების შედეგს. ერთსა და იმავე საგნისადმი განსხვავებული დამოკიდებულება გაპირობებულია არა მხოლოდ ცოდნის დონის მხრივ ადამიანთა განსხვავებულობით, არამედ აგრეთვე მათი ბუნებით. ადამიანის ბუნება კი უმთავრესად სოციალურია და მისი (ადამიანის) ინტერესთა სისტემა განისაზღვრება იმ საზოგადოებრივი პირობებით, რომელშიც ადამიანებს უხდებათ ცხოვრება“⁹.

სტატიაში, რომელიც ჭეშმარიტებისა და ღირებულების ურთიერთობის პრობლემას ეხება¹⁰ ო. ბაკურაძე დამაჯერებლად გადმოსცემს თვალსაზრისს

⁹ ო. მ. ბაკურაძე. О природе морального суждения. В сборнике: Актуальные проблемы марксистской этики, Тб., 1967, с. 336.

¹⁰ იხ. ო. ბაკურაძის სტატია: «Истина и ценность», «Вопросы философии», 1966, № 7.

იგივე თვალსაზრისია მოცემული ო. ბაკურაძის წიგნში „დიალექტიკური მატერიალიზმი“, თბ., 1973, გვ. 248—249.



იმის თაობაზე, რომ ჭეშმარიტება და ღირებულება ერთმანეთისაგან განსხვავებულ ფენომენებს წარმოადგენენ, რომ ღირებულებათა მიდგომა არ არის შემეცნების სახე, იგი წარმოადგენს სინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულების სპეციფიკურ, შემეცნებისაგან განსხვავებულ ფორმას.

მაგრამ ჭეშმარიტებასა და ღირებულებას შორის არა მხოლოდ განსხვავებაა, არამედ ვარკვეული კავშირიც არის. ამის შესახებ ბ. ბაკურაძე მართებულად შენიშნავს, რომ შეცდომა იქნება იმის აღნიშვნით დაკმაყოფილდეთ, თითქოს ღირებულება და ჭეშმარიტება მხოლოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და არ მიეუთითოთ, რომ მათ შორის ამავე დროს ორგანული კავშირიცაა. მაგრამ ამ კავშირის ვარკვევისას ავტორი, ჩვენი აზრით, იფარგლება საკითხის მხოლოდ გარეგნული, არაარსებითი მომენტის აღნიშვნით. კერძოდ ეს მომენტი იმაში მდგომარეობს, რომ „როგორც შემეცნება, ისე შეფასება გულისხმობს ორ მხარეს: სუბიექტსა და საგანს“¹¹.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ჭეშმარიტება არ არსებობს სუბიექტის გარეშე იმ აზრით, რომ ჭეშმარიტება აზრის ნიშანია, ხოლო აზრი სუბიექტს შეიძლება გააჩნდეს. ანალოგიურად, ღირებულებაც არ არსებობს სუბიექტის გარეშე იმ თვალსაზრისით, რომ ღირებულები არის ღირებულები ყოველთვის ვილაციისათვის.

მაშასადამე, შემეცნების დროს საქმე გვაქვს სუბიექტთან, რომელიც იმეცნებს საგანს, ხოლო ღირებულებითი მიდგომისას საქმე გვაქვს სუბიექტთან, რომელიც რაიმეს აფასებს.

ცხადია, ეს საცნებო სწორი აზრია, მაგრამ ამით ჯერ კიდევ არაფერია ნათქვამი იმის დასასაბუთებლად, რომ შემეცნებასა და შეფასებას, ჭეშმარიტებასა და ღირებულებას შორის განსხვავებასთან ერთად, გარკვეული აზრით, ორგანული კავშირიცაა.

მარქსისტული ფილოსოფია ღირებულებას და შემეცნებას განიხილავს როგორც საზოგადოებრივ-ისტორიულ მოვლენებს, სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთმოქმედების მომენტებს. ისინი განუყრელ კავშირში არიან ერთმანეთთან რამდენადაც, ჯერ ერთი, თვით შემეცნების შედეგები ექვემდებარებიან შეფასებას არა მხოლოდ წმინდა გნოსეოლოგიური თვალსაზრისით: ჭეშმარიტია, ყალბია; არსებითია, არაარსებითია; უეჭველია, ალბათურია და ა. შ. არამედ ღირებულებითი თვალსაზრისითაც: რა სარგებლობა და პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს შემეცნების ამა თუ იმ რეზულტატს ადამიანთათვის, საზოგადოებისათვის. მეორე მხრივ, ღირებულებითი მიდგომა გულისხმობს საგანთა და მოვლენათა თვისებების, კანონზომიერებათა ცოდნას, რის საფუძველზეც შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამა თუ იმ საგნის უნარზე, დაავსოფილოს ადამიანთა ესა თუ ის მოთხოვნილებანი.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ზნეობა ზომ იწყება იქ, სადაც ადამიანი „გადის“ თავისი ინდივიდუალიზმის ფარგლებიდან და განიხილავს სხვა ადამიანებს როგორც სუბიექტებს და არა როგორც მხოლოდ ობიექტებს. ამ ვითარების მარტივი გამომხატველია კითხვა: „რა სურთ ადამიანებს?“ „რა სურს არა მხოლოდ ცალკეულ ახლობლებს, არამედ საერთოდ საზოგადოებას, მთელ კაცობრიობას?“ ცხადია, ასეთ შემთხვევაში

¹¹ ო. ბ. ა. კ. უ. რ. ა. ძ. ე, დიალექტიკური მატერიალიზმი, თბ., 1973, გვ. 248.

კაცობრიობის შესახებ ობიექტური ცოდნა საჭირო, ანუ ადამიანთა წინაშე მდგარი ამოცანების სათანადო გადაწყვეტისათვის, აუცილებელია ობიექტური ვითარების მეცნიერული გამოკვლევა.

კითხვა „რა სურთ, რა სჭირდებათ ადამიანებს?“ გულისხმობს აგრეთვე ასეთ კითხვას: „რეალურად რისი გაკეთება, მიღწევა არის შესაძლებელი?“ ხოლო იმის გარკვევა, თუ რეალურად რა არის შესაძლებელი, მხოლოდ სინამდვილის მოვლენებისადმი მეცნიერული მიდგომით უნდა მოხდეს.

თავის მხრივ, მეცნიერს მის მოღვაწეობაში, ჰეშმარიტების ძიების დროს, გზას უნდა „უნათებდეს“ სიკეთის სამსახური. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეცნიერებისათვის, როგორც საზოგადოების წევრისათვის, სულერთი არ უნდა იყოს ის, რომ მის მიერ მოხდენილი აღმოჩენები ადამიანებისათვის საზიანო იქნება თუ სასარგებლო.

მართალია, მეცნიერებაში ადამიანურ-ღირებულებითი მომენტი უკანა პლანზეა გადატანილი, მაგრამ მეცნიერებაც, გარკვეული აზრით, სავსებით თავისუფალი როდია აღნიშნული მომენტისაგან.

ზემოთაქვამიდან გამომდინარე, ნათელი უნდა იყოს, რომ მეცნიერებისა და ზნეობის ურთიერთობის პრობლემის ერთ-ერთი ასპექტია მეცნიერებისა (საერთოდ ყოველგვარი ცოდნისა) და ზნეობის ურთიერთშემოქმედების საკითხი. თვითონ ზნეობრივი შეგნება, მართალია, სპეციფიკური ხასიათის, მაგრამ მაინც ცოდნა — გარკვეული შეხედულებებისა და იდეების ერთობლიობაა. იგი წარმოადგენს იმის ცოდნას თუ რა არის კარგი და რა — ცუდი; როგორი ქცევაა სამარცხვინო და როგორი — სანაქებო.

ამიტომ ვასაგები უნდა იყოს, თუ რა დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მეცნიერებას, საერთოდ ცოდნას, ზნეობრივი შეგნების ჩამოყალიბებისათვის. მეორე მხრივ, ზნეობრივი შეგნების, ზნეობის განვითარების დონე ხელს უწყობს მეცნიერების შემდგომ წინსვლას და, რაც მთავარია, მეცნიერების მონაპოვართა გამოყენებას ხალხის საკეთილდღეოდ.

როგორც ჩანს, მეცნიერული კვლევა-ძიება არ არის აუცილებელი, ყოველგვარი ემოციების გარეშე მიმდინარე პროცესი, როგორც ხშირად წარმოუდგენიათ.

თუმცა მეცნიერული დებულება, როგორც სინამდვილის საგნების შესახებ ობიექტური ვითარებათა ამსახველი, ზნეობრივად ნეიტრალურია, „მაგრამ მეცნიერი და მეცნიერების გამოყენებელი არასოდეს არაა ზნეობრივად ნეიტრალური. ამით აიხსნება, რომ მეცნიერების მიღწევები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ხალხისათვის სასარგებლოდ, ისე მის საზიანოდ. ამ აზრით, ყოველ მეცნიერულ დებულებას შეიძლება მიეწეროს ზნეობრივი ღირებულება — დაედებითი ან უარყოფითი“¹².

ანალოგიურად, ზნეობრივ ნორმას, გარკვეული აზრით, შეიძლება მიეწეროს მეცნიერული ღირებულება — ჰეშმარიტება ან სიყალბე.

„თუ ზნეობისა და ზნეობრიობის საზომი საყოველთაო კეთილდღეობისათვის ხელის შეწყობაა, მაშინ ცხადია, ის ზნეობრივი ნორმა, რომლის რეალიზაცია ხელს უწყობს საყოველთაო კეთილდღეობას, შეგვიძლია მივიჩნიოთ ჰეშმარიტ ნორმად“¹³.

¹² გ. ბ ა ნ ძ ე ლ ა ძ ე, ეთიკა, თბ., 1969, გვ. 167.

¹³ იქვე.



მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერება და ზნეობა ადამიანური მოღვაწეობის სპეციფიკური, განსხვავებული სფეროებია, მათ შორის ამავე დროს გარკვეული კავშირიც არის. კერძოდ, მარქსისტულ ფილოსოფიაში მიჩნეულია, რომ ამ ორ ფენომენს შორის დიალექტიკური ურთიერთკავშირია. ეს იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად განსხვავებისა, ზნეობასა და მეცნიერებას, როგორც ადამიანთა სულიერი და პრაქტიკული მოღვაწეობის შედეგებს აქვთ ერთიანი საფუძველი. კაცობრიობის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე, ზნეობა და მეცნიერება, შეინარჩუნებენ რა თავიანთ სპეციფიკასა და თავისებურებას, შეადგენენ ერთ ორგანულ მთლიანობას. ეს აზრი იგულისხმება კ. მარქსის ცნობილ დებულებაში, რომლის მიხედვითაც მომავალში ბუნებისმეცნიერება მოიცავს თავისში მეცნიერებას ადამიანის შესახებ იმ ზომით, როგორადაც მეცნიერება ადამიანის შესახებ — ბუნებისმეცნიერებას; ეს იქნება ერთი მეცნიერება.

ცხადია, კ. მარქსის ეს დებულება იმას როდი ნიშნავს, რომ მომავალში მეცნიერება და ზნეობა იგივეობრივნი გახდებიან და მათ კვლევას ერთი მეცნიერება განახორციელებს, არამედ იმას, რომ ადამიანური შემეცნების განვითარების მაღალ საფეხურზე, მეცნიერება ადამიანის შესახებ, უფრო ღრმად და ფართოდ გაითვალისწინებს ბუნებისმეცნიერების მონაცემებს; ანალოგიურად, ბუნებისმეცნიერება თავის კვლევაში დიდ ადგილს დაუთმობს ადამიანის შესახებ მეცნიერებათა მონაცემების გათვალისწინებას.

მარქსისტული ფილოსოფია უმართებულოდ მიიჩნევს ისეთ პოზიციას, როცა ხდება ღირებულებითი მსჯელობის დაყვანა ფაქტების დესკრიფციაზე და ამით უგულვებელიყოფა ღირებულებითი მსჯელობის სპეციფიკა; არც ის თვალსაზრისია სწორი, როცა ჭეშმარიტება განიხილება როგორც ღირებულება და ამით არასწორად არის გაგებული შემეცნებითი მსჯელობის ბუნება.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მარქსისტული ფილოსოფია, მართალია, აღიარებს ზნეობასა და მეცნიერებას შორის გარკვეულ კავშირს, მაგრამ ამასთანავე თვლის, რომ უმართებულოა როგორც ღირებულებითი მსჯელობის დაყვანა შემეცნებით მსჯელობაზე, ასევე შემეცნებითი მსჯელობის ღირებულებით მსჯელობაზე დაყვანა. ანუ, შეცდომაა ზნეობის და მეცნიერების ურთიერთზე დაყვანა, მათი გაიგივება.

ამრიგად, მარქსისტულ ფილოსოფიაში დაძლეულია როგორც აქსიოლოგიზმი გნოსეოლოგიაში, ისე გნოსეოლოგიზმი აქსიოლოგიაში.

ზნეობისა და მეცნიერების, ღირებულებისა და ჭეშმარიტების ურთიერთობის საკითხი, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, მეტად მწვავედ დგება დღის წესრიგში ერთი მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის სახით. ესაა მკვლევარ-ბუნებისმეტყველების მორალური პასუხისმგებლობის პრობლემა.

ამეამად, როცა მასობრივი მოსპობის საშუალებათა უპრეცედენტო მარაგია დაგროვილი და ყოველი ახალი აღმოჩენა ამ მხრივ საშიშროებას უქმნის არა ერთ რომელიმე ქვეყანას, ერს, არამედ მთელ კაცობრიობას. აღნიშნული პრობლემა, ფილოსოფიურ-ეთიკურ პრობლემათა შორის, ერთ-ერთი ცენტრალური ხდება.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში მეცნიერის მორალური პასუხისმგებლობა, როგორც რეალური ფაქტი და პრობლემა, რასაც არ შეიძ-



ლება ანგარიში არ გაეწიოს, გარკვეული თეორიული და სოციალური ხასიათის ისტორიული წინამძღვრების მქონეა. იგი (ეს პრობლემა) ემყარება ცოდნისა და ზნეობის, მეცნიერებისა და მორალის ურთიერთობას, რომლის ანალიზი როგორც ცნობილია, დიდი ხნით ადრე დაიწყო, ვიდრე კაცობრიობა მიიღწევდა მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის თანამედროვე დონეს.

წარსულის გამოჩენილი ჰუმანისტი-მოაზროვნეები სპეციალური საკითხების კვლევის პარალელურად, თითქმის ყოველთვის აქცევდნენ ყურადღებას სხვადასხვა მსოფლმხედველობრივ და მათ შორის, სოციალურ-ეთიკურ პრობლემებს. ამ პრობლემებს შორის კი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა ცოდნისა და ზნეობის, მეცნიერებისა და მორალის საკითხები და ეს გამოწვეული იყო იმით, რომ აღნიშნულ ფენომენთა კავშირის საფუძვლად მიჩნეული იყო ადამიანისა და ბუნების, ჰუმანიტეტისა და სიკეთის, ჰუმანიტეტისა და ჰუმანიზმის დიალექტიკური ურთიერთობა; შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ აღნიშნული პრობლემა ფილოსოფიურ-ეთიკური აზროვნების ისტორიაში პირველ ხანებში სწორედ ამ სახით იყო ფორმულირებული, ხოლო თანდათან ნათლად გამოიკვეთა შემდეგი ორი ასპექტი: 1) შესაძლებელია თუ არა ზნეობა იყოს შემეცნების, მეცნიერების ობიექტი, ანუ შესაძლებელია თუ არა მეცნიერული ეთიკის არსებობა და 2) არსებობენ თუ არა მეცნიერების მორალური პრობლემები, თუ მეცნიერება ზნეობრივად ნეიტრალურია?

ამეამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს ამ პრობლემათა განხილვა. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, მეცნიერული ეთიკის არსებობა ფაქტია. მეორე საკითხის გაგებაც სხვადასხვაგვარია: მეცნიერთა გარკვეული ნაწილი იცავს თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც, მეცნიერება და, შესაბამისად, მეცნიერი ზნეობრივად ნეიტრალურია, ხოლო მეორე ნაწილი საპირისპირო თვალსაზრისს იცავს და ამტკიცებს, რომ მკვლევარი მორალურად პასუხისმგებელია საზოგადოების, ადამიანთა წინაშე.

მორალური პასუხისმგებლობა ასახავს საზოგადოებასა და მეცნიერს შორის გარკვეულ სოციალურ დამოკიდებულებას. ეს არის მორალური ნორმა, რომლის ფუნქციაა ადამიანთა მოქმედებების რეგულაცია. იგი გამოხატავს აგრეთვე ღირებულებით განწყობას, ორიენტაციას, რაც საშუალებას იძლევა დამყარდეს გარკვეული მიმართება პირად და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის. გარდა ამისა, მორალური პასუხისმგებლობა — ეს არის პიროვნების სტრუქტურის ელემენტი, მისი ზნეობრივი თვისება, რომელიც განსაზღვრავს ზნეობრივ ქცევათა ძირითად მიმართულებას და მორალური თავისუფლების გაგების ხარისხს.

მეცნიერი ცხოვრობს რა საზოგადოებაში, მისი მოღვაწეობა თითქმის ყოველთვის მიმართულია გარკვეული სოციალური „შეკვეთების“ შესრულებისაკენ. მისი მოღვაწეობის შედეგები უნდა ემსახურებოდნენ და ხელს უწყობდნენ სოციალურ პროგრესს. აქედან გამომდინარეობს სწორედ მეცნიერის, მკვლევარის მორალური პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. მაგრამ მორალური პასუხისმგებლობა, სოციალური პირობების შესაბამისად, შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნეს გაგებული.

როგორც ზემოთ აღნიშნა, მეცნიერებს სხვადასხვა პოზიცია აქვთ აღნიშნული საკითხის გამო. ასე, მაგალითად, ბურჟუაზიული სამყაროს მეცნიერ-



თა გარკვეული ნაწილი, რომელთაც თავიანთი ბედი სამხედრო მრავალ-
ინტერესებს დაუკავშირეს და თავიანთი მოღვაწეობა ამ უკანასკნელს დაუქვემ-
დებარეს, მეცნიერის მორალურ პასუხისმგებლობას ფსევდოპრობლემად მიიჩ-
ნევს, რამდენადაც მათი აზრით, მეცნიერებასა და მორალს შორის არავითარი
კავშირი არ არის. ამ თვალსაზრისის კარგად გამოხატავს წყალბადის ბომბის
შემქმნელის ე. ტელერის სიტყვები იმის თაობაზე, რომ თითქოს მეცნიერი
პასუხს არ აგებს ბუნების კანონებისათვის. მისი ამოცანა მხოლოდ იმაში
მდგომარეობს, რომ გაარკვიოს, როგორ ფუნქციონირებენ აღნიშნული კანონე-
ბი, საკითხი კი იმის შესახებ, საჭიროა თუ არა წყალბადის ბომბის შექმნა და
მით უმეტეს, მისი გამოყენება, ეს მეცნიერს არ ეხება.

ესადა, თანამედროვე პირობებში, კაცობრიობის ფიზიკური განადგურების
საშიშროების გამო, სულ უფრო იზრდება მკვლევარ-ბუნებისმეტყველთა მორა-
ლური პასუხისმგებლობა ადამიანთა წინაშე. მაგრამ ამ საკითხს სხვა, არანაკ-
ლებ მნიშვნელოვანი ასპექტიც გააჩნია. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს შემ-
დეგი ვარაუდები: ანტისციენტისმის წარმომადგენლებთან კამათის დროს, სა-
პირისპირო თვალსაზრისის წარმომადგენელნი ხშირად მიუთითებენ იმაზე, რომ
ტექნიკა ადამიანის მიერ ხელოვნურად შექმნილი საშუალებაა. რომლის გა-
მოყენებითაც ადამიანები იუმჯობესებენ მატერიალური ცხოვრების პირობებს,
იმსუბუქებენ შრომას და ა. შ. რაწილად უშლის იგი ხელს ადამიანის სიცოცხ-
ლესა და ბედნიერებას, რაში ვადანაშაულებთ ტექნიკას?

ასეთი შეპასუხების ავტორები ფიქრობენ, რომ მეცნიერება და ტექნიკა
თვითონვე გადაწყვეტენ ყველა საჭირობოროტო პრობლემას, რომელთაც მე-
ცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი გამოიწვევს. ამ შემთხვევაში მათ მხედვე-
ლობაში აქვთ ის „ზარალი“, რასაც მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის
თანმხლები მოვლენები აყენებენ ადამიანის ჯანმრთელობას. ისინი ასე მსჯე-
ლობენ: მართალია თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ დი-
დად შეუწყო ხელი გარემოს გაქუპყიანებას, რაც „ტექნიკური“ მტვრითა თუ
ათასგვარი გამონაბოლქვი გაზებით ჰაერის მოწამელის ვხით ადამიანის ჯანმრ-
თელობაზე უარყოფითად მოქმედებს; ასევე მეცნიერებისა და ტექნიკის პროგ-
რესის კვალობაზე სულ უფრო იზრდება სამხედრო-ტექნიკური საშუალებებით
ადამიანების ფიზიკური დასახიჩრება-განადგურების საფრთხე, მაგრამ ისევ
მეცნიერებანი გამოიგონებენ ახალ საშუალებებს ჰაერის გასასუფთავებლად,
ატომური აფეთქების ხელისშემშლელ მოწყობილობებს და ამით ნეიტრალიზე-
ბული იქნებოდა ყოველგვარი საშიშროება, რაც ადამიანს ფიზიკური განადგუ-
რებით ემუქრება.

შეიძლება მეცნიერებებმა მართლაც გადაწყვიტონ ეს ამოცანა, მეცნიე-
რებებს ყოველთვის აქვთ კონტრსაშუალებათა აღმოჩენის შესაძლებლობანი.
თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ამ პროფილაქტიკურმა ღონისძიებებმა
არანაკლები ზიანი მიაყენონ ადამიანს. მაგრამ როდესაც ფილოსოფოსები,
მწერლები, ხელოვნების წარმომადგენელნი მიუთითებენ ტექნიკის უპირატესი
განვითარების საშიშროებაზე, მათ მხედველობაში აქვთ (ფიზიკური განად-
გურების გარდა) სხვა ხასიათის, ადამიანისათვის არანაკლებ მნიშვნელობის
მქონე საშიშროება, სახელდობრ: ადამიანის სულისადმი ტექნიკის მიერ მიყე-
ნებული „ზარალი“, ადამიანის სულის დასახიჩრება იმის წყალობით, რომ ადა-

მიანის ცხოვრებაში ტექნიკა, „ტექნიკური კომფორტი“ გაცილებით დიდ ადგილს იკავებს და სხვა გზით წარმართავს მის ცხოვრებას.

სწორედ ეს ვითარება აქვს მხედველობაში ამერიკელ სოციოლოგს მ. რეიდერს, როცა ამბობს, რომ თანამედროვე ტექნიკამ და ინდუსტრიალიზმმა ისე ავტომატიზებული და სპეციალიზებული გახადეს ადამიანური ურთიერთობანი, ადამიანური მოღვაწეობა, ისე დააბნიეს ნამდვილი ადამიანური ბუნება ტექნიკურ ფუნქციათა ქსელებში, რომ ნამდვილი ადამიანური, სრულად ბუნებრივი ურთიერთობანი სულ უფრო უთმობენ ადგილს ადამიანებს შორის გულგრილ, მტრულ დამოკიდებულებებს.

საყურადღებოა ისიც, რომ ტექნიკა არ ამოიწურება ხელოვნურად შექმნილი მოწყობილობებით და იარაღებით, არამედ ავლენს თავის თავს, ავრთვევს აზროვნების გარკვეულ წესში, კომუნიკაციებში, საზოგადოებრივი ცხოვრების მართვის ხერხებში.

მართალია, კონვერტული წარმოება, რომელმაც გააშარტივა საწარმოო პროცესი, ტექნიკური თვალსაზრისით, წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ეს სიმარტივე აღმოჩნდა სირთულეზე უფრო დიდი საშინელება იმიტომ, რომ თუ მანქანისათვის სიმარტივე, ავტომატიზმი ნიშნავს რეჟიმის სტაბილურობას, კარგ ფუნქციონირებას, სამაგიეროდ მონოტონურობა, უცვლელი რიტმი, ერთი და იგივე, განმეორებადი მოძრაობები ფიტავენ და ანგრევენ ადამიანის სულს. ტექნიკა კი თავისი გამოვლენის ყველა ასპექტში, ადამიანური მოღვაწეობის სფეროებიდან „დღენის“ ინიციატივიანობას, ფანტაზიის, შემოქმედებითობის უნარს და ადამიანურ მოღვაწეობას აძლევს მექანიკურ, მონოტონურ ხასიათს. დამახასიათებელია ამ მხრივ გერმანული სატელევიზიო ფილმის „ბროდის“ ერთ-ერთი მოქმედი გმირის სიტყვები: იქ, ჭარხანაში, არ შეიძლება თუნდაც მცირედი გადახვევა დადგენილი სტანდარტული ნორმებიდან. მთელი დღე ერთი და იგივე ოპერაციები უნდა აკეთო, რა ცხოვრებაა ასეთი ცხოვრება?!

საზოგადოებაში, სადაც კომფორტი მიჩნეულია უმაღლეს ღირებულებად და, მაშასადამე, ტექნიკური მოღვაწეობა ითვლება ადამიანური მოღვაწეობის ერთადერთ სერიოზულ სახედ, ადამიანის შრომა მაქსიმალურად ივსება ტექნიკით და შემოქმედებით ელემენტს მოკლებული, მექანიკური ხდება. იქ სადაც წარმოება სტანდარტულია, სადაც სტანდარტული საგნების მასობრივი წარმოებაა გამეფებული, შესაბამისი გადატრიალება ხდება ავრთვევ ადამიანთა სოციალურ სამყაროშიც: საზოგადოებაში ინერგება განათლებულობის, რეჟიმის, გონებამახვილობისა და თავაზიანობის სტანდარტებიც კი. ანალოგიური სტანდარტების მოზღვაების საფუძველზე კი ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა კარგავს ინდივიდუალისტურ-განუყოფილებელ ხასიათს. ასეთ პირობებში ადამიანი კარგავს თვითნებობისა და საკუთარ თავში ჩაღრმავებას უნარს. ა. შვაიცერის სიტყვებით რომ ვთქვათ: ნაცვლად იმისა, რომ პიროვნება გახდეს, ადამიანი დგება ადამიან-ნიეთად გადაქცევის საფრთხის წინაშე.

რა თქმა უნდა, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, ადამიანთა ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესება. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია კი წარმოუდგენელია მეცნიერებისა და მისი მატერიალური გამოხატულების — ტექნიკის განვითარების გარეშე, მაგრამ როცა



იმ საშიშროებების თაობაზე ვსაუბრობთ, რაც მეცნიერებისა და კულტურის პროგრესს თან სდევს, ამით გვინდა ყურადღება გამახვილდეს იმაზე, რომ მეცნიერება ადამიანური მოღვაწეობის ერთ-ერთი სახეა და აუცილებელია ადამიანის სინამდვილისადმი დამოკიდებულების სხვა ფორმებსაც ჭეროვანი ყურადღება დაეთმოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოვა ისე, როგორც არისტოტელე ამბობდა: ვინც მეცნიერებას ავითარებს და ამ მხრივ წინ მიდის, მაგრამ ჩამორჩება ზნეობრივად, ის უფრო უკან მიდის, ვიდრე წინ.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ ხელი შეუწყო ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას: ადამიანების მიერ მრავალ პრობლემათა და მიზანთა საყოველთაობის გაცნობიერებას მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა კონტინენტზე და განსხვავებული სოციალური სისტემების პირობებში ცხოვრობენ. ეკოლოგიური, დემოგრაფიული პრობლემები, თერმოატომური თუ ნეიტრონული მასობრივი მოსაზრების საშუალებების გამოყენებით ომის საშიშროება და სხვ. გავლენას ახდენს ადამიანთა მიერ ერთნაირი, მსგავსი მორალური იდეალებისა და პრინციპების ჩამოყალიბებაზე — სხვადასხვა პროფესიის, ერისა და რასის წარმომადგენლებშიც კი.

დღევანდელ პირობებში ადამიანები სულ უფრო მეტად რწმუნდებიან, რომ მრავალი პრობლემა, რასაც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია აყენებს კაცობრიობის წინაშე, შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ერთობლივ ძალაობით. ეს შეეხება არა მარტო ადამიანების ერთმანეთთან ურთიერთობის რეგულირებას, არამედ ბუნებისადმი ადამიანის დამოკიდებულების საკითხსაც. ამის ნიმუშია ის, რომ ბუნების მიმართ უტილიტარული დამოკიდებულება სულ უფრო იცვლება ეთიკური პათოსით გამსჭვალული ზრუნვით ბუნების მოვლა-აღდგენა-შენარჩუნებისათვის.

ყოველგვარი ცდა კულტურის ამა თუ იმ ფენის როლის გაზვიადებისა და, შესაბამისად, რომელიმე ფენის როლის დაკნინებისა, საზიანოა კულტურის განვითარებისათვის. ზშირად ღირებულებით-ზნეობრივისა და თეორიულს ურთიერთობის გააზრებისას, იმ სიძნელეების გამო, რომლებიც თავს იჩენენ მეცნიერების ზნეობრივი შეფასების ან ზნეობის თეორიული დაფუძნების შემთხვევებში, ადგილი აქვს ხოლმე უკიდურესი, ცალმხრივი თვალსაზრისების წარმოშობას. ამის ნიმუშია სწორედ სციენტისტურ და ანტიციენტისტურ შეხედულებათა გავრცელება. ამ თვალსაზრისების თაობაზე ზემოთ უკვე იყო საუბარი, აქ მხოლოდ შემდეგს აღვნიშნავთ: როგორი განსხვავებულიც არ უნდა გვეჩვენონ ამ პოზიციათა წანამძღვრები, არსებითად, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ერთი და იმავე აზროვნების ორი უკიდურესი პოზიცია, — ცალმხრივი, არამეცნიერული მიდგომა პრობლემისადმი, რომელიც სწორად ვერ აჩვენებს მეცნიერების ადგილსა და როლს კულტურაში და საერთოდ საზოგადოების განვითარებაში.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში სულ უფრო მეტად იზრდება მეცნიერების როლი. ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ როგორც ზემოთ უკვე იქნა აღნიშნული, მეცნიერების როლის ზრდა არ უნდა ნიშნავდეს იმას რომ მომავალი საზოგადოების ცხოვრებაში, კერძოდ კულტურაში, მეცნიერება დომინანტურ ადგილს დაიკავებს. ასეთ თვალსაზრისს ზშირად იცავს ზოგიერთი ავტორი (იხ. მაგ., კრებულები: *Коммунизм и культура*, М., 1966 г. *Проблемы гуманизма в марксистско-ленинской философии*, М., 1975 г. და *Научный коммунизм*, М., 1973 г.).

კულტურის ნამდვილი განვითარება მხოლოდ მისი ფენების ჰარმონიული ურთიერთობისა და განვითარების საფუძველზეა შესაძლებელი. სამივე ძირითადი ფენა სულიერი კულტურისა — ზნეობა, მეცნიერება და ხელოვნება — ერთნაირად მოითხოვენ და ავსებენ ერთმანეთს.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია კაცობრიობის განვითარებაში მხოლოდ მაშინ შეასრულებს დადებით როლს, თუ თანაბრად იქნება გათვალისწინებული სინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულების ყველა ფორმა და არ მოხდება კულტურის რომელიმე კომპონენტის როლის დაკნინება ან გაზვიადება.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ფილოსოფიის ინსტიტუტმა



გიორგი შუხანაშვილი

კატეგორიების განსაზღვრისათვის

კატეგორიების განსაზღვრის საკითხი ფილოსოფიური ძიების მნიშვნელოვანი უბანია. განსაზღვრებას მეცნიერული შემეცნების განვითარებაში გარკვეული ადგილი უკავია. არსებითად განსაზღვრა საძიებელი საგნის არსების მოცემას წარმოადგენს. გამოდის რომ თუ არ არის მოცემული ის, რაც საძიებელი საგნის არსებას წარმოადგენს, ისე საგნის შემეცნება უზო-უკვლოდ ხეტილი იქნება, ხოლო, მეორე მხრივ, ანგარიშგასაწევი ის, რომ საგნის არსება არ შეიძლება შემეცნების დასაწყისში იყოს მოცემული, ის შემეცნების განვითარების ბოლოს წარმოადგენს. ამიტომ, თითქოს, ლოგიკური წრეა შექმნილი: თუ არსება არ არის შეცნობილი, ისე საგნის შემეცნება არ შეიძლება, რადგან შემეცნება არსების შემეცნებაა, ხოლო, მეორე მხრივ, არსება შემეცნების ბოლო არის, რადგან ის შესამეცნებელი საგნის ღრმად დაღარული მხარეა, რომელიც შეუძლებელია შემეცნების ზედაპირზე მოგვეცეს.

ეს ლოგიკური წრე მაშინ დაიბადება, თუ შემეცნების განვითარებიდან არ გამოვალთ, ხოლო აქედან გამოსვლით არსება შემეცნების ბოლოსა და არადასაწყისში; მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ როგორაა შესაძლებელი შესამეცნებელი საგნის ერთიანობა, ერთი მეცნიერების საგანი მეორეში რომ არ აგვერიოს ეს მხოლოდ იმით არის შესაძლებელი, რომ უშუალოდ გვეძლევა მრავალსახოვანი საგნების ერთგვარობა. უშუალოდ გვეძლევა, რომ ბიოლოგიას საქმე აქვს ისეთ საგანთან, რომელიც ცოცხალია და სიცოცხლის თვისებების მატარებელია, რომ ქიმიას საქმე აქვს ქიმიურ ელემენტებთან და მათ ურთიერთკავშირთან, რომ მათემატიკას საქმე აქვს რიცხვის და სივრცითი ფორმის დამოკიდებულებასთან. მაშასადამე, საგნის არსება მისი შემეცნების წინა პირობა არ არის. ერთია საგნის არსება, ხოლო მეორეა საგნის ერთგვარობა, ის რითაც საგნები რომელიმე მეცნიერებაში ერთიანდებიან. ცნების განსაზღვრას ზოგჯერ გამოთქვამენ როგორც საგნის განსაზღვრებას. ეს სწორი არ არის, საგანს ჩვენ ვერ განვსაზღვრავთ, ის თავისთავადაა განსაზღვრული რამდენადაც ის არსებულა. ყოველი არსებული გარკვეულია და ის ამითაა არსებულთა რიგში შესული. ის რაც გარკვეული არ არის, არც არსებობს. საგნის გარკვეულობა ნიშნავს იმას, რომ მას ისეთი ნიშნები აქვს, რითაც ის ზოგ საგანთან იგივე-ბრძოვია, ხოლო ზოგთან განსხვავებული. ჩვენ მხოლოდ საგნის ცნებას ვაღგენთ, საგნის ცნების დადგენა არის ის, რასაც განსაზღვრება ეწოდება. საგნის ცნების დადგენა მასზე ცოდნის შემუშავებაა, საგანი რაღაცნაირად ჩვენთვის მოცემული და ცნობილი უნდა იყოს რომ განვსაზღვროთ, ანუ მასზე ცნება შევადგინოთ: შემეცნება საგანთან კავშირის ცნებების, წარმოდგენების, აღქმების მეშვეობით ამყარებს. სხვა საშუალება საგანთან კავშირისათვის მას არა აქვს. საგანი მოცემული იმით არის, რომ ის ცნების საგანია. საგნის ცნების ქონა იმას ნიშნავს, რომ საგანი ვიცით. ამიტომ ცნების განსაზღვრება საგნის შესა-

სხე ცოდნის არსებობაა. მეცნიერება რომ საგნების ერთიანობას ემყარება იმის საგნები რომ სხვაგვარი საგნებისაგანა გამოყოფილი ესეც, შეიძლება ითქვას, მათი არსებაა: მაგალითად, ბოტანიკოსი შეისწავლის მცენარეთა სამყაროს. მცენარეულობა, რაშიც ყველა არსებული მცენარე ერთიანდება მათ არსებად ჩაითვლება, მაგრამ ეს ისეთი არსებაა, რომელიც მათ ერთგვარობას უდრის და შემეცნების დასაწყისში გვეძლევა; აქ მცენარეულობა მოცემულია როგორც შემეცნების საგანი, აქ ჯერ გაშლილი არ არის, თუ რა არის თვითონ მცენარეულობა. ეს მაშინ მოხდება, როცა მცენარეები როგორც ერთგვაროვანი შეიცნობიან, ანუ ის ნიშნები იქნება შეცნობილი, რითაც მცენარე მცენარედ არსებობს და ყოველივე სხვისაგან განსხვავდება. სწორედ ამით იქნება მცენარის არსება შეცნობილი და მისი განსაზღვრაც ამის საფუძველზე მოხდება, შემეცნების მსვლელობაში შესაძლებელია ისეთი საგნები გაერთიანდეს მეცნიერების არეში, რაც აქამდე მის ვარეთ რჩებოდა, ან შესაძლებელია მისი არე შევიწროვდეს, რადგან მასში ისეთი რამ შედიოდა, რაც სხვა მეცნიერების საკვლევი იყო.

შესასწავლ საგანთა ერთგვარობა, რომელთაც მეცნიერება აერთიანებს, მოიცავს ყველა იმ მოვლენას, რომელიც მოცემული მეცნიერების საძიებელი საგანია. ეს ერთგვარობა იმ ნიშნების მთლიანობას წარმოადგენს, რომლებიც მეცნიერების მერ შესასწავლ ყველა მოვლენას ახასიათებს. თუ ქიმიანზე ვიტყვით, რომ ის არის ქიმიური ელემენტების ურთიერთობის შემსწავლელი მეცნიერება, ეს ნიშანი ამ დარგში შესწავლილ ყველა მოვლენაში შეღავნდება. ისე რომ ეს ერთგვარობა მოცემული მეცნიერების შესასწავლი საგნის საერთო ნიშანია.

შემეცნება ფარულად გულისხმობს საგნის რაღაც არსებას, იგი მიდის მისი აღმოჩენისაკენ, რომელიც მის ბოლო საფეხურზე მიიღწევა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არსება ისტორიულია, რაც ერთ საფეხურზე მიჩნეულია როგორც არსება, მეორე საფეხურზე ის აღარ არის არსება, მისი არსება ახლა სხვაა, რომელიც შემეცნების პირველ საფეხურზე მოცემული არ იყო. შესასწავლი საგნის განსაზღვრება შემეცნების დასაწყისში არსების საფუძველზე არ მოხდება, რადგან ის დასაწყისში მოცემული არ არის, განსაზღვრება უნდა დაკმაყოფილდეს იმ ნიშნებით, რითაც მოცემული საგანი სხვა საგნებისაგან განსხვავდება და მის ქვეშ მდებარე საგნები ერთგვარობით ერთიანდება.

მეცნიერების და საერთოდ შემეცნების განვითარება იმით ხასიათდება, რომ იგი ცნების განსაზღვრების ცნებას აგებს შემეცნების საგნის იმ თავისებურებების მიხედვით, რომელიც მას მოცემული აქვს.

არისტოტელემ პირველმა მიაქცია ამ საკითხს ყურადღება და ცნების განსაზღვრება მეცნიერული კვლევის საგნად გახადა. იგი გამოდის საბუნებისმეტყველო მეცნიერების მონაცემებიდან და ცნების განსაზღვრებას მის საფუძველზე ახდენს. არისტოტელემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ არსებობს არსება და განსაზღვრებაში სწორედ არსება უნდა იყოს მოცემული. არისტოტელე პლატონის ხაზის საპირისპირო გზით მიდის; პლატონისათვის ნამდვილობა ზოგადს ეკუთვნის, ის არის მარადიული, ზედროული და ზევრეული, რომლის შემეცნება მხოლოდ გონებით შეიძლება, გრძნობები მის შესახებ ვერაფერს გვეტყვიან; ისინი იმას ეხებიან, რაც წარმავალია და ისაა პობა. პლატონმა გრძნობადი და ზეგრძნობადი ქვეყანა ისე გაყო ერთმანეთისაგან, რომ მათ შორის არსებული ხიდი ჩატყდა და ერთიდან მეორეზე გა-



დასგლა შეუძლებელი გახდა. პლატონი გრძნობადში ზოგადს არ ხედავს. ზოგადი წმინდა გონის საგანია, ხილული მოვლენები კი გრძნობებით დაიჭირება. წინააღმდეგ გონითისა, ისინი ცვალებადი არიან. პლატონმა გონითისა და გრძნობადის ერთგვარი კავშირი, იმაში დაინახა, რომ გრძნობადი ისწრაფვის ემსგავსოს ზევგრძნობადს, თუმცა ის მისი მსგავსი არასდროს არ იქნება; ეს არის იმის პირობა, რომ ჩვენი გონება ზევგრძნობადში შედის. არისტოტელემ თავის ფილოსოფიურ ამოცანად დაისახა ამ ორი სამყაროს გაერთიანება, მათ შორის ჩატეხილი ხიდის გამთელება. არისტოტელეს აზრით, ნამდვილი არსება არის არა პლატონის განყენებული ზოგადი, არამედ ერთეული ეს სახლი, ეს ადამიანი, ეს ცხოველი, ეს ცხენი... არისტოტელეს აზრით, ნამდვილი არსება ისაა, რაზედაც ყველაფერი გამოითქმება და რომელიც არაფერზე არ გამოითქმება; სწორედ ერთეულ საგანზე, მაგალითად, ცხენზე ვიტყვი, რომ ის არის ცხოველი, ის არის ოთხფეხა, ის არის ერთხლიქიანი, ის არის ფაფარიანი, ის არის ძუიანი, ის არის ისეთი ცხოველი, რომელიც ხეხინებს, ის არის ცხოველთა შორის ერთ-ერთი გონიერი და სხვა მრავალი; ყველაფერი რაც ამ ერთეულ ცხენზე ითქვა, არის მასზე გამოთქმული პრედიკატი. ეს პრედიკატები ზოგადია, ხოლო თვითონ ეს ერთეული ცხენია, რომელიც განსაზღვრულ დროსა და სივრცეშია. ეს პრედიკატები მას მიეწერება და ის ამით ხასიათდება, ისინი მის გარეშე არ არსებობენ და არც თვითონ არის მათ გარეშე. საბოლოოდ გამოდის, რომ ზოგადი არა დამოუკიდებლად არსებობს, არამედ ერთეულის საშუალებით; ზოგადთან ერთეულის გზით უნდა მივიდეთ. არც ერთეულია ზოგადის გარეშე, ის მათი ერთიანობაა დროსა და სივრცეში.

მიუხედავად იმისა, რომ არისტოტელემ ზოგადის ნამდვილობა ერთეულში ნახა, როდესაც მის წინაშე საკითხი დაისვა ცნების განსაზღვრების შესახებ, იგი იძულებული გახდა არა ერთეულიდან გამოსულიყო, არამედ ზოგადიდან. ამიტომ არისტოტელეს განსაზღვრებაში ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ხაზია: ზოგადის როგორც არსების დამოუკიდებელი არსებობის უარყოფა და მისი ერთეულის მხარედ გამოცხადება, ხოლო ლოგიკურად ზოგადის პირველ არსებულად აღიარება და ერთეულის მისდამი დამორჩილება. არისტოტელემ საბოლოოდ პლატონის მიერ აღიარებულ არსებას არ აუქმებს, არამედ მას ადგილს მიუჩენს. ის მეორადი არსებაა, ისეთი არსება, რომელიც გრძნობად საგანთა ერთიანობას ქმნის და ამის გამო ცნების განსაზღვრების აუცილებელი პირობაა. ეს გზა აუცილებელი იყო, რადგან ერთეული რომ განისაზღვროს, ამისათვის ისევ ერთეულზე მითითება საკმარისი არ არის. „ეს ცხენი არის“ არ არის განსაზღვრება, არამედ განსაზღვრების პირობაა. ეს განსაზღვრება არ არის, რადგან არ არის ნაჩვენები, თუ ის როგორი არსებაა. მისი განსაზღვრება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ნაჩვენები იქნება ის, რითაც იგი ხასიათდება როგორც დადებითი ნიშნების მქონე. ამიტომ განსაზღვრებაში მითითებული უნდა იყოს არა ის, რაც ის არ არის (მაგალითად ცხენი არ არის აქლემი), არამედ ის, რაც ის არის.

რაკი ზოგადი ერთეულშია, მას ემორჩილება, რამდენადაც ის რომ არ იყოს ზოგადი არ იქნებოდა; მაგრამ, მეორე მხრივ მასში რომ ზოგადი არ იყოს, თვით ერთეული არარაობა იქნებოდა. ამიტომ არსოლოგიურად ზოგადისათვის ერთეული აუცილებელია, ხოლო ლოგიკურად ერთეულისათვის ზოგადია აუცილებელი. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას; განსაზღვრებისათვის მხოლოდ ერთეულისაგან განვეყენებით და საერთოდ ერთეულების

გროვსთან გვაქვს საქმე და ამოცანად ვისახავთ მათი არსების დადგენას, ანუ იმის დადგენას, თუ რაა ის ნიშანი, რომელიც ამ ერთეულთა გროვას სხვა ერთეულთა გროვისაგან გამოყოფს. განსაზღვრების მიზანი ნათელია: მან უნდა მოგვცეს საგანთა ერთობლიობის ის საერთო ნიშნები, რომლებიც მათ ახასიათებს, რომელთა გარეშე ისინი არ არიან; მაგრამ განსაზღვრება ამით არ ამოიწურება, მისი მიზანია არა მხოლოდ ამ საგანთა ერთობლიობის გაერთიანება, არამედ ამავე დროს მათი სხვა საგანთა ერთობლიობიდან გამოყოფა, ისე რომ განსაზღვრება ორნაირ ამოცანას ისახავს, მოცემულ საგანთა გროვის ერთიანობასა და სხვათაგან გამოყოფას. ამიტომ სპინოზა ამბობდა: ყოველი განსაზღვრება არის ამავე დროს უარყოფა, ეს ასეთია არა იმ აზრით, რომ განსაზღვრება უარყოფით სრულდება, რომ ის არის ის, რაც ის არ არის. ასე რომ იყოს განსაზღვრება უაზრობის, შინაგანი ლოგიკური წინააღმდეგობის შემცველი იქნებოდა. რაიმე ასეთი იმიტომ არის, რომ ის არ არის ამავე დროს არა ასეთი. ყოველი საგანი ასეთი იმიტომ არის, რომ თავის უარკლებიდან გამორიცხავს იმას, რაც თვითონ არ არის. ადამიანი იმიტომ არის ადამიანი, რომ იგი თავისი უარყოფა კი არ არის, არამედ იმის უარყოფაა, რაც ის არ არის, რაც მის გარეთაა და რასაც თავისში არ ატარებს.

განსაზღვრებისათვის საჭიროა საგნების ერთობლიობის საერთო ნიშნისა და იმ ნიშნის აღმოჩენა, რომელიც მას მის საზღვრებში როგორც თავისებურ მოვლენას ახასიათებს, ე. ი. განსაზღვრებისათვის მიუთითებენ საგნების გვარობით ნიშანზე, ხოლო ამის მერე იმ ნიშანზე, რომლითაც საგანთა რაიმე ერთობლიობა მის გვარში არსებულ საგანთა მეორე ერთობლიობისაგან განსხვავდება. მაშასადამე, განსაზღვრებისათვის მოსათხოვნია გვარობითი და სახეობითი ნიშანი. პირველი საგნების ერთიანობას ადგენს, ხოლო მეორე მასში მათ ურთიერთგანსხვავებას. მაგალითად, როცა უნდათ ადამიანის განსაზღვრა, ჯერ იმას აღნიშნავენ, რომ ის არის ცხოველი, ხოლო მერე იმას, რომ ის არის ისეთი ცხოველი, რომელიც იარაღის მკეთებელია. ეს ნიშანი არის ის, რაც ადამიანის არსებას წარმოადგენს, რის გარეშე ადამიანი არ არის ადამიანი. ცხოველებს (მაგ., მაიმუნებს) შეუძლიათ მარტივი იარაღის გამოყენება, ხოლო რთული იარაღის ხმარება მათთვის შეუძლებელია, მაშინ როცა ადამიანი ყველანაირი იარაღის მკეთებელი და მომხმარებელია. გვარის და სახის მიხედვით განსაზღვრა უსასრულო რიგს არ წარმოადგენს, მას საზღვარი აქვს, რომლის გადალახვა არ შეგვიძლიან. ასე მაგალითად, ადამიანი არის ცხოველი, ადამიანი არის ცოცხალი, ადამიანი არის ორგანული არსი, ადამიანი არის მატერიალური არსი, ადამიანი არის არსებული. რაკი ადამიანი შევიყვანეთ არსებულთა რიგში, ამით ის ყველაფერთან, რაც არსებობს, გავიგივებთ და ამის საფუძველზე გამოვნახავთ იმ ნიშანს, რაც მას ყველა არსებული-საგან განსხვავებს, ხოლო არსებულს იქით ვეღარ მოვახერხებთ წასვლას, რადგან მასზე მაღალი არე მისი მომცველი აღარ არის. მაშასადამე, გვარის და სახის განსაზღვრა მიდის უკანასკნელ ცნებამდე, არსებობამდე და მასზე მაღალი ცნება აღარ არსებობს. რაც შეეხება თვითონ არსებობას, ცხადია, რაკი ის უკანასკნელია, განსაზღვრას აღარ დაემორჩილება. ის ინტუიტიური ბუნებისაა, რომელიც ტაგტოლოგიურად გამოითქმება: არსებობა არის არსებობა.

ცნებათა დამოკიდებულება მარტო გვარის და სახის კავშირით არ ამოიწურება. არის ისეთი ცნებებიც, რომლებსაც გვარი და სახე არა აქვთ. მეც-



ნიერების და საერთოდ შემეცნების განვითარებამ ასეთი ცნებები და ამიტომ განსაზღვრის შესახებ მოძღვრების განვითარება მოითხოვა. რაკი არსებობს ცნებები, რომლებიც გვარის და სახის დამოკიდებულებას არ ემორჩილებიან, ამიტომ ან არ შეიძლება მათი განსაზღვრა, ან სულ სხვაგვარი უნდა იყოს ეს განსაზღვრა. იმის თქმა შეუძლებელია, რომ ასეთი ცნებების განსაზღვრა არ შეიძლება, რადგან მაშინ უნდა დავუშვათ, რომ რა არის ეს საგანი შეუძლებელია ითქვას. თუ ის ცნებით არ გამოიხატება, მაშინ ის უშუალო ხედვაში უნდა მოგვეცეს, მაგრამ უშუალო ხედვა ხომ მაინც ვასაგები უნდა იყოს ყველასათვის, ამიტომ მისი ცნებაში გამოიხატვა აუცილებელია, ამიტომ უნდა არსებობდეს ცნების განსაზღვრის სხვა წესი, ვიდრე გვარის და სახის მიმართება. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მიმართება უფრო ზოგადი უნდა იყოს და გვარის და სახის მიმართებას როგორც კერძო შემთხვევას უნდა მოიცავდეს.

შეცნეობაში მრავალი ცნებაა, რომელიც სხვაგვარ განსაზღვრას მოითხოვს. ისეთი ცნებები, როგორცაა მიზეზობრიობა, აუცილებლობა, დრო და სივრცე, შემთხვევითობა, მოძრაობა, მატერია და სხვა მრავალი თავისში გვარს არ შეიცავენ; არ არის ისეთი ცნება, რომელიც, მაგალითად, შემთხვევითობის ცნების გვარია; ასეთად აუცილებლობა არ შეიძლება ჩითვალოს, რადგან შემთხვევითობა და აუცილებლობა გვარისა და სახის დამოკიდებულების ნიშნებს არ შეიცავენ. გვარის და სახის დამოკიდებულებაში მთავარი ის არის, რომ გვარის ნიშანი სახეზე ვრცელდება. მაგალითად, როცა ვამბობთ, რომ ადამიანი არის იარაღის მკეთებელი ცხოველი, აქ «ცხოველი» არის გვარი, რომელიც ადამიანს როგორც ცხოველის სახეს ახასიათებს, იარაღის მკეთებლობა კი განსაკუთრებული ცხოველის, ე. ი. ადამიანის ნიშანია. ასეთი დამოკიდებულება არ არის აუცილებლობის და შემთხვევითობის მაგალითში; აუცილებლობის ნიშანი არ ახასიათებს შემთხვევითობას, ხოლო შემთხვევითობის ნიშანი არ არის აუცილებლობის თავისებურება; მათ შორის კავშირი კი აუცილებლივ არსებობს, რადგან ერთი არ არის მეორის გარეშე, ისინი ერთმანეთთან კავშირით არსებობენ. აუცილებელი როდისმე უნდა მოხდეს, ისე ის არც აუცილებლობაა, ხოლო ის, რითაც აუცილებლობა ხდება, მისთვის გარეგანი და შემთხვევითია. მაშასადამე, აუცილებლობა და შემთხვევითობა ერთმანეთთან აუცილებელ კავშირშია, ისეთ კავშირში, როგორც განსაზღვრელი და განსაზღვრული; მათ დამოკიდებულებაში არის როგორც საერთო, ისე განსხვავება.

თუ გვარ-სახის ცნებების განსაზღვრისათვის აუცილებელია მათი კავშირის მოთხოვნა და ეს მოთხოვნა კიდევ სრულდება, იმ ცნებების განსაზღვრისათვის, რომლებიც ერთმანეთთან არ არიან გვარ-სახეობით დამოკიდებულებაში, იქაც საჭიროა საერთო და განსხვავებული ნიშნების ძიება და მათი დადგენა. იმ ცნებების განსაზღვრებისათვის, რომლებიც გვარის და სახის დამოკიდებულებას არ შეიცავენ, აუცილებელია ამ ცნებით აღნიშნული საგნის კავშირის აღნიშვნა იმ საგანთან, რომლის გარეშე ის არ არსებობს და იმ ნიშნების მითითება, რომლითაც ის მისგან განსხვავებულია. გვარის და სახის ადგილს იკავებს კავშირი, ხოლო ამისათვის ორი საგნის არსებობაა საჭირო. კავშირი უფრო ზოგადია, ვიდრე გვარის და სახის დამოკიდებულება, გვარი და სახე გამოიხატავს კავშირს, თუმცა თავისებურს. უგვარ-სახეო ცნებების განსაზღვრაც კავშირს გულისხმობს, მაშასადამე, ორგანვე კავშირია აუცილებ-

ლი, ერთგან გვარის და სახის, ხოლო მეორეგან ორი საგნის ისეთი მიმართება, რაც მათ ურთიერთ განუყრელ როგორც იგივეობას, ისე განსხვავებას გულისხმობს. განსაზღვრება სხვა არაფერია, თუ არა საგანთა შორის საერთო და განმასხვავებელი ნიშნების დადგენა. კატეგორიების ანუ უგვარ-სახეო ცნებების განსაზღვრა გულისხმობს ცნებების იმგვარ კავშირს, როცა ისინი ერთმანეთთან მიმართებით ავლენენ ერთმანეთის განმასხვავებელ ნიშნებს. როცა მიმართებაზეა ლაპარაკი, აქ იგულისხმება ორი საგნის კავშირი, რომელშიც ისინი თავიანთ იგივეობას და განსხვავებასაც აჩვენენ. როცა გვინდა დროსა და სივრცეს განსაზღვრა ისინი უნდა მოვიხაროთ როგორც რალაც კავშირის მქონენი, მათი კავშირი იქნება ის, რომ მათში საგნების არსებობა და მოძრაობაა შესაძლებელი, ხოლო მათ შორის განსხვავება იმაში აღმოჩნდება, რთაც საგნების არსებობა და მოძრაობა მიმდინარეობს. მაშასადამე, კატეგორიების ანუ უგვარ-სახეო ცნებების განსაზღვრება იქნება კავშირში მყოფი ცნებების საერთო და განმასხვავებელი ნიშნების დადგენა. ისეთი ცნება, რომელსაც მიმართება არავისთან არა აქვს არც განსაზღვრებას ემორჩილება, რადგან ის არაფერთან არ გამოავლენს თავის თავისებურებას. ასეთი ცნებაა არსებობის ცნება, რადგან ის არაფერთან არაა მიმართებაში. ასეთი არ შეიძლება არარაობა იყოს, რადგან ის რომ მოაზრებულ იქნეს, ისიც უნდა რამენაირად არსებობდეს და არსებობის მონაწილე იყოს. არარაობა არის რაიმეს არარსებობა. ის იმას აღნიშნავს, რომ რაიმე, რომელიც იყო, აღარ არის, ის როგორც მოსაზრებულო, არსებობის მონაწილეა; და არსებობის იქით ვერ გავა.

განსაზღვრების ცნება რომ გვაფართოოთ, მივიღებთ შემდეგს: ცნებათა შორის არსებობს დამოკიდებულება, რაც ვლინდება როგორც მათ შორის არსებულ იგივეობაში, ისე განსხვავებაში. ამ იგივეობის და განსხვავების დადგენა არის ცნების განსაზღვრება, რომელიც ორი გზით სრულდება: ერთი გზა იქნება გვარისა და სახის დამოკიდებულებით და მეორე უგვარსახეო დამოკიდებულების მიხედვით. ორივეს საერთოა იგივეობის და განსხვავების დადგენა. კატეგორიის განსაზღვრება რომ ამ გზით ხორციელდება, ეს ნათლად მოხანს მატერიის განსაზღვრების დროს. შემეცნებასთან მიმართებაში უნდა გამოჩნდეს თუ რა არის მატერია, ამავე დროს აქ უნდა გამოჩნდეს ის, რაც მას საკუთრივ შემეცნებისაგან განსხვავებით ახასიათებს. ეს არის მისი დროსა და სივრცეში არსებობა. რასაც ეს ნიშანი არა აქვს, არც მატერიაა. ზოგჯერ დაპირისპირებას განსაზღვრების საფუძვლად შიინჩვენენ, მაგრამ ეს ასე რომ იყოს, მაშინ დაპირისპირება განსაზღვრებაში უნდა შედიოდეს ისე, როგორც გვარი სახის განსაზღვრებაში შედის. ამას გარდა ყველა კატეგორია არ არის დაპირისპირებული ბუნების. მაგალითად, დრო და სივრცე ერთიმეორის საპირისპირო არ არის, რადგან საგანი ერთდროულად დროშიც არის და სივრცეშიც. დაპირისპირებულნი განსაზღვრებაში რომ შედიოდეს, მაშინ ისინი იგივენი უნდა იყვნენ, ე. ი. როცა დროს განსაზღვრავთ სივრცესთან დაპირისპირებით, მაშინ სივრცე დროს განსაზღვრავს უნდა შედიოდეს, ისე, როგორც სახის განსაზღვრებაში გვარი შედის (მაგალითად, ადამიანი არის ცხოველი და სხვა ამგვარი). სივრცე რომ დროს განსაზღვრავს შევიდეს, მაშინ უნდა ვთქვათ: დრო არის სივრცე, მაგრამ თუ დრო სივრცეა, მაშინ ისინი იგივეობრივი არიან. საკითხი კი მათ ერთმანეთისაგან განსხვავებას ეხება. მაშასადამე, დაპირისპირებული თუ განსაზღვრების მონაწილე არ არის, ის ამიტომ არც 3. „მაცნე“, ფილოსოფიის... სერია, 1979, № 2



განსაზღვრების პირობა და საფუძველია. განსაზღვრებისათვის ისტორიკოსი მახასიათებელი, რომ მან ერთი საგანი მეორისაგან უნდა გამოიყოს. ერთი ცხება ისე უნდა აიგოს, რომ ეს მისი საგნის საკუთრივ ნიშნებს შეიცავდეს. ამიტომ განსაზღვრებისათვის საჭიროა არა დაპირისპირება, არამედ შედარება, რომლის საშუალებითაც შესადარებელ საგნებს ერთმანეთისაგან განსხვავებით და განმასხვავებელ ნიშნებს ცნების მხარეებზე ვაქცევთ. საგნის ბუნების გაგებისათვის რა მხარეებიცაა აუცილებელი, ისინი მისი ცნების მხარეებიცაა. დროს განსაზღვრებას თუ დავუკვირდებით, ვნახავთ, რომ მას მოძრაობასთან აქვს შინაგანი კავშირი. მოძრაობის გაგებისათვის დროა საჭირო, ხოლო დროის გაგებისათვის მოძრაობა. მის განსაზღვრაში სივრცეც მონაწილეობს, რადგან მოძრაობა სივრცეშია. გამოდის, რომ საგნის ცნების აგებისათვის აუცილებელია ამ საგნის შინაგანი კავშირი სხვა საგანთან. თუ ეს სხვა საგანი მისი არსებობის პირობაა და საფუძველი, მაშინ ის მისი ცნების განსაზღვრებაშიც უნდა შევიდეს. მაშ, საქმე არა დაპირისპირებაშია, არამედ მის სხვა საგანთან შინაგან კავშირში. ისე რომ ცნების აგებისათვის აუცილებელია ცნების საგნის შინაგანი მიმართება სხვა საგანთან და ამიტომ აქ მაინც და მაინც დაპირისპირების ძებნა ზედმეტი და ხელოვნურია. შინაგანი კავშირი არის ცნების განსაზღვრების ზოგადი საფუძველი. ეს შინაგანი კავშირი შეიძლება გვარისა და სახის იყოს და შეიძლება სხვა, მაგრამ ყველა შემთხვევაში უნდა იყოს საგანთა შინაგანი კავშირი (ადამიანსა და ცხოველებს შორის შინაგანი კავშირია. მოძრაობას და დროს შორისაც შინაგანი კავშირია).

გვარის და სახის ცნებების განსაზღვრება უგვარ-სახეო ცნებებისაგან იმით განსხვავდება, რომ პირველში მხოლოდ ერთგვაროვანი საგნები მონაწილეობს: ადამიანი იგივე ცხოველია, რომელიც სხვა ცხოველებისაგან თავისებურებით განსხვავდება, უგვარ-სახეო საგნის ცნების განსაზღვრებაში კი არაერთგვაროვან საგანთა აუცილებელ კავშირთანაა გვაქვს საქმე (მაგალითად, დრო რომ განსაზღვრეთ, საჭიროა მოძრაობის მოხმარება, ხოლო ამისათვის სივრცეც საჭიროა, დრო, მოძრაობა, სივრცე არაერთგვაროვანია, რომლებიც დროის განსაზღვრებაში აუცილებლობით შედიან, რადგან დრო მათთანაა დაკავშირებული).

განსაზღვრება როგორც ლოგიკური მოქმედება ყველა ცნებისათვისაა მოსათხოვნი, ხოლო თუ მეცნიერებაში ისეთი რამაა, რაც ცნების ბუნებაში არ არის და მეცნიერებაში მაინც მონაწილეობს, ის მიეკუთვნება წმინდა წარმოდგენას, რომელიც მხოლოდ თვალსაჩინოებითაა გამართლებული, რაც საკმარისია იმისათვის, რომ იგი მეცნიერებაში გარკვეულ დანიშნულებას ასრულებდეს. ასეთია მაგალითად „წერტილი“, რომელიც ისეთი რამაა, რაც განსაზღვრებას არ ემორჩილება — მასზე შეიძლება ვთქვათ, რომ ის არ არის ხაზი, ის არ არის სიბრტყე, მაგრამ თუ რა არის იგი ამას ცნებით ვერ გამოვხატავთ: თუ ვიტყვით, რომ ის არის ხაზის დასაწყისი, აღმოჩნდება, რომ ხაზის დასაწყისი ისევე ხაზი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ის არის სიბრტყის დასაწყისი, ასევე მისი დასაწყისი ისევე სიბრტყე იქნება. ისე რომ ის რჩება როგორც წარმოდგენის საგანი, რომლის გარეშე მეცნიერება არ აიგება. უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ წერტილი არის სიმბოლო, რომელიც რაიმე საგნის საწყისს აღნიშნავს. საწყისი აქვს ხაზს, საწყისი აქვს რაიმე მოთხრობას, ამიტომ წერტილი ამ მოძრაობის საწყისის აღმნიშვნელია. იგივე შეიძლება ითქვას ხაზის შესახებ: ხაზი არის სიმბოლო, რომელიც სიბრტყის ნა-

პირს ან სხეულის მოძრაობის მიმართულების აღმნიშვნელია. ასევე განსაზღვრებას არ ემორჩილება უსასრულოს ცნება, თუ შეიძლება ამას ცნება ეწოდოს, რადგან არაფერი არ არის, რომელიც მასზე მალაა როგორც გვარი. ასევე არაფერია ისეთი, რომელთან მიმართებაში უნდა გამოჩნდეს მისი ნიშნები, რადგან ნიშნების აღმოჩენა მას სასრულოდ აქცევს. მისი საპირისპირო არის სასრულო და მასთან დაპირისპირებით მხოლოდ ის ითქმის, რომ ის არ არის სასრულო, უსასრულოს საკუთარი ნიშანი მოცემული ვერ იქნება, რადგან მისი მოცემულობა მას სასრულად ხდის. ამიტომ უკეთეს შემთხვევაში ის განისაზღვრება ტაქტოლოგიურად: უსასრულო არის უსასრულო. დადებითი ნიშნით გამოხატვა იმ საგნის შეიძლება, რომელიც შემეცნებას დადებითად აქვს მოცემული, უსასრულო კი დადებითად მოცემული არ არის, რადგან მისი ასეთი მოცემულობა მას თავის უარყოფად გადააქცევდა.

ზემოთქმული ასე შეიძლება შეჯამდეს: განსაზღვრებებს ზოგადი წესია განსასაზღვრავი ცნების შესაბამისი საგნის აუცილებელი კავშირის ჩვენება იმასთან, რის გარეშეც ის არ არის და იმ ნიშნების მითითება, რითაც ის განსხვავდება მასთან აუცილებელ კავშირში მყოფ საგნებისაგან. მაგალითად, მიზეზობრიობის განსაზღვრება თუ გვინდა, უნდა გამოვიყენოთ მიზეზის, შედეგის, მოძრაობის, დროსა და სივრცეს ცნებები, რადგან მიზეზობრიობა გამოხატავს ერთი საგნის მეორისაგან წარმოშობას, რომელიც, როგორც მოძრაობა, დროსა და სივრცეში ხდება და დროსა და სივრცეში ერთი მეორის მიყოლებითი რივისაგან განსხვავდება.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა



ოთარ ჯალალი

შემეცნებელი სუბიექტის შესახებ

1. საკითხის დაყენება

თითქოს ეპქს არ უნდა იწვევდეს, რომ რაკი სამყაროს ადამიანი შეიმეცნებს და არა სხვა ვინმე, შეიმეცნებელი სუბიექტიც თვითონ ადამიანი უნდა იყოს. ეს დებულება ისე უეჭველი ჩანს, რომ სახელმძღვანელოშიც კია შესული: „თავისთავად იგულისხმება, რომ შემეცნების სუბიექტი ადამიანია“¹ ეკითხულობთ იქ. ამასთან, აღნიშნულია, რომ მხოლოდ ცნობიერების მიჩნევა შემეცნების სუბიექტად იდეალისტური გაგებისათვის არის დამახასიათებელი. მაგრამ ყველა არ იზიარებს ამ აზრს. ჩვენში არიან ფილოსოფოსები, რომლებიც ფიქრობენ, რომ შემეცნების სუბიექტი, სწორედ, ცნობიერებაა. მაგრამ ისინი სრულიად არ ვარაუდობენ, თითქოს ეს ცნობიერება როგორც შემეცნებელი სუბიექტი ადამიანისაგან, მისი ტვინისაგან იზოლირებულად მოქმედებს, არა, ცნობიერება როგორც შემეცნებელი სუბიექტი ადამიანური ცნობიერებაა, იგი ადამიანის ტვინის ფუნქციაა. აქ ცნობიერებაზე როგორც შემეცნებელ სუბიექტზე მხოლოდ იმდენადაა ლაპარაკი, რამდენადაც შემეცნებას უშუალოდ ცნობიერება ახორციელებს; შეიმეცნებს ადამიანი, მაგრამ, შემეცნების პროცესი ცნობიერებაში სრულდება.

ამრიგად, ერთის მხრივ, უეჭველია, რომ სამყაროს შეიმეცნებს ადამიანი, ამიტომ აზრი აქვს ლაპარაკს ადამიანზე როგორც შემეცნებელ სუბიექტზე. ბოლოს და ბოლოს შემეცნება ადამიანის საჭიროებების დაკმაყოფილებას ემსახურება, ე. ი. ადამიანისათვის ის, საბოლოოდ, საშუალებაა და არა მიზანი. ის ერთ-ერთი მძლავრი იარაღია, რომელიც ემსახურება ადამიანის მიერ სამყაროს გარდაქმნას და ამ უკანასკნელზე მის სულ უფრო და უფრო გაბატონებას. მაგრამ, მეორეს მხრივ, ისიც უეჭველია, რომ ფილოსოფიის ყველაზე უფრო ძირითადი, მთავარი საკითხი არის საკითხი იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება არსებობს არსსა და ცნობიერებას შორის და არა საერთოდ არსსა და ადამიანს შორის. თუმცა ეს უკანასკნელი საკითხი ფილოსოფიის ძირითად საკითხთა რიგს განეკუთვნება, მაგრამ იგი მაინც ფილოსოფიის უმთავრესი საკითხის — არსისა და ცნობიერების ურთიერთდამოკიდებულების საკითხის გადაწყვეტის საფუძველზე და მის შემდეგ წყდება. მაშასადამე, როცა საკითხს ვაყენებთ, თუ რას წარმოადგენს შემეცნების სუბიექტი ან შემეცნების ობიექტი, რა ურთიერთობაა მათ შორის და ა. შ. ესე იგი, ვეუბნებით ფილოსოფიის უძირითადეს საკითხთან დაკავშირებულ პრობლემას, შემეცნების სუბიექტში და ობიექტში, შესაბამისად, ცნობიერება და არსი უნდა ვიგულისხმოთ.

ამ პრობლემის მოგვარებას შეეცადა ცნობილი ფსიქოლოგი და ფილოსო-

¹ Основы марксистско-ленинской философии, 1973, с. 159.

ფოსი ს. ლ. რუბინშტეინი. იგი საინტერესოდ დაწერილ შრომაში „ადამიანი და სამყარო“, რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა, აღნიშნავს, რომ „ფილოსოფიის ძირითადი, ცენტრალური პრობლემა ადამიანის წინაშე, ჩვეულებრივ, დგას როგორც პრობლემა არსისა და ცნობიერებისა, არსისა და აზროვნებისა, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ე. ი. როგორც პრობლემა არსისა და შემეცნებისა. ეს, გარკვეული აზრით, კანონზომიერია და, გარკვეულ მიმართებაში, აუცილებელი. მაგრამ არსისა და ცნობიერების აღნიშნული პრობლემა, მისი სწორი დაყენების პირობებში, მაინც აუცილებლად გარდაიქმნება სხვა პრობლემად, რომელიც მას მოსდევს. თვითონ ცნობიერება არსებობს როგორც მხოლოდ ადამიანის მიერ სამყაროს გაცნობიერების პროცესი და რეზულტატი. არსისა და აზრის პრობლემის იქით თავს იჩენს პრობლემა არსის, არსებულისა და მისი შემეცნებელი ადამიანისა. ამრიგად, ცენტრალური პრობლემა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას, — ეს არის პრობლემა არსისა, არსებულისა და მასში ადამიანის ადგილისა“². ს. ლ. რუბინშტეინს ნიანჩია, რომ საკითხისადმი ამგვარი მიდგომა არ აღქმებს არსისა და ცნობიერების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემას. იგი მხოლოდ იმას უსვამს ხაზს, რომ პირველი პრობლემის შემდეგ აუცილებლად დგება მეორე პრობლემა როგორც ამოსავალი და უფრო ფუნდამენტური. ეს არის პრობლემა არა მხოლოდ ცნობიერების ადგილის შესახებ სამყაროში, არამედ ადამიანის ადგილის შესახებაც³. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ამოსავალია არა არსისა და ცნობიერების ურთიერთობა, არამედ ადამიანისა და არსის დამოკიდებულება⁴.

ზემონათქვამიდან უკვე კარგად ჩანს და შემდგომი კიდევ უფრო კარგად გამოჩნდება, რომ პრობლემა, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, არც ისე იოლია, როგორც ის ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს.

2. სუბიექტი

სუბიექტი ყოველთვის ერთნაირად არ იყო გაგებული. ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში სუბიექტს (ჩვენ აქ არ ვეხებით ლოგიკურ სუბიექტს,) განმარტავდნენ როგორც სუბსტრატს, სუბსტანციას, ე. ი. როგორც იმას, რის შესახებაც, არისტოტელეს სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველაფერი გამოითქმის, მაშინ როცა იგი არაფერზე არ გამოითქმის. სუბსტანცია სხვაზე არ არის დამოკიდებული, არამედ ყველაფერი მასზეა დამოკიდებული და მისით არის განსაზღვრული. მართალია, აქ სუბიექტი როგორც სუბსტანცია წარმოდგენილია გარკვეული თვისებების მატარებელ უცვლელ არსად, მაგრამ იგი გარკვეული სახისა და ზომის აქტიუობასაც არ გამოირიცხავს. საქმე ისაა, რომ თუ იგი სხვით არ არის განსაზღვრული, არამედ, პირიქით, თვითონ განსაზღვრავს ყველაფერს სხვას, მაშინ იგი აქტიური ყოფილა. და, მართლაც, არისტოტელე ცდილობს წარმოგვიდგინოს სუბსტანცია როგორც აქტიური საწყისი. ცნობილია, რომ არისტოტელემ ვერ მოაგვარა სუბსტანციის პრობლემა; მისი გაგების რამდენიმე ვარიანტი წამოაყენა, რომლებშიც სერიოზუ-

² С. Л. Рубинштейн. Проблемы общей психологии, 1973, с. 255.

³ იქვე, გვ. 256.

⁴ იქვე, 257.



ლი არგუმენტების საფუძველზე თვითონვე ეჭვი შეიტანა. მაგრამ მანინც იმ თვალსაზრისზე შეჩერდა, რომლის თანახმადაც სუბსტანცია გაგებულ არის როგორც არსებითი ზოგადი; ზოგადი, რომელიც ერთეულის არსებას წარმოადგენს, ე. ი. ერთეულად გადაქცეული ზოგადი; იგი საგანში მატერიასთან დაკავშირების შედეგად ფორმის სახეს იღებს და მის გარკვეულობას ქმნის. ფორმა წინ უსწრებს მატერიას, ეს უკანასკნელი ფორმაზეა დამოკიდებული, რადგან მატერია ფორმის შესაძლებლობაა, ხოლო ფორმა დამოუკიდებელი სინამდვილეა. ფორმა იმატერიალურია, საბოლოოდ იგი სულია. ფორმა არის აქტიური სუბსტანცია. ხოლო მატერია პასიურია, პოტენციური სუბსტანციაა. ფორმა არისტოტელესთან არის ობიექტურად არსებული არაადამიანური აზრი (იგივე პლატონის იდეა), რომელიც მოთავსებულია საგანში. შემდგომში უკვე, კერძოდ, საშუალო საუკუნეების ფილოსოფიაში სუბიექტის ქვეშ ემსოდა ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი არსი, საგანი.

ახალ დროში, როცა ყურადღება განსაკუთრებით გამახვილდა შემეცნების თეორიის პრობლემების კვლევაზე, სუბიექტის ცნება გააიგივეს ცნობიერების ცნებასთან. სუბიექტი გაგებულ იქნა როგორც შემეცნებელი სუბიექტი. განსაკუთრებით ამას ადგილი ჰქონდა იდეალისტურ ფილოსოფიურ სისტემებში, სადაც ხაზი გაესვა სუბიექტის აქტიურ ხასიათს.

XXVII—XXVIII სს. რაციონალისტები, რომელთა თანახმადაც სინამდვილის შემეცნება წმინდა აზროვნებით მიიღწევა, განსაკუთრებით ხაზს უსვამენ, აზროვნების როგორც შემეცნების სუბიექტის აქტიურ ბუნებას. დეკარტი თვლის, რომ სამყაროს მეცნიერული შემეცნება, შესაძლებელია, მაგრამ არა გრძნობადი აღქმებით, ვინაიდან მათი ნდობა არ შეიძლება, არამედ აზროვნებით. წმინდა აზროვნება, რომელიც იმის გამოა წმინდა, რომ თავისუფალია ყოველგვარი გრძნობადი შინაარსისაგან, თანდაყოლილ იდეებზე დაყრდნობით თავის თავიდან ქმნის ცოდნას ობიექტური სინამდვილის შესახებ. ამიტომ აზროვნება პასიური პროცესი არ არის, იგი არ დაიყვანება გრძნობადი მასალის ანალიზზე, როგორც ეს ემპირიზმს მოაჩნია, არამედ აქტიური პროცესია და მისი ეს აქტივობა იმაში გამოიხატება, რომ იგი ცდილობს და მოუკიდებლად საკუთარი თავიდან ახორციელებს სინამდვილის შემეცნებას. უფრო შორს მიდის ამ მიმართულებით ლაიბნიცი. იგი თვლის, რომ სუბსტანცია ერთი (სპინოზა) ან რამდენიმე (დეკარტი) კი არ არის, არამედ მრავალია. სუბსტანციების ანუ, როგორც ლაიბნიცი მათ უწოდებს, მონადების თავისებურება ის არის, რომ ისინი მოქმედ ძალებს წარმოადგენენ. სუბსტანცია, რომელიც არ მოქმედებს, არ არის სუბსტანცია. მაგრამ თუ მონადა მოქმედი ძალაა, მაშინ იგი სულიერ საწყისად უნდა მივიჩნოთ, ვინაიდან ლაიბნიცი ფიქრობს, რომ ყოველგვარი ძალა თავისი ბუნებით იდეალურია. საქმე ისაა, რომ მონადის მოქმედება წარმოდგენის მოქმედებაა; მონადაში არის ძალა, რომელიც წარმოიდგენს. ამიტომ თითოეული მონადა შეიცავს თავის თავში ყველა დანარჩენს როგორც საკუთარი წარმოდგენის შინაარსს. მონადა სამყაროს სარკეა — ესაა ის საერთო თვისება, რომელიც ყველა მონადას ერთნაირად ახასიათებს. მაგრამ მონადებს შორის განსხვავებაც ამ თვისებაში უნდა ვეძებოთ: მონადებს ერთმანეთისაგან განასხვავებს მათი წარმომდგენი მოქ-

* ს. წერეთელი, ანტიკური ფილოსოფია, 1968, გვ. 382—389.

მედების სხვადასხვაობა, რომელიც სინათლისა და გარკვეულობის ხარისხში მდგომარეობს. ეს განსხვავება ქმნის მონადების კიბეს, სადაც ქვემოთ მოთავსებულია ის მონადები, რომლებსაც მხოლოდ არანათელი და არაგარკვეული წარმოდგენები გააჩნით, ხოლო სულ ზევით მონადა, რომელიც მხოლოდ ნათელ და გარკვეულ წარმოდგენებს ფლობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს კიბე იწყება მხოლოდ შეგრძნების მქონე მონადებით და მთავრდება მონადით, რომლის მოქმედებაც წმინდა აზროვნებაში მდგომარეობს. პირველი არის მონადის პასიური მდგომარეობა, ხოლო მეორე კი — აქტიური. უმაღლესი მონადები ქმნიან იმას, რასაც ჩვეულებრივ მატერიას უწოდებენ, ხოლო უმაღლესი მონადა კი არის ღმერთი. მატერიას და ღმერთს შორის მოთავსებულია რიგი საფეხურების, სადაც სინათლე და ბუნდოვანება, გონება და გრძობიერება, აქტიურობა და პასიურობა სხვადასხვა დოზითა და მოცულობით გვხვდება. მონადების საფეხურებრივი სისტემა წარმოადგენს ერთ მთლიანს, სადაც თითოეულ წევრს გარკვეული ადგილი უჭირავს. მოქმედება, რომელშიც ეს კავშირი მქონდება მონადათა წარმოდგენების მოქმედებას, სადაც ერთი წარმოდგენიდან მეორეზე გადასვლა განპირობებულია არა თვითონ წარმოდგენით როგორც ასეთით, არამედ მონადის მისწრაფებით მოქმედებისაკენ. მაშასადამე, მონადისთვის დამახასიათებელია არა მხოლოდ წარმოდგენის უნარი, არამედ ერთი წარმოდგენიდან მეორეზე გადასვლის ტენდენციაც. სწორედ ესაა ის ბერკეტი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს წარმოდგენათა ანუ მონადათა სისტემა.

ამავე პერიოდის ემპირიზმში ცნობიერების როგორც შემეცნებელი სუბიექტის აქტივობა მინიმუმამდეა დაყვანილი. მის მიერ შემეცნების პასიური უნარი — გრძობადი აღქმა, შემეცნების წყაროაა მიჩნეული, ხოლო გონება არსებითად გრძობის ნაირსახეობის როლში გამოდის. ძირითადად, ასეა ბეკონთან, რომელიც გონებას განმარტავს როგორც ისეთ უნარს, რომელიც გრძობადი მონაცემებით სარგებლობს და მის გარეთ ვერ გადის. იგი ამ მონაცემებს აწესრიგებს მხოლოდ და მათთან შედარებით ვერაფერს ახალს ვერ იძლევა. ძირითადად იმიტომ ვაპირობთ, რომ ბეკონის ფილოსოფიაში ვხვდებით განსხვავებულ მოსაზრებასაც, რომლის თანახმადაც ცოდნა ძალიანაა მიჩნეული და აღიარებულია მისი როლი სინამდვილის გარდაქმნის საქმეში. ლოკთანაც პრინციპულად იგივე მდგომარეობას აქვს ადგილი. მასთანაც აზროვნება არ გამოდის შემეცნების თვისობრივად ახალ საფეხურად. იგი იმავე მასალის დონეზე დგას, რასაც გარეგანი და შინაგანი აღქმა იძლევა. იგი ამ მასალის ელემენტებს — იღებებს (ცნობიერების შინაარსებს) ან შეაერთებს ერთმანეთთან ან შეადარებს ერთმანეთს ან და ერთმანეთს დააცილებს. შემეცნებელი სუბიექტის პასივობა უკიდურესობამდე მიყვანილი იუმთან: მე, შემეცნებელი სუბიექტი არის კავშირი ანუ კონა ჩვენი აღქმებისა, რომლებიც მიუწვდომელი სისწრაფით მისდევენ ერთმანეთს და იმყოფებიან მუდმივ მდინარეებაში და მოძრაობაში. იუმს შემეცნებელი სუბიექტი აზროვნებამდე დაჰყავს, ვინაიდან გამოაცლის მას ერთიანობას, რომლის გარეშეც არა მხოლოდ შემეცნებელი სუბიექტი, არამედ საერთოდ, არავითარი საგანი არ არსებობს. მაშასადამე, ერთიანობის გარეშე არ არსებობს არც აქტივობა. აქტივობაში მყოფი გარკვეული რამ უნდა იყოს, რაც შინაგანი ერთიანობის,



მთლიანობის, მყარობის გარეშე წარმოუდგენელია. ამ მხრივ, ბერკლის მიერ შემოთავაზებული სუბიექტი უფრო სრულყოფილია. იგი დახასიათებულია როგორც ერთიანი რაღაც, როგორც სული, რომელიც წარმოდგენებს ფლობს და რომლის საშუალებითაც ხორციელდება აღქმა. მაგრამ ბერკლისთან შემეცნებელი სუბიექტი არა მხოლოდ იმეცნებს სინამდვილის საგნებს; არამედ ქმნის კიდევაც მათ. გარეგანი სამყარო — ფიქრობს იგი, არ არსებობს აღქმისა და აზროვნების გარეშე; მათი არსებობა მხოლოდ მათ აღქმაში მდგომარეობს. აქ უდავოდ გავზიადებულია სუბიექტის როლი, ვინაიდან მას დაეისრებული აქვს სამყაროს ნივთების შექმნის ამოცანა. მაგრამ შემეცნებელ სუბიექტს არაფრის და არავის შექმნა არ შეუძლია, გარდა ცოდნისა. ამ მიმართულებით კი ბერკლი საკმაო უნდობლობას იჩენს ცნობიერების, სუბიექტის მიმართ, ვინაიდან იგი თვლის, რომ ეს უკანასკნელი გრძობად აღქმაში მოცემული მასალის ფარგლებს ვერ სცილდება და, მაშასადამე, ერთადერთი სინამდვილე წარმოდგენებს და მათი კავშირების შედეგად შექმნილი საგნების სინამდვილეა. ბერკლის მიხედვით, ინდივიდუალური სუბიექტი, მიუხედავად აქტივობისა, საკუთარი შინაარსის გარეთ ვერ გადის და ცოდნის ობიექტურობის დასაბუთება მისთვის მოუგვარებელ პრობლემად რჩება. მითუმეტეს, რომ ბერკლი კატეგორიულად უარყოფს მატერიალური სამყაროს არსებობას, რომლის აღიარების გარეშეც ცოდნის ობიექტური ხასიათი ვერ საბუთდება.

ამრიგად, ჩვენ დავინახეთ, რომ ბეკონის და ლოკის შემეცნების თეორიის ამოსავალია მატერიალისტური დებულება ნივთების ობიექტურად არსებობისა და მათი ცნობიერებაში ასახვის შესახებ. ლოკი ბოლომდე ვერ ინარჩუნებს ამ თვალსაზრისს და მას იდეალისტური და აგნოსტიკური აზრები ეუფლება. მაგალითად, იგი უარყოფს სუბსტანციის შემეცნების შესაძლებლობას, თვლის, რომ ე. წ. მორალით თვისებები სუბიექტურია, ქეშმარიტების გავების საკითხში მერყეობს მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის და სხვ. ბერკლი და იუმი კი სუბიექტურ-იდეალისტურ და აგნოსტიკურ თვალსაზრისს ანვითარებენ. ბერკლი უარყოფს მატერიალური სამყაროს არსებობას და შემეცნების ერთადერთ ობიექტად აღქმებს აცხადებს. იუმიც შემეცნების ობიექტად აღქმებს აცხადებს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ იგი ღიად სტოვეებს საკითხს ობიექტური სინამდვილის არსებობის შესახებ. აღნიშნული წახამდღვრიდან ბერკლი იმ დასკვნას აკეთებს, რომ შემეცნება არის არა მატერიალური სამყაროს შემეცნება, არამედ თვითშემეცნება. ამიტომ ქეშმარიტება არის ადამიანის წარმოდგენების და შეგრძნებების შესაბამისობა. იუმიც იგივე თვალსაზრისს იზიარებს, რამდენადაც მის მიხედვით ქეშმარიტება არის ადამიანის იდეების შესაბამისობა მისივე შთაბეჭდილებებთან. ფილოსოფიის შემდგომი განვითარების პროცესში, იდეალიზმის მიერ, სულ უფრო და უფრო გავზიადებულად იქნება წარმოდგენილი შემეცნებელი სუბიექტის, ცნობიერების აქტივობა, მისი ადგილი და როლი ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში. ემპირიული, ინდივიდუალური ცნობიერების ნაცვლად ლაპარაკი იქნება სულ უფრო და უფრო განზოგადებულ ცნობიერებაზე, რომელიც ბოლოს და ბოლოს ქვეყნის დემიურგად მოგვევლინება.

კანტი უკვე ლაპარაკობს არა ინდივიდუალურ ცნობიერებაზე როგორც შემეცნებელ სუბიექტზე, არამედ „ცნობიერებაზე საერთოდ“, რომელსაც იგი ტრანსცენდენტალურს უწოდებს. ინდივიდუალური სუბიექტი, ადამი-



ნის ცნობიერება მრავალია და ყოველ მომენტში სხვაა. მის მიერ განხორციელებული კავშირებიც ცვალებადია და შემთხვევითია, ვინაიდან ექვემდებარება ასოციაციის სუბიექტურ წესებს. ამიტომ ეს ცნობიერება ჭეშმარიტი, ობიექტური ცოდნის მისაღწევად არ გამოდგება. აქედან, გასაგებია, რომ თუ ცოდნის არსებობა ფაქტია, მაშინ უნდა იყოს სხვა ცნობიერებაც, რომელიც მას გაამართლებს. ასეთია სწორედ ზოგადი ცნობიერება, რომელიც წარმოადგენს ინდივიდუალურ ცნობიერებებში მოცემულ მათ ზოგად კანონზომიერებას, და რომელიც ყოველთვის საკუთარ თავთან არის იგივეობრივი და არ იცვლება ინდივიდუალურ ცნობიერებათა ცვლილებასთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ ტრანსცენდენტალური ცნობიერება ზოგადი ცნობიერებაა, იგი მაინც სუბიექტურია, ადამიანურია, ვინაიდან ემპირიულ, ინდივიდუალურ ცნობიერებებში არსებობს. იგი ქმნის სინამდვილის შესახებ ცოდნას, — რომელიც ამავე დროს თვითონ სინამდვილაც არის, — შეგრძნებებისაგან და ცნობიერების აპრიორული ფორმისაგან. თუმცა შეგრძნებები ნივთების თავისთავად ჩვენზე შემოქმედების შედეგად არის მიღებული, მაგრამ არაფერს რეალურს არ ასახავს, სუბიექტური შინაარსის მქონე არის. ობიექტურ მნიშვნელობას ცოდნას მხოლოდ ის გარემოება ანიჭებს, რომ მას აყალიბებს ზოგადი ცნობიერება, რომელიც ყველა ინდივიდუალურ ცნობიერებაში ერთნაირად, ერთი და იგივე კანონების საფუძველზე მოქმედებს. ამიტომ რაც ერთისათვის ჭეშმარიტია, ის მეორესათვისაც ჭეშმარიტი იქნება. საყოველთაოობა და არა ობიექტური სინამდვილე არის ცოდნისათვის ობიექტურობის, ჭეშმარიტების მიხიხიხებელი.

მამსადავებ, კანტის მიხედვით გამოდის, რომ ჭეშმარიტებას ადამიანური ცნობიერება ობიექტური სინამდვილისაგან დამოუკიდებლად აგებს, რომ ჭეშმარიტება არ ასახავს ამ სინამდვილეს. ამ გზით, რასაკვირველია, ცოდნის ობიექტური ხასიათი ვერ გამართლდება. კანტი უფრო შორს მიდის. იგი ჩვენ სამყაროს, მოვლენათა სამყაროს მთლიანად ადამიანური ცნობიერებას შემოქმედებად თვლის. მაგრამ თუ ჩვენ იგი ცნობიერების დამოუკიდებლად გვეჩვენება, ეს იმის გამო ხდება, რომ სამყარო შექმნილია ტრანსცენდენტალური ცნობიერების მიერ, რომელიც თუმცა ინდივიდუალურ ცნობიერებაშია, მაგრამ იგი აქ არაცნობიერად მოქმედებს და, ამიტომ ამ უკანასკნელმა მისი მოქმედების შესახებ არაფერი არ იცის. ეს გარემოება კანტმა შემდეგნაირად გამოთქვა: ბუნება ემპირიულად რეალურია, ხოლო ტრანსცენდენტალურად კი იდეალური.

ჩვენ აქ არ შევეხებით ფიხტესა და შელინგის შეხედულებებს სუბიექტზე, ვინაიდან გვგონია, რომ ჩვენთვის საინტერესო პრობლემის თვალსაზრისით ისინი არაფერს ახალს არ იძლევიან იმასთან შედარებით, რაც აქვს კანტს ან ჰეგელს, რომლის თვალსაზრისის მოკლე განხილვაზეც ახლა გადავივიართ.

ჰეგელი ობიექტური იდეალისტია. იგი თვლის, რომ აზრი ობიექტურად არსებობს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბუნების საგანს აქვს ცნობიერება, არამედ იმას, რომ თვითონ ეს საგანია აზრი. ისე როგორც ყველაფერი, თვითონ სუბიექტიც აზრია. გამოთქმა, „სუბიექტი აზროვნებს“ არ ნიშნავს, რომ სუბიექტი საგანზე აზროვნებს, რომელიც მისგან დამოუკიდებლად არსებობს, არამედ სხვას: სუბიექტის აზროვნების საგანია თვითონ თავისი თავი



როგორც აზრი, ვინაიდან იგი ხომ არ არის ერთეული ინდივიდი, განსაზღვრულია ადამიანის ცნობიერება, არამედ მთელი სინამდვილეა, სინამდვილის ტოტალობა. ბუნება, ადამიანი, მისი ცნობიერება და ა. შ., ყველაფერი ეს სუბიექტის გამოვლენაა. სუბიექტი არის არა ადამიანური, ობიექტურად არსებული სუბიექტი, სუბიექტი, რომელიც ამავე დროს ობიექტიცაა. სედებოდნენ კანტიცა და ფისტეც, როცა სუბიექტში სუბიექტურ ცნობიერებას გულისხმობდნენ. ისინი ცდილობდნენ სუბიექტში მოეხატათ ობიექტი, მაშინ, როცა ობიექტში უნდა მოინახოს სუბიექტი. როგორც ზემოთ დავინახეთ, ჰეგელმა დაძლია სუბიექტივიზმი აზრის ონტოლოგიზაციის საფუძველზე. ყველგან აზრია, ყველაფერი აზრია, აზრია მთელი სინამდვილე. აზრი ქმნის სინამდვილის გრავალფეროვნების ერთიანობას. ამიტომ აზრი, სუბიექტი არის სუბსტანცია. სამყაროს ერთიანობა მის იდეალურობაში მდგომარეობს.

მაშასადამე, სუბსტანცია აზრია, სუბიექტია. ეს კი ნიშნავს, რომ სუბსტანცია როგორც სუბიექტი რეფლექსური ბუნებისაა: იგი აორებს საკუთარ თავს, ე. ი. საკუთარ თავს გაიხდის ობიექტად, შემდეგ აუქმებს ამ გაორებას და თვითმობრახობის პროცესში ობიექტთან იგივეობის დონემდე მალდება. ეს მობრახობა სუბსტანციისა როგორც სუბიექტისა არის თვითშემეცნების პროცესი, რომელიც ვაილის გზას an sich—იდან für sich—ამდე. მას შემდეგ, რაც სუბსტანცია შეიმეცნებს საკუთარ თავს, იგი მიაღწევს დასრულებას, იგი უკვე აღარ არის თვითონ სუბსტანცია, არამედ არის რაღაც უფრო მაღალი—ცნება, სუბიექტი. ამიტომაც რომ ჰეგელის ფილოსოფიაში სუბიექტი წარმოადგენს ამოსავალს, გზას და რეზულტატს ამ გზისა. სუბიექტში აქ ივლინსმება „თავისუფალი“, „დამოუკიდებელი“ და „თვითცნობიერი“ სუბსტანცია. სუბსტანცია მხოლოდ მაშინ იქნება სუბიექტი, როცა იგი საკუთარი თავი გახდება, როცა იგი დაადგენს იმას, რაც არის თავის თავში და თავისთვის.

სუბსტანცია მკვდარი არ არის, იგი ცოცხალია, მოძრავია. იგი სუბიექტია, რაც მის სპეციფიკას ქმნის. ამ მხრივ სუბსტანციის ჰეგელისეული გაგება არსებითად განსხვავდება სუბსტანციის სპინოზისეული გაგებისაგან, ვინაიდან ამ უკანასკნელის მიხედვით სუბსტანცია არ არის სუბიექტი. და, მაშასადამე, უძრავია, გაქვავებულია. მაგრამ სუბსტანციის თვალსაზრისი, ფიქრობს ჰეგელი, აუცილებელი საფეხურია ფილოსოფიური აზრის განვითარებაში. ამიტომ სპინოზას თვალსაზრისი მთლად მკდარიც არ არის. ფილოსოფიის ისტორიამ კი არ გადაადგო ეს თვალსაზრისი, არამედ მისი იდეალიზაცია, მოახდინა, ე. ი. იგი მოხსნა, მაგრამ მისი დადებითი მომენტები შემორჩა. ეს განხორციელდა ჰეგელის ფილოსოფიაში, სადაც სუბსტანციის ცნება დუაქვეშირდა სუბიექტის ცნებას, გამოირკვა, რომ სუბსტანცია სუბიექტიც არის.

საინტერესოა აღინიშნოს, აგრეთვე, ჰეგელის თვალსაზრისის ერთი თავისებურება: რაკი სუბსტანცია როგორც სუბიექტი, აბსოლუტურ, გონი მთელი სინამდვილეა, მისი ტოტალობაა, ამიტომ აბსოლუტური ცოდნაც, რომელიც გონის არსებას წარმოადგენს, სინამდვილე არის. მაშასადამე, ჰეგელთან ცოდნის განვითარება სინამდვილის განვითარებასაც ნიშნავს. გნოსოლოგიური და ონტოლოგიური ერთმანეთს ემთხვევა, მათ შორის იგივეობა სუფევს.

ამრიგად, ამ მოკლე და არასრული მიმოხილვიდანაც შეიძლება დავინახოთ, რომ სუბიექტის ძირითად გარკვეულობად თავიდანვე აქტივობა არის მიჩნეული. ამასთან, ეს აქტივობა გაგებულია როგორც აზრობრივი აქტივობა, როგორც შემეცნებითი მოღვაწეობა. ეს უკანასკნელი გარემოება იმით აისხნე-



ბა, რომ სუბიექტის აქტივობაზე მხოლოდ იდეალისტურ ფილოსოფიურ სისტემებში არის ლაპარაკი. რაც შეეხება მატერიალიზმს, აქ ამ მხარეს ყურადღება არ ექცევა. თვით მატერიალისტი ფოიერბახიც კი, რომელიც ჰეგელიდან გამოვიდა და, რომელიც ცხოვრობს ისეთ ეპოქაში, როცა ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობა სულ უფრო და უფრო ფართოვდება და ძლიერდება და მისი შეუმჩნელობა თითქმის შეუძლებელი ხდება, ვერ ხედავს და ფილოსოფიურად ვერ გაიზიარებს მას. ფოიერბახი როგორც კ. მარქსი აღნიშნავს, „თვით ადამიანის მოქმედებას არ უტყეპის როგორც საგანობრივ მოქმედებას. ამიტომ „ქრისტიანობის არსებაში“ იგი მხოლოდ თეორიულ მოქმედებას იხილავს როგორც ნამდვილ ადამიანურ მოქმედებას, მაშინ როდესაც პრაქტიკა მხოლოდ მის ბილწ იუდეურ ფორმაშია გაგებული და ფიქსირებული. ამიტომ მას არ ესმის „რევოლუციური“, „პრაქტიკულ-კრიტიკული“ მოქმედების მნიშვნელობა“⁷. ამას კ. მარქსი ხსნის იმით, რომ „მთავარი ნაკლი მთელი წინანდელი მატერიალიზმისა; ფოიერბახის ჩათვლით, ისაა, რომ იგი საგანს, სინამდვილეს, გრძნობიერებას მხოლოდ ობიექტის ანუ განკვერცის ფორმაში იხილავს და არა როგორც ადამიანის გრძნობად მოქმედებას, პრაქტიკას, არა სუბიექტურად. ამიტომ მოხდა, რომ მოქმედ მხარეს, წინააღმდეგ მატერიალიზმისა, იდეალიზმი ანვითარებდა, მაგრამ მხოლოდ აბსტრაქტულად, რადგან იდეალიზმი, რასაკვირველია, ნამდვილ, გრძნობად მოქმედებას, როგორც ასეთს არ იცნობს“⁸.

3. ადამიანი

მარქსამდე ადამიანი წარმოდგენილი ჰყავდათ ისეთ არსებად, რომელიც ისტორიულად კი არ წარმოშობილა, არამედ ბუნების მიერ თავიდანვე იყო შექმნილი ისე, როგორც იგი დღეს არსებობს. ადამიანი მიაჩნდათ მხოლოდ ბიოლოგიურ არსებად და, ამ მხრივ დიდ განსხვავებას ვერ ხედავდნენ მასა და ცხოველს შორის. თვით აშკარად დასანახი მათი განსხვავებაც, რაც თავს იჩენს იმაში, რომ ადამიანს გააჩნია მეტყველებისა და აზროვნების ნიჭი, ხოლო ცხოველს არა, ცდილობდნენ, უკეთეს შემთხვევაში, ბუნებრივი მიზეზებით აეხსნათ, საერთოდ კი, გარკვეულ პერიოდებში, მათი ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ ლაპარაკსაც არ ერიდებოდნენ. რასაკვირველია, მარქსამდელი მოაზროვნეები ხედავდნენ ადამიანთა მოქმედებას, მათ მოღვაწეობას, საქმე ჰქონდათ ამ მოღვაწეობის შედეგებთან. ამჩნევდნენ განსხვავებას, რომელიც არის ადამიანის მოქმედებასა და ცხოველის მოქმედებას შორის, მათი მოქმედების შედეგების სხვადასხვაობას, მაგრამ ამ გარემოებას მათ თვალში პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა. ეს მოაზროვნეები მაინც თვლიდნენ, რომ განსხვავება არის მოქმედების სირთულის ხარისხში, არსებითად კი ცხოველის მოქმედება და ადამიანის მოქმედება იგივეობრივია. მაგრამ ეს ასე არ არის. ამ მოქმედებებს შორის არსებითი განსხვავებაა.

ცხოველს გააჩნია მოთხოვნილებები, რომლის დაკმაყოფილებაზე არის დამოკიდებული მისი არსებობა; ამ მოთხოვნილებებს აუცილებელი ხასიათი

⁷ კ. მარქსი, თვზისები ფოიერბახის შესახებ, დამატება წიგნისა ფ. ენგელსი, ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული, 1954, გვ. 68.

⁸ იქვე.



აქვს, ცხოველი იძულებულია მათი დაქმნაყოფილებისათვის იზრუნოს. ცხოველის ქცევის თავისებურება ამ შემთხვევაში ისაა, რომ ბუნების საგნებს იგი იმ სახით მოიხმარს რა სახითაც ნახულობს. მაგრამ თუ გარემო რაღაცა მიზეზით შეიცვალა, ე. ი. დადგა ისეთი პირობები, როცა იგი ცხოველს აღარ აწვდის მისთვის საჭირო პროდუქტებს, მაშინ ცხოველი ან ისპობა, ან და შეცვლილ გარემოს ეგუება და სახეს იცვლის. სხვა გამოსავალი მას არ აქვს. ისე კი, საერთოდ არსებობს კიდევ ერთი გამოსავალი, რომელიც მისთვის ჩაქვტილია. ესაა გარემოს საგნების ისე შეცვლა, რომ ისინი საჭირო მოთხოვნილებების დაქმნაყოფილებისათვის ვარგისი გახადო. მაგრამ ეს მოთხოვნს გარემოსთან ურთიერთობის პროცესში დამატებითი ოპერაციების ჩართვას, რაც ცხოველის ძალებს აღემატება. ცხოველს უშუალო, პირდაპირი ურთიერთობა აქვს გარემოსთან, რომელიც ორ წევრს გულისხმობს. ცხოველი თავისი მოთხოვნილებებით და გარემო ამ მოთხოვნილებების დაქმნაყოფილებისათვის საჭირო საგნებით. რასაკვირველია, გარემო მოიცავს სხვა ცხოველებსაც. ცხოველების ერთმანეთთან ურთიერთობაც უშუალოა, ისინი უშუალოდ გრძნობენ ერთმანეთს და ამისათვის მათ რაიმე საგანგებო ზომების მიღება არ სჭირდებათ. საკმარისია მხოლოდ ერთმანეთის მდგომარეობის აღქმა, რასაც ისინი გრძნობის ორგანოების დახმარებით ახორციელებენ. ცხოველის ასეთი დამოკიდებულება გარემოსთან თავიდანვე მზა სახით არის მოცემული.

ამრიგად, მთავარი აქ (რასაც განსაკუთრებით უნდა მივუქცევს ყურადღება) ისაა, რომ ცხოველი იმ მიზნით არ მოქმედებს გარემოზე, რათა იგი შეცვალოს. გარემოში ცვლილებებს, რომელსაც იგი თავის მოქმედებით იწვევს, სტიქიური ხასიათი აქვს და მნიშვნელოვანი ძვრები ამით მასში არ შეაქვს.

თვისებრივად განსხვავებულ მდგომარეობას აქვს ადგილი ადამიანის შემთხვევაში, თუმცა ადამიანი ბიოლოგიური არსებაც არის და ამის გამო ბევრი რამ საერთო აქვს ცხოველთან. ისე როგორც ცხოველს, ადამიანსაც აქვს, მაგალითად, ვიტალური მოთხოვნილებები, რომელიც მან უნდა დაიქმნაყოფილოს, მაგრამ ადამიანთან ეს სულ სხვა დონეზე და სხვა წესით ხდება, ვიდრე ამას ადგილი აქვს ცხოველის შემთხვევაში. გარდა ამისა, ადამიანს ბევრი ისეთი მოთხოვნილება აქვს, რაც ცხოველს არ გააჩნია. მართალია, ადამიანი ცხოველთა სამყაროდან აღმოცენდა, მაგრამ მისი წარმოშობით ახალი ეტაპი დამკვიდრდა სამყაროში. ადამიანთა საზოგადოება თვისებრივად განსხვავდება ცხოველთა საზოგადოებისაგან, უფრო სწორად, ცხოველთა ჯოგისაგან. ადამიანთა საზოგადოება და ცხოველთა ჯოგი, თუმცა რაღაცაში გვანან ერთმანეთს, მაგრამ თვისებრივად სრულებით სხვადასხვა გარკვეულობებს წარმოადგენენ. ადამიანთა საზოგადოება სამყაროს განვითარების უფრო მაღალ საფეხურია, ვიდრე ცხოველთა ჯოგია.

რა არის დამახასიათებელი, სპეციფიკური ადამიანის მოქმედებისათვის? თუ ცხოველის მოქმედება უშუალოა, პირდაპირია, ადამიანის მოქმედება მას უშუალებულია, პირდაპირია. ადამიანი გაშუალებულ დამოკიდებულებაში იმყოფება გარემოსთან — ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული დამოკიდებულება სამწვეროვანია. ადამიანი, ბუნებრივად გარემო და მათ შუა ადამიანის საზოგადოებრივ-ისტორიული მოღვაწეობა, პრაქტიკა, რომლის ძირითადი ელემენტი შრომაა, წარმოებაა, ხოლო რეზულტატი — საზოგადოებრივი გარემო.

განსხვავებით ცხოველისაგან ადამიანს ბუნებრივი გარემოს მზა პროდუქტი არ აკმაყოფილებს. ამიტომ ადამიანი ძირითადად, ბუნების მიერ მოწოდებულ საგანს ისეთ სახეს აძლევს, რომ იგი მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის გამოსადეგი გახადოს. ამისათვის ადამიანი ბუნების საგანზე მოქმედებს და ცვლის მას, რასაც იგი შრომის, წარმოების იარაღებით ახორციელებს. წარმოება, შრომა იქცა ადამიანთან იმის აუცილებელ პირობად და საშუალებად, რომ მან მოთხოვნილებები დაკმაყოფილოს და არსებობა შეინარჩუნოს. მაშასადამე, ადამიანის დამოკიდებულება საგანთან გაშუალებულია წარმოებით; ადამიანი, ცხოველისაგან განსხვავებით, გაშუალებულ, არაპირდაპირ ურთიერთობაშია საგანთან.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ უშუალოა ცხოველის ურთიერთობა გარემოსთან — ბუნების როგორც ცოცხალ, ისე არაცოცხალ საგნებთან და სხვა ცხოველებთან, — რომელიც ცხოველს, განჩნდება თუ არა ის, მზა სახით ხვდება. ცხოველი შესანიშნავად ახერხებს ორიენტაციას ამ გარემოში, თუ იგი, რასაკვირველია, ძირეულად არ შეიცვალა. ვინაიდან ინსტინქტები და რეფლექსები, რომლებიც მის ქცევას წარმართავენ მისდამი (გარემოსადმი) საესებით ადეკვატური არიან. მაგრამ თუ გარემო ძირეულად შეიცვალა, მაშინ ინსტინქტები და რეფლექსები ან ქრებიან, ან არამიზანშეწონილ ხასიათს იღებენ და, ამის შედეგად, ცხოველი იღუპება. ამრიგად, ნორმალურ პირობებში, ცხოველის ურთიერთობა ბუნების საგნებთან და სხვა ცხოველებთან შეუფერხებლად მიმდინარეობს. ამის გამო, მას არ უჩნდება არც გარემოსთან ურთიერთობის მოთხოვნილება და არც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საშუალებების ძიება. ეს ნიშნავს, რომ გარემოსთან ურთიერთობა ცხოველისათვის არ არსებობს როგორც ურთიერთობა, ე. ი. მან ამ უკანასკნელის შესახებ არაფერი იცის. «ცხოველისათვის — აღნიშნავენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი — მისი ურთიერთობა სხვასთან არ არსებობს როგორც ურთიერთობა»⁹. სულ სხვა მდგომარეობას აქვს ადგილი ადამიანის შემთხვევაში. აქ არ არსებობს უშუალო ურთიერთობა არც ბუნებრივ გარემოსთან და არც სხვა ადამიანებთან, ე. ი. სოციალურ გარემოსთან. უშუალო სიტუაციის მონობისაგან, რასაც ცხოველის შემთხვევაში აქვს ადგილი, ადამიანი აქ თავისუფალია. მას აქვს საშუალება ბუნებრივ გარემოსადმი შეგუების შესაძლებლობებიდან ყველაზე კარგი ვარიანტი აირჩიოს ან და, თუ ამის საჭიროება და პირობები არსებობს, ისე შეცვალოს გარემო, რომ დაიმორჩილოს და თავის მიზნებისათვის გამოიყენოს. მაშასადამე, გარემოსთან გაშუალებული ურთიერთობის პირობებში ეს უკანასკნელი პრობლემად გადაიქცევა. რაც განსაზღვრავს ამ ურთიერთობის მოთხოვნილების წარმოშობას. ადამიანის ურთიერთობა ბუნებრივ გარემოსთან მისთვის უკვე არსებობს როგორც ურთიერთობა. იგივე ითქმის სოციალურ გარემოზე. ადამიანებს შორის დამოკიდებულება სხვაა, ვიდრე ეს ბიოლოგიური ჯოგის წევრებს შორის არის. იგი, ძირითადად, დამყარებულია არა ბუნებრივ კავშირებზე, არამედ სოციალურ კავშირებზე. წარმოების გარდა ადამიანთა შორის ურთიერთობებს აშუალებს ისეთი საზოგადოებრივი პროცესები როგორცაა განაწილება, ვაცვლა, მოხმარება და ა. შ. ცხოველური ჯოგისაგან განსხვავებით ადამიანთა საზოგადოებაში ინდივიდები გარკვეულად სტილებიან ერთმანეთს, ისინი იძენენ თავისუფლებას, ინდივიდუალობას, რის

⁹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, გერმანული იდეოლოგიიდან, 1948, გვ. 31.



გამოც ძალიან ხშირ შემთხვევებში მათ უშუალოდ და პირდაპირ ერთმანეთს აღარ ესმით, აღარ გრძნობენ ერთმანეთის მდგომარეობას. ცხადია, ასეთ პირობებში ადამიანებს შორის ურთიერთობა გადაქცეულია პრობლემად, რომელიც მოგვარებას მოითხოვს და აქაც, ისევე როგორც ბუნებრივ გარემოსთან დამოკიდებულების შემთხვევაში, თავს იჩენს ადამიანების ერთმანეთთან ურთიერთობის მოთხოვნილება. აქაც ადამიანის ურთიერთობა სხვა ადამიანთან მისთვის არსებობს როგორც ურთიერთობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანს გაცნობიერებული აქვს თავისი დამოკიდებულება სხვა ადამიანებთან. ერთი სიტყვით, წარმოებით და მისი მომენტებით გაშუალებული ურთიერთობა ადამიანებისა გარემოსთან — ბუნებრივ გარემოსთან და სხვა ადამიანებთან, განაპირობებს, აგრეთვე ამ ურთიერთობის გაშუალებას ცნობიერებით. წარმოება და მის საფუძველზე ჩამოყალიბებული ცნობიერება არის ის რგოლი, რომელიც ადამიანის გარემოსთან დამოკიდებულებას გაშუალებული ხდის.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი აღნიშნავენ, რომ ცნობიერება, წარმოიშობა მხოლოდ სხვა ადამიანებთან კავშირურთიერთობის მოთხოვნილებიდან, აუცილებელ საპირობებიდან. იქ, სადაც რაიმე ურთიერთობა არსებობს, იგი არსებობს ჩემთვის; ცხოველი არაფერთან არაა „ურთიერთობაში“ და საერთოდ მოკლებულია „ურთიერთობას“. ცხოველისათვის მისი ურთიერთობა სხვასთან არ არსებობს როგორც ურთიერთობა. მაშასადამე, ცნობიერება იმათივე უკვე საზოგადოებრივი პროდუქტია და ასეთად რჩება, სანამ საერთოდ ადამიანები არსებობენ. ცნობიერება, რასაკვირველია, უწინარეს ყოვლისა არის მხოლოდ შეცნობა უახლოესი გრძნობადი გარემოსი და შეცნობა შეზღუდული კავშირისა იმ ინდივიდის გარემოცვად სხვა პირებთან და ნივთებთან, რომელიც თავისი თავის შეცნობას იწყებს. იმავე დროს ეს არის შეცნობა ბუნებისა...¹⁰.

წარმოება, შრომა ისეთი მოქმედებაა, რომელიც გარკვეული მიზნის განხორციელებას ემსახურება. მან ხომ ისე უნდა შეცვალოს ბუნების საგანი, რომ იგი ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის გამოსადეგ გახადოს. ამიტომ წინასწარ აუცილებელია იმ საგნის იდეალური სურათის შექმნა, რომელიც გარკვეული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იწარმოება. მაგრამ მარტო ეს არ არის საკმარისი. დასახული მიზნების განხორციელებისათვის საჭიროა, აგრეთვე, გარკვეული საშუალებების ნახვა, ხოლო ასეთი რამ თუ არ არსებობს, საჭიროა მისი შექმნა და სხე. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია არსებული გამოცდილება და ცოდნა. ყველა ეს ოპერაცია ისეთი ხასიათისაა, რომ აზროვნების გარეშე ვერ განხორციელდება, რადგან ისინი გულისხმობენ გარკვეულ წარმოდგენებით ოპერირებას, ე. ი. მათ დაშლას, შეერთებას და მათგან აზრობრივი დისპოზიციების შექმნას; შემოვლითი გზების გათვალისწინებას, როცა საშუალებების გამოყენება პირდაპირ კი არა, არამედ გარკვეული რგოლების გავლის შედეგად დაგვეხმარება ძირითადი მიზნის მიღწევაში. ამგვარი უნარი შეიძლება გააჩნდეთ არსებებს, რომლებსაც აქვთ ხელი და სათანადო პრაქტიკული გამოცდილება შრომის პროცესში ნივთების ნებისმიერი დანაწევრების და შეერთებისა¹¹.

¹⁰ იქვე.

¹¹ ამის შესახებ К. Р. Мегрелидзе. Основные проблемы социологии мышления, 1973, с. 96, 138.

ცნობიერების არსებობას ადამიანში განაპირობებს, აგრეთვე, სხვა აღმართების მიანებთან კავშირუროთიერთობის მოთხოვნილება, ოაც თავს იჩენს წარმოების პროცესში. სხვა ადამიანთან კავშირუროთიერთობა და მისი მოთხოვნილება, ჭერ ერთი, აუცილებელი კომპონენტია წარმოებისა საერთოდ. ეს უკანასკნელი გლრისხმობს ადამიანებს ან ადამიანთა ჭგუფებს შორის შრომის ოალკეული ოპერაციების განაწილებას, რაც იწვევს მათი მოქმედების სხვადასხვაობას. ადამიანთა ან მათი ჭგუფების მოქმედებას აზრი აქვს მხოლოდ ერთმანეთთან მიმართებაში როგორც ერთი მთლიანი წარმოების სხვადასხვა რგოლს. წარმოების თითოეულმა მონაწილემ ან მონაწილეთა ჭგუფმა უნდა გაითვალისწინოს მეორე მონაწილის მოქმედება. ამიტომ წარმოების პროცესში თავს იჩენს ადამიანთა შორის ურთიერთობის ასახვა ცნობიერებაში, ე. ი. ადამიანის სხვა ადამიანთან რეალური ურთიერთობის გაშუალებას ცნობიერებით. მეორე, შრომის დანაწილება მსხვილ გვარებად (მაგალითად, მრეწველობა, მიწათმოქმედება და სხვ.), ამ გვარებას დანაწილება სახეებად (მაგალითად, მრეწველობის სახეები) ქმნის ადამიანთა განსხვავებას, მათი ერთმანეთთან დაცლების პირობებს, მაგრამ მათი დაცავშირების აუცილებელ პირობებსაც. ამასთან, შრომის პროდუქტი, იმის გამო, რომ მას გააჩნია მთელი რიგი სასარგებლო თვისებები, რომლებიც ადამიანთა მოთხოვნილებებს აკმაყოფილებებს, შესაძლებელს ხდის ისეთ სოციალურ ურთიერთობებს ადამიანებს შორის როგორცაა განაწილება, გაცეკა, მოხმარება და ა. შ. არის კიდევ მესამე ვარაუდება, კერძოდ, ადამიანს მიერ შრომის შედეგად შექმნილი საგნობრივი სამყაროს გავლენა ადამიანის ცნობიერებაზე. ეს მხარე შრომისა, წარმოებისა შესანიშნავად აქვს გამოკვლეული კ. მეგრელიძეს ზემოდასახელებულ შრომაში. თვისებები, რაც შრომის პროდუქტებს ახასიათებს არსებითად განსხვავდებიან ბუნების საგნების დამახასიათებელი თვისებებისაგან. ეს თვისებები შრომის პროდუქტს თვითონ ადამიანმა მიანიჭა, რათა მან შესარულოს ადამიანისათვის სასარგებლო მუშაობა, ე. ი. შესარულოს გარკვეული საზოგადოებრივი ფუნქცია. მამასადამე, შრომის პროდუქტს არ აქვს საკუთარი, ადამიანისაგან დამოუკიდებელი აზრი, იგი აზრს მხოლოდ ამ უკანასკნელთან დამოკიდებულებაში იძენს; გარდაქმნილ საგნებში, შრომის პროდუქტებში იდეების, აზრების განზორციელების შედეგად ადამიანური გონება ობიექტურ არსებობას იძენს. მაგრამ ეს დებულება ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ბუნებრივი სინამდვილე იყოს გონიერი, არამედ ისე, რომ გონებას საგნობრივი არსებობა გააჩნია მხოლოდ კულტურის სფეროში, ე. ი. იმ სინამდვილეში, რომელიც ადამიანთა საწარმოო, შრომითი მოღვაწეობის შედეგად ჩამოყალიბდა. ეს არის ახალი „ბუნება“, რაციონალურად ორგანიზებულ ნივთთა, ტექნიკურ საშუალებათა სამყარო, ხელოვნური სამყარო, კულტურის სამყარო, რომელიც განსაზღვრავს კაცობრიობის ისტორიას, ადამიანთა ყველა იმ თვისებებსა და ურთიერთობებს, რომლითაც ისინი ცხოველებისაგან განსხვავდებიან. ადამიანს გარს რომ არ ერთყას მატერიალური კულტურის სამყარო, გასაგნებელი გონების სამყარო, მაშინ არც შინაგანი, სუბიექტური გონება იარსებებდა. აზრს აზრი აღვიძებს; აზრობრივი მუშაობა აზრობრივ მდგომარეობებთან შეხვედრით იწყება. მთავარი აქ ის არის, რომ შრომის პროდუქტი, არის რა იდეების, აზრების მატარებელი და შეუძლია რა ფიზიკურად ჩამოშორდეს სუბიექტს, რომლის შემოქმედებასაც ის წარმოადგენს, და დამოუკიდებლად არსებობა განაგრძოს, ინდივიდებს ერთმანეთისათვის მისაწვდომს ხდის. ამ

გზით ადამიანები ადვილად ახერხებენ გაუზიარონ ერთმანეთს იდეები, აზრები ისეთი საშუალებებით როგორცაა წიგნი, ტექნიკური კონსტრუქციები, სურათები, არქიტექტურის ძეგლები და ა. შ.

ამრიგად, ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება, რაც ცხოველის სპეციფიკას შეადგენს ბუნებრივ გარემოსთან მიმართებაში, ის არის, რომ იგი პასიური არსებაა. რასაკვირველია, თავისთავად მას აქტივობა არ აკლია. უმრავლესობა ცხოველებისა ადამიანს მრავალჯერ გადააჭარბებს ფიზიკური ძალისა და ენერჯის მაჩვენებლებით, მაგრამ ეს არ ქმნის იმ აქტივობას, რომელიც ბუნებას გარდაქმნის და მის განვითარებას გარკვეულ დღს ასვამს. ცხოველი მხოლოდ მომხმარებელია ბუნების მზა პროდუქტებისა. მისგან განსხვავებით, ადამიანი მწარმოებელი არსებაა. მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის საჭირო ობიექტები რომ მოიპოვოს იგი გარდაქმნის ბუნების საგნებს, ისეთ ფორმას აძლევს მათ, რომ საკუთარი მიზნებისათვის გამოსადეგი გახადოს. ამით ადამიანი არა მხოლოდ გარდაქმნის ბუნებრივ გარემოს, არამედ ქმნის ახალ გარემოს — სოციალურ გარემოს. ამ უკანასკნელის შექმნის პარალელურად და მასთან ერთად ყალიბდება ცნობიერება რომელიც, ამიერიდან აშუალებს ინდივიდის მოღვაწეობას. ცხოველის აქტივობა მხოლოდ ინდივიდის მოთხოვნილებით იზღუდება, იგი მის ფარგლებს ვერ სცილდება. ცხოველი არის ის, რაც არის მისი მოქმედება. იგი საკუთარ თავს ვერ ასხვავებს თავის მოქმედებისაგან. სულ სხვაა ადამიანის აქტივობა. ადამიანი თავის მოქმედებას საკუთარი ნებისყოფისა და საკუთარი ცნობიერების საგნად აქცევს, ე. ი. შეგნებულად მოქმედებს. თუ ცხოველი ყოველთვის არსებული სიტუაციის მონაა, ადამიანი, ცხოველისაგან განსხვავებით, თავისუფალია. ცხოველი ემორჩილება სიტუაციას და მის მიხედვით „ეწყობა“ გარემოს. ადამიანი შეიმეცნებს გარემოს (როგორც ბუნებრივს, ისე სოციალურს) და, თუ იგი არ აკმაყოფილებს მის, გარდაქმნის ამ გარემოს რომ საკუთარი მიზნებისათვის გამოსადეგი გახადოს. ცხოველის მოქმედება ბრმა და სტიქურია, ადამიანისა კი შეგნებული და თავისუფალი.

4. ადამიანი როგორც სუბიექტი

ჩვენ უკვე ზემოთ შემთხვევა გვექონდა მოგვეტანა კ. მარქსის „თეზისებიდან ფოიერბახის შესახებ“ რამდენიმე დებულება, რომელიც ლ. ფოიერბახს ეხებოდა. ახლა ჩვენ გვიანტერესებს ის ადგილი, სადაც მარქსი ლაპარაკობს წინანდელი მატერიალიზმის, ფოიერბახის ჩათვლით, მთავარი ნაკლის შესახებ. მარქსი აღნიშნავს, რომ ეს მატერიალიზმი „საგანს, სინამდვილეს, გრძნობიერებას მხოლოდ ობიექტის ანუ განქვრეტი ფორმაში იხილავს და არა როგორც ადამიანის გრძნობად მოქმედებას, პრაქტიკას, არა სუბიექტურად“¹². ამ მარქსს მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ წინანდელი მატერიალიზმი ფილოსოფიას თვლიდა სინამდვილის შემეცნების იარაღად, ხოლო რაც შეეხება სამყაროს გადაქმნას, ამ საკითხს იგი არ სვამდა. იგი ცდილობდა მოეცა სამყაროს სწორი გაგება.

¹² კ. მარქსი, თეზისები ფოიერბახის შესახებ, ფ. ენგელსი, ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული, 1954. გვ. 68.

მეცნიერების მონაცემების ფილოსოფიური გააზრების საფუძველზე ცემა, რომ ყოველგვარი ცვლილების სუბიექტი მატერიაა, რომ ცოდნა წარმოადგება გრძობადი სამყაროდან, რომ მხოლოდ მატერიალურია შემეცნებადი, რომ გარეგანი პირობები განსაზღვრავენ ადამიანთა თვისებებს, რომ ისინი აღზრდის პროდუქტს წარმოადგენენ და ა. შ. მარქსი აღნიშნავს, რომ დიდი გონება მახვილობა არ არის საჭირო იმისათვის, რომ დაინახო კავშირი მატერიალიზმის ამ მოძღვრებასა და კომუნისმსა და სოციალიზმს შორის¹³. მართლაც, თუ ადამიანები მთელი თავიანთი თვისებებით გარე სამყაროს პროდუქტს წარმოადგენენ, მაშინ ისე უნდა იყოს მოწყობილი იგი, რომ ადამიანმა მასში შეიმეცნოს და შეითვისოს ქეშმარიტად ადამიანური, რომ მან შეიმეცნოს საკუთარი თავი როგორც ადამიანმა, რომ ადამიანის კერძო ინტერესი დაემთხვეს საერთო-საკაცობრიო ინტერესებს, რომ მოსპობილ იქნეს დანაშაულის ანტისოციალური წყაროები, რომ პირობები ადამიანური გახდეს და ა. შ. მაგრამ ეს კავშირი მაშინ არ იყო დანახული და მატერიალიზმი ვერ გასცილდა წმინდა თეორიის სფეროს. „მატერიალისტური მოძღვრება, — აღნიშნავს კ. მარქსი, — რომ ადამიანები გარემოებისა და აღზრდის პროდუქტები არიან, მამასადამე, შეცვლილი ადამიანები სხვაგვარი გარემოებისა და შეცვლილი აღზრდის პროდუქტები არიან, იგიწყებს, რომ გარემოებას სწორედ ადამიანები სცვლიან და რომ აღმზრდელი თვითონ უნდა აღიზარდოს“¹⁴.

აქ დიდი როლი ითამაშა, ალბათ, იმანაც, რომ წინანდელი მატერიალისტები, თვით ფიციერბაზის ჩათვლით, მეტაფიზიკოსები იყვნენ. მათთვის უცნობი იყო ურთიერთმოქმედების კატეგორია (თუ სპინოზას არ მივიღებთ მხედველობაში). ამიტომ ამოდიოდნენ რა იქიდან, რომ გარემო მოქმედებს ადამიანზე, წარმოუდგენლად მიაჩნდათ, თავის მხრივ, ადამიანის ზემოქმედება გარემოზე. მარქსისტულმა ფილოსოფიამ, პირველად ფილოსოფიური აზროვნების ისტორიანში, აჩვენა, რომ არა მხოლოდ გარემო მოქმედებს ადამიანზე და ცვლის მას, არამედ ადამიანიც მოქმედებს გარემოზე და გარდაქმნის მას გარკვეული მიზნების, გარკვეული ამოცანების, რომელიც მას აქვს დასახული, შესაბამისად. ჩვენ ეს საკითხი საკმაოდ დეტალურად განვიხილეთ წინა პარაგრაფში და მას აქ აღარ გავიმეორებთ. მხოლოდ აღვნიშნავთ შემდეგს: ადამიანი არის ცნობიერების მქონე არსება. იგი თავისი მდგომარეობით იძულებულია შეგნებულად იმოქმედოს ბუნებაზე. „გააადამიანუროს“, თავისი არსებისათვის გამოსადეგა გახადოს იგი. ამ პროცესის შედეგად და მის საფუძველზე იქმნება მეორე გარემო — სოციალური გარემო, რომელიც აშუალებს ადამიანის დამოკიდებულებას ბუნებრივ გარემოსთან. ამერიდან ინდივიდი უკვე საზოგადოების წევრად გვევლინება და მის გარეშე აღარ არსებობს. ცხოველები-სათვისაცაა დამახასიათებელი საზოგადოებებად, უფრო სწორად, ჯოგებად გაერთიანება, მაგრამ ეს გარემოება მათთან შემთხვევით ხასიათს ატარებს. ცხოველსათვის არსებითია განცალკევებულად არსებობა, ადამიანისათვის კი საზოგადოებაში არსებობაა დამახასიათებელი. ჩვენ დავინახეთ, რომ ეს იხსნება თვითონ წარმოების, შრომის თავისებურებით, კ. მარქსი აღნიშნავს, რომ ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველია, რომელსაც მხოლოდ საზოგადოე-

¹³ К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. 2, с. 145.

¹⁴ კ. მარქსი, თვისები ფიციერბაზის შესახებ, იქვე, გვ. 69.



ბაში შეუძლია განცალკევება. ინდივიდის შრომა საზოგადოების ერთიანი მოღვაწის თივე უაზრობაა, როგორც ენის განვითარება ერთად მაცხოვრებელი და მოლაპარაკე ინდივიდუუმების გარეშე.

ადამიანები არსებობენ საზოგადოების სახით. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანებს შორის ადგილი აქვს გარკვეულ ურთიერთობებს რომელიც გაშუალებულია წარმოებით და ამ საფუძველზე ცნობიერებით, ვინაიდან წარმოება და ცნობიერება ერთმანეთის გარეშე არ არსებობს. ცხოველური სამყაროს შემთხვევაში ინდივიდებს შორის უშუალო კავშირია, რაც ინსტიქტის საფუძველზე ხორციელდება. ადამიანებთან კი გაშუალებულ კავშირს აქვს ადგილი. აქ მოქმედებს არა ინსტიქტი, არამედ ცნობიერება (მიზნის, ამოცანის დასახვა და მისი განხორციელების საშუალებების გამოყენება დაგროვილი გამოცდილებას საფუძველზე). ცხოველის მოქმედებას, რომელიც ინსტიქტის საფუძველზე ხორციელდება, იგი არ გაჰყავს თავის თავიდან; ცხოველი თავის თავში არის ჩაკეტილი. შეგნებულ მოქმედებას კი ადამიანი გაჰყავს თავის თავიდან. იგი ურთიერთობებს ამყარებს სხვა ადამიანებთან. კერძოდ, ამას აკეთებს შრომის პროდუქტი, რომელიც ბუნების „გადაადამიანების“ შედეგად არის შექმნილი. შრომის პროდუქტი (მასში იგულისხმება, რასაკვირველია, შრომის იარაღებიც) წარმოადგენს გარკვეული იდეების, გარკვეული აზრების განხორციელებას. მათ მინიშნებული აქვთ მთელი რიგი ისეთი თვისებები, რაც ადამიანთა მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, ემსახურება მათ მიზნებს. ეს მოთხოვნილებები უამრავია, ამიტომ შრომის პროდუქტიც უამრავია — დაწყებული წარმოების იარაღებით და ვათავებული ხელოვნების ნაწარმოებებით. შრომის პროდუქტის ასეთი მისია იმითაა პირობადებული, რომ მას შემქმნელისაგან დამოუკიდებლად არსებობა შეუძლია და მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში შეიძლება მოხვდეს. ამით იგი საშუალებას აძლევს ადამიანებს ერთმანეთს გაუზიარონ აზრები, განწყობილებები და ა. შ. ადამიანთა ამ კავშირების საფუძველში მოთავსებულია, როგორც ზემოთ დაკინახეთ, წარმოების პროცესში ადამიანთა შორის არსებული ისეთი ურთიერთობები როგორცაა განაწილება, გაცვლა, მოხმარება და ა. შ. „ადამიანური არსება — აღნიშნავს კ. მარქსი — როდია აბსტრაქტი, რომელიც ცალკე ინდივიდში ცხოვრობს. თავის სინამდვილეში იგი საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთობლიობაა“¹⁵. ადამიანი ამ ურთიერთობათა გარეშე არ არსებობს. და არა მხოლოდ არ არსებობს, უფრო მეტიც, მისი წარმოდგენაც კი არ შეიძლება საზოგადოების გარეშე. ადამიანის მთელი არსება საზოგადოებრივ ურთიერთობებში მდგომარეობს, ამ ურთიერთობათა ერთობლიობის გარეშე ადამიანი ადამიანი არ იქნებოდა.

ადამიანი შეგნებულად მოქმედი ინდივიდია, იგი თავისუფალია: იგი სამყაროში თავის მიზნებს ახორციელებს, გარდაქმნის მას გარკვეული წინასწარ დასახული ამოცანის მიხედვით. ამიტომ იგი არის ნამდვილად აქტიური არსება, მოქმედი არსება, რომლის მოღვაწეობასაც რეალური შედეგები მოსდევს, სახეს იცვლის არა მხოლოდ სოციალური გარემო, არამედ ბუნებრივი გარემოც. ყველაფერი რასაც ახლა ვამბობთ, წინანდელი მატერიალიზმისათვის უცხო იყო, ფიიერებახისთვისაც კი. ფიიერებახი ვერ ამაღლდა ადამიანის სოციალური არსების გაგებად მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ფიიერებახი აბსტრაქციას ახდენს ისტორიული მსვლელობისაგან და ადამიანს წარმოიდგენს იზო-

ირებულად საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარეშე, ამიტომ ადამიანის ჩსება მას ესმის „მხოლოდ როგორც „მოდგმა“, როგორც შინაგანი მუხტი-რთობლიობა, რომელიც მხოლოდ ბუნებრივად აკავშირებს მრავალ ნდივიდს“¹⁶. მას ადამიანის გვარისათვის დამახასიათებელი მიმართებები, ნდივიდებს შორის ბუნებრივ მიმართებებზე დაჰყავს, თუმცა უდიდესი კრავლესობა მათ შორის საზოგადოებრივი მიმართებებია. მაგრამ ამას იგი ერ ხედავს; ვერ ხედავს, რომ „განყენებული პიროვნება, რომელსაც იგი ნალიზს უკეთებს, სინამდვილეში საზოგადოების განსაზღვრულ ფორმას კუთვნის“¹⁷. ამიტომ როცა რეალურ ადამიანებზე ვლაპარაკობთ, მაშინ მხედველობაში გვაქვს გარკვეული სოციალურ-ისტორიული ტრები ადამიანისა, მათთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესითა და ფსიქოლოგიით, რომლებიც, მაშასადამე, გარკვეულ კლასს ეკუთვნიან და ამ უკანასკნელის რიგებში იბრებიან საკუთარი მდგომარეობის განმტკიცებისათვის ან უკეთესი მომავლისათვის. ამიტომ ფოიერბახი „მხოლოდ თეორიულ მოქმედებას იხილავს როგორც ნამდვილ ადამიანურ მოქმედებას“¹⁸. მას არ ესმის, რომ ადამიანი უპირველეს ყოვლისა არის აქტიურად მოქმედი სუბიექტი, რომელიც ქმნის საკუთარი ცხოვრების პირობებს, და არა მხოლოდ მოაზროვნე და გრძნობების მქონე ინდივიდი. „ფოიერბახი აღიარებს გრძნობად, აზროვნებითი ობიექტებისაგან ნამდვილად განსხვავებულ ობიექტებს, მაგრამ იგი თვით ადამიანის მოქმედებას არ უცქერის როგორც საგნობრივ მოქმედებას... ამიტომ მას არ ესმის „რევოლუციური“, „პრაქტიკულ-კრიტიკული მოქმედების მნიშვნელობა“¹⁹. მაგრამ თუ ყველაფერი ეს ითქმის ფოიერბახზე, მით უფრო ითქმის იგი ყველა წინანდელ მატერიალისტზე. „ამიტომ მოხდა, რომ მოქმედ მხარეს, წინააღმდეგ მატერიალიზმისა, იდეალიზმი ანეითარებდა, მაგრამ მხოლოდ აბსტრაქტულად, რადგან იდეალიზმი, რასაკვირველია, ნამდვილ, გრძნობად მოქმედებას, როგორც ასეთს არ იცნობს“²⁰. ეს უკანასკნელი გარემოება კარგად ჩანს სუბიექტის ცნების იმ მოკლე ისტორიული მიმოხილვიდან, რომელიც ჩვენ ზემოთ ვაწარმოეთ. ჩვენ დავინახეთ, რომ ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში „სუბიექტი“ გამოყენებულა სუბსტრატის, სუბსტანციის მნიშვნელობით. ამას იმ გარემოებაში შეუწყო ხელი, რომ იგი თავიდანვე გაიგეს როგორც აქტიური საწყისი. არისტოტელე თვლის, რომ სუბიექტის როლში მატერია არ შეიძლება გამოვიდეს, ვინაიდან ეს უკანასკნელი პასიური სუბსტანციაა. სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ფორმა, რაც არისტოტელთან არის ობიექტურად, ადამიანისაგან დამოუკიდებლად მყოფი აზრი. არსებითად იგივე თვალსაზრისს იზიარებენ ახალ ფილოსოფიაში. აქაც სუბიექტად ჩათვლილია ცნობიერება ან მისი რომელიმე ფორმა, რომელსაც სხვადასხვა ტერმინით გამოხატავენ: სული, ტრანსცენდენტალური სუბიექტი, მე, აბსოლუტური სული და ა. შ. ჩვენ გვგონია, რომ აქაც ძირითადი მოსაზრება სუბიექტის ცნობიერებასთან გაიგეების სასარგებლოდ არის, რომ აქტიურ საწყისად მხოლოდ და მხოლოდ იდეალური საწყისი არის მიჩნეული. როგორც ზემოთ დავინახეთ ლიბნიცი ამის შესახებ პირდაპირ ლაპარაკობს. მოსაზრება ამ შემთხვევაში, დაახლოებით, ალბათ, ასეთი ხასიათისაა: სუბსტანცია არის ის, რაც ყველაფრის სა-

16 იქვე.

17 იქვე, გვ. 71.

18 იქვე, გვ. 68.

19 იქვე.

20 იქვე.



ფუძველია, მისგან წარმოდგება ყველაფერი. მაგრამ ის, რისგანაც ყველაფერი წარმოდგება არ შეიძლება პასიური იყოს. პასივობისაგან არასოდეს არაფერი არ შექმნილა. ამიტომ სუბსტანცია აქტიურია, აქტიური კი მხოლოდ იდეალური საწყისი შეიძლება იყოს. სუბსტანცია, სუბიექტი როგორც აქტიური საწყისა არაა იდეალური. ემპირიზმის წარმომადგენლები სუბიექტს, ძირითადად, პასიურ საწყისად მიიჩნევენ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ბეკონის დებულებას ცოდნის როგორც ძალას შესახებ და ბერკლის თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც საგნების შემქმნელად ინდივიდუალური ცნობიერებაა მიჩნეული. თუ აქამდე სუბიექტზე როგორც ინდივიდუალურ ცნობიერებაზე იყო ლაპარაკი, კანტთან უკვე მსგელობა წარმოებს ცნობიერებაზე საერთოდ, რომელსაც იგი ტრანსცენდენტალურ ცნობიერებას უწოდებს. ტრანსცენდენტალური ცნობიერება აქტუური საწყისია, იგი კმნის არა მხოლოდ ცოდნას არამედ სინამდვილესაც, რომელთანაც ჩვენ, ადამიანებსაც ვვაქვს საქმე. მაგრამ მიუხედავად ამისა ეს ცნობიერება მაინც შეზღუდულია, ვინაიდან ვერ გადის ცდის ფარგლებს გარეთ; იფარგლება მოვლენათა სამყაროთი და ნივთიერების თავისთავად სამყაროზე არა თუ ვერ მოქმედებს, არამედ ბევრი არა იცის რა მის შესახებ. ტრანსცენდენტალური სუბიექტის სამყოფელი ინდივიდუალური ცნობიერებაა და მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი ცნობიერებაა, მაინც სუბიექტურ ცნობიერებას წარმოადგენს. ამ მხრივ კანტის თვალსაზრისის პრინციპულად არ განსხვავდება მანამდე არსებული თვალსაზრისებისაგან ცნობიერებაზე. ჰეგელის თვალსაზრისის ჩამოყალიბება მოასწავებდა უფრო რადიკალურ შემობრუნებას. ჰეგელმა მოქმედების პრინციპი ფილოსოფიის ერთ-ერთ მთავარ პრინციპად აღიარა და სპეციალური კვლევის საგნად გახადა. იგი შეეცადა დაესაბუთებინა, რომ სუბსტანცია არის სუბიექტი, განვითარებაში მყოფი ობიექტურად არსებული აზრი, და არა სუბიექტური აზრა, როგორც კანტთანაა, ხოლო მთელი სინამდვილე მისი გამოვლენაა. ჰეგელი თვლის, რომ მხოლოდ აზრი, გონი არის ნამდვილი და, მაშასადამე, აბსოლუტური. იგი არის აბსოლუტური გონი, რომელიც როგორც სუბსტანცია და სუბიექტი იმყოფება განვითარებაში, რაც გონის მიერ საკუთარი თავის შემეცნებაში მდგომარეობს. დასაწყისში გონი თავის უშუალოებაში არის საყოველთაო. აქ გონი თავის თავში არსებობს, მაგრამ განვითარების შედეგად (თავის თავის შემეცნების შედეგად) გადაიქცევა თავისთვის, გონად, რომელმაც თავისი თავი შეიცნო, აბსოლუტურ გონად, აბსოლუტურ ცოდნად. ჰეგელთან აქტივობა, მოქმედება გავებულია როგორც აბსტრაქტული მოქმედება, მოწყვეტილი ადამიანის რეალურ, საგნობრივ მოქმედებას ისევე, როგორც სუბსტანციის ანუ სუბიექტის ცნება არის რეალური სუბიექტის ანუ ადამიანის ცნობიერება, მაგრამ ადამიანისაგან მოწყვეტილი და ცალკე წარმოდგენილი: „Гегель знает и признает только один вид труда, именно абстрактно-духовный труд“²¹. აღნიშნავს კ. მარქსი. ხოლო რეალური სუბიექტის ადგილზე ჰეგელი აყენებს თვითცნობიერებას. «И подобно тому как сущность, предмет выступают у Гегеля как мысленные сущности, так и субъект есть всегда сознание или самосознание, или вернее, предмет выступает только как абстрактное сознание, а человек только как самосознание»²².

²¹ К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. 42, 1974, с. 159.

²² იქვე, 158.

მარქსისტულ ფილოსოფიაში აღდგენილ იქნა ადამიანი, სუბიექტი თავის უფლებებში. იგი გაგებულ იქნა ისე, როგორც ის ნამდვილად არსებობს. როგორც რეალური ადამიანი, რომელიც გარკვეულ ეპოქაში, გარკვეულ საზოგადოებაში ცხოვრობს და გარკვეულ კლასს ეკუთვნის, რომელიც მოქმედებს და იბრძვის იმისათვის, რომ ცხოვრების უკეთესი პირობები შექმნას. საზოგადოებრივ-ისტორიული ადამიანი არის როგორც მოქმედების ნამდვილი სუბიექტი, ისე შემეცნების ნამდვილი სუბიექტაც, ვინაიდან ეს ორი პროცესი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესია. ისინი, როგორც დავინახეთ, ერთმანეთის გარეშე არა თუ არ არსებობენ. არამედ წარმოუდგენელიც არიან. ადამიანის პრაქტიკული, წარმოებითი მოქმედება რომ არ არსებობდეს, არც მისი შემეცნებითი მოქმედება იარსებებდა და პირიქით. ისინი ერთმანეთს კვებავენ, აზრიანს ხდიან ერთმანეთს.

5. შინაგანი სუბიექტი

შრომის დასაწყისში ჩვენ მოკლედ დავახსიათეთ საკვლევი პრობლემა, შევეხეთ თვალსაზრისებს ამ პრობლემასთან დაკავშირებულს. ძედარებით ფართოდ ვაღმოვეცით მისი მოგვარების ერთი ცდის შინაარსი, რომელიც ს. რუბინშტეინის სახელთან არის დაკავშირებული.

ეს პარაგრაფი ჩვენ გვინდა დავიწყოთ ამ ცდის კრიტიკული განხილვით ს. რუბინშტეინი საესებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ ფილოსოფიის ძირითადი, ცენტრალური პრობლემა ადამიანის წინაშე დგას როგორც არსისა და ცნობიერების ურთიერთობის პრობლემა. სწორია ავტორი იმაშიც, რომ ამ პრობლემის იქით თავს იჩენს პრობლემა არსისა და მასში ადამიანის ადგილისა. მართლაც, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის შედეგად ფილოსოფია დაადგენს იმას, თუ როგორია არსი, მატერიალურია იგი თუ იდეალური, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რა არის სამყაროს საწყისი, მატერია თუ ცნობიერება. მატერიალიზმი, კერძოდ, მარქსისტული მატერიალიზმი, ასაბუთებს, რომ პირველადია მატერია, ხოლო ცნობიერება მეორადი, ე. ი. არსი მატერიალურია, რომ, ამიტომ, ცნობიერებას სუბსტანციონალური არსებობა არ გააჩნია. რომ იგი უმადლესად ორგანიზებული მატერიის — ადამიანის ტვინის თვისებაა, ფუნქციონალური და ობიექტური სინამდვილეს ასახავს, რომ ადამიანი საზოგადოებრივ-ისტორიული არსებაა, რომელიც არა მხოლოდ შეიმეცნებს სამყაროს, არამედ გარდაქმნის მას, რომ ამ დროს ადამიანი ქმნის სოციალურ გარემოს, რომელშიც იგი მოღვაწეობს და ვითარდება და ა. შ. ასევე დგება პრობლემა სამყაროში ადამიანის ადგილის შესახებ ფილოსოფიის ძირითადი საკითხის იდეალისტური გადაწყვეტის შემთხვევაშიც. თუ აღიარებულა, რომ პირველადია ცნობიერება, მაშინ, სხვა საკითხებთან ერთად, დგება საკითხი ამ ცნობიერების რავგარობის შესახებ — სუბიექტური, ე. ი. ადამიანის ან ადამიანური ცნობიერებაა იგი თუ მისგან დამოუკიდებელი ობიექტური ცნობიერება. თუ იგი ობიექტური, ადამიანისგან დამოუკიდებლად არსებული ცნობიერებაა, მაშინ რა ურთიერთობა აქვს მას ადამიანის ცნობიერებასთან. მაგალითად, პასუხობს რა ამ საკითხს ჰეგელი ცდილობს დასაბუთოს, რომ არა მხოლოდ ადამიანის ცნობიერება, არამედ თვითონ ადამიანიც, როგორც ბოლოვადი გონი, ობიექტური ცნობიერების, აბსოლუტური გონის გამოვლენაა. მაშასადამე, ფილოსოფიის ძირითადი საკით-

ხის გადაწყვეტის შემდეგ და მის საფუძველზე აუცილებლად დგება საკითხი ადამიანის ადგილის შესახებ სამყაროში, არსში. ეს პრობლემა ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა, რომელსაც ფილოსოფიამ აუცილებლად უნდა გასცეს პასუხი. ამის გარეშე ფილოსოფია არ იქნება ფილოსოფია. მაგრამ ეს საკითხი მაინც ფილოსოფიის ძირითადი საკითხისაგან წარმოებული საკითხია და მას ვერ შეცვლის. თითქოს ამ გარემოებას ს. რუბინშტეინი კარგად ხედავს: აკი თვითონ ამბობს, რომ საკითხი სამყაროში ადამიანის ადგილის შესახებ ფილოსოფიის ძირითადი საკითხის შემდეგ დგებაო. ამიტომ გაკვირვებას იწვევს, როცა იგი, იმავე ნაშრომში ცოტათი ქვემოთ პირდაპირ ამბობს, რომ ამოსავალი არა არისა და ცნობიერების ურთიერთობა, არამედ ადამიანისა და არსის დამოკიდებულება, ხოლო იმავე პერიოდში დაწერილ ნაშრომში „ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლების შესახებ“ (ე. მარქსის აღრინდელი ხელნაწერები და ფსიქოლოგიის პრობლემები) აღნიშნავს, რომ მარქსის ზოგადი კონცეფციის თანახმად, შემეცნების თეორიაში, ამოსავალი არა ცნობიერებისა და საგნის, არამედ ადამიანის როგორც პრაქტიკული და თეორიული მოღვაწეობის სუბიექტის და საგნობრივი სამყაროს ურთიერთობაა²³. ფილოსოფიის ძირითადი საკითხის ასეთი შეცვლა არ არის გამართლებული. ჭერ ერთი, იმიტომ რომ ავტორი არ აყენებს რაიმე კონკრეტულ არგუმენტს თავისი მოსაზრების სასარგებლოდ. იგი უბრალოდ ამბობს, ასეთი დასკვნა გამომდინარეობს „ეკონომიკურ-ფილოსოფიურ ხელნაწერებში“ სუბიექტის და ობიექტის დიალექტიკის შესახებ მარქსის მიერ საკითხის დაყენებიდან და, მეორე, ფილოსოფიის ძირითადი საკითხი არის სწორედ ის საკითხი, რომლის გადაწყვეტითაც ირკვევა, თუ რაში მდგომარეობს არსის, სამყაროს როგორც მთელის ბუნება. როგორც დავინახეთ, იმის მიხედვით, თუ რას ავიღებთ საწყისად, მატერიას თუ ცნობიერებას, სამყაროს მთლიანობა, სხვადასხვაგვარად იქნება გაგებული. ამიტომ აღნიშნულზე უფრო ღრმა და ძირითადი საკითხი ფილოსოფიაში არ მოიპოვება. ფილოსოფიის სხვა საკითხები მისგან წარმოებული საკითხებია.

ამრიგად, ფილოსოფიის ძირითადი საკითხიდან ნამდვილად გამომდინარეობს საკითხი ადამიანის და არსის ურთიერთობის შესახებ. ძნელი არ უნდა იყოს იმის შემჩნევა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს პრობლემის ონტოლოგიურ ასპექტში დაყენებასთან, ვინაიდან აქ ლაპარაკია იმაზე თუ რა არის არსი და რა ადგილი უჭირავს მასში ადამიანს. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, სადაც შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ სუბიექტის ცნების შინაარსი აქტივობაში მდგომარეობს, რომ სუბიექტი არის ადამიანი, რომელიც არა მხოლოდ შეიმეცნებს სინამდვილეს, არამედ გარდაქმნის კიდევაც მას. მაშასადამე, ონტოლოგიაში შეიძლება ლაპარაკი ადამიანზე როგორც შემეცნებელ სუბიექტზე, ადამიანურ შემეცნებაზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს ადამიანის როგორც შემეცნებელი სუბიექტის გნოსეოლოგიურ განხილვას. ისევე, როგორც, მაგალითად, ონტოლოგიის სფეროში შეიძლება ვილაპარაკოთ ადამიანზე როგორც სუბიექტზე, რომელიც განიცდის თავის დამოკიდებულებას სინამდვილის საგნებთან, სხვა ადამიანებთან, თავისთავთან და ა. შ. ე. ი. ე მოციურ უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა შ ი ა მ ა თ თ ა ნ, მაგრამ ეს არ ნიშნავს ადამიანის როგორც სუბიექტის ონტოლო-

²³ С. Л. Рубинштейн. Проблемы общей психологии, с. 61.

გიურ განხილვას. სუბიექტის ონტოლოგიური ცნება არ ემთხვევა მის განსეოლოგიურ ცნებას. მაგალითად, მარქსისტულ ონტოლოგიაში ლაპარაკია ცნობიერებაზე როგორც არსებულზე, როგორც სინამდვილის ერთ-ერთ გარკვეულობაზე, რომელსაც სუბსტანციური, დამოუკიდებელი არსებობა კი არ გააჩნია, არამედ არის უმაღლესად ორგანიზებული მატერიის — ტვინის თვისება, რომელიც ასახავს სინამდვილეს. ცნობიერება არის სინამდვილის ასახვა, მეორადი; კანონები, რომლებიც მასში მოქმედებენ, სინამდვილიდან არიან მიღებული. ამ სფეროში ცნობიერებაზე ცალკე არ არის ლაპარაკი, იგი განხილვება ადამიანთან როგორც სუბიექტთან ერთად, როგორც მისი ტვინის ფუნქცია. იგი მთლიანადაა ჩართული ადამიანის როგორც საზოგადოებრივი, ისტორიული არსების თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობაში. მოკლედ, აქ ლაპარაკია შემეცნების საზოგადოებრივ ფუნქციაზე, მის როლზე საზოგადოების არსებობაში და განვითარებაში, იმაზე, თუ რას წარმოადგენს ადამიანი როგორც შემეცნებადი არსება. ჩვენ გვგონია, რომ ამ აზრით არის ადამიანი შემეცნებელი სუბიექტი.

სხვა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს „სუბიექტს“ განსეოლოგიის სფეროში. ამ მეცნიერების მთავარ პრობლემას წარმოადგენს ის, თუ რამდენად ადეკვატურად შეესაბამება ადამიანის ცნობიერების ობიექტურ სინამდვილეს, რა გზებით, რა საშუალებებით მიიღწევა ჭეშმარიტება, რა არის მისი კრიტერიუმი და ა. შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განსეოლოგია იკვლევს არა უშუალოდ ადამიანს, მთელ იმ პროცესებს, რომელიც ადამიანში ხდება შემეცნების დროს. არამედ ადამიანური ცნობიერების დამოკიდებულებას ობიექტურ სინამდვილესთან, ცნობიერების პროცესებს და კანონებს, რომლებიც ჭეშმარიტების მიღწევას უშუალოდ უზრუნველყოფენ. რასაკვირველია, შეიმეცნებს ადამიანი; შემეცნების პროცესებს მის თავში აქვს ადგილი, მაგრამ მათ პირდაპირ და უშუალოდ ცნობიერება ახორციელებს. ჭეშმარიტება უშუალოდ ყალიბდება არა იმ ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ან სხვა რაიმე პროცესების შედეგად, რომელსაც ადამიანის ორგანიზმში შემეცნების დროს აქვს ადგილი, არამედ იმ პროცესების შედეგად, რომელიც თვითონ შემეცნებაში ხდება. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს შემეცნებელი ცნობიერების მოწყვეტას ადამიანისაგან და მის დამოუკიდებელ არსად წარმოდგენას. აქ ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ განსეოლოგიამ ჭეშმარიტების პრობლემების კვლევის დროს მხოლოდ შემეცნების კანონებით უნდა იხელმძღვანელოს.

ამრიგად, შემეცნება, ცნობიერება ჩვენ შეიძლება განვიხილოთ სხვადასხვა კუთხით: ერთის მხრივ, როგორც არსებული, როგორც სინამდვილის გარკვეული სახე. ამ შემთხვევაში ჩვენ იგი წარმოგვიდგება როგორც მატერიის თვისება, მისი უმაღლესი ორგანიზაციის — ტვინის ფუნქცია და არა როგორც მისგან დამოუკიდებელი არსი. იგი ხასიათდება ყველა იმ ძირითადი თვისებებით, რაც ადამიანს როგორც ცხოველისაგან თვისებრივად განსხვავებულ არსებას გააჩნია: ცნობიერებაც საზოგადოებრივი და ისტორიულია, ვინაიდან იგი ადამიანური ცნობიერებაა და არა სხვა რამ. ჩვენ სამყაროში არ მოიპოვება არსება, გარდა ადამიანისა, რომელსაც ცნობიერი, შემეცნებითი დამოკიდებულება ჰქონდეს ამ სამყაროსთან. ადამიანის აქტივობის, მისი მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი მხარე, პრაქტიკულთან ერთად, შემეცნებითი, თეორიული მოღვაწეობაცაა. ამიტომ სავესებით სწორია და კანონიერია ლაპარაკი ადამიანზე როგორც შემეცნებელ სუბიექტზე. მაგრამ განხილვის ეს კუთხე

გნოსეოლოგიური არ არის, იგი ონტოლოგიური კუთხეა. ეს ის კუთხეა, ფ. ენგელსის მიერ ფორმულირებულ ფილოსოფიის ძირითად საკითხში რომ არის გამოთქმული და ეხება მატერიისა და ცნობიერების ურთიერთდამოკიდებულებას გენეტურ პლანში. მაგრამ ფილოსოფიის ძირითად საკითხს, ფ. ენგელსის მიხედვით, მეორე მხარეც აქვს. ესაა შემეცნების, ცნობიერების განხილვის გნოსეოლოგიური კუთხე, რომელიც იხილავს ჩვენი ცნობიერების, ჩვენი აზრების სინამდვილესთან შესაბამისობის საკითხს. აქ უკვე შემეცნებელ სუბიექტად წარმოგვიდგება არა მთლიანად ადამიანი, არამედ მისი ცნობიერება, ხოლო ობიექტად ყველაფერი ის, რაც მის გარეთაა. შემეცნებელ სუბიექტად ცნობიერების აღიარება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ცნობიერების მოწყვეტას ადამიანისაგან, მისი ტვინისაგან და მის სუბსტანციურ არსად წარმოდგენას, არ ნიშნავს იდეალისტური თვალსაზრისის გაზიარებას. მთავარი აქ ისაა, თუ როგორ გავიგებთ თვითონ ცნობიერებას, როგორც ადამიანის ტვინის (მატერიის) თვისებას, მეორადს თუ როგორც ადამიანისაგან დამოუკიდებელ, სუბსტანციურ არსს, პირველადს. მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში გვექნება საქმე იდეალიზმთან. მაშასადამე, აქ ლაპარაკია იმაზე, თუ რა ონტოლოგიაზეა აშენებული ესა თუ ის გნოსეოლოგია. მარქსისტული გნოსეოლოგია ეყრდნობა მარქსისტული ონტოლოგიის ძირითად დებულებას არსისა და აზრის ერთიანობის შესახებ, რომელიც არა მხოლოდ ადამიანის ბიოლოგიური ევოლუციით არის განპირობებული, არამედ მისი საზოგადოებრივ-ისტორიული მოღვაწეობითაც. მარქსისტულ ონტოლოგიაშიც და გნოსეოლოგიაშიც, არსებობდა, ერთი და იგივე სუბიექტზეა ლაპარაკი, მხოლოდ ეს სუბიექტი პირველში ფიგურირებს როგორც შემეცნებელი და მოქმედი ადამიანი, ხოლო მეორეში როგორც ამ ადამიანის ცნობიერება.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 ფილოსოფიის ინსტიტუტმა



მამუკა დოლიძე

ოგნიეტი და ხელსაწყო ქვანტურ მექანიკაში

კლასიკურ ფიზიკაში ხელსაწყოს როლი ამოწურება სუბიექტის შეგრძნებათა გაძლიერებით. რადგან ელემენტარული ქმედების ქვანტი ძალიან სუსტია, შეიძლება მისი უსასრულო მცირედ მიჩნევა და მაკროქმედების უწყვეტ კონტინუუმად ჩათვლა. უწყვეტი უსასრულოდ იყოფა და შეიძლება უსასრულოდ შემცირდეს. ანრიგად, ყოველი მაკროქმედება, მათ შორის გაზომვის ობიექტის შემოფთება შეიძლება უსასრულოდ შემცირდეს და გამოჩნდეს ობიექტის „სუფთა“, დაკვირვების აქტისაგან განყენებული მდგომარეობა. მოკლედ, კლასიკური ობიექტი ავტონომიურია გაზომვისაგან, დამოუკიდებელია იმ საშუალებებისა და პირობებისაგან, რომლებიც მასზე დაკვირვებისა და მისი შემეცნების შესაძლებლობას შექმნიან. ეს დასკვნა ემყარება იმ წინამძღვარს, რომ გაზომვის პროცესის ფლუქტუაცია ან უსასრულოდ მცირე ან განსაზღვრადი პარამეტრია და შეიძლება გამოვრიცხოთ. იგივე წინამძღვარს ძალით ჩვენ საშუალება გვძლევს სხვადასხვა ცდებში ფიქსირებული თვისებანი, გაზომვის პროცესისაგან აბსტრაქტიზების გზით, ერთმანეთთან დაეკავშიროთ, შევქმნათ ფიზიკური რეალობის ერთიანი სურათი. ცდის სხვადასხვა პირობები შემეცნების ერთ საფეხურზე დაიყვანება, რასთანაც მიმართებაში მნიშვნელობას იძენენ კლასიკური პარამეტრები.

სხვა სურათია მიკროკოსმოსში: შემეცნების საწევროდან სტრუქტურაში — ა) ფიზიკური ობიექტი, ბ) შემეცნების პირობა, გ) სუბიექტი — სიმძიმის ცენტრი შუა წევრზეა გადატანილი. გნოსეოლოგიურად ეს ნიშნავს სუბიექტის პოზიციის გაორებას; პირველი, როგორც დამკვირვებელი სუბიექტი და მეორე როგორც ფიზიკური ობიექტებით ოპერირების საშუალება ანუ ხელსაწყო. ხელსაწყო, ერთის მხრივ ობიექტურია, მეორე მხრივ, წარმოადგენს სუბიექტის გაგრძელებას. შემეცნების პირობის ახალი გნოსეოლოგიური ფუნქცია განსაზღვრავს ქვანტური ობიექტის დაკვირვების თავისებურებასა და ხელსაწყოს არსებითად განსხვავებულ როლს. თუ კლასიკური ობიექტი ხელსაწყოსა და სუბიექტის თანაფარდია და კარგად შეესაბამება ექსპერიმენტის ენას, რომლითაც მეტყველებს სუბიექტი და აღწერს ხელსაწყოს, ელემენტარული ნაწილაკი თავისი სიმცირისა და „უცნაური“ ქცევის წყალობით სცილდება ადამიანის კლასიკურ ცდას. ხელსაწყო და ცდის სიტუაცია ახორციელებს ინფორმაციის გადათარგმნას ქვანტური საფეხურიდან კლასიკურზე: მაკროსკოპიული ცდისათვის უცხო ნაწილაკს ისე გააძლიერებს და გადასახავს, რომ შესაძლებელი გახდეს მისი კლასიკური ატრიბუტებით აღჭურვა, მისი შემეცნება. ხელსაწყო-ანალიზატორს ინფორმაცია გადაყავს ქვანტური დონიდან კლასიკურ საფეხურზე: ამიტომ სუბიექტს ეკრანზე ეძლევა არა ქვანტური ობიექტი, არამედ ამ უკანასკნელის ხელსაწყოსთან ურთიერთქმედების ეფექტი. იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა გაზომვის შედეგიდან ხელსაწყოს შემოქმედების გამოვრიცხვა და ამ ხერხით „წმინდა“ ობიექტის წვდომა? სიმწლე იმაშია, რომ

ეს მიკროთერთომოქმედება ელემენტარული ქმედების ჯერადია, რომელიც წარმოადგენს მთლიან, განუყოფელ ქვანტს; ასეთი განუყოფლობა ხელს გვიშლის მოვახდინოთ ურთიერთქმედების დიფერენცირება. გაზომვის პროცესში ნაწილაკის შემფოთებათა დადგენის მიზნით. წინააღმდეგ კლასიკური შემთხვევისა, აქ აზრი არა აქვს ვილაპარაკოთ ხელსაწყოსგან განყენებულ მიკროობიექტზე; გასაზომისა და გამზომის ორპოლუსიანი სისტემა შეზრდილია ერთ განუხლეჩელ მთლიანობაში და შემეცნების სამწვერა ჯაჭვი მხოლოდ სუბიექტსა და ხელსაწყოს შორის შეიძლება გაწყდეს. ამრიგად, ქვანტური ნაწილაკი, როგორც დაკვირვების ობიექტი, არსებობს მხოლოდ მისი შემეცნების საშუალებებთან ერთად, მაგრამ დანოუქიდებელია სუბიექტისაგან, მას არ ქმნის დაკვირვების ფაქტიური პროცესი. სწორედ ამ აზრით ლაპარაკობენ ელემენტარული ნაწილაკის ობიექტურ არსებობაზე.

ამ პრობლემას გააჩნია მეორე მხარეც. საქმე იმაშია, რომ ქვანტური მექანიკის მათემატიკური აპარატი ვერ აღწერს დაკვირვების აქტს. გაზომვის პროცესი არ ექვემდებარება დეტერმინისტული ტიპის კანონზომიერებებს. ექსპერიმენტის ენა, რომლის საგანია ხელსაწყოსა და მიკროობიექტის ურთიერთქმედების გაძლიერებული ეფექტი, წინააღმდეგობაში მოდის ქვანტურ-მექანიკურ ფორმალიზმთან, რომელიც მდგომარეობის ტალღური ფუნქციით, უშუალოდ მიკროობიექტს აღწერს. საჭიროა რაღაც კავშირი დამყარდეს ცდასა და თეორიას შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვანტური თეორია ვერ შეიძენს ფიზიკური ცოდნის სტატუსს. ნეიმანი ფიქრობს, რომ სუბიექტის ცნობიერება აუცილებელი ელემენტია ამ ფიზიკური ცოდნისა. მათემატიკურ აღწერათა ჯაჭვი სადღაც უნდა გაწყდეს უშუალო დაკვირვების აქტით, რომელიც საწყის პირობებად შევა განტოლებათა ამოხსნაში და მოახდენს ობიექტის მდგომარეობის დეტერმინაციას. მხოლოდ ამის შემდეგ იქცევა ეს ჯაჭვი ფიზიკურ ცოდნად. ასეთი თვალსაზრისი სუბიექტურია, რადგან საგნის ფიზიკურ თვისებათა დეტერმინაციის მიზნით ქვანტურ-მექანიკურ ფორმალიზმს ემატება დაკვირვების პროცესი. ქვანტურ მექანიკას რომ ფიზიკური თეორიის საზრისი მიენიჭოს, ნეიმანისა და ჰაიზენბერგის აზრით, (რომელიც იგივე შეხედულებას იცავს)¹, აუცილებელია თეორიაში სუბიექტის შემოყვანა.

ბორი სხვა გზით ცდილობს ქვანტურ-მექანიკური ფორმალიზმის აბსტრაქტულობისა და არაფიზიკურობის დაძლევას. მას შემოაქვს დამატებითობის პრინციპი, რომელიც დაკვირვების აქტისა და საერთოდ ცდის კლასიკურ აღწერას ქვანტურ მექანიკასთან აკავშირებს ფაქტიური დაკვირვებისა და სუბიექტის შემოყვანის გარეშე. იმისათვის, რომ მათემატიკური ფორმალიზმი ფიზიკურ ცოდნად იქცეს, აუცილებელია მისი ცდასთან დაკავშირება, მაგრამ ისე, რომ შეიძლება თავი ავარიდოთ დაკვირვების ფაქტიურ პროცესს. დამატებითობის პრინციპი ცდისეულ ცნებათა გამოყენების რეგულატორია ქვანტურ სფეროში. მაკროსამყაროსგან განსხვავებით კლასიკური სიდიდეები აქ თავისუფლად კი არ მიეწერებიან ობიექტს, არამედ მიჯაჭვულნი არიან ხელსაწყოსა და იმ ექსპერიმენტულ გარემოცვაზე, რომელიც მათი გამოყენების შესაძლებლობას განსაზღვრავს. დამატებითობის პრინციპის ძალით ქვანტურ მექანიკაში შემოდის ცდა — შემოდის ხელსაწყო, შემოდის ექსპერიმენტული გა-

¹ იხ. Ю. В. С а ч к о в. Представление о материальном объекте в структуре дополнителности, в сборнике «Принцип дополнителности и материалистическая диалектика», М., 1977, с. 158.



რემოცვა, შემოდის კლასიკური ცნებანი, მაგრამ არ შემოდის ფაქტიური გაზომვა — ქვანტურ-მექანიკური ფორმალიზმი იქცევა ფიზიკურ ცოდნად სუბიექტის შემოყვანის გარეშე. ამრიგად, ბორო გვთავაზობს კონკრეტულ გზას, რათა თავი დავაღწიოთ სუბიექტივიზმს ქვანტური მექანიკის კომპენზაციური ინტერპრეტაციის სფეროში; ქვანტურ-მექანიკური ფორმალიზმი წარმოადგენს თეორიას მიკროობიექტის „სუფთა“ მდგომარეობის შესახებ, რომელიც არ გვეძლევა ცდაში. ამის გამო ეს „სუფთა“ მდგომარეობა და თეორია მის შესახებ აბსტრაქტული და არაფიზიკურია. საკითხი დგება ასე: როგორ გადაეაქციოთ აღნიშნული თეორიული ფორმალიზმი ფიზიკურ ცოდნად? ამისათვის უნდა მოვსპოთ მიზეზი, რომელიც იწვევს მის არაფიზიკურობას, ე. ი. ობიექტი, რომელსაც შეეხება ქვანტური თეორია არ უნდა იყოს არაფიზიკური, იგი უნდა გახდეს მისაწვდომი ცდისათვის, სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი უნდა იქცეს ცდაში მოქმედი კლასიკური სიდიდეების გამოყენების ობიექტად. მაგრამ ამისათვის აუცილებელი არაა ეს მიკროობიექტი ფაქტიურად შემოვიყვანოთ ცდაში, აუცილებელი არაა ვინმემ აწარმოოს მისი დაკვირვება, ჩატარდეს გაზომვა, განხორციელდეს ურთიერთქმედება ატომურ ნაწილაკსა და ხელსაწყოს შორის. იმისათვის, რომ ფორმალიზმი გადაიქცეს ფიზიკური ცოდნის სისტემად, საკმარისია მისი ობიექტი გახდეს მისაწვდომი ცდისათვის შესაძლებლობაში, მას დაუკავშირდნენ ცდისეული, კლასიკური პარამეტრები არა აქტუალურად, არამედ პოტენციურად. მაგრამ ამისათვის საჭიროა ვანისასლეროს ის წესი, ის გზა, რისი საშუალებითაც ცდისეული, კლასიკური პარამეტრები შემოვლენ ქვანტურ-მექანიკურ ფორმალიზმში, რათა შესაძლებელი გახდეს მათი მიკროობიექტთან დაკავშირება. ეს წესი არის დამატებითობის პრინციპი, რომელიც კლასიკურ პარამეტრებს ყოფს ურთიერთშეუთავსებელ ჯგუფებად. არ შეიძლება ამ სხვადასხვა ჯგუფთა წევრების ერთდროული, ერთი ობიექტის მიმართ გამოყენება, ეს აკრძალავს განუზღვრელობის უტოლობის შედეგია, მაგრამ მას ემატება ის პოსტულატი, რომ ეს ურთიერთგანუზღვრელი არაკომპლათიური ჯგუფები ანაეე დროს ერთმანეთს ავსებენ, და თუმცა სხვადასხვა მხრიდან, მაგრამ ჯანში ყოველმხრივ ახასიათებენ მიკროობიექტს. ამრიგად, დამატებითობის პრინციპის შენობით ქვანტურ-მექანიკური ფორმალიზმი იქცევა ფიზიკურ ცოდნად, იქმნება შესაძლებლობა იმისა, რომ ის რასაც შეეხება ეს ფორმალიზმი, გახდეს კლასიკური, ცდისეული პარამეტრების გამოყენების ობიექტი, მისაწვდომი გახდეს ცდისათვის.

ახლა ვნახოთ, თუ რას წარმოადგენს საკუთრივ ობიექტი. ამრიგად დამატებითობის კონცეფცია აკავშირებს თეორიასა და ცდას. სიმწლე იმაშია, რომ მათ არ ვააჩნიათ საერთო ობიექტი. ცდისა და თეორიის საგანი ერთმანეთს მოწყვეტილია და ჩვენი ამოცანაა მათი შეთავსება: მაგრამ პირველ რიგში უნდა ვაჩვენოთ რას წარმოადგენს მატერიალური ობიექტი როგორც ერთ, ასევე ნეორე სფეროში.

პოზიტივისტები საერთოდ უარყოფენ მატერიალური ობიექტის არსებობას ქვანტური მექანიკის სტრუქტურაში: დამატებითობის კონცეფციამ ენის შინაარსს ობიექტურობა დაუკარგა; რადგან ცნებათა ერთი სიმრავლე, მეორე სიმრავლისაგან სრულიად განსხვავებულად აღწერს საგანს, ხოლო არჩევანს აღწერათა შორის ახდენს შემეცნების პირობა, ამიტომ აღწერა მთლიანად დამოკიდებული ყოფილა შემეცნებაზე და მის შინაარსში არაფერია ობიექტისა-

გან. ობიექტის ცნება ყოფილა უშინაარსო, გადაგვარებული რუდიმენტი თანამედროვე ფიზიკურ ცოდნაში.

წინააღმდეგ მოტანილი თვალსაზრისისა, კლასიკურ ფიზიკაში მოქმედი ტრადიციული მეთოდოლოგია თვლის, რომ თუმცა საგანთა თვისებანი მიმართებაში გვევლინება და ეს მოვლენა გვეძლევა მხოლოდ ურთიერთქმედების სახით, თვისებათა ანალიზის მიზანი უნდა იყოს დასკვნა საკუთრივ ობიექტის თვისობრიობისა და სტრუქტურის შესახებ. თვისებათა ინვარიანტი უნდა მივიჩნიოთ არსებად და ცდა მიმართული უნდა იყოს მოვლენის ანალიზით არსების წვდომისაყენ.

ცხადია პოზიტივიზმი არც ტრადიციულ მეთოდს სცნობს. ატომის სამყაროში ხელსაწყო და ობიექტი ერთიანია. არ შეიძლება მისი გახლეჩა და შემეცნების საშუალებისაგან განყენებულ საგანზე ლაპარაკი. ამიტომ თვისებათა ანალიზის მიზანი ვერ იქნება „სუფთა“ ობიექტი, ინვარიანტობა სხვადასხვა ცდებსა და მოვლენებში უნდა გავიგოთ არა როგორც არსება, არამედ როგორც შესაბამის აღწერათა ენის სტრუქტურული მსგავსება.

მაგრამ ასეთი შეხედულება აღმოჩენა არ არის ფილოსოფიის ისტორიაში. მისი წყაროა ლოგიკური ემპირიზმი, რომელიც ერთი ნაბიჯითაც არ სცილდება ცდაში პრინციპულად მოცემულს. საინტერესოა, რომ პირადად ბორი არ იზიარებს მოტანილ თვალსაზრისს და ჩვენი აზრით არც ძველ მეთოდს ღალატობს. აი რას წერს ვაიციხევერი ამასთან დაკავშირებით: «Для Бора то, что может быть описано классически является «вещью»... явления есть всегда «явления о вещах», потому что иначе они не допускали бы объективирования, без которого не было бы науки о них»².

აქ ლაპარაკია გაძლიერებულ მიკრომოვლენაზე, რომელიც წარმოადგენს ხელსაწყოსა და ატომური ობიექტის ურთიერთქმედების შედეგს. მართალია ბორი უარყოფს ამ შედეგის დიფერენცირების შესაძლებლობას, მაგრამ განსხვავებით პოზიტივიზმისაგან, მას უყურებს როგორც საგანს, როგორც ობიექტს, და არა როგორც შემეცნების ნაყოფს. საგანი დგას არა მოვლენის უკან, არამედ მოვლენის შიგნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ფიზიკას, რომელმაც აზრი ჰპოვა იქ, სადაც აზრი არა აქვს შემეცნების პირობებისაგან მოწყვეტილ არსზე ლაპარაკს, დაეკარგება მეცნიერული ცოდნის სტატუსი. მატერიალური ობიექტის ცნება ბორისთვის აუცილებელია.

მაგრამ ეს ცნება ტრანსფორმაციას განიცდის. საქმე იმაშია, რომ ქვანტურ საფეხურზე ვაზომვის შედეგი არ მიეწერება ობიექტს, ვინაიდან ხდება ატომური ნაწილაკის „განუზღვრელი“ შემფოთება ხელსაწყოს მიერ. აქ სახეზეა სამი ელემენტის ინტეგრირებული ინფორმაცია: ა) ქვანტური ობიექტი, ბ) ცდის გარემოცვა და ხელსაწყო, გ) სუბიექტი. ლაპარაკია იმაზე, რომ ადამიანი არჩევანს ახდენს ცდის პირობებს შორის, რომლებიც საგანს დამატებითი ნიშნებით განსაზღვრავენ. მართალია როგორც წინ ვაჩვენეთ, სუბიექტის შემოყვანა აუცილებელი არ არის, მაგრამ აუცილებელია გაკეთდეს არჩევანი, კონკრეტულ პირობებს შორის, რათა ძალაში შევიდეს მსჯელობა ობიექტის ნიშან-თვისებათა გარკვეული ჯგუფის შესახებ. მოკლედ, გვაქვს სამი ინტეგრირებული ელემენტი და მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია მათი დიფერენცირება, შე-

² C. F. Weirsäcker. The Copenhagen Interpretation—Quantum Theory and beyond. Cambridge, 1971, p. 28.



მეცნიერების მეთოდი კლასიკური რჩება: ცდისა და ანალიზის მიზანი უნდა იყოს დასაჯენა საკუთრივ ქვანტური ობიექტის თვისობრიობისა და სტრუქტურის შესახებ მისი არსებობის პოზიტიური რწმენის საფუძველზე. ატომურ სამყაროში ცდის საგანია მატერიალური ობიექტი, რომლის შენივთება ხელსაწყოსთან მიკრომოვლენის მთლიანობას გამოხატავს. წინააღმდეგ მეტაფიზიკური თვალსაზრისისა, რომელიც ცდილობს მისწვდეს ობიექტს, როგორც იზოლირებულს, განმხოლოებულს სამყაროს მრავალფეროვნებათა გაერთიანოვნებულ ფონზე, ნაწილაკი აქ შეისწავლება როგორც სისტემის ელემენტი, ურთიერთქმედებაში ხელსაწყოსა და გარემომცველ საგნებთან. მეტაფიზიკა დროსა და სივრცეს აბსოლუტურად თვლიდა. ფარდობითობის თეორიამ უარყო მათი აბსოლუტურობა, კუზალობიდან ყურადღება გადაიტანა ურთიერთქმედების კატეგორიაზე, დააბრუნა ობიექტი საკუთარ ბუნებაში — სამყაროს მრავალფეროვან ბჭათა სისტემაში. ამ უკუნივთეს ხელი შეუწყო ტალღური მექანიკის განვითარებამ, ნაწილაკი დაუკავშირდა არა მხოლოდ ხელსაწყოს, არამედ სხვა ნაწილაკათა სისტემას, რომლის მდგომარეობა აღიწერება ტალღური ფუნქციით Ψ . ამრიგად, წინააღმდეგ კლასიკური მექანიკისა, ობიექტი გვეძლევა არა ცალკე, არამედ სტატისტიკურად. — როგორც სისტემის ელემენტი, მეზობელ ელემენტებთან კავშირში, იმ მოსალოდნელი სისტემებისა და ბუნების გათვალისწინებით, რომელშიც შეიძლება შევიდეს ან თვით აწარმოოს, სიხლე იმაშია, რომ ქვანტური სისტემის ელემენტად აღებულია არა ობიექტი, არამედ ურთიერთქმედება, კერძოდ ობიექტსა და ხელსაწყოს შორის, ანუ ცდა. თანამედროვე მეთოდი მოითხოვს რა შესამეცნიებლის ჩართვას მატერიის მრავალფეროვნებაში, სტატისტიკური ორიენტაციის ხდება და ქვანტურ ნაწილაკსაც იხილავს როგორც სტატისტიკურ სისტემას, რომლის ელემენტებია მასზე ჩატარებული გაზომვები ცდის პირობათა განმეორების დროს. ხოლო ტალღური ფუნქცია Ψ ახასიათებს ნაწილაკის მდგომარეობას სტატისტიკური თვალსაზრისით; იმ სისტემათა საფუძველზე, რომელშიც მოსალოდნელია აღმოჩნდეს იგი. არსებითია, რომ მდგომარეობის ფუნქცია შეიძლება წარმოვიდგინოთ ნებისმიერი კლასიკური სიდიდის არგუმენტით, რომელიც ახასიათებს ობიექტს, მიუხედავად იმისა, რომ ეს არგუმენტები ერთმანეთს გამოირცხვენ განუზღვრელობათა თანაფარდობის საფუძველზე. მდგომარეობის ფუნქცია გვაძლევს ალბათობის განაწილებას საკუთარ არგუმენტთა მოსალოდნელი მნიშვნელობებისათვის, რაც გაზომვის დროს რეალუციონდება ერთ მნიშვნელობამდე და განისაზღვრება როგორც სისტემის ელემენტი. იგივე პირობებში განმეორებული ცდა მოგვცემს ახალ ელემენტს, ახალ ანათვალს ალბათურ სიდიდეთა ინტერვალიდან და ა. შ... ასლა თუ მოვიწოდებთ დაკვირვების შედეგთან განუზღვრელი პარამეტრის გაზომვას, საჭიროა შევცვალოთ ცდის პირობები (დავტოვოთ სისტემის ფარგლები), მოვახდინოთ მდგომარეობის ფუნქციის ახალი არგუმენტით წარმოღვენა.

ოკლედ, ჩვენი მსჯელობა წარმართულია იქითკენ, რომ ცდის საგანი რომელიც წარმოადგენს ურთიერთქმედებას ხელსაწყოსა და მიკროობიექტს შორის, დაუკავშიროთ თეორიის ობიექტს, რომელიც ერთსულოვანი აღიარებით წარმოადგენს ამ ურთიერთქმედებათა, როგორც ელემენტთა სისტემის მდგომარეობას გამოხატულს Ψ ტალღური ფუნქციით. მამ ჩვენი მიზანია ცდის ერთეულ საგანთა სისტემაში თეორიული ობიექტის ინდუქცია, ისეთი ზოგადქვანტორული Ψ ფუნქციის აგება, რომელიც დააკმაყოფილებს აუცილებლობისა და საყოველ-



თაობის კრიტერიუმს. ამისათვის წინასწარ წარმოვიდგინოთ უცნობი $\Psi(X)$, სადაც X არგუმენტის ქვეშ ვგულისხმობთ ნებისმიერ პარამეტრს, რომელიც შეიძლება გაიზომოს სისტემაში. პაიზენბერგის უტოლობის თანახმად, ეს პარამეტრები ორ p და q სიმრავლედ იყოფიან, რომელთა ელემენტები განუზღვრელობის თანაფარდობაში იმყოფებიან ერთმანეთის მიმართ.

$$\Delta p \Delta q \geq h$$

(X შეიძლება იყოს ან p ან q). ვთქვათ ერთი და იგივე პირობებში გავიმეორეთ ცდები და გავზომეთ რომელიმე სიდიდის მნიშვნელობანი $-p^1 p^2 p^3 \dots p_n$. ეს მნიშვნელობები წარმოადგენდნენ ხელსაწყოსა და მიკროობიექტის ურთიერთქმედების ფიქსირებულ შედეგებს, და აღგენენ ქვანტურ სისტემას. ჩვენი ამოცანაა ამ ერთეული ობიექტებიდან ქვანტურ-თეორიული ობიექტის ინდექსია, კერძო მნიშვნელობათა საშუალებით სისტემის მდგომარეობის ფუნქციის აგება, რომელიც იქნება აუცილებელი და საყოველთაო.

ქვანტურ-მექანიკური ფორმალიზმის ძალით თეორიული ობიექტი შეიძლება წარმოვადგინოთ იმ პარამეტრის ფუნქციად, რომლის გაზომვასაც ვფიქრობთ, როგორც გაზომილ მნიშვნელობათა შესაბამისი მდგომარეობების ჯამი:

$$\Psi(x) = \Psi(p) = \sum_{k=1}^n C_k \Psi p_k$$

თითქოს ამოცანა ამოვხსენით — ემპირიულ ობიექტთა სიმრავლის საფუძველზე ($p^1 p^2 p^3 \dots p_n$) ვიპოვეთ გაზომვის შესაბამისი მდგომარეობები $\Psi(p_k)$ და საბოლოოდ ავაგეთ თეორიული ობიექტი $\Psi(p)$, რომელიც შრედინგერის ტალღური განტოლების დახმარებით საშუალებას მოგვცემს ვიწინასწარმეტყველოთ სისტემის ნებისმიერი მომავალი მდგომარეობა ემპირიულ ობიექტთა (ანუ გაზომვის მნიშვნელობათა) მთელ უსასრულო სიმრავლეზე.

მაგრამ ასეთი დასკვნა მცდარია; სამწუხაროდ, ტოლობაში შემავალი კოეფიციენტი C_k , რომელიც გამოხატავს შესაბამისი მდგომარეობის განხორციელების ალბათობას და განსაზღვრავს მის რაოდენობრივ პროპორციას საერთო ჯამში, თავის დასადგენად აქვთ მოითხოვს მდგომარეობის ფუნქციას, როგორც ცნობილ სიდიდეს და მიიღება მოჩაღოებელი წრე.

$$C_k = \int \Psi(p) \Psi^* p_k dp$$

ეს წინააღმდეგობა შედეგია იმისა, რომ ერთეულთა შემოსაზღვრულ სიმრავლეზე შეუძლებელია საყოველთაოს ინდექსია, ისეთი ზოგადის აგება, რომელიც ერთეულთა უსასრულო სიმრავლეზე გავრცელდება.

ახლა საკითხი შეგვბრუნოთ ასე: დამატებითობის პრინციპის ძალით ერთი დინამიური ცვლადი (p) და მასთან კომუტატიური პარამეტრები არ აღმოჩნდა მდგომარეობის სრული აღწერის საკმარისი საფუძველი. იმისათვის რომ ეს მოეხერხებოდა, უნდა შემოვიყვანოთ პირველთან არაკომუტატიური სიდიდე q . სრული აღწერისათვის აუცილებელია საწყისი ინფორმაციის სისრულე, რაც მოითხოვს არაკომუტატიურ ცვლადთა მოცემულობას (p და q). ვცადოთ ახლა მდგომარეობის ფუნქციის აგება სრული საწყისი მონაცემების საფუძველზე, რისთვისაც უნდა წარმოვიდგინოთ იგი ორი არგუმენტის ფუნქციად.

$$\Psi = \Psi(p, q)$$



მაგრამ ასეთი ფუნქციის აგება შეუძლებელია, რადგან მაშინ შესაძლებელი გახდება p -ს მნიშვნელობიდან q -ს განსაზღვრა, არგუმენტებს შორის დამყარდება ცალსახა ფუნქციონალური კავშირი, რაც ეწინააღმდეგება მათ არაკომუტატიურობასა და განუზღვრელობის პრინციპს. მეორე მხრივ კი Ψ უნდა იყოს საყოველთაო და აუცილებელი, უნდა გრცელდებოდეს სისტემის ყველა ელემენტზე, ე. ი. შეიცავდეს როგორც p -ს ასევე q -ს.

ამ წინააღმდეგობიდან თავის დაღწევის მიზნით ნამდვილ ფუნქციათა კლასიდან უნდა გადაინაცვლოთ წარმოსახვით რიცხვთა სიბრტყეზე. ქვანტურ-თეორიულ ობიექტს, რომელიც როგორც საყოველთაო და აუცილებელი, ინვარიანტულია სხვადასხვა ცდებში, წარმოადგენს წარმოსახვითი ფუნქცია Ψ . ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან p და q ელემენტების ურთიერთგანუზღვრელობის გამო ვერაერთარი ნამდვილი ფუნქცია ვერ გააერთიანებს მათ, რაც გამოიხატა Ψ (p, q) ფუნქციის აგების შეუძლებლობაში, მაგრამ p და q ელემენტთა არაკომუტატიურ სიმრავლეებზე ზემდებარეობს უფრო მაღალი რანგის ინვარიანტი Ψ , რომლის წარმოსახვითობა ნიშნავს იმას, რომ მიკროკოსმოსში დაკვირვებადს ერთდროულად არ შეესაბამება დაუკვირვებადი და მიუხედავად ამისა მაინც შესაძლებელია ქვანტურ-თეორიული ობიექტის რეკონსტრუქცია, სისტემის მდგომარეობის წინასწარხედვა შრედინგერის განტოლებათა საფუძველზე.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

ეთერი რეალიზმი

 ზოგიერთი მოსაზრება ღმერთის ცნების ადგილის შესახებ
 ლაიბნიცის ფილოსოფიაში

იოლი არაა ღმერთის ცნების ადგილის განაზღვრა ლაიბნიცის ფილოსოფიაში. სირთულე გაპირობებულია მრავალი მიზეზით, რომელთაგან მთავარი ეპოქაა, რომელშიც მას მოღვაწეობა უხდებოდა. ათასეკესასწლიანი ტრადიციის მქონე ქრისტიანულმა რელიგიამ ღრმად გაიდგა ფესვები სოციალურ ფსიქოლოგიასა და იდეოლოგიაში. იგი რჩებოდა სულიერი ცხოვრების განსაზღვრულ კომპონენტად. რელიგიის წინააღმდეგ წასვლა ნიშნავდა გაბატონებული იდეოლოგიის, ჩამოყალიბებული ტრადიციების, ქრისტეს იდეის წინააღმდეგ წასვლას. ლაიბნიცი არ იყო ის კაცი, ვინც ამას გააკეთებდა; თავისი კომპრომისული ხასიათით იგი რადიკალურად განსხვავდება სპინოზასაგან. გარდა ამისა, უამრავ სამთავროდ დანაწილებული გერმანია, რომელთაც რელიგია თუ აერთიანებდა მხოლოდ, ათას საზღუნავს უჩენს მას. მაშინ, როდესაც სკეპტიკოსები სატანური კვაყოფილებით ააშკარაებენ მოურიგებელ წინააღმდეგობას გონებასა და რწმენას შორის, ლაიბნიცი თავისი მფარველის, სოფია-შარლოტას დაკვეთით ღმერთის, სიყეთის, სიბრძნისა და სამართლიანობის გადასარჩენად პარველი წერს „თეოდიცეას“.

ყველა ნაშრომში, ყველა წერილში იგი ანგარიშს უწევს ეპოქასა და იმ პირობებს, რომელთაც ეკამათება; ამავე დროს დეკარტისა და სპინოზას ხაზის გამგრძელებელი რჩება ფილოსოფიაში. იგი ფილოსოფიის მეცნიერულობას მოითხოვს და კიდევაც ქანის მას. იგი იმდენად მკაცრი მეცნიერია, რომ თავად იგივეობის დებულებასაც ასაბუთებს. დეკარტის კრიტიკისას¹ ის წერს: ის, რომ სამკუთხედის ორი გვერდი ერთად მეტია, ვიდრე მესამე, როგორც ერთი მოხუცი ხუმრობდაო ძველად, სახედრებშიც იციან, რომელიც სადგომში სწორი მიმართულებით მიდიან, ანტიკომ აქსიომებიც უნდა ემყარებოდნენ არა გრძობად ასახვს, არამედ გონიერ საბუთებს. ლაიბნიცი ყველა ფილოსოფიურ თეორიიდან მოითხოვს თანხმობას ბუნების კანონებთან. მითუმეტეს საოცარია ასეთი სტილის მოაზროვნისაგან პრობლემათა გადასაჭრელად წამდაუწყებელი ღმერთის მოშველიება. თავად მისი წუხილიც — ის, ვინც მე მიცნობს მხოლოდ განოქვეყნებული ნაწერებით, არსებითად სულაც არ მიცნობს — განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ლაიბნიცის მკვლევარისაგან.

ვფიქრობ, ლაიბნიცის ფილოსოფიის წაკითხვა შესაძლებელია ღმერთის ცნების უგულვებლყოფის გზით, ანის საშუალებას ლაიბნიცი იძლევა, თუმცა ეს არ იქნება ერთადერთი ინტერპრეტაცია მისი ნააზრვისა. ერთი შეხედვით, სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს ი. ნარსკი, რომლის აზრითაც, ღმერთის ცნება ლაიბნიცთან ოთხი პოზიციით შეიძლება იქნეს განხილული: თეიზმის, პანთე-

¹ G. W. Leibniz, Hauptschriften zur Grundlegung der Philosophie, B. I. Leipzig, 1904, S. 285,



იზმის, დეიზმისა და ათეიზმის პოზიციიდანაც კი, მართლაც მის ნაშრომებში მრავალადაა ადგილები, რომელთა მოყვანაც შეიძლებოდა თითოეული პოზიციის დასასაბუთებლად, მაგრამ აქ სიფრთხილეა საჭირო; გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ლაიბნიცს მკაცრი ფილოსოფიური სისტემა არ შეუქმნია, (მისი თვალსაზრისის ჩამოყალიბება ხდება სხვადასხვა პირებთან კამათსა და მიმოწერაში, ამიტომ მის ნაწერებს ფრაგმენტული ხასიათი აქვს), და მეორე, როდესაც წამოჭრილი საკითხის გადაწყვეტას ვცდილობთ, მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, წინააღმდეგობაში არ მოვიდეთ მის ძირითად ფილოსოფიურ თვალსაზრისთან. აქ ინტერპრეტატორი ასეთი სიძნელის წინაშე დგება: რომელია ლაიბნიცისათვის ძირითადი თვალსაზრისი?

არ უნდა იყოს სწორი ბერტრან რასელის აზრი, რომლის მიხედვითაც, არსებობს ლაიბნიცის ორი სისტემა: ერთი, რომელსაც ის აქვეყნებდა, ორთოდოქსალური, ოპტიმისტური, ფანტასტიური და წვრილმანი, და მეორე, რომელიც გამოუქვეყნებელი დარჩა, ღრმა, ნათელი და საოცრად ლოგიკური. ლაიბნიცის ნააზრევში მართლაც შეიმჩნევა ორი ხაზი, ეზოტერული და ეგზოტერული, მაგრამ ეს ორი ხაზი შეიმჩნევა როგორც გამოუქვეყნებელ, ისე გამოქვეყნებულ ნაწერებში. ყველა საკითხზე, რომელიც ლაიბნიცმა წამოჭრა, არსებობს ორი პასუხი, ერთი ამა ქვეყნის ძლიერთათვის, მეორე მთავროვნეთათვის; თუმცა ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ ლაიბნიცი ყველა სიძნელის გადასაჭრელად ღმერთს იშველიებს.

განვიხილოთ ის ფუნქციები, რომლებიც ღმერთს აკისრია მის ნააზრევში:

1. ღმერთის ერთი ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს სამყაროს საკმაო საფუძვლად ყოფნაში. რას ნიშნავს ეს?

სამყაროს აქვს შემთხვევითი არსებობა; მასში ისეთს ვერაფერს ვნახავთ, რაც მისი არსებობის აუცილებლობაში დაგვარწმუნებდა: ასევე, არც ერთი ერთეული საგანი არ მოიაზრება, როგორც აუცილებლად არსებული, რადგან აუცილებლად არსებული ისაა, რისი საწინააღმდეგოს მოაზრებაც შეუძლებელია. სხვაგვარი ერთეული საგნებისა და მთლიანად ამ სამყაროს საწინააღმდეგოს მოაზრება კი შესაძლებელია: არსებულს უნდა ჰქონდეს საკმაო საფუძველი, და ეს საფუძველი ღმერთშია (ლენინი აღნიშნავს, რომ ლაიბნიცს ჰეგელზე უფრო ღრმად ესმოდა საკმაო საფუძვლის კანონი. „ლაიბნიცი საფუძვლის საკმარისობას უპირობებდა მიზეზობრიობას ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, როგორც მოქმედების მექანიკურ ზერბს. ის ეძებდა „მიზეზთა მიმართებას“, მთელს, როგორც არსებით ერთიანობას“)².

ყოფიერება, ლაიბნიცის მიხედვით, არის შესაძლებელი და ნამდვილი. ის საერთო, რაც შესაძლებელსა და ნამდვილ ყოფიერებას აქვს, არის არსება. ნამდვილი ანუ არსებული სამყარო ერთია. უსასრულოდ მრავალ შესაძლებელ სამყაროთაგან, რომელთაგან თითოეული პასუხობს არაწინააღმდეგობრიობის პრინციპს, და მისიწრაფის არსებობისაყენ, რატომ განხორციელდა სწორედ ეს სამყარო და არა სხვა? ამას უნდა ჰქონდეს საკმაო საფუძველი. პასუხი ორია:

ა) ეს სამყარო განხორციელდა იმიტომ, რომ ღმერთმა ამოარჩია ყველაზე სრულყოფილი სამყარო.

ბ) განხორციელდა ის სამყარო, რომელიც თავის თავში მოიცავს კანონთა მაქსიმალურ სიმარტივეს და შინაარსის მაქსიმალურ სიმდიდრეს. განხორციელდა

² ლენინი, თხზულებანი, ტ. 38, თბილისი, 1963, ვვ. 137.



ის სამყარო, რომელსაც არსებობის მაქსიმალური რაოდენობა აქვს (твущее — говорит он (ლაიბნიცი, — ე. რ.) это бытие, которое совмѣстимо с наибольшим числом вещей)³.

სიტუაცია Sn შესაძლებელია E ისტემაში, თუ ის არ ეწინააღმდეგება S₁, S₂, S₃, ... და ა. შ. შესაძლებელი საგნები შესაძლებელი არსებული საგნებია, ამდენად შესაძლებლიდან გამოიყვანება არსებობა, თუ ამას რაიმე არ ეწინააღმდეგება. არსებობა აღმოჩნდა თავად არსების თვისება და იგი თითქოს ავტომატურად რეალიზდება არსების რაოდენობის შესაბამისად. რასელი წერს, თუ ამას ლაიბნიცი არსებობის განსაზღვრებად მიიჩნევს, აქედან საოცარი შედეგები გამოდისო, მაშინ ხომ «Мир существует без необходимости любого божественного декрета». ამავე აზრისაა კუტიურაც.

სპინოზასთან შეხვედრის შემდეგ ლაიბნიცი წერდა, რომ მისი პრინციპია — არსებობს ის, რასაც შეუძლია არსებობა და თანაარსებადია სხვასთან — იმიტომ, რომ არსებობის საფუძველი არ უნდა ისაზღვრებოდეს არავითარი სხვა საფუძველით, გარდა იმისა, რომ ყველაფერი არ არის თანაარსებადი — არსებობს საუკეთესო, ე. ი. თავის თავში ყველაზე მეტი რეალობის მქონე, და «ყველაფერი, რაც არსებობს, სანამ ის არსებობს, არსებობს აუცილებლობით».

ესაა ლაიბნიცის მეორე პასუხი სამყაროს საკმაო საფუძველის შესახებ. 2. მარადიულ ქეშმარიტებებთან დაკავშირებით ლაიბნიცი ამბობს, რომ მათი მატარებელი არის ლეტაებრივი გონება. — ამავე დროს იგი აღნიშნავს, რომ ისინი ანალიზური ხასიათის დებულებანია, ანუ ისეთი დებულებანი, რომელთა საწინააღმდეგოს მოაზრება შეუძლებელია. „თეოლიცეაშიც“ კი, იგი განასხვავებს გონების ქეშმარიტებებს რწმენის ქეშმარიტებებისაგან. ისინი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან. გონების ქეშმარიტებებს ადამიანური გონი ბუნებრივი გზით, გამოცხადებისა და რწმენის დახმარების გარეშე შეიცნობს. რწმენის ქეშმარიტებას ღმერთი არაჩვეულებრივი გზით გახსნის. პირველის საქმეა მეცნიერება, მეორისა — მორალი. მარადიული ქეშმარიტებების კრიტერიუმად ლაიბნიცი წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს აცხადებს. ფაქტის ქეშმარიტებათა სარწმუნოობა კი საკმაო საფუძველის კანონს ემყარება. ამრიგად, არც აქ აღმოჩნდა საჭირო ღმერთის მოშველიება.

3. იდეალური სუბსტანციების აღიარებით თითქოს უნდა მოხსნილიყო სიძნელე, რომელიც ფილოსოფიის ისტორიაში ფსიქო-ფიზიკური პარალელიზმის სახელითაა ცნობილი. იგი პირველად პლატონთან მოგვევლინა, შემდეგ ქრისტიანული რელიგიის საფუძველზე ვითარდებოდა და ყველაზე დასრულებული ფორმა დეკარტთან მიიღო.

ორი დამოუკიდებელი სუბსტანციის აღიარების გამო დეკარტი ასეთი დილემის წინაშე აღმოჩნდა: არ შეეძლო უარი ეთქვა ფსიქიკურისა და ფიზიკურის თანხმობაზე ადამიანში და ამავე დროს ერთის მეორეზე გავლენა არ უნდა დაეშვა. (ის ხომ რაციონალისტია, მატერიის ცნება არ მოითხოვდა აუცილებლობით იდეალურის ცნებას და პირიქით; ამიტომ ვერ დაუშვებდა ერთის მეორეზე გავლენას). აქ დეკარტს ოკაზიონალისტები დაეხმარნენ: იმისათვის, რომ უფრო თვალნათლივ აჩვენოს ფიზიკურისა და ფსიქიკურის თანხმობის ფაქტი ადამიანში, გოლინიქსს მოაქვს ასეთი მაგალითი: როგორც ორი იდეალურად აწყობილი საათი მუშაობს ყოველთვის სინქრონულად, მაგრამ ერთმან-

³ Рассел Б. История западной философии, М., 1959, с. 613.

ნეთზე არ მოქმედებს, ისე სული და სხეული ადამიანში შეესაბამება ერთმანეთს ურთიერთზემოქმედების გარეშე. ეს წესრიგი ღმერთმა სამყაროს შექმნისას ზაამყარა. მალბრანშთან ფსიქო-ფიზიკური პარალელიზმი უაზრობანდ მივიდა, რადგან არა მარტო ფიზიკურის მოაზრებისათვის არ იყო საჭირო ფსიქიკური (და პირიქით) არამედ ყველა საგანი მოწყდა ერთმანეთს და ღმერთს დაუკავშირდა. ღმერთია ერთადერთი შემოქმედი და ყოველი მოქმედება ღმერთის მოქმედებით არის განსაზღვრული (არც ერთი საგნის მოაზრება არ საჭიროებს ცნებითად მეორეს, ამიტომ თითოეული მიზეზი მეორე კი არაა, არანედ ღმერთია. ამ მხრივ მალბრანში გარკვეული აზრით, ლაიბნიცის წინამორბედი). ამ სიძნელის გადაჭრას სპინოზა შეეცადა დუალიზმის მოხსნით და მონისტურ თვალსაზრისზე დადგომით: არ არსებობს ორი სუბსტანცია. არსებობს ერთი სუბსტანცია, ღმერთი ანუ ბუნება. ამ ერთი ღმერთიდან გამომდინარეობს ორი ატრიბუტის, განფენილობისა და აზროვნების მოდუსები. და აი, კვლავ წამოიჭრა პრობლემა: რა მიმართებაში არიან ამ ორი ატრიბუტის მოდუსები? მატერია და სული, განფენილება და აზროვნება ერთი და იგივე პრინციპის მოდიფიკაციებია; იდეათა წესრიგი და კავშირი ისეთივეა, როგორც საგანთა წესრიგი და კავშირი და პირიქით. ამიტომ სულში იდეების წესრიგი და კავშირი შეესაბამება სხეულის მდგომარეობის წესრიგსა და კავშირს და ზუსტად ასევეა პირიქით — პასუხობს სპინოზა. მისთვის ადვილია ასეთი პოზიციის მიღება, რადგან პანთეისტია. საგნები ღმერთშია, ისევე, როგორც ღმერთია საგნებში. ლაიბნიცი არ არის პანთეისტი, ამიტომ მისთვის კვლავ მთელი სიმწვავეთ დადგა იგივე პრობლემა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფსიქო-ფიზიკური პარალელიზმის პრობლემა მასთან არის კერძო შემთხვევა მატერიასა და ცნობიერებას შორის დამოკიდებულებისა, რადგან არ არსებობს არც ერთი მონადა (გარდა ღმერთისა) რომელიც სხეულებრივად არ წარმოიდგინება. სული და სხეული ერთმანეთისაგან მოწყვეტილად არ არსებობენ; სადაც არის სხეული, იქ არის სული და პირიქით.

მეორე პრობლემა, რომელიც „უფანჯრო“ მონადის ცნების შემოტანამ წამოჭრა, არის ასეთი: რა დამოკიდებულებაა სხვადასხვა მონადებს შორის, ან როგორ არის შესაძლებელი, რომ ყოველგვარი აზროვნებისათვის 2×2 არის 4, ან როგორ არის შესაძლებელი მეცნიერება?

ზოგიერთი მკვლევარი ასეთ პრობლემასაც აყენებს — როგორია მონადებისა და მათი კომპლექსების დამოკიდებულება, მაგალითად ადამიანში? ჩემის აზრით, პრობლემის ასე დასმა არ არის მართებული, რადგან მონადები არ არიან ელემენტები, კომპონენტები სხეულისა. ისინი არც მიზეზნი არიან მისი. სხეული არ შედგება სუბსტანციებისაგან, როგორც ნაწილებისაგან, ის არც წარმოიშობა მათგან; სუბსტანციები არიან საფუძველი სხეულისა. მატერია არ შედგება კონსტრუქციური ერთიანობებისაგან, იგი გამომდინარეობს მათგან, რადგან მატერია ან განფენილი მასა მხოლოდ ფუნქციონირებს (სუბსტანცია საფუძველია სხეულისა, მაგრამ არა მიზეზი; ისევე, როგორც აზროვნებას საფუძველი მატერიაში აქვს, მაგრამ როგორც არ უნდა ვეცადოთ, მატერიისაგან მას ვერ გამოვიყვანოთ: — ე. რ.). ლაიბნიცი სვამს კითხვას არა იმის შესახებ, როგორ წარმოიშობა სხეული, ის კითხვას სვამს თავად სხეულის პრინციპის შესახებ.

მოკლედ, ლაიბნიცისათვის სამყარო ასე დანაწილდა: მონადები (არსებობათა სფერო), მონადათა მოდიფიკაციები (მატერიალური, ფენომენალური სამყარო)

და რელაციები (დრო, სივრცე, მოძრაობა, რიცხვი და ყველა ფარდობითი ხასიათის თანშობილი იდეა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თანშობილი იდეა ლაიბნიცს ესმის, როგორც ჩვენი სულის უნარი). ზემოთ აღნიშნული პრობლემები სამყაროს ასე დანაწილებამ და „უფანჯრო“ მონაღის ცნების შემოაქვს პრესტაბილური მოჭრა. ამ პრობლემათა გადასაჭრელად ლაიბნიცს შემოაქვს პრესტაბილური ჰარმონიის ცნება და მისი უკეთ დადგენილებისათვის იყენებს ორი საათის ცნობილ მავალითს, რომელსაც პირველად გოილინქსმა მიმართა: წარმოიდგინეთ ორი საათი, რომელნიც სულ უზნიშვნელო გადახრის გარეშე განუწყვეტლივ თანხმობაში არიან ერთმანეთთან. ეს შესაბამისობა საში მიზეზით შეიძლება ახსნილიყო: ან ორივე ერთმანეთზე გავლენას ახდენს (ზემოთ უკვე ითქვა, რომ რაციონალისტი ამას ვერ დაუშვებს), ან ისინი ისეთი დაკვირვებული მექანიკოსის მეთვალყურეობის ქვეშ არიან, რომ ის მათ განუწყვეტლივ არეგულირებს (ნალბრანში), ან მესამე — ორივე საათი ისეთი სრულყოფილებით არიან შექმნილი, რომ მათი შესაბამისობა სამუდამოდ უზრუნველყოფილია — ლაიბნიცი ამ შესაძლებლობას მიიღებს: ღმერთმა ყოველი სუბსტანცია ისე შექმნა, რომ ყოველი, რომელშიც მისი საკუთარი კანონი სრულდება, რომელიც მან თავის საკუთარ არსებობასთან ერთად მიიღო, სხვასთან ზუსტად ისეთივე თანხმობაში რჩება, თითქოს ორმხრივ გავლენას ჰქონოდა ადგილი. ეს არის მისი მოძღვრება პრესტაბილური ანუ წინასწარ მოწყობილი ჰარმონიის შესახებ.

ფიციერბაბის აზრით, პრესტაბილური ჰარმონია არა მარტო უსაყვარლესი პირმშოა ლაიბნიცისა, არამედ სუსტი მხარეც. განსაკუთრებით, თუ მას ზედაპირულად გავივებთ: პოპულარული გაგება განსაკუთრებულ, სამყაროს გარეთ მდგარ არსებაზე, რომელიც მხოლოდ გარეგნულ, მექანიკურ კავშირშია საგნებთან, აქ ჩრდილს ფენს ლაიბნიცის მეტაფიზიკას, თავისი არსებით მეტად ღრმა მეტაფიზიკას, მაგრამ ეს ჩრდილი მისი ფილოსოფიის არსებას არ ეხება.

მოძღვრებას პრესტაბილური ჰარმონიის შესახებ კანტი მკაცრად აკრიტიკებს, თვლის რა მას არამეცნიერულად: «Так как система окказионализма менее удобна для объяснения всего из одного принципа, чем последняя система... то должна была появиться эта удивительнейшая из всех выдумок философии, только потому что все хотели объяснить и сделать понятным на основании понятий»⁴. არა მარტო კანტი, ლაიბნიცის ფილოსოფიის ბევრი მკვლევარი თვლის მას არამეცნიერულად. ვნახოთ, მართლა ასეთი ხელოვნური და ნამდვილობას მოკლებული პასუხით დაკმაყოფილებდა ლაიბნიცი თუ არა. პრესტაბილურ ჰარმონიას ლაიბნიცთან აქვს ონტოლოგიური და გნოსოლოგიური საზრისი. ონტოლოგიურად ის ნიშნავს, (როგორც უკვე აღვნიშნეთ), მატერიალურსა და იდეალურს, არაცნობიერსა და ცნობიერს შორის თანხმობას. რის საფუძველზეა ეს შესაძლებელი? ის რომ მხოლოდ ღმერთის მოშველებით აიხსნებოდეს, მართლაც შეიძლებოდა ჩაგვეთვალა ხელოვნურად და ნამდვილობას მოკლებულად, მაგრამ საქმე სხვაგვარადაა. პრესტაბილური ჰარმონია მხოლოდ გარეგნული, თეოლოგიური გამოხატულებაა იმისა, რომ სული მთავარი ენტელეჰია, სუბსტანციონალური ფორმა, სხეულის არსებითი ძალა და სულსა და სხეულს შორის შესაბამისობა არსებობს. სული წარსებობდა არის წარმოდგენა ერთიანობაში მრავლისა; სხეული გაშლილი, გავრცობილი სულია, სული—მეტა-

⁴ И. Кант. Соч. в шести томах, т. 6, М., 1960, с. 208.

ფიზიკური წერტილი. როდესაც ლაიბნიცი ამბობს, პრესტაბილური ჰარმონია ღმერთის მიერაა წინასწარ მოწყობილი, მას იმის თქმა უნდა, რომ არსებული ჰარმონია მხოლოდ ღვთაებრივი მოქმედების საშუალებით შეიძლება არაა — მ ა რ ა ბ ი ლ ი ყ ო , მაგრამ მისი სისტემა არსებითად არაა დაკავებული მონადაა წარმოშობის საკითხით; მისი აზრით, ა რ ა ს ო დ ე ს ხდება არც სრული დაბადება, არც სრული სიკვდილი, ამ სიტყვების ზუსტი მნიშვნელობით; რასაც ჩვენ დაბადებას ვეწოდებთ, განვითარება და გარდა, რასაც სიკვდილს — ის კვდება და შექმშება! ეს ერთი, მეორე, ლაიბნიცს აქვს სხვა პასუხიც: «При помощи этих же незаметных восприятий я объясняю изумительную предустановленную гармонию души и тела и даже всех монад или простых субстанций»⁵.

რას გულისხმობს აქ ლაიბნიცი? როგორ აპირებს იგი შეუმჩნეველი აღქმების (მცირე პერცეფციების) საშუალებით სულსა და სხეულს, აზრსა და საგანს შორის არსებული ჰარმონიის ახსნას? აუცილებელია გავიხსენოთ სამყაროს ლაიბნიცისეული სურათი: თითოეული მონადა მიკროკოსმოსია — თვისებრივად მთელ მაქსიმუმს მოიცავს; მონადა სამყაროს სარკეა; დრო და სივრცე თანშობილი იდებია, სულის უნარები; გამოდის რომ სამყარო ჩემი ფენომენია. გონებას აქვს როგორც მცირე პერცეფციები, ისე აპერცეფციები (ყურადღებისადმი სპეციალურად დამორჩილებული პერცეფციები) და ახასიათებს სწრაფვა თავისი თავის რეალიზებისაკენ (პერცეფციებიდან — აპერცეფციებისაკენ) ეს არის გონების თვითგანვითარება, და იგი თვითშემეცნებას უღრის. ჩვენ გვაქვს უსასრულოდ მრავალი მცირე პერცეფცია (შეუმჩნეველი აღქმა), რომელსაც ვერ ვამჩნევთ. სულში ყოველ წამს ცვლილებები ხდება, მაგარამ ყოველი მათგანის გაცნობიერება არ ხდება, რადგან მათი მოქმედება ან ძალზე უმნიშვნელოა და მრავალმხრივი, ანდა ძალზე ერთფეროვანია. სხვა პერცეფციებთან კავშირში ისინი თავის არსებობას გვაგრძობობენ და მას შემდეგ, რაც ყურადღებას მივაპყრობთ მათზე, ისინი გაცნობიერებული გახდებიან. ლაიბნიცს ასეთი ანალოგია მოაქვს: თუ ჩვენ დიდხანს ვიცხოვრებთ ჩანჩქერთან ან წისკვილთან ახლოს, მათი ხმაური შეუმჩნეველი ხდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ხმაური ჩვენზე გავლენას არ ახდენს, თუ ჩვენს ყურადღებას ვინმე მიაპყრობს მასზე, მას მაშინვე შევამჩნევთ. დაახლოებით ასეთივე მაგალითი მოჰყავს მას წინასიტყვაობაში შრომისა „ახალი ცდები ადამიანური გონების გამოკვლევის შესახებ“. — ზღვის მოქცევის ხმაურის გაგონება შეიძლება მხოლოდ მის შემადგენელ ტალღათა ხმაურის გაგონებისას, თუმცა ცალკეული ტალღის ხმაურს ვერ ვამჩნევთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითოეული მათგანი ხმას არ გამოსცემს, რადგან «Сто тысяч ничто не могут составить нечто!» გამოდის, რომ ლაიბნიცი შეუმჩნეველ აღქმებს აკისრებს ხიდის როლს მატერიალურსა და იდეალურს შორის შესაბამისობის ახსნისათვის.

მცირე პერცეფციები კავშირს ამყარებენ არა მარტო სულსა და სხეულს, ცნობიერსა და არაცნობიერს შორის, არამედ მათ საფუძველზეა შესაძლებელი ცალკეულ სუბსტანციებს შორის კავშირიც — სწორედ ისინი ახორციელებენ იმ კავშირს, რომელშიც იწყობება ყოველი არსება მთელ დანარჩენ სამყაროს-

⁵ Лейбниц. Новые опыты о человеческом разуме. М. - Л., 1936, с. 50.

⁶ იქვე, გვ. 51.



თან. გამოდის, რომ პრესტაბილური ჰარმონია წინასწარ, გარედან ჰარმონიის აზრით ზედმეტი გახდა.

პრესტაბილური ჰარმონიის გნოსეოლოგიური საზრისი მდგომარეობს იმაში, რომ ის გვევლინება როგორც აზროვნების შინაგანი, აუცილებელი კანონი. ყველა მონადისათვის, რომელთაც აპერცეფციები აქვთ, $2 \times 2 = 4$. შეიძლება ველურმა ეს არ იცოდეს, შეიძლება ცივილიზებულმა ადამიანმა დიფერენციალური აღრიცხვა ვერ გაიგოს, ეს არაფერს ნიშნავს, ეს არის აზროვნების აუცილებელი კანონი და განვითარების გარკვეულ საფეხურზე მისთვისაც გასაგები იქნება (პრესტაბილური ჰარმონიის ამ გაგებას კანტი თავისებურად განავითარებს).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამყაროში არსებული ჰარმონიის ახსნაც ლაიბნიცმა ორგვარად სცადა, ღმერთის დახმარებით და მისი დახმარების გარეშე.

ლაიბნიცი ყოვლისმომცველი ფილოსოფიური სისტემის შექმნას ცდილობს და ამ სისტემაში საკმაო საფუძვლის კანონი, პრესტაბილური ჰარმონია და მოძღვრება ჰეგელიანობაზე სამი საკვანძო საკითხია, რომელთა გადასაწყვეტად მას ღმერთის ცნების შემოტანა დაჭირდა, თუმცა, როგორც ვნახეთ, ამ საკითხებზე სხვა პასუხებიც მოიძებნა მის ნააზრევში. სხვა რაინე ფუნქციას ღმერთის ცნება ლაიბნიცის ონტოლოგიასა და გნოსეოლოგიაში არ ასრულებს. ამდენად, შეიძლება ითქვას, ლაიბნიცის ნააზრევის წაკითხვა შესაძლებელია ღმერთის ცნების გარეშე: ამგვარად წაკითხული ლაიბნიცი კი დღევანდელი მეცნიერებისა და ფილოსოფიის ბევრი საკითხის გადაჭრაში მოგვეშველება. რა თქმა უნდა, ავტორს არა აქვს პრეტენზია იმისა, რომ წამოჭრილ საკითხებს ამომწურავი პასუხი გასცა, მაგრამ საფიქრებელია, რომ ლაიბნიცის წაკითხვის არც ეს გზაა უარსაყოფი; იგი ლაიბნიცთან დაბრუნებას ნიშნავს. მეტად გულსატკენია, რომ ლაიბნიცს ჩვენს ისტორიულ-ფილოსოფიურ ლიტერატურაში მეტად მცირე ადგილი ეთმობა, თუმცა იგი ყველაზე ახლოა თანამედროვეობასთან.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ფილოსოფიის ინსტიტუტმა



ფსიქოლოგია

ნოდარ ბარამიძე

სწავლის მოტივის ზოგადი და სპეციფიკური თავისებურების შესახებ

სწავლა, როგორც მოსწავლის ქცევის ძირითადი ფორმა, მრავალი მკვლევარის მიერაა შესწავლილი. მასზე დაწერილია და იწერება როგორც თეორიული, ისე ექსპერიმენტული ხასიათის გამოკვლევები. ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში მოიბოვება მრავალრიცხოვანი ლიტერატურა, რომელიც სასწავლო ქცევის ბევრ განსხვავებულ იმპორტებსა თუ ასპექტს აშუქებს: სწავლა მეხსიერების ფსიქოლოგიის ასპექტში, სწავლა და განვითარება, სწავლის მოტივაციური სტრუქტურა და ა. შ. ცნობილია აგრეთვე სწავლის კომპლექსური შესწავლისადმი მიძღვნილი ლიტერატურაც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საყოველთაოდ მიღებული აზრი სასწავლო ქცევის ფსიქოლოგიურ ბუნებასა და მის მამოძრავებელ ძალაზე (მოტივებზე), ჯერ კიდევ არ მოგვებოვება. წინამდებარე გამოკვლევის მიზანია შესაბამისი თეორიული მასალის ანალიზისა და გარკვეული ექსპერიმენტული მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე წარმოადგინოს ზოგიერთი მოსაზრება სწავლის მოტივის პრობლემასთან დაკავშირებით.

ვიღრე უშუალოდ დასმულ საკითხზე გადავიდოდეთ, აუცილებელია წინასწარ დავაზუსტოთ სწავლის ადგილი ადამიანურ ქცევათა სისტემაში. ეს მით უფრო აუცილებელი იქნება თუ გავითვალისწინებთ, რომ არც ამ საკითხზე არსებობს სრული თანხმობა მკვლევრებს შორის. აჯად დ. უზნაძისა და მისი ზეგავლენით ჩვენში დამკვიდრებული შეხედულებების მიხედვით, სწავლა წარმოადგენს გარდამავალ ფორმას ქცევის ინტროვენურ და ექსტროვენურ კატეგორიებს შორის. კერძოდ, მას საშუალო ადგილი უჭირავს თამაშსა და შრომას შუა და გარდამავალი საფეხურია პირველიდან მეორემდე. სწავლის ადგილის ასეთი გაგება, ჩვენის აზრით, გარკვეულ წინააღმდეგობებს აწყდება. 1976 წელს შესრულებულ შრომაში¹ ჩვენ დეტალურად განვიხილეთ დ. უზნაძის ზემოაღნიშნული შეხედულება, აგრეთვე სხვა ავტორების მოსაზრებანი და სათანადო თეორიული მსჯელობისა და ზოგიერთი ექსპერიმენტული მონაცემის გათვალისწინების საფუძველზე წარმოვადგინეთ მოცემული საკითხის გაგების ერთი თავისებური ცდა. კერძოდ, ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ სწავლა გამოგვეცხადებინა არა გარდამავალი ქცევის ფორმად თამაშიდან შრომისაკენ, არამედ გონებრივი შრომის სპეციფიკურ სახედ. მართლაც, მოსწავლის სასწავლო აქტივობა თავისი ფსიქოლოგიური ბუნებით, მოტივაციური წყობის თავისებურებით იმდენად შორს დგას თამაშიდან და ისე უახლოვდება შრომას, რომ ძნელია ილაპარაკო მასზე, როგორც გარდამავალ ქცევაზე პირველიდან მეორემდე. და თუკი ეს ასეა, თუ თამაშის ანუ ინტროვენური ქცევის ელემენტ-

¹ ნ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ზოგიერთი მოსაზრება სწავლის ადგილის შესახებ ადამიანურ ქცევათა სისტემაში, ჟ. "მაცნე", ფილოსოფიის... სერია, 1977, № 4.



ბის ხედრითი წონა ძალიან მცირეა სწავლაში, ხოლო შრომის ანუ ექსტროგენური ქცევის ელემენტებისა მეტად დიდი (ფაქტურად გადაამწყვეტი), ვიქტრობთ, ნაკლებად დამაჯერებელია მისი გამოცხადება ინტროგენური ქცევის ფორმადაც და ექსტროგენურადაც. სწავლა, როგორც გონებრივი შრომის სპეციფიკური სახე და ქცევის თავისებური ფორმა, ჩვენის აზრით, არსებითად ექსტროგენურ ქცევათა კატეგორიაში უნდა გაერთიანდეს.

რა უნდა იყოს ასეთნაირად გაგებული სწავლის მოტივი? რა ზოგადი და სპეციფიკური თავისებებრებანი შეიძლება ახასიათებდეს მას? თავიდანვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ როგორც კონკრეტული შინაარსიც არ უნდა მიიღოს სწავლის მოტივი. იგი აუცილებლად უპასუხებს ადამიანის ქცევისა და მისი მოტივის იმ ძირითად მოდელს, რომელიც მოცემული აქვს დ. უზნაძეს და რომლის მიხედვითაც ყოველ ქცევას საკუთარი მოტივი აქვს. მოტივსა და ქცევას შორის ყოველთვის ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება არსებობს. ფიქლოვანი ქცევა იმდენივეა, რამდენიცაა მოტივი, ე. ი. ერთ ქცევას მხოლოდ ერთი მოტივი შეიძლება ჰქონდეს. და მართლაც, ვინაიდან სწავლა, ჩვენის აზრით, გონებრივი შრომის სახესხვაობაა, იგი არსებითად ერთმოტივიან ქცევას უნდა წარმოადგენდეს. რასაც ვერ ვიტყვით თუ ვაღიარებდით, რომ სწავლას საშუალო (გარდამავალი) ადგილი უჭირავს თამაშსა და შრომას შუა. ასეთ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებოდით გვეცნო სწავლის ორმოტივიანობა, თამაშისა და შრომის მოტივებით მისი ერთდროული განსაზღვრულობა, რაც წინააღმდეგობაში მოვიდოდა უზნაძის ზემოაღნიშნულ მოდელთან.

ამრიგად, რა უნდა იყოს ჩვენს მიერ თავისებურად გაგებული სწავლის მოტივი? ვინაიდან სწავლა გონებრივი შრომის სახესხვაობაა, მისი მოტივიც შრომის მოტივის თავისებურებას უნდა იზიარებდეს. შრომა, როგორც ვიცით, წმინდა ნებისმიერი — ნებისყოფით განსაზღვრული ქცევაა, იგი, დ. უზნაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ემსახურება „ხედროული“ და „ხეიუბიექტური“ ღირებულების მქონე პროდუქტის შექმნას. „შრომის პროცესის აუცილებელ პირობას განზრახვის ობიექტური ღირებულების ცნობა და აქედან გამომდინარე მოვალეობის გრძნობის მიხედვით მოქმედების რეგულაცია შეადგენს“². სწავლაც ნებისმიერი ანუ ნებისყოფით განსაზღვრული აქტივობაა. ისიც, შრომის მსგავსად, ყოველთვის ობიექტურად ღირებულ მიზანზე მიმართული და მის რეალიზაციას ესწრაფვის. სწავლის სუბიექტის, როგორც ნებისყოფის სუბიექტის აქტივობა, ჩვეულებრივ, „მე უნდა გავაკეთოს“ ცნობიერების ფონზე იწლება. სწორედ „მე უნდა გავაკეთოს“ „მე უნდა ვისწავლო“ — განცდა ფიგურირებს მოსწავლის ცნობიერებაში მისი სასწავლო აქტივობის მიუღეს მანძილზე. აქედან გამომდინარე, ნათელია რომ ნამდვილი სწავლა მხოლოდ იქაა შესაძლებელი, სადაც ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის შეგნების უნარი სათანადოა და მომწიფებული, სადაც შესაძლებელია საკუთარი ქცევის ობიექტური ღირებულების მიხედვით წარმართვა.

ამრიგად, სწავლის როგორც ქცევის თავისებური ფორმის, როგორც გონებრივი შრომის სახესხვაობის, ძირითადი მოტივის როლში გამოდის ობიექტური ღირებულება. იმ პროდუქტის (ცოდნა-ჩვევის) საზოგადოებრივი ღირებულების ცნობიერება, რომლის მოპოვებაც მის მიზანდასახულობაში შე-

² დ. უზნაძე, შრომები, ტ. V, თბილისი, 1967, გვ. 378.

დის. სწორედ ამიტომაც, რომ სწავლა მოსწავლის მიერ განიცდება როგორც სამომავლოდ გულდებეჭდილი რამა.

ვინაიდან სწავლა წმინდა ნებისმიერი (ნებისყოფით განსაზღვრული). სხვანაირად რომ ვთქვათ, პიროვნული ქცევაც, რომლის მოტივსაც ობიექტური ღირებულება წარმოადგენს, ვასაგებია, რომ იგი ყოფილი შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე აქტივობა. ისეთი ქცევა, რომელიც თავისე შედეგებითა და საერთო მიზართულებით მოსწავლის ხვალისდელი დღის ინტერესებს შეესაბამება. და მართლაც, უბრალო დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სასწავლო ქცევის მიზანი ყოველთვის მომენტური აწმყოს ფარგლებს გარეთაა მოქცეული. სწავლა არასდროს არ ითვალისწინებს მოსწავლის აქტუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. სწავლის დროს ისეთი რამე კეთდება, რომელიც მომავლის გარემოებათა დასაკმაყოფილებლადაა ნოწოდებული. ამასთანავე, ეს მომავალი ერთ შემთხვევაში შეიძლება საათებით განისაზღვრებოდეს, მეორე შემთხვევაში დღეებით, მესამეში—თვეებით და ა. შ. ამას, როგორც ცნობილია, ხაზს უსვამს პროფ. შ. ჩხარტიშვილი, ამასვე მოუთითებს ჩეხი მკვლევარი ი. ლინგარტი როდესაც ამბობს: გარკვეულ პირობებში, მაგალითად, სკოლაში, ადამიანი (მოსწავლე) სწავლობს იმ სიტუაციებთან და ამოცანებთან დაკავშირებით, რომლებიც, როგორც მოსალოდნელია, დადგებიან მის წინაშე მომავალში³. აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე, სწავლა შეუძლებელია დაეფუძნოს იმ მოთხოვნილებების იმპულსს, რომლის დაკმაყოფილებას პირობებსაც თვითონ ქმნის (ხვალისდელი მოთხოვნილება ხომ თავისთავად დღევანდელ აქტივობას ვერ აღძრავს). სასწავლო ქცევის ძირითად წაწყვეან ძალას წარმოადგენს თვითონ მოსწავლე როგორც ნებისყოფის სუბიექტი.

ანრიგად, სწავლა ყველა თავისი ძირითადი განზომილებით თავსდება შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ქცევის საერთო მოდელში და სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო. ვინაიდან სასწავლო აქტივობა თავისი მამოძრავებელი ძალითა და მიზანდასახულობით, არსებითად, შორეულ მოტივაციურ ქცევას წარმოადგენს. ხაზგასასმელია, რომ სწავლა ყოველთვის და ყველა ასაკში ინარჩუნებს აღნიშნულ მოტივაციურ სტრუქტურას. მისი სუბიექტი, როგორც წესი, შორეული მოტივებით ხელმძღვანელობს. სხვანაირად რომ ვთქვათ, სწავლის მოტივი ყოველთვის შორეულ ანუ დროით გაშუალებულ ხასიათს ატარებს.

სწორედ ეს გარემოება მიგვაჩნია ჩვენ სწავლის მოტივის ძირითად თავისებურებად. მის იმ ზოგად განსაზღვრულ ნიშნად, რომელიც თავს იჩენს უკლებლივ ყველა კლასში და ყველა ასაკში სწავლის დროს. შეათვალასელი სწავლობს უმაღლესი მათემატიკის ელემენტებს თუ პირველკლასელი ეუფლება ანბანს, ამას, სწავლის მოტივაციური აგებულებისა და ამ ქცევის მოტივის ზოგადი თავისებურების თვალსაზრისით, მნიშვნელობა არა აქვს. ორივე შემთხვევაში სწავლის ფსიქოლოგიური სტრუქტურა პრინციპულად უცვლელია, ორივე შემთხვევაში მოსწავლის სასწავლო აქტივობა შორეული მოტივებითაა განსაზღვრული. დაბალი ასაკის მოსწავლეს, რომელიც მშობლების ან... მასწავლებლის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით ასრულებს საშინაო დავალებას,

³ შ. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, სწავლის მოტივაციური სტრუქტურა, გ. „სკოლა და ცხოვრება“, 1972, № 10, გვ. 25.

⁴ И. Л и н г а р т, Процесс и структура человеческого учения. М., 1970, с. 586.

თავის შესაძლებლობის ფარგლებში ისეთიან ორგანიზაციას უკეთებს თავის ფსიქოფიზიკურ ძალებს, ისეთ მიმართულებას აძლევს მათ, როგორსაც უფროსკლასელები შესაბამის სიტუაციაში. უფრო მეტიც, შეიძლება პირველი ან მეორეკლასელი, ნამდვილი სწავლის სუბიექტად რომ იქცეს, უფრო მეტს იბრძვის, უფრო მეტად ძაბავს თავის სუსტ, ჯერ კიდევ ფორმირებაში მყოფ ძალებს, შეიძლება იგი საკუთარ შესაძლებლობებთან მიმართებაში უფრო დიდ შინაგან და გარეგან წინააღმდეგობებს აწყდებოდა და ე. წ. ხვალისდელი დღის სასარგებლოდ უფრო მეტს თმობს პირადი, ვიწრო, ახლო ინტერესებიდან, ვიდრე, ვთქვათ, მეთექვსმეტეკლასელი. ამიტომ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ დაბალკლასეში (დაწყებით კლასებში) სწავლა უფრო ახლო მოტივაციურ ხასიათს ატარებს, მაღალში კი — შორეულს. სწავლა, როგორც ქცევის დამოუკიდებელი, თავისებური ფორმა, ჩვენის აზრით, მხოლოდ და მხოლოდ შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე აქტივობა შეიძლება იყოს. მის შინაგან, ფსიქოლოგიურ (სუბიექტურ) დეტერმინანტს ყოველთვის აუცილებლობისა და პასუხისმგებლობის გრძობასთან, ობიექტური ღირებულების შექმნასთან დაკავშირებული შორეული მოტივები შეადგენენ.

ასეთი მოსაზრების მართებულობა დავვიდასტურო ჩვენს მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტმა. ნაგრამ ვიდრე მას შეეხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიტანოთ სხვა ავტორების გამონათქვამებიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მ. ფ. მოროზოვი, რომელმაც შეისწავლა სასწავლო ინტერესების აღმოცენებისა და განვითარების საკითხი უმცროს კლასელებთან, აღნიშნავს: სკოლაში შესვლის ნომენტისათვის ბავშვებს გააჩნიათ უკვე საერთო დადებითი დამოკიდებულება სწავლისადმი, როგორც სერიოზული და საზოგადოებრივად ღირებული ქცევისადმი⁵. ავტორის ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ჯერ კიდევ სკოლაში შესვლამდე, ბავშვი განწყობილია (მომართულია) სწავლისადმი, როგორც საზოგადოებრივად ღირებული აქტივობისადმი, ისეთი ქცევისადმი, რომლის შესრულებაც აუცილებელია თითოეული ბავშვისათვის და რომელიც არაა დამოკიდებული მათ ნება-სურვილზე. ე. ი. მოზარდის სკოლაში პირველი მოსვლა, ფაქტიურად, მისი ახლანდელი, მიმდინარე მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი შორეული (საზოგადოებრივი) მოტივებითაა განსაზღვრული. და ეს სავესებით ბუნებრივია, ვინაიდან სკოლაში შესვლამდე საკმაო ხნით ადრე ბავშვმა უკვე იცის, რომ სკოლასა და სწავლას აქვს რაღაც გარკვეული საზოგადოებრივი თუ ობიექტური ღირებულება, რომელსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მშობლები, უფროსი ადამიანები და სხვები. ოჯახში თუ მის გარეთ მოსმენილი არა ერთი საუბრის საფუძველზე ბავშვისათვის სრულიად ნათელია, რომ სწავლას გააჩნია მისი უმუალო, ახლო ინტერესებისაგან დამოუკიდებელი ღირებულება. სასკოლო ასაკის ბავშვს უკვე კარგად ესმის, რომ სკოლაში სწავლისა და სწავლის შედეგად იქნება რაღაც შორსმწელოში მნიშვნელობისა და მიზანდასახულობის მქონე პროდუქტი. სწორედ ასეთი ღირებულებისა და მიზანდასახულობის პროდუქტის (ცოდნა-ჩვევის) მიღების სურვილი განსაზღვრავს მის სწრაფვას სკოლისაკენ, სწორედ იგი (ობიექტური, საზოგადოებრივი ღირებულება) აძლევს სასწავლო ქცევას ფსიქოლოგიურ აზრსა და გამართლებას.

⁵ М. Ф. Морозов, Возникновение и развитие учебных интересов у детей младшего школьного возраста. Ж. «Известия АПН РСФСР», 1955, 73, с. 19.



გამორიცხული არაა, რომ ბავშვები სკოლაში დადიან და სწავლობენ საბავშვო კუთარი ცნობისმოყვარობისა თუ ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით, და ამასთანავე, არ აქვთ კარგად შეგნებული სწავლის დიდი მნიშვნელობა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი მათ არასოდეს ავიწყდებათ, რომ ისინი ასრულებენ აუცილებლობით ნაკარნახევ საქმეს, ახორციელებენ საზოგადოებრივად ღირებულ ქცევას. ე. ი. მაშინაც კი, როდესაც მოსწავლის სასწავლო აქტივობა მთლიანად განსაზღვრულია ინტელექტუალური აქტივობის მოთხოვნილებით, იგი სწავლის მიზანს, საკუთარი აქტივობის გამართლებას ხედავს არა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში, არამედ ცოდნა-ჩვევის მიღებაში, გარკვეული ობიექტური ღირებულების მქონე პროდუქტის შექმნაში.

ნაშედეგი სწავლა რომ არ არსებობს შორეული მოტივების, სწავლის საზოგადოებრივი ღირებულების ცნობიერებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის გარეშე, ამას ადასტურებს ა. ი. ლიპკინას მიერ ჩატარებული საინტერესო ექსპერიმენტი⁶. მართალია, ეს ექსპერიმენტი უშუალოდ ჩვენს საკითხს არ ეხება, მაგრამ მის შედეგებს, ვფიქრობთ, ჩვენთვისაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა. ექსპერიმენტი ჩატარებულ იქნა დაწყებითი კლასების ისეთ მოსწავლეებზე, რომლებიც ძალიან მოისუსტებდნენ სწავლაში და ვერაფრით ვერ აღწევდნენ თავს ცუდად სწავლას. ექსპერიმენტატორმა ასეთი მოსწავლეები ჩააყენა მასწავლებლის მდგომარეობაში. სახელდობრ, თითოეულ მათგანს მიამაგრა ერთი ან რამდენიმე სუსტი მოსწავლე და დაავილა მათ მასწავლებლობა ამ მოსწავლეების მიმართ. ანან ძალიან მალე გამოიღო დადებითი შედეგი: სუსტი მოსწავლეები (მასწავლებლები) ამოქმედდნენ, დაიწყეს მეცადინეობა და საბოლოო შედეგში გამოსწორდნენ. რა მოხდა? მასწავლებლის პოზიციაში ჩაყენებამ, მასწავლებლის „როლის“ შესრულებამ, არსებითად შეცვალა სუსტი მოსწავლის დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი, შეცვალა მისი სოციალური ადგილიც კლასში და, რაც მთავარია, გაზარდა ამ მოსწავლის საერთო პასუხისმგებლობა. ექსპერიმენტულ სიტუაციაში, როგორც ვიცით, მას საკუთარი თავის გარდა, სხვისი ბედიც ებარა ხელთ, რაც ბუნებრივია, დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვდა მისგან. ყოველივე ამან კი, საბოლოო შედეგში, სასურველი გავლენა მოახდინა მის სასწავლო აქტივობაზე. ეს გარემოებაც იმაზე მეტყველებს, რომ სწავლის, როგორც დამოუკიდებელი ქცევის, მიზნინარეობაში, ინტელექტუალურ მონაცემებთან ერთად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლის პასუხისმგებლობის გრძნობას და საერთოდ სოციალური-პიროვნულ ფაქტორებს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ სოციალურ-პიროვნული ფაქტორები არ არსებობენ დროულ-ვრცეული პერსპექტივების ცნობიერების გარეშე, გასაგები იქნება, რომ სწავლაც, როგორც პროცესული ქცევა, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ დროით გამუდმებული (შორეული) მოტივების არსებითი მონაწილეობის გარეშე.

სწავლის მოტივის ზოგად თავისებურებას რომ მისი შორეულობა წარმოადგენს, რომ სწავლა, როგორც დამოუკიდებელი ქცევა, ძირითადად შორეულ მოტივებზეა აგებული — ამ მოსაზრების დამადასტურებელი მონაცემები გაბნეულია სხვა მკვლევარების შრომებშიც, თუმცა მათში აღნიშნული თვალსაზრისის ფორმულირება არ არის მოცემული. ასე მაგალითად, ლ. ბოკოვიჩის, ნ. მოროზოვას და ლ. სლავინას გამოკვლევებიდან ჩანს, რომ მესამე კლასიდან

⁶ А. И. Липкина, Самооценка школьника, М., 1976.



საქართველოს
მეცნიერებათა
აქადემიის
საგანგებო
და მეთოდური
ცენტრი

ნოსწავლეებს უყალიბდებათ სწავლის ფართო სოციალური მოტივი⁷, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი სასწავლო აქტივობის წამყვანი ძალის როლში უკვე გამოდის ცოდნის საზოგადოებრივი ღირებულება. თავისთავად ვასაგებია, რომ იქ, სადაც ქცევის მოტივის ფუნქციას ასრულებს საზოგადოებრივი ანუ „ზედროული“ და „ზესუბიექტური“ ღირებულება, ქცევა ყოველთვის პროსპექტული ბუნებისაა, იგი საფუძველშივე შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე აქტივობაა. ჩვენ, ზემოაღნიშნული მსჯელობის საფუძველზე, შეძლებისდაგვარად ნათელი გავხადეთ, რომ სწავლა შორეული მოტივებით განსაზღვრული ქცევით არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ პირველ კლასშიც და ყოველთვის, როდესაც იგი გვევლინება დამოუკიდებელ აქტივობად, მოსწავლის ქცევის სპეციფიკურ ფორმად.

სწავლის მოტივის პრობლემასთან დაკავშირებით სანტერესო მოსაზრებას ავითარებს პროფ. შ. ჩხარტიშვილი⁸. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ სწავლა, ამ ავტორის მიხედვით, თანოტივიანი ქცევაა. მას ერთდროულად თამაშისა და შრომის მოტივები განსაზღვრავს ე. ი. სწავლა ფაქტიურად ახლო და შორეული მოტივებით განსაზღვრულ აქტივობადაა მიჩნეული. ამასთანავე, დასაწყის ეტაპზე, სასწავლო ქცევა, ავტორის აზრით, უფრო ახლო მოტივაციური ხასიათისაა, მომდევნო პერიოდში (ზედა კლასებში) უფრო შორეული მოტივაციურის, თუმცა, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში მას (სწავლას) შენარჩუნებული აქვს თავისი ორმოტივიანი ბუნება. მართალია, ასეთი შეხედულება ჩვენს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას არ შეესაბამება, მაგრამ ვფიქრობთ, პროფ. შ. ჩხარტიშვილი სწავლას მაინც არსებითად შორეულ მოტივაციური სტრუქტურის მქონე აქტივობად მიიჩნევს, როდესაც აცხადებს, რომ „სწავლის ორგანიზაციის საქმეში წამყვან როლს ასრულებს ნებისყოფა, რომელიც ინტელექტუალურ მოთხოვნილებებთან ერთად (როცა ისინი მას თავიანთ იმპულსებს აწველებენ) და მათ გარეშეც სასწავლო ქცევას აწესრიგებს“⁹. თუ ნებისყოფისეული მამოძრავებელი ძალა წამყვანია სწავლაში, თუ იგი თავის საქმეს აკეთებინებს სწავლის სუბიექტს, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას შესაბამისი აქტუალური მოთხოვნილება, და საერთოდ, თუკი ნებისყოფა სხვა აღმძვრელთა იმპულსების გარეშეც (ხოლო ზოგჯერ მათი წინააღმდეგობის პირობებშიც კი) სასწავლო ქცევის ძირითადი ორგანიზატორია, მაშინ გამოდის, რომ სწავლაც წმინდა ნებისმიერი, პიროვნული ქცევა ყოფილია. ასეთი ქცევის მოტივი კი მხოლოდ და მხოლოდ შორეული შეიძლება იყოს.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლის მოტივის ძირითად თავისებურებას მისი ღრითი გაშუალებული ხასიათი წარმოადგენს. სწავლა ყოველთვის აუცილებლობისა და პასუხისმგებლობის გრძნობასთან, საზოგადოებრივი ღირებულების შექმნასთან დაკავშირებულ შორეულ მოტივებს ემყარება. ასეთი მოსაზრების მართებულობა,

⁷ Л. И. Божович, Н. Г. Морозова, Л. С. Славина, Развитие мотива учения у советских школьников, Известия АПН РСФСР, 36, 1951, с. 17.

⁸ შ. ჩხარტიშვილი, ექვსწლიანი ბავშვის სასკოლო სწავლების მოტივაციური თავისებურებანი, ე. „სკოლა და ცხოვრება“, 1976, № 7.

⁹ შ. ჩხარტიშვილი, სწავლის მოტივაციური ფორმები, ე. „სკოლა და ცხოვრება“, 1975, № 12, გვ. 17.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაგვიდასტურა ჩვენს მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტმა.

ექსპერიმენტი ჩავატარეთ ქუთაისის 29-ე საშუალო სკოლის პირველი, მეშვიდე (№ 1, № 2) და მეათე (№ 1, № 2) კლასის მოსწავლეებზე (ორ ვარიანტად). რატომ მაინცდამაინც ამ კლასების მოსწავლეებზე? ვინაიდან ჩვენ უნდა შეგვემოწინააღმდეგებინა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სწავლის მოტივი ყოველთვის და ყველა ასაკში (კლასში) დროით გაშუალდებულ (შორჩეულ) ხასიათს ატარებს, ვფიქრობთ. ყველაზე უფრო მიზანშეწონილი იყო ექსპერიმენტულ კლასებად აგვეყვანა სწორედ ისინი და აღნიშნული მოსაზრების მართებულობა გვეჩვენა უმცროს, საშუალო და უფროს სასკოლო ასაკებში.

პირველკლასელებზე ექსპერიმენტი ჩატარებული იქნა ინდივიდუალური წესით, მეშვიდე და მეათე კლასის მოსწავლეებზე კი — ჯგუფურად, მაგრამ ამით ექსპერიმენტის ჩატარების საერთო პრინციპი არ დარღვეულა. ეს პრინციპი კი შემდეგში მდგომარეობდა: ორივე ვარიანტის ცდებში აღნიშნული კლასების თითოეულ მოსწავლეს ეძლეოდა ჩვენს მიერ შერჩეული ათი ისეთი კითხვა, რომლებიც უკავშირდებოდა მათ სასწავლო აქტივობას, საერთოდ, და მათი სწავლის მოტივებს, კერძოდ. ამასთანავე, ყოველ მოსწავლეზე ტარდებოდა მხოლოდ ერთი რომელიმე ვარიანტის ცდა, ე. ი. სხვადასხვა ვარიანტის ცდებში მონაწილეობას ლებულობდნენ სხვადასხვა მოსწავლეები. სახელდობრ, პირველი ვარიანტის ცდები ჩატარებული იქნა პირველკლასელთა ერთ ნაწილზე (20 მოსწავლეზე), ასევე მეშვიდე № 1 და მეათე № 1 კლასის მოსწავლეებზე (28—28 მოსწავლე თითოეულ კლასში). კითხვები, რომლებზეც პასუხი უნდა გაეთქა ამ მოსწავლეებს, ასეთი იყო:

1. რატომ დადიხარ შენ სკოლაში?
2. აუცილებელია თუ არა შენთვის სწავლა? რატომ?
3. რატომ უსმენ შენ მასწავლებელს?
4. რატომ აწუხებ შენ გაკვეთილებს?
5. ისწავლიდი თუ არა შენ გაკვეთილებს, ან შეასრულებდი თუ არა საშინაო დავალებებს წინასწარ რომ იცოდე მასწავლებელი არ გამოაკითხავს (შეამოწმებს) მათ? რატომ?
6. გსიამოვნებს (გიზიდავს) თუ არა სწავლა? რატომ?
7. წახვიდოდი, ან საერთოდ, ივლიდი თუ არა შენ სკოლაში მშობლები რომ არაფერს გეუბნებოდნენ? სულ ერთი რომ იყოს მათთვის, წახვალ თუ არა შენ სკოლაში? რატომ?
8. რა გაიძულებს შენ გაკვეთილების მომზადებას?
9. სკოლები რომ არ ყოფილიყო, ჩაუჭდებოდი თუ არა შენ წიგნებს? რატომ?
10. რა გაიძულებს შენ მოუსმინო მასწავლებელს?

მეორე ვარიანტის ცდებში მონაწილეობა მიიღო პირველი კლასის მოსწავლეთა მეორე ნახევარმა (17 მოსწავლემ), აგრეთვე მეშვიდე № 2 და მეათე № 2 კლასის მოსწავლეებმა (30—30 მოსწავლე თითოეულ კლასში). მოსწავლეებისადმი მიცემული კითხვები ამჯერად ასეთი იყო:

1. რატომ დადიან ბავშვები სკოლაში?
2. აუცილებელია თუ არა სწავლა? რატომ?
3. რატომ უსმენენ ბავშვები მასწავლებელს?
4. რატომ აწუხებენ მოსწავლეები გაკვეთილებს?

5. ისწავლიან თუ არა მოსწავლეები გაკვეთილებს ან შესრულებენ თუ არა ისინი საშინაო დავალებებს წინასწარ რომ იცოდნენ მასწავლებელი არ გამოკითხავს (შეამოწმებს) მათ? რატომ?
6. სასიამოვნოა (მინზიდველია) თუ არა სწავლა? რატომ?
7. წავიდოდნენ ან, საერთოდ, ივლიდნენ თუ არა ბავშვები სკოლაში მშობლები რომ არაფერს ეღებებოდნენ? სულ ერთი რომ იყოს მშობლისათვის, წავა თუ არა მისი შვილი სკოლაში? რატომ?
8. რა აიძულებს მოსწავლეებს გაკვეთილების მომზადებას?
9. სკოლები რომ არ ყოფილიყო, ჩაუჯდებოდნენ თუ არა ბავშვები (მოზარდები) წიგნებს? რატომ?
10. რა აიძულებს მოსწავლეებს მოუსმინონ მასწავლებელს?

როგორც ვხედავთ, განსხვავება პირველი და მეორე ვარიანტის კითხვებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ პირველი ვარიანტის კითხვები ეხება უშუალოდ პასუხის გამცემ მოსწავლეს, ისინი მიმართულია პირდაპირ მისკენ და მოითხოვს მისგან პასუხის გაცემას საკუთარი აქტივობის მაგალითზე (თუმცა გამორიცხული არაა, რომ მოსწავლემ უპასუხოს სხვისი მაგალითის მიხედვით). მეორე ვარიანტის კითხვები ფაქტურად იგივეა, რაც პირველი ვარიანტისა, მაგრამ ეს კითხვები დასმულია „საარვისო“ ფორმაში, ისინი ეხებიან მოსწავლეთა სასწავლო აქტივობას საერთოდ და არ ზღუდავენ ც/პირს იმსჯელოს საკუთარი მაგალითის შესაბამისად. ე. ი. მეორე ვარიანტის ცვლებში კითხვებზე პასუხის გაცემისას მოსწავლეს შეუძლია ისარგებლოს როგორც საკუთარი გამოცდილებით, ისე სხვისი მდგომარეობითაც. საბოლოო შედეგში კი, ორივე ვარიანტის კითხვები, ეხებიან რა ერთსა და იმავე საქმის ვითარებას, ავსებენ ერთმანეთს და აწი თ კიდევ უფრო საიმედო საფუძველს იძლევიან შესაბამის საკითხზე მსჯელობისათვის.

ვიღებ ამ კითხვებზე მიღებულ სათანადო შედეგებს მოვიტანდეთ, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს კითხვები, პირველ რიგში, ეხება სასწავლო აქტივობის ისეთ მოტივებს, რომლებიც მოცემულია მოსწავლის ცნობიერებაში. ა. ნ. ლეონტიევის კლასიფიკაციით რომ ვილაპარაკოთ, ჩვენ ძირითადად ვიკვლევთ არა იმდენად „რეალურად მოქმედ“ ძალებს, რამდენადაც მოსწავლეთა შეგნებაში არსებულ მოტივებს, რომლებიც ყოველთვის როდი აღძრავენ ქცევას¹⁰. ე. ი. ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, რომ მოსწავლის ცნობიერებაში მოცემულ მოტივებსა და სწავლის რეალურ აღმძვრელებს შორის სრულ შესაბამისობასთან ერთად შესაძლებელია გარკვეული განსვლაც არსებობდეს.

როგორც ზემოთ მივუთითეთ, პირველ კლასელებს (რომლებმაც ჯერ კიდევ არ იციან სრულყოფილი წერა-კითხვა) აღნიშნულ კითხვებს ვაძლევდით ინდივიდუალური წესით და ვინიშნავდით მათ პასუხებს. მეშვიდე და მეთექვსმეტე კლასელებს კი (რომლებსაც უკვე შეუძლიათ დამოუკიდებელი მუშაობა) ეს კითხვები ეძლეოდათ ჯგუფურად, წერილობით გაფორმებული სახით. თითოეული მოსწავლე ვალდებული იყო წერილობითვე მოეცა პასუხი მის წინ მოთავსებულ ფურცელზე ჩამოწერილ კითხვაზე, რომელთა თანმიმდევრობა, ჩვეულებრივ, ერთმანეთს არ ემთხვეოდა, რაც თავისებურად აძლიერებდა მოსწავლეთა მისწრაფებას დამოუკიდებელი მუშაობისაკენ. მეტი გულახდილო-

¹⁰ А. Н. Леонтьев, Проблемы развития психики, М., 1972, стр. 512.

ბისა და თავისუფლების მისაღწევად მოსწავლეებს არ მოეთხოვებოდათ ნამუშევრებზე სახელისა და გვარის მოწერა.

გქსპერინენტული მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ორივე ვარიანტის ცდებში, ერთსა და იმავე კითხვაზე მიღებულ სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა პასუხებს შორის არის არა რაოდენობრივი, არამედ, არსებითად, თვისობრივი ხასიათის განსხვავება, რაც ამ პასუხების რაოდენობრივი თვალსაზრისით შედარებისა და დამუშავების შესაძლებლობას არ იძლევა. ამიტომ ჩვენ გადაწყვიტეთ თითოეულ კითხვაზე მოგვეტანა შესაბამისი კლასის მოსწავლეთა ყველაზე უფრო დამახასიათებელი, ზოგადი პასუხები, ე. ი. ისეთი პასუხები, რომლებიც გამოხატავენ მთელი კლასის ან უმრავლესობის საერთო, ძირითად აზრს მოცემულ კითხვაზე, ხოლო შემდეგ სხვადასხვა კლასში მოქმედ სწავლის მოტივებს შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებაზე გვემსჯელა ასეთი პასუხების თვისობრივი ანალიზისა და ურთიერთშედარების საფუძველზე.

როგორია საერთო სურათი? რა გვიჩვენა მიღებული მასალის ამ წესით დამუშავებამ? პირველ რიგში, რაც ყველაზე უფრო თვალში საცემია, განსაკუთრებით ხაზი უნდა გავსვა იმას, რომ ჩვენს მიერ შესწავლილ სამივე კლასში გაბატონებულია, ძირითადად, სწავლის გარეგანი მოტივები. მოსწავლეები იშვიათად ასახელებენ ისეთ შინაგან მოტივებს, როგორცაა ინტერესი, ცნობისმოყვარობა, გატაცება თვით სასწავლო პროცესით და ა. შ. საგულისხმოა, რომ პირველ კლასელებთან ეს მოტივები კიდევ უფრო იშვიათად გვხვდებიან. ლ. ბ. იტელსონის სიტყვებით რომ ვთქვათ, სასწავლო სიტუაცია ჩვენს მიერ შესწავლილ კლასებში და, შეიძლება ითქვას, მთლიანად სკოლაში იძულებით ხასიათს უფრო ატარებს, ვიდრე მიმზიდველ ელფერს¹¹. საკვებით მართალია პროფ. შ. ჩხარტიშვილი როდესაც წერს: სასკოლო ცხოვრებაში პეტეროგენული (სწავლისადმი უცხო, გარეგანი — ნ. ბ.) მოტივებით განსაზღვრულ სწავლას ვნიშვნელოვანი ადგილი უკავია¹². ეს გარემოება უკვე თავისთავად იმაზე მიუთითებს, რომ სწავლა მოსწავლის უშუალო მოთხოვნილებებით, მისი ახლო მოტივებით განსაზღვრული აქტივობა არაა, რომ სწავლის მოტივს სხვა თავისებურება გააჩნია.

მოსწავლეთა პასუხებიდან აგრეთვე ირკვევა, რომ მათი სპეციფიკური დამოკიდებულება სწავლისადმი განსაზღვრულია ძირითადად სწავლის სერიოზულობის, მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ცნობიერებით. მართალია, პირველკლასელებთან სწავლის ობიექტური ღირებულების ცნობიერებას არ გააჩნია ისეთივე განზომილება და შინაარსი, როგორც მაღალ კლასელებთან, მაგრამ მათთვისაც სრულიად ნათელია ამ ქვეყნის ფასი და აუცილებლობა ამ მხრივ სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა პასუხებს შორის არ შეინიშნება პრინციპული განსხვავება. ე. ი. ყველა აცხადებს, რომ სწავლა კარგია და საჭირო. განსხვავება ეხება არსებითად იმას, თუ რით ასაბუთებენ ისინი სწავლის საჭიროებასა და აუცილებლობას, თუ რატომ ღებულობენ და ახორციელებენ ამ ქვეყნის. აქ კი მოსწავლეთა პასუხებს შორის (კლასების მიხედვით) დიდი სხვადასხვაობაა:

პირველკლასელები დადიან სკოლაში, უსმენენ მასწავლებელს, ამზადებენ

¹¹ Возрастная и педагогическая психология, М., 1973, с. 180-181.

¹² შ. ჩხარტიშვილი, სწავლის მოტივაციური ფორმები, ე. „სკოლა და ცხოვრება“, 1975, № 12.



გაკვეთილებს იმიტომ, რომ მოსწავლე უნდა მოიქცეს ასე, იმიტომ, რომ უფროსების ნათქვამი კანონია პატარებისათვის, იმიტომ, რომ ბავშვებმა ყველაფერი უნდა იცოდნენ, რომ კარგი ადამიანები გამოვიდნენ, რომ ევალებათ ყოველივე ეს, რომ კარგია სწავლა. უფრო ხშირად კი ისინი სასწავლო აქტიუობის ძირითად მოტივებად ასახელებენ შიშს მასწავლებლისა და მშობლების წინაშე, კარგი სწავლის გამართლებას ხედავენ დედიკოსა და მამიკოს გახარებაში, ხუთბანების მიღება უნდათ მხოლოდ იმიტომ, რომ დაიმსახურონ უფროსების შექება და ა. შ. ყველა ამ შემთხვევაში სწავლის მიზანი მოსწავლის მომენტური აწმყოს ფარგლებს გარეთაა მოქცეული. მხოლოდ თითო-ორიოლა მოსწავლე (37-დან) თუ ამბობს, რომ აინტერესებს მასწავლებლის საუბარი და იმიტომ უსმენს. ახლის გავება სურს და ამის გამო დადის სკოლაში. ესე იგი ერთეულ შემთხვევაში სწავლა მისი სუბიექტის აქტიუალურ მდგომარეობას შეესაბამება და ახლო მოტივებითაა განსაზღვრული, ძირითადად კი მას შორეული მიზნები (მოტივები) ამოძრავებს.

მეშვიდე კლასელთა მონაცემებიდან ჩანს, რომ მათ კარგად აქვთ შეგნებული სწავლის საზოგადოებრივი ღირებულება. ისინი აცხადებენ, რომ სწავლა, ცოდნის მიღება აუცილებელია ადამიანისათვის, რომ გახდეს სამშობლოს ღირსეული მოქალაქე, ახალი საზოგადოების აქტიური მშენებელი. მათი აზრით, სწავლის ფასი არაფერია ამ ჭეყვნად. შეიძლება იყო ლამაზი, მდიდარი, მაგრამ თუ გაუნათლებელი ხარ, ბედნიერი ვერ იქნები. მართალია, სწავლის ძირი მწარე არის, მაგრამ სამავიეროდ იგი მომავალი ბედნიერებისა და ყოველგვარი სიკეთის საფუძველია. პირველკლასელებისაგან განსხვავებით, მეშვიდე კლასის მოსწავლეები საკმაოდ ხშირად ასახელებენ ზნეობრივ ღირებულებებს, მორალურ ნორმებს. როგორც მათი სასწავლო აქტიუობის ამოძრავებელ ძალებს ასე მაგალითად, სირცხვილის გრძნობა, თავმოყვარეობა, მასწავლებლისადმი პატივისცემა, მშობლებისა თუ უფროსების ხათრი და რიდი, ზრდილობის წესების დაცვა, შინაგანი სიმართლე და პატიოსნება ძალიან ხშირად გამოდის მათთან სწავლის მოტივის როლში. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც მეშვიდეკლასელები ხაზს უსვამენ პრესტიჟის სოციოგენური მოთხოვნილების მნიშვნელობას სწავლაში. როგორც მათი პასუხებიდან ჩანს, ისინი საკმაოდ ხშირად ასრულებენ სასწავლო ამოცანებს მხოლოდ იმიტომ, რომ შეინარჩუნონ კარგი რეპუტაცია, ამაღლდნენ სხვების თვალში, აღიარებული იყვნენ ამახანაგების მიერ. საინტერესოა, რომ თუ პირველკლასელებს ფაქტორად ეშინათ მასწავლებლის შენიშვნის და ეს არის ასე ვთქვათ, წმინდა ფიზიკური შიში, მეშვიდე კლასის მოსწავლეებს უკვე ერიდებათ შენიშვნის მიღება, რაცენათავე ჩვეულებრივად დატუქსის. ამიტომაც, რომ პირველები, არც თუ ისე იშვიათად, სწავლობენ ფიზიკური დასჯის აშორებისათვის, მეორენი კი მორალური ტრამვის აცილებისათვის. როგორც ვხედავთ, ასაკისათვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური თავისებურებანი სულ უფრო და უფრო იჭრებიან სწავლისა და მისი მოტივის სტრუქტურაში და თავისებურ ელფერს აძლევენ მას.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, მეშვიდეკლასელები ლაპარაკობენ აგრეთვე მოსწავლის პასუხისმგებლობასა და მოვალეობაზე, როგორც სასწავლო ჭეყვის ორგანიზაციის მნიშვნელოვან ფაქტორებზე. ამასთანავე, ისინი მათთვის დამახასიათებელი პირდაპირობით მიუთითებენ იმასაც, რომ სწავლა ბევრადამა დამოკიდებული თვით მოსწავლის გუნება-განწყობილებაზე. პატარების

პასუხებიდან ვიცი, რომ ასეთი გარემოებანი მათთან თითქმის არ აღინიშნებოდა.

მაგრამ ყველაზე უფრო დამახასიათებელი თავისებურება, რამაც მეშვიდე კლასის მოსწავლეთა ანუ გარდაამავალი ასაკის მოზარდთა სწავლის მოტივებთან მიმართებაში იჩინა თავი, იყო ის, რომ ეს მოსწავლეები საერთოდ არ ცნობენ გარეგანი იძულების როლს სწავლაში. ჩვენს მიერ დასმულ კითხვებზე: რატომ უსმენ შენ მასწავლებელს? რა გაიძულებს სკოლაში სიარულს ან გავევითლების მომზადებას? ისინი, როგორც წესი, პასუხობენ: არაფერი და არაფერი არ მაიძულებს, იძულება რა შუაშია, დაძალებით არაფერი გამოვა, ვსწავლობ ჩემი ნება-სურვილით, საკუთარი თავი და ნებისყოფა მაიძულებს და ა. შ. თითქმის 80% პასუხებისა ასეთია: როგორც ვხედავთ, გარდაამავალი ასაკისათვის ნიშანდობლივი ტენდენციები სწავლის ორგანიზაციის საქმეშიც დებულობენ მონაწილეობას. მოსწავლე ცდილობს მისთვის დამახასიათებელი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფების ძლიერი ტენდენცია თვით სწავლის პროცესშიც გამოავლინოს.

მეათე კლასის მოსწავლეთა პასუხებიდან ირკვევა, რომ მათ უფრო სრულყოფილად აქვთ შეგნებული სწავლის ფასი და მნიშვნელობა. ისინი სრულიად გარკვევით ამბობენ, რომ სწავლა იძლევა ცოდნას, კულტურას, განათლებას, რაც დიდი განძია ცხოვრებაში. უსწავლელი ადამიანი მორალურად დაჩაგრულია, იგი საცოდავია სხვებთან შედარებით. დღეს გზას იმე ვერ გაიკაფავ თუ ცოდნა არა გაქვს. მართალია, სწავლა არც თუ იმე მიწიღველია და ადვილი, მაგრამ იგი საჭიროა, ვინაიდან მის გარეშე მთელი ცხოვრება იქნება ძნელი. XX საუკუნეში მუშასაც კი საშუალო განათლება უნდა ჰქონდეს, რომ ცხოვრებას ბრმა თვალებით არ შეხედოს.

მეათე კლასელებიც, ისევე როგორც მეშვიდე კლასის მოსწავლეები, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მორალურ და სოციალურ ღირებულებებს სწავლაში. ზრდილობის ნორმების დაცვა, მასწავლებლის სიყვარული, უფროსების დაფასება, მშობლების ხათრი და რიდი, სირცხვილის გრძობა, პრესტიჟი, თავმოყვარეობა, საკუთარი სინდისი და პატიოსნება საკმაოდ ხშირად ასრულებს მათთან სწავლის მოტივის ფუნქციას. მართალია, სირცხვილია თუ მოკრძალების კეთილშობილური გრძობა და პრესტიჟის მოთხოვნილება მეშვიდე კლასში ანუ გარდაამავალ ასაკში უფრო ფიგურირებს, მაგრამ მეათე კლასელებთანაც ინარჩუნებენ ისინი თავიანთ ძალასა და გავლენას.

სათანადო კითხვებზე გაცემული პასუხებიდან ჩანს, რომ სწავლის გადამწყვეტ ფაქტორებად მეათეკლასელები მიიჩნევენ თვით ცოდნის მიღების წყურვილს, ინტერესს, ერთის მხრივ, და მოსწავლის ნებისყოფას, მის პასუხისმგებლობასა და მოვალეობას, მეორე მხრივ. ისინი პირდაპირ აცხადებენ: მთავარია სწავლის სურვილი და არა სკოლა და მასწავლებლები. გორკის სკოლა არ გაუფლია, მაგრამ დიდი მწერალი ვახდა. ძველად სკოლებში დაბალი წრის ხალხს არ ლეზულობდნენ, მაგრამ მათგან ბევრი გამოჩენილი ადამიანი გამოვიდა. მართალია, მშობლები და მასწავლებლები დიდ როლს ასრულებენ მოზარდის სწავლა-განვითარებაში, მაგრამ დიდი ნებისყოფის ბავშვებს დამოუკიდებლადაც შეუძლიათ ეზიარონ მეცნიერების მწვერვალებს. თუ მოსწავლეს ნებისყოფა გააჩნია, იგი წარმატებით გადალახავს ყოველგვარ დაბრკოლებას სწავლის გზაზე.



მაგრამ ასეთი განცხადებების მიუხედავად, ამ მოსწავლეთა სასწავლო ქცევის რეალური აღმძვრელების როლში გარეგანი მოტივები უფრო გამოდიან, ვიდრე შინაგანი, როგორც ექსპერიმენტული მონაცემების საერთო ანალიზიდან ირკვევა, შინაგანი მოტივების, თვით ცოდნის მიღების წყურვილის თუ სურვილის ხვედრითი წონა მეთექვსმეტელების სწავლაში ძალიან უმნიშვნელოა, ხოლო გარეგანი ფაქტორების, ნებისყოფის, პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობის — შედარებით დიდი.

თითქმის ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორი, როგორც ვიცით, გვხვდება და მეშვიდეკლასელი მოსწავლეების შემთხვევაშიც. მართალია, მეტ-ნაკლები სიხშირითა და სიძლიერით, მაგრამ მაინც გვხვდებოდა. თუ ვილაპარაკებთ ახალ, მხოლოდ მეთექვსმეტე კლასში მოქმედ ფაქტორებზე, ასეთებად უნდა ვაღიაროთ ფიქრი მომავალ პროფესიაზე და საზოგადოებაში კუთვნილი ადგილის დაკავებაზე. მაშინ, როდესაც არც ერთი მეშვიდეკლასელი არ ასახელებს ამ ფაქტორებს, როგორც სწავლის მოტივებს, მეთექვსმეტეები საკმაოდ ხშირად აღნიშნავენ, რომ სწავლობენ შესაფერისი პროფესიის არჩევის მიზნით, იძულებული არიან ისწავლონ, რომ სასურველი პროფესიის ადამიანები გამოვიდნენ. სწავლობენ იმისათვის, რომ საზოგადოებაში საკუთარი ადგილი დაიკავონ. თუ გავითვალისწინებთ მეთექვსმეტეელი მოსწავლეების მდგომარეობას, მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ეს არის დამამთავრებელი კლასი, ის პერიოდი, როდესაც მოსწავლეებმა ეს ეს არის უნდა დატოვონ სკოლა და დამოუკიდებელი ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდნენ, გასაგები იქნება ზემოაღნიშნული ფაქტორების განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა მათს სასწავლო აქტივობაში. რაც შეეხება მეშვიდეკლასელებს, მათთვის ჯერ კიდევ ნაადრევია ფიქრი მომავალ პროფესიაზე, საზოგადოებაში დამოუკიდებელი ადგილის დაკავებაზე. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ეს ფაქტორები მათთან სწავლის რეალურ მოტივებად არ მოიხსენიება.

ასეთია, ძირითადად, ის ფაქტორები, რომლებიც ჩვენს მიერ შესწავლილ კლასებში ასრულებენ სწავლის მოტივის ფუნქციას. ისმება კითხვა: რა საერთო და განმასხვავებელი თავისებურებანი გააჩნიათ მათ? რომ დაუფკერდეთ სამივე კლასში მოქმედ ძირითად მოტივებს, შევამჩნევთ, რომ არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს მოსწავლის აქტუალურ მდგომარეობას. სწავლობს პირველკლასელი გაკვეთილებს დასჯის შიშის საფუძველზე, თუ მეთექვსმეტეელი საზოგადოებაში კუთვნილი ადგილის დასაკავებლად, ორივე შემთხვევაში მოსწავლეს შორეული (არა აქტუალური) მიზანი (მოტივი) ამოძრავებს. ან კიდევ, ხუთოსნობის, დედის გახარების სურვილი აიძულებს ბავშვს სწავლას, კარგი რეპუტაციისათვის ბრძოლა თუ მოსწავლის საერთო პასუხისმგებლობა — ამჟერადაც მისი სასწავლო აქტივობის მამოძრავებელ ძალებად შორეული მოტივები (მიზნები) გვევლინებიან. არც ერთ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მოსწავლე არ სწავლობს თავისი აქტუალური მდგომარეობის დასაკმაყოფილებლად. პირიქით, იგი დღეს აკეთებს ისეთ რამეს, რომელიც მას სხვა დროს გამოადგება, რომლის შედეგსაც მომავალში მოიმკის. სწორედ ესაა მისი ქცევის მოტივი, ის რაც ამ ქცევას ამართლებს და ფსიქოლოგიურად მისაღებს ხდის. ამრიგად, თუ სწავლის მოტივთა საერთო (ძირითად) თავისებურებაზე ვილაპარაკებთ, ასეთად მისი შორეულობა უნდა მივიჩნიოთ.

ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას ასეთი საკითხი: მოსწავლე, რომელიც მოსწავლეობის ან მშობლების მხრიდან დასჯის შიშით აზვა-

დებს გაკვეთილებს, რა შორეული მოტივებით ხელმძღვანელობს? აქ ხომ თვითდაცვის აქტუალურ მოთხოვნილებას ანუ ახლო, უშუალო მოტივს მიყავს ქცევა? ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში საქმის ვითარება სხვაგვარად უნდა წარმოვიდგინოთ. თუ სწორია შეხედულება, რომლის მიხედვითაც მოთხოვნილება არის ორგანიზმის აქტუალური მდგომარეობა, მისი ახლანდელი დანაკლისი რომელიც მხოლოდ თავისი დაკმაყოფილებისათვის საჭირო ქცევას უკეთებს ორგანიზაციას, ხოლო ხვალინდელ მოთხოვნილებას, მომავალში მოსალოდნელ დანაკლისს არ შეუძლია დღევანდელი ქცევის იმპულსის მოცემა, მაშინ ვფიქრობთ, ასევე არ უნდა შეეძლოს საღამოს ან ხვალ დილით მოსალოდნელ დასჯის საშიშროებას ვთქვათ, დღეს, ნაშუადღევს აღძრას მოსწავლის ქცევა. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: ბავშვი მოდის სკოლიდან სახლში. მშობლები სამსახურშია. თუკი ის არ ისწავლის გაკვეთილებს, მას, ყოველ შემთხვევაში, საღამომდე, არავითარი დასჯის საშიშროება არ ელის. აქედან გამომდინარე ამ ბავშვს ახლა (მოცემული ნომენტში) შეუძლებელია გააჩნდეს თვითდაცვის აქტუალური მოთხოვნილება. თვითდაცვის მოთხოვნილება თავს იჩენს შესაბამის სიტუაციაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც სუბიექტი უშუალო საშიშროების წინაშე დადგება. ასეთი საშიშროება კი, ჩვენს შემთხვევაში, მხოლოდ საღამოსაა მოსალოდნელი. ამიტომ ბავშვი, რომელსაც სრულიადაც არ აინტერესებს გაკვეთილები, მაგრამ რომელიც ზის და ამზადებს მათ, ვინაიდან იცის, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მას ადრე თუ გვიან დასჯიან, ხელმძღვანელობს არა თვითდაცვის აქტუალური მოთხოვნილებით, არამედ სხვა პიროვნული ძალებით (შორეული მოტივებით). მართალია, ამ შემთხვევაში, ქცევა წარმოებს თვითდაცვის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ოგი აძლევს მოსწავლის მეცადინეობას ფსიქოლოგიურ აზრსა და ღირებულებას, მაგრამ თვით ქცევის წყარო ეს მოთხოვნილება კი არა — ნებისყოფაა. ამის გამო ეს ქცევაც ახლო მოტივაციურ სტრუქტურას კი არ ატარებს, არამედ შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონეა. პრინციპულად იგივე ვითარებას აქვს ადგილი, როდესაც მოსწავლე სწავლობს ხუთოსნობისათვის ან დედის გასახარებლად. ამჯერადაც მოსწავლის ქცევას შორეული მოტივები ედგება საფუძვლად და კაცმა რომ თქვას, პირველკლასელთათვის სხვაგვარი შორეული ფაქტიურად არც კი შეიძლება არსებობდეს. მშობლების, ხუთოსნობის, საჩუქრებისა და სხვა მსგავსი მოვლენების იქით შეიძლება ისინი ყოველთვის ვერც კი იხედებოდნენ. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ყველაზე დიდ ობიექტურ თუ „საზოგადოებრივ“ ღირებულებას მათთვის სწორედ აღნიშნული მოვლენები წარმოადგენენ.

ამრიგად, თუ ვილაპარაკებთ სწავლის მოტივის ზოგად თავისებურებაზე, ასეთად უდავოდ მისი შორეულობა უნდა მივიჩნიოთ. სწორედ შორეულობა ან დროით გაშუალებული ბუნება აღმოჩნდა ის საერთო ნიშანი, რომელიც დამახასიათებელი იყო ყველა კლასში მოქმედი სწავლის მოტივისათვის. ჩვენს მიერ შესწავლილ კლასებში იცვლებოდა სწავლის კონკრეტული მოტივები, მაგრამ უცვლელი რჩებოდა თვით მოტივთა შორეული ხასიათი. ვფიქრობთ, ის რაც საერთოა და უცვლელი სხვადასხვა კლასში მოქმედი მოტივებისათვის, ქმნის სწავლის მოტივის ზოგად თავისებურებას. ასეთ თავისებურებას კი, როგორც ვნახეთ, წარმოადგენს მოტივის დროით გაშუალებული ხასიათი, მისი შორეული ბუნება, რაც, საბოლოო შედეგში, ობიექტური (საზოგადოებრივი) ღირებულების ცნობიერებასთან არის დაკავშირებული.



რაც შეეხება სწავლის მოტივის სპეციფიკურ თავისებურებას, აზრით, დაკავშირებულია მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებთან. მოგება, რომ ბირედეკლასელის სასწავლო აქტივობის ერთ ძირითად მოტივს დასჯის შიში წარმოადგენს, მეშვიდეკლასელი მოსწავლისას, ვთქვათ სირცხვილის გრძნობა, თავმოყვარეობა ან პრესტიჟი, ხოლო მეათეკლასელისას მომავალ პროფესიაზე ფიქრი — უდავოა, რომ ყველაფერი ეს განსაზღვრულია მოსწავლის ასაკით. ე. ი. ასაკს მოაქვს ის სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც სწავლის მოტივის კონკრეტულ შინაარსებად იქცევიან ხოლმე შესაბამის ასაკობრივ პერიოდში. მართალია, ჩვენს მიერ შესწავლილი კლასებიდან ყოველ მომდევნო კლასში (ასაკში) გვხვდებოდა წინა კლასში (ასაკში) მოქმედი მოტივებიც, მაგრამ დომინირებულ მნიშვნელობას მაინც ახალი, თვისობრივად განსხვავებული მოტივები იღენდნენ. სწორედ ეს მოტივები ქმნიდნენ მოსწავლის აქტივობის სპეციფიკას მოცემულ ასაკში. ამრიგად, სწავლის მოტივის სპეციფიკურ თავისებურებას, მის კონკრეტულ შინაარსს განსაზღვრავს ის ასაკი თუ ასაკობრივი პერიოდი, რომელზედაც იმყოფება მოსწავლე მოცემულ მომენტში.

დასასრულ, ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, კიდევ ერთხელ შეიძლება ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ სწავლის მოტივის ძირითად (ზოგად) თავისებურებას მისი დროით გაშლალეული ხასიათი წარმოადგენს. სწავლის მოტივი ყოველთვის და ყველა კლასში (ასაკში) შორეული (დროით გაშლალეული) ბუნების მქონეა. მართალია, სხვადასხვა კლასში მოქმედი სწავლის კონკრეტული მოტივები განსხვავებულია, მაგრამ უცვლელია თვით მოტივთა ბუნება, მათი დროით გაშლალეული ხასიათი, შორეულობა, რაც საბოლოო შედეგში, მოსწავლის პიროვნულ ძალებთან, მის მიერ სასწავლო აქტივობის ობიექტური (საზოგადოებრივი) ღირებულების ცნობიერებასთან არის დაკავშირებული. სწავლის მოტივის სპეციფიკურ თავისებურებას კი განსაზღვრავს მოსწავლეთა ასაკობრივი განვითარების კანონზომიერებანი. ის ფაქტი, რომ სწავლების სხვადასხვა საფეხურზე სრულიად განსხვავებული მოტივები დომინირებენ, უდავოდ განსაზღვრულია შესაბამის საფეხურზე მყოფი მოსწავლეების ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სწავლის მოტივის სპეციფიკურ თავისებურებას ქმნის მისი (მოტივის) შინაარსისა და დროულ-ფრცხული მოქმედების ველის ასაკობრივი შეზღუდულობა, მისი შორეულობის განსხვავებული ხარისხი, რაც, თავის მხრივ, მოსწავლის განვითარების საერთო კანონზომიერებითაა განსაზღვრული.

ასეთია, სწავლის (როგორც გონებრივი შრომის სახესხვაობის) მოტივის ის ზოგადი და სპეციფიკური თავისებურებანი, რაც გამოვლინდა ზემოაღნიშნული თეორიული და ექსპერიმენტული მუშაობის საფუძველზე.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

წ. ხოჯაბა, მ. სურგულაძე

განწყობის ილუზიების სინჰრამი, სიდიდე და ხანგრძლივობა მხედველობის ველის ცენტრალურ და პერიფერიულ არეებში

ცნობილი ფაქტია, რომ პერიფერიული მხედველობით აღქმული საგანი ყველა თავისი თვისებით ნაკლებ გამოკვეთილი და ბუნდოვანია, ვიდრე მაშინ, როცა იგი მხედველობის ცენტრალური არეთია აღქმული. ამ ფაქტს ის დაკვირვებაც ადასტურებს, რომ ორგანიზმის გარემოსთან დამოკიდებულებაში პერიფერიულ მხედველობას მუდამ სიგნალურ-ბიოლოგიური (საორიენტაციო) მნიშვნელობა აქვს: ჩვეულებრივად თავს ვაბრუნებთ საგნისაკენ იმიტომ, რომ პერიფერიული მხედველობის არეში მოქცეული „საგანი — გამლიზიანებელი“ მხედველობის ცენტრში მოვაქციოთ და სათანადო სიცხადით აღვიქვათ.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, კერძოდ, არც საგნის სიდიდის შეფასებით აღქმა უნდა იყოს ერთნაირად ადვილი და სწორი იმის მიხედვით, მხედველობის ველის ცენტრალურ არეში გვეძლევა იგი თუ პერიფერიულში. და მაშინ არც ისაა გამორიცხული, რომ მხედველობის „ცენტრისა და პერიფერიის ფაქტორმა“ თავისი წვლილი განწყობის მოქმედებაშიც ვეჩვენოს. — იმ განწყობის, რომელიც სუბიექტს სიდიდით განსხვავებული წრეებით უფიქსირდება და შემდეგ ტოლი და არატოლი კრიტიკული წრეების აღქმავეც ილუზოგენტურად მოქმედებს.

ჩვენს ცდების ორი ჯგუფი: 1. საკონტროლო ცდები, რომელთაც უნდა გაერკვიათ, თუ როგორია წრეების სიდიდის მხრივ შეფასება ცალკე ცენტრალური და ცალკე პერიფერიული მხედველობის პირობებში, და 2. ცდები „წრეებზე განწყობის ფიქსაციით“, რომელთაც უნდა ეჩვენებინათ ამ განწყობის მოქმედება პერიფერიულ და ცენტრალურ არეებში მოცემული წრეების შეფასებით აღქმავეც.


§ 1. მხედველობის „ცენტრისა და პერიფერიის“ რეალი ტოლი და ანატოლი წრეების სიდიდის შეფასებაში (საკონტროლო ცდები)

საექსპერიმენტო მასალა: ოთხი საექსპოზიციო ბარათი (იხ. ნახაზი 1). თითოეული ბარათი წარმოადგენს მუყაოზე დაწებებულ თეთრ ქაღალდს (ზომით 30×19 სმ), რომელზეც შავი ტუშით დახატულია წყვილი წრე საფიქსაციო წერტილით მათ შორის. ამ ქაღალდის ზედა კიდურზე (რაც ნახაზში არ ჩანს!) მიმაგრებულია მისივე ზომის სუფთა ქაღალდი საფიქსაციო წერტილით, რომელიც ემთხვევა წრეებს შორის მოცემულ წერტილს. ეს „სუფთა ქაღალდი“ მოძრავია: მისი გადაწევიტ ქვემოდან ზემოთ წრეებს ვაჩენთ, დახურვით კი ვაუჩინარებთ.

პირველ ორ ბარათზე (№ 1—2) წრეები ტოლია ($d=16-16$ მლ), მაგრამ მანძილი წრეებს შორის პირველ ბარათზე 16 მილიმეტრია, ხოლო მეორეზე — 60 მლ. მომდევნო ორ ბარათზე (№ 3—4) წრეები სიდიდით განსხვავებულია ($d=16-18$ მლ) — მარჯვენა დიდია მარცხენაზე 2 მილიმეტრით; მაგრამ მანძილები აქაც იგივეა, რაც პირველ ორ ბარათზე: 16 მლ — მესამე ბარათზე და 60 მლ — მეოთხეზე.



ცდის პროცედურა. ცდისპირი ზის მაგიდასთან; მის წინ ვედება: ^{სერტიფიკატი} (30—35 სანტიმეტრის დაშორებით თვალთაგან), ვუთითებთ ბარათის ზედა ქალაღზე დასმულ საფექსაციო წერტილზე და ვაძლევეთ ინსტრუქციას:



ნახაზი 1

„უცქირეთ ამ წერტილს. რამდენიმე სეკუნდის შემდეგ მე ამ ქალაღს გადავწევ; მეორე ქალაღზე თქვენ დაინახავთ ერთიმეორის გვერდით ორ წრეს და მათ შორის დასმულ წერტილს, მაგრამ თქვენ ამ მეორე ქალაღზეც წერტილს უნდა უცქიროთ და ისე შეადაროთ ეს ორი წრე ერთმანეთს სიდიდის მიხედვით. თუ მოგეჩვენებათ, რომ წრეები ტოლებია, თქვით: „ტოლებია“; მაგრამ თუ მოგეჩვენებათ, რომ ერთი წრე ოდნავ პატარაა მეორეზე, თქვით — საით იყო ოდნავ პატარა წრე: წერტილიდან მარჯვნივ თუ მარცხნივ“.

წერტილის ფექსაცია ზედა ქალაღზე გრძელდებოდა 5—6 სეკუნდს, ხოლო წრეებიან ბარათზე დაახლოებით 2 სეკუნდს. შედეგები მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1

შეფასებები	პატარა მარცხნივ	ტოლია	პატარა მარჯვნივ	
ტოლი წრეები 16—16 მლ	ახლოს	10	70	20
	შორს	30	30	40
არტოლი წრეები 16—16 მლ	ახლოს	100	—	—
	შორს	60	40	—

როგორც ცხრილიდან ჩანს, საექსპოზიციო ბარათების შესატყვისად სულ ჩატარებულია ოთხი ცდა: ორი ცდა — ურთიერთის მიმართ ახლოს და შორს მდებარე ტოლი წრეებით (იხ. ბარათი № 1—2) და ორიც ახლოს და შორს-მდებარე არატოლი 2 მილიმეტრით განსხვავებული წრეებით (ბარათ. № 3—4).

იგულისხმება, რაკი საერთოდ მხედველობის ველის ცენტრალურ არეში მოცემული საგანი ყველა თავისი ხილვადი ნიშან-თვისებით უფრო მეტი სიცხადით და სიზუსტით განიცდება, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა იგი მხედველობის პერიფერიულ არეში გვეძლევა, ამიტომ ეს კანონი კერძოდ წრეების აღქმაშიც უნდა მოქმედებდეს, და მაშინ მათი სიდიდეების შეფასებამაც შემდეგი კანონზომიერება უნდა გვიჩვენოს:

შესადარებელი წრეების ურთიერთთან ახლომდებარეობა (16 მილიმეტრიანი მანძილით მათ შორის!) და, მაშასადამე, მათი მხედველობის ველის ნათელ ცენტრალურ არეში მოცემულობა, წესისამებრ, „ხელს უნდა უწყობდეს“ მათი სიდიდის სწორ ადეკვატურ შეფასებას; ხოლო ურთიერთის მიმართ შორსმდებარეობა (60 მილიმეტრიანი მანძილით!) და, მაშასადამე, მხედველობის პერიფერიულ არეში მოცემულობა, პირიქით, „ხელს უნდა უშლიდეს“ სიდიდის სწორ შეფასებას და, წესისამებრ, მცდარი შეფასების შემთხვევებს უნდა ზრდიდეს.

გადავხედოთ ამ თვალსაზრისით ჩვენ შედეგებს (იხ. ცხრილი 1).

1. ცდაში ურთიერთთან ახლომდებარე ტოლი წრეების ექსპოზიციით მხოლოდ სამი ცდ. პირი აღმოჩნდა, რომლებმაც ეს წრეები (16—16 მილიმეტრიანი) არაადეკვატურად შეაფასეს; ორს პატარად მოეჩვენა მარჯვენა წრე, ერთს — მარცხენა; შეიღმა ცდ. პირმა კი, და მაშასადამე უმრავლესობამ, ტოლობა დაადასტურა.

მაგრამ თითქმის დიამეტრულად საწინააღმდეგო შედეგებია ნაჩვენები მეორე ცდაში, რომელიც ჩატარებული იყო აგრეთვე 16—16 მილიმეტრიანი წრეებით, ოღონდ უფრო მეტი დაშორებით მათ შორის (60 მილიმეტრით), ვიდრე პირველ ცდაში. აქ ტოლი წრეების სწორი შეფასება იშვიათია; იგი მხოლოდ სამ ცდ. პირს (30%) უდასტურდება და ჩვეულებრივია მცდარი შეფასებები: ოთხ ცდ. პირთან (40%) „უფრო პატარადაა“ შეფასებული მარჯვენა წრე, სამთან (30%) კი — მარცხენა.

2. მომდევნო ორ ცდაში ცდ. პირს შესადარებლად ეძლეოდა 2 მილიმეტრით განსხვავებული (16—18 მილიმეტრიანი) წრეები, ოღონდ იმავე მანძილებით მათ შორის, რაც პირველ ორში (ე. ი. ერთ ცდაში 16 მილიმეტრიანი მანძილით და მეორეში — 60 მილიმეტრიანით). შედეგი ასეთია: ურთიერთთან ახლომდებარე წრეები ყველა (ათივე) ცდ. პირმა ადეკვატურად შეაფასა („მარცხნივ პატარაა“—100%), ხოლო მეორე ცდაში იგივე, მაგრამ ახლა ურთიერთისაგან შორსმდებარე წრეები (60 მილიმეტრით დაშორებულნი!) სწორად შეაფასა მხოლოდ ექვსმა ცდ. პირმა (60%), ხოლო დანარჩენმა ოთხმა „ტოლობა“ დაადასტურა (ე. ი. ობიექტურად არატოლი წრეები შეცდომით ტოლებად აღიქვა).

როგორც ვხედავთ, აქ ვითარება ცოტა სხვანაირია, ვიდრე პირველ ორ ცდაში ტოლი წრეების ექსპოზიციით:

თუ ურთიერთისაგან 60 მილიმეტრით დაშორებული ტოლი წრეების „არატოლად აღქმა“ და, მაშასადამე, მათი სიდიდის მცდარი შეფასება („მარცხნივ პატარა“, „მარჯვნივ პატარა“) ცდ. პირების დიდ უმრავლესობას (70%) უდას-



საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემიისთვის

ტურდება, უკანასკნელ ცდაში ობიექტურად არატოლი (16—18 მლ) წრეების მცდარ შეფასებას („წრეები ტოლია“) მხოლოდ ოთხი ცდ. პირი იძლევა (40%), და უმრავლესობას კი (6 ცდ. პირს — 60%) ადეკვატური შეფასება უდასტურდება („მარცხნივ პატარა“). მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზემოხსენებული კანონზომიერება ამით მაინც არ ირღვევა, რადგან არატოლი წრეების სიდიდის მცდარი შეფასება („ტოლებია“) პირველად მაინც მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა ამ წრეებს შორის მანძილი დიდია (60 მლ).

ამრიგად შეგვიძლია დავასკვნათ: საკონტროლო ცდების მონაცემების მიხედვით კანონზომიერება ერთია: წრეების ურთიერთთან სიახლოვე (ტოლებისაც და ორი მილიმეტრით განსხვავებულებისაც) ხელს უწყობს მათი სიდიდის სწორ, ადეკვატურ შეფასებას, ხოლო დაშორებულობა, პირიქით, ხელს უშლის მას; და უთუოდ მიზეზი ისაა, რომ პირველ შემთხვევაში წრეები ცენტრალური მხედველობით აღიქმება, ხოლო მეორეში — პერიფერიულით.

* * *

ახლა ვნახოთ, რა ცვლილებები შეაქვს მხედველობის „ცენტრსა და პერიფერიის კანონს“, კერძოდ, წრეებით ფიქსირებული განწყობის მოქმედებაში. ჩატარდა ცდების ორი ვარიანტი, რომელთაც უნდა ეჩვენებინათ ამ განწყობის ილუზიების სიხშირე, სიდიდე და ხანგრძლივობა ორ განსხვავებულ სიტუაციაში: 1. როცა სუბიექტი საგანწყობო და კრიტიკულ წრეებს პერიფერიული მხედველობით აღიქვამს, და 2. როცა ისინი ცენტრალური მხედველობით აღიქმებიან.

§ 2. ამრიგად აღვთქვამთ შემდეგი ფორმული განცხადების ილუზორი მხედველობით აღიქმადი ანაზღაურების მოცემული ტოლი და არატოლი კრიტიკული წრეების აღიქმადი

აღნიშნული ვარიანტი ოთხ განსხვავებულ ცდას შეიცავს: ერთს ისეთს, რომელშიც კრიტიკული წრეები ტოლია და, დანარჩენ სამს, რომლებშიც ისინი სიდიდით განსხვავებულია. საექსპერიმენტო მასალა, რომელიც თითოეულ ცდაში იყო გამოყენებული, შემდეგია:

ცდა I (იხ. ნახაზი 2). საგანწყობო მასალა: ორი ურთიერთისაგან 53 მილიმეტრით დაშორებული წრე — მარცხნივ პატარა, მარჯვნივ დიდი

ცდა I



($d=16-30$ მლ) და საფიქსაციო წერტილი შუაში მათ ცენტრებს შორის. კრიტიკული მასალა: ორი ტოლი წრე ($d=16-16$ მლ) ურთიერთისაგან 60 მილიმეტრით დაშორებული და საფიქსაციო წერტილით მათ შორის.

ცდა II (ნახაზი 3): იგივე საგანწყობო წრეები, რაც პირველ ცდაში, ოღონდ მეტი დაშორებით (54 მლ); კრიტიკული წრეები: აგრეთვე 60 მლ დაშორებული, მაგრამ სიდიდით განსხვავებულნი — მარცხენა წრე უფრო პატა-ჰა ($d=16$ მლ) მარჯვენაზე ($d=18$ მლ).

ცდა II



ნახაზი 3

ცდა III (იხ. ნახაზი 4): საგანწყობო წრეები ურთიერთისაგან 55 მილიმეტრით დაშორებულნი; კრიტიკული წრეები იმავე დაშორებით (60 მლ), რაც I-II ცდაში, მაგრამ სიდიდის მხრივ უფრო მეტად განსხვავებულნი ($d=16-20$ მლ), ვიდრე წინა ცდებში.


ცდა III



ნახაზი 4

ცდა IV (იხ. ნახ. 5): წინა ცდებთან შედარებით გაზრდილია მანძილი საგანწყობო წრეებს შორის (56 მლ) და გაზრდილია აგრეთვე კრიტიკულ წრეებს შორის სიდიდის მხრივ განსხვავებაც (მარცხენა წრე—16 მლ, მარჯვენა — 22 მლ).

ცდა IV



ნახაზი 5

ამრიგად, როგორც მოტანილ ნახაზებიდან ჩანს, საგანწყობო წრეები და მათ შორის სიდიდის მხრივ განსხვავება ყველა ცდაში ერთი და იგივეა (16—30 მლ); კრიტიკული წრეები ტოლნი არიან პირველ ცდაში, ხოლო დანარჩენ სამ ცდაში მარჯვენა კრიტიკული წრის დიამეტრი, მარცხენა წრის დიამეტრთან შედარებით (16 მლ), 2, 4 და 6 მილიმეტრით მატულობს.

ცდის პროცედურა და ინსტრუქცია. წრეების თითოეულ წყვილი — საგანწყობოც და „კრიტიკულიც“ — საფიქსაციო წერტილითურთ დახაზულია თეთრ ქაღალდზე (30×19 სმ). თითოეულ ცდაში „ქაღალდი კრიტიკული წრეებით“ დაწებებულია სქელ მუყაოზე, მაგრამ ქაღალდი, რომელზეც საგანწყობო წრეებია დახაზული, მხოლოდ ზედა კიდურითაა მასზე მიწებებული, რაც ცდის წარმოებისას საშუალებას იძლევა ეს „საგანგებო ქაღალდი“ ქვემოდან ზემოთ გადავიწიოთ და ცდ. პირს კრიტიკული წრეებიც ვეჩვენოთ. ყოველ ცდაში წრეების განლაგება ისეთია, რომ მათი სუბექსტურად ჩვენებისას მარცხენა კრიტიკული წრე ადგილით ემთხვევა მარცხენა საგანწყობო წრეს. ურთიერთს ემთხვევიან აგრეთვე საფიქსაციო წერტილებიც, ხოლო მარჯვენა კრიტიკული წრე, რომელიც დიდი საგანწყობო წრის ადგილზე აღიქმება, ამ წრის ფართობს მთლიანად კი არ ფარავს, არამედ მხოლოდ ნაწილობრივ და ფაქტობრივად მის „შიგნით აღიქმება“ — ცდები ტარდებოდა შემდეგნაირად.

ცდ. პირი ზის მაგიდასთან. მის წინ 25—30 სანტიმეტრის დაშორებით ვდებთ საგანწყობო ბარათს, ვაცნობთ მის შინაარსს („ორი წრე, წერტილი მათ შორის, მარცხენა წრე პატარაა მარჯვენაზე“) და შემდეგ ვაძლევთ ინსტრუქციას: ვეუბნებით: „უცქირეთ ამ წერტილს. რამდენიმე სექუნდის შემდეგ მე ამ ბარათს გადავწევი; გამოჩნდება მეორე ბარათი, რომელზეც აგრეთვე ორი წრე იქნება დახაზული და მათ შორის წერტილი. მაგრამ ამ მეორე ბარათზეც თქვენ წერტილში უნდა უცქიროთ უძრავი თვალით და ისე შეადაროთ ეს ორი წრე ერთმანეთს სიდიდის მიხედვით. თუ მოგეჩვენებათ, რომ წრეები ტოლებია, თქვით: „ტოლებია“, მაგრამ თუ მოგეჩვენებათ, რომ ერთი წრე პატარაა მეორეზე, თქვით — რომელი წრე იყო პატარა: მარჯვენა წრე თუ მარცხენა“.

საგანწყობო წრეების ექსპოზიცია გრძელდებოდა 20 სექუნდს, კრიტიკულია კი — მიახლოებით 2 სექუნდს.



ოთხევე ცდა ჩატარდა 10 ცდ. პირზე¹. ყოველ ცდაში სუბიექტს ვუფიქსირებდით განწყობას მარცხნივ პატარა და მარჯვნივ დიდი წრის **გახანგრძლივებული** აღქმით და შემდეგ ვუჩვენებდით კრიტიკულ წრეებს: პირველ ცდაში — ტოლ წრეებს დიამეტრით 16—16 მლ, მეორეში 16—18 მლ, მესამეში — 16—20 მლ და მეოთხეში 16—22 მლ. ყოველი მომდევნო ცდა ტარდებოდა წინა ცდის ჩატარების დღიდან 6—7 დღის შემდეგ.

ცხრილი 2

ცდები	I	II	III	IV	ილუზ. სიდიდე
წრეების ზომა	16—16	16—18	16—20	16—22	
ცდები					
1	+	+	+	=	6
2	+	+	+	=	6
3	+	+	=	0	4
4	+	+	=	0	4
5	+	+	=	0	4
6	+	+	=	0	4
7	+	=	0	0	2
8	+	=	0	0	2
9	+	+	+	0	5
10	+	+	+	0	5
შეფასების %					
+	100	80	40	--	ილუზ. საშუალ. სიდიდე
=	—	20	40	20	
0	—	—	20	80	4,2

პირველ რიგში საჭიროა გავეცნოთ კრიტიკული წრეების შეფასების სახეებს, რომლებიც ცხრილში აღნიშნულია სამი ნიშნით: „+“, „=“, „0“.

„+ შეფასება“ ნიშნავს შემთხვევებს, როცა წყვილი კრიტიკული წრეებიდან მარჯვენა წრე ცდ. პირს ეჩვენება უფრო პატარად, ვიდრე მარცხენა, — განურჩევლად იმისა, ტოლია ეს წრეები (დიამეტრით 16—16 მლ) თუ განსხვავებულნი (დიამეტრით 16—18, 16—20 მლ); „= შეფასება“ ნიშნავს მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, როცა სიდიდით განსხვავებულ კრიტიკულ წრეებს ცდის-პირი აღიქვამს ტოლ წრეებად და, მაშასადამე, მაინც ილუზურად; ხოლო „0 — შეფასება“ ნიშნავს კრიტიკული წრეების ადეკვატურ აღქმას, ე. ი. როცა ტოლი კრიტიკული წრეები შეფასებულია როგორც ტოლები და განსხვავებული წრეები კი — როგორც „მარცხნივ პატარა და მარჯვნივ დიდი“.

ახლა ვნახოთ რომელ ცდაში რა შეფასებებს ვხვდებით და რას წარმოადგენენ ისინი განწყობის მოქმედების თვალსაზრისით.

A. ილუზური შეფასებები და მათი სიხშირე, როგორც ფიქსირებული განწყობის ეფექტი. — როგორც ცხრილიდან ჩანს, პირველ ცდაში კრიტიკული წრეების სიდიდე ($d=16-16$ მლ) და ურთიერთისაგან დაშორება (60 მლ) იგივეა, რაც მეორე საკონტროლო ცდაში; მაგრამ თუ საკონტროლო ცდაში (იხ.

¹ ცდ. პირები იყვნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიური კათედრის თანაშრომელი.



ქართული
საბჭოთაო
მედიცინის
აკადემია

ცხრილი 1) ამ წრეების სიდიდის მხრივ შეფასება ნაირ-ნაირი იყო („ტოლია“—სამ ცდისპირთან, „მარცხნივ პატარა“ — სამთან და „მარჯვნივ პატარა“—ოთხთან!), აქ — პირველ ცდაში (იხ. ცხრილი 2) ამ ნაირ-ნაირობას ადგილი აღარა აქვს და ყველა ცდ. პირის მიერ მარჯვენა წრე შეფასებულია როგორც მარცხენაზე უფრო პატარა („+შეფასება“); ეს კი შემდეგს ნიშნავს: „მარცხნივ პატარა და მარჯვნივ დიდ წრეებზე ფიქსირებული განწყობის“ გავლენით კრიტიკული (ტოლი) წრეებიდან მარჯვენა წრე დიდი საგანწყობო წრის კონტრასტულად დაპატარავებულია.

მეორე ცდაში მდგომარეობა სხვანაირია: იმავე 10 ცდ. პირიდან „+შეფასება“ უდასტურდება რვა ცდ. პირს (80%) და „=შეფასება“—დანარჩენ ორს (20%); მაგრამ, გარდა ამისა, კრიტიკ. წრეების განსხვავებულობის გამო აქ „+შეფასება“ მთლად ისეთი არაა, როგორც იგი პირველ ცდაშია აქ იგი შემდეგს ნიშნავს: ფიქსირებული განწყობის გავლენით მარჯვენა (დიდი) კრიტიკული წრე ($d=18$ მლ) იმდენად პატარავდება, რომ იგი სუბიექტს მარცხენა პატარა წრესთან ($d=16$ მლ) შედარებით უფრო პატარად ეჩვენება. „=შეფასება“ კი ისეთი შემთხვევაა, როცა განწყობის გავლენით მარჯვენა კრიტიკული წრე მხოლოდ იმ ზომით პატარავდება, რომ იგი ცდ. პირის განცდაში მარცხენა კრიტიკულ წრეს უტოლდება (გატოლების ილუზია). ერთი სიტყვით, ორივე სახის შეფასება თანაბარის უფლებით ფიქსირებული განწყობის კონტრასტული ილუზიაა და გვაქვს უფლება ვთქვათ, რომ აღნიშნულ ცდაშიც, მიუხედავად კრიტიკულ წრეებს შორის სიდიდის მხრივ თვალსაჩინო განსხვავებისა ($d=16-18$ მლ), განწყობის კონტრასტული მოქმედება მაინც ყველა ცდ. პირს უდასტურდება.

მესამე ცდაში კრიტიკულ წრეებს შორის „დიამეტრული განსხვავება“ 4 მლ-ს უდრის (16—20 მლ); და, ცხადია, ცდ. პირს რომ ეს წრეები იზოლირებულად ვუჩვენოთ (ე. ი. წინასწარ განწყობის გაუფიქსირებლად), მათი შეფასება უგამონაკლისოდ ადეკვატური იქნება („მარცხნივ პატარა, მარჯვნივ დიდი“). მაგრამ წინასწარ ფიქსირებული განწყობის კონტრასტულ-ილუზოგენური მოქმედება აქაც უპიკელია: აქ იგი (იხ. ცხრილი 2) სუმარტულად რვა ცდ. პირს უდასტურდება (80%); ოთხ მათგანს „+შეფასების“ სახით, ოთხს „=შეფასების“ სახით („გატოლების ილუზია“),—და მხოლოდ ორი ცდ. პირია, რომელნიც ადეკვატურ „0—შეფასებას“ იძლევიან, ერთი სიტყვით, აღწერილ ცდაში ფიქსირებული განწყობის მოქმედება წრეების 4 მილიმეტრიან განსხვავებას ფარავს.

მეოთხე ცდაში, სადაც კრიტიკულ წრეებს შორის „დიამეტრული განსხვავება“ 6 მლ უდრის (16—22 მლ) და, მამასაღამე, მეორე და მესამე ცდასთან შედარებით, მათი სიდიდის მხრივ სხვაობა მეტია, ფიქსირებული განწყობის კონტრასტული მოქმედება მხოლოდ ორ ცდ. პირს უდასტურდება და ისიც მხოლოდ „=შეფასების“ ანუ „გატოლების ილუზიის“ სახით; 8 ცდ. პირთან კი და, მამასაღამე, უმრავლეს შემთხვევაში, მათი შეფასება ადეკვატურია („0—შეფასებები“!).

ასეთია წრეებით ფიქსირებული განწყობის ილუზოგენური მოქმედების სისხირე, როცა სიდიდით ტოლი და მეტ-ნაკლებად განსხვავებული კრიტიკული წრეების აღქმა მხედველობის ველის პერიფერიულ არეში ხდება. მართალია, ამ განსხვავების ზრდის კვალობაზე (2—4—6 მილიმეტრით) ილუზია თანდათან იშვიათდება და ბოლოს კიდევ აღიკვეთება, მაგრამ ამ აღკვეთამდე მისი



სისწორე მაინც საგრძნობლად დიდია; სახელობრ: 10 ცდ. პირის 40 პასუხიდან („+“ „=“ და „0—შეფასების“ სახით!) „ილუზური შეფასების“ მაჩვენებელია 30 პასუხი (75%).

B. ილუზიის სიდიდე. — მხედველობის პერიფერიაზე მოქმედი განწყობის დასახასიათებლად საველისხმო ფაქტია ისიც, რომ კრიტიკულ წრეებს შორის სიდიდის მხრივ განსხვავება, რომელსაც განწყობა ფარავს, ინტერინდივიდუალურად ერთნაირი არაა: ზოგ ცდ. პირთან იგი დიდია და ზოგთან — პატარა.

საერთოდ ილუზიის სიდიდის მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს კრიტიკული წრეების სიდიდის მხრივ განსხვავების ის დონე ანუ ის „ზღვრული სხვაობა“ მათ შორის, რომელსაც ფიქსირებული განწყობა ფარავს და სუბიექტს მათი „ტოლობის ილუზიას“ უქმნის. ჩვენი შედეგები ამართლებს ამ დებულებას, მაგრამ ვიდრე მათ ამ თვალსაზრისით განვიხილავდეთ, წინასწარ საჭიროა შემდეგი შენიშვნა გავაკეთოთ:

როგორც უკვე ვიცით, პირველ ცდაში კრიტიკული წრეები ტოლია (16—16 მლ), ხოლო დანარჩენ ცდებში მარჯვენა წრე დიდია მარცხენაზე — შესატყვისად: მეორე ცდაში (16—18 მლ) იგი დიდია 2 მლ-ით, მესამეში (16—20 მლ) — 4 მლ-ით და მეოთხეში (16—22 მლ) — 6-ით. მაგრამ ოთხივე ცდაში ერთი და იგივე განწყობა მოქმედებს, — განწყობა, რომელიც 16—30 მილიმეტრიან წრეების გახანგრძლივებული ექსპოზიციითაა ფიქსირებული. სრულიად უდავოა, რომ ამ განწყობის ილუზოგენური მოქმედების გავლენით ყველა მარჯვენა კრიტიკულ წრე (16, 18, 20, 22 მილიმეტრიანები) უნდა დაპატარავდეს, რადგან მარჯვენა საგანწყობო წრე თითოეულ მათგანზე დიდია (20 მლ); მაგრამ საკითხავია: სხვადასხვა სიდიდით უნდა პატარავდებოდნენ ისინი თუ ერთი და იმავე სიდიდით?

ჩვენი აზრით, უფრო სწორი უნდა იყოს მეორე ვარაუდი: რაკი ოთხივე ცდაში ერთი და იგივე განწყობა მოქმედებს, ამიტომ მისი „დაპატარავებელი ძალაც“ ყველა მარჯვენა კრიტიკული წრეების მიმართ ერთი და იგივე უნდა იყოს, და „ილუზიის სიდიდის“ დადგენაც მხოლოდ ასეთ პირობებშია შესაძლებელი. ახლა გადავხედოთ ამ თვალსაზრისით შეფასების განაწილებას ჩვენს ცხრილში.

1. პირველ ორ ცდ. პირს (№ 1—2) პირველ, მეორე და მესამე ცდაში „+ შეფასება“ მოუცია, ხოლო უქანასკნელ ცდაში კი — „= შეფასება“. ჩვენი ანალიზის თანახმად ეს შემდეგს ნიშნავს: ა) პირველ ცდაში ტოლი კრიტიკული წრეებიდან (16—16 მლ) მარჯვენა წრე ილუზურად დაპატარავებულა; ბ) მეორე და მესამე ცდაში, სადაც კრიტიკულ წრეებს შორის განსხვავება 2—4 მილიმეტრს უდრის, მარჯვენა დიდი კრიტიკული წრეები (18 და 20 მლ) იმდენად დაპატარავებულა, რომ ცდ. პირს ისინი მარცხენა პატარა (16 მილიმეტრიან) წრესთან შედარებით უფრო პატარად მოჩვენებია, გ) ხოლო მეოთხე ცდაში, სადაც კრიტიკულ წრეებს შორის განსხვავება 6 მილიმეტრს უდრის (16—22 მლ), მარჯვენა კრიტიკული წრე მარცხენა პატარა წრის ტოლად აღუქვამს („ტოლობის ილუზია“).

ისმის საკითხი: აღნიშნული ილუზიებიდან, რომელთაც ცდების გასწვრივ ფიქსირებული განწყობა ბადებს, რომელი უნდა ჩაითვალოს საკუთრივ „ილუზიის სიდიდის“ მაჩვენებლად: „ტოლი კრიტიკული წრეებიდან მარჯვენა წრის დაპატარავება“, „მარჯვენა დიდი წრის მარცხენა პატარასთან შედარებით უფ-

რო პატარად აღქმა“ (მეორე და მესამე ცდაში), თუ „გატოლება“, რომელიც აღნიშნულ ორ ცდ. პირს მხოლოდ ბოლო ცდაში უჩნდება?

ტოლი წრებიდან მარჯვენა წრის დაპატარავების ილუზია მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ მარჯვენა წრე დაპატარავდა, მაგრამ თუ, სახელდობრ, რამდენად დაპატარავდა იგი — ერთი მილიმეტრით თუ ორით — ეს არ ჩანს. — იგივე ითქმის იმ შემთხვევაზე, როცა, ვთქვათ, დიდი 20 მილიმეტრიანი წრე პატარა 16 მილიმეტრიანზე „უფრო პატარად“ განიცდება (მესამე ცდაში). ხოლო, რაც შეეხება 16—22 მილიმეტრიანი წრეების „გატოლების ილუზიას“, რომელიც მეოთხე ცდაში ჩნდება, აქ ორივე ჩანს: ისიც ჩანს, რომ 22 მილიმეტრიანი წრე დაპატარავდა, და ისიც, რომ იგი აუცილებლად 6 მილიმეტრით უნდა დაპატარავებულყო, რადგან 22 მილიმეტრიანი წრის 16 მილიმეტრიანთან გატოლება სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა მის 6 მილიმეტრით დაპატარავებას, — მაგრამ „გატოლების ილუზიიდან“ მეტიც ჩანს.

16—30 მილიმეტრიანი წრეებით ფიქსირებული განწყობის მოქმედებამ რომ მარჯვენა 22 მილიმეტრიანი წრე 6 მილიმეტრით დაპატარავა და იგი მარცხენა 16 მილიმეტრიან წრეს გაუტოლა, ეს იმას ნიშნავს, რომ პირველ სამ ცდაშიც მარჯვენა კრიტიკული წრეები (16, 18 და 20 მლ-ნები) აგრეთვე 6 მილიმეტრით უნდა დაპატარავებულყვნენ; თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნულ მარჯვენა კრიტიკულ წრეებს რომ ამავე განწყობის გავლენით 6 მილიმეტრზე ნაკლები ზომით დაეკლოთ, ვთქვათ, 4 მილიმეტრით, ამ ზომითვე დაიკლებდა მეოთხე ცდის მარჯვენა 22 მილიმეტრიანი წრეც და მაშინ კი უკანასკნელის 16 მილიმეტრიან წრესთან განტოლებაც ვერ მოხდებოდა.

ამრიგად, სიდიდე იმ ილუზიებისა, რომელნიც აღნიშნულ ორ ცდ. პირს (№ 1—2) ოთხივე ცდის გასწვრივ უდასტურდება, ყველგან 6 მილიმეტრს უდრის, და უშუალო ინდიკატორი ამ სიდიდისა მხოლოდ და მხოლოდ „გატოლების ილუზიაა“.

უფრო განზოგადებულად რომ გამოვთქვათ, ტოლობის ილუზია შემდეგს ნიშნავს: კრიტიკულ წრეებს შორის „დასაფეხურებულად მზარდი განსხვავების“ სიტუაციაში რა სიდიდის განსხვავებასაც ფიქსირებული განწყობის მოქმედება ფარავს და ტოლობის ილუზიას აჩენს, იმავე სიდიდისა ის ილუზიებიც, რომლებიც სუბიექტს მანამდე (გატოლების გაჩენამდე) ერთ-ერთი წრის „დაპატარავების ილუზიის“ სახით უჩნდება.

2. განაგარიშების აღნიშნული წესის მიხედვით უკვე ადვილი ხდება დაგადგინოთ, თუ რა სიდიდისაა ილუზიები იმ მომდევნო 6 ცდ. პირთან (№ 3—8. იხ. ცხრილი 2), რომლებსაც ტოლობის ილუზია უფრო ადრე უჩნდებათ, ვიდრე პირველ ორს.

ოთხ ცდ. პირთან (№ 3—6) ილუზიების სიდიდე 4 მილიმეტრს უდრის, რადგან მათთან „ტოლობის ილუზია“ წრეების 4 მილიმეტრიან განსხვავებას ფარავს (მესამე ცდაში), იმ დროს, როცა 6 მილიმეტრით განსხვავებული წრეების სიდიდის მზრივ მიმართება ადეკვატურად აღიქმება („მარცხნივ პატარა — მარჯვნივ დიდი“). მომდევნო ორ ცდ. პირთან ილუზიის სიდიდე 2 მილიმეტრით იზომება იმიტომ, რომ მათთან „ტოლობის ილუზია“ წრეების ორ მილიმეტრიან განსხვავებას ფარავს (მეორე ცდაში), ხოლო მომდევნო ორ ცდაში 4 და 6 მილიმეტრით განსხვავებულ წრეებს ადეკვატურად აფასებს.



შინიშნება: ოთხ ცდ. პირს რომ მეოთხე ცდაში 6 მილიმეტრით განსხვავებული წრეებზე აღეკვატურად შეუფასებიათ („0—შეფასება“), — ე. ი. მარჯვენა დიდი წრე (22 მლ) დიდად აღუქვამს, ვიდრე მარცხენა (16 მლ), — ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თითქმის დიდი კრიტიკული წრე სრულიად არ დაპატარავებულა; არა! ფაქტობრივად იგივე უთუოდ პატარავდება (ჩადგან 30 მილიმეტრიანი საგანწყობო წრე მასზე უფრო დიდია), და პატარავდება აგრეთვე 4 მილიმეტრით, ისე როგორც წინა სამ ცდაში მარჯვენა კრიტიკული წრეები (16, 18 და 20 მილიმეტრიანები); მაგრამ საკუთრივ 22 მილიმეტრიანი წრეების მიმართ 4 მილიმეტრით დაპატარავება უკვე საკმარისი აღარაა არც იმისათვის, რომ იგი მარცხენა 16 მილიმეტრიანი წრეზე უფრო პატარად იქცეს, და არც იმისათვის, რომ მის ილუზურად გაუტოლდეს: 4 მილიმეტრით დაპატარავების შედეგად იგი (22 მლ წრე) 18 მილიმეტრიანად იქცევა და, როგორც ასეთი, მარცხენა კრიტიკულ 16 მილიმეტრიან წრესთან შედარებით მაინც უფრო დიდ წოდ აღქმება და შესატყვისად იგივე ითქმის იმ ორ ცდ. პირზეც (№ 7—8), რომლებიც 16—20 და 16—22 მილიმეტრიან წრეებს უკვე აღეკვატურად აფასებენ.

შეგვეძლო აღნიშნულ ცდ. პირთა ჩვენებების შესახებ მეტი აღარაფერი გვთქვა, რომ აქ ყურადღებას არ იპყრობდეს ერთი დეტალი, რომელშიც უთუოდ ისევე „გატოლების ილუზიის“ (როგორც საერთოდ ილუზიის სიდიდის ინდიკატორის) თავისებურება ჩანს და მის როლს უფრო ნათლად წარმოგვიდგენს; სახელდობრ: ექვსივე ცდ. პირთან ტოლობის ილუზია („= შეფასება“) მარჯვენა კრიტიკული წრეების „დაპატარავების ილუზიებს“ („+ შეფასებებს“) უშუალოდ მოსდევს, ხოლო ადეკვატურ აღქმებს („0—შეფასებებს“) წინ უსწრებს; და არც ერთ ცდ. პირთან ისე არ ხდება, რომ ჯერ ტოლობის ილუზია ჩნდებოდეს და შემდეგ დაპატარავების, ან ჯერ ჩნდებოდეს ადეკვატური აღქმები და შემდეგ ტოლობის ილუზია. სხეანარად რომ ვთქვათ, დასაფხურებულად განსხვავებული კრიტიკული წრეების სიდიდის მხრივ შეფასებათა რაგში „გატოლების ილუზიის“ ადგილი უნიკალურია, რადგან გენეტიკურად იგი მუდამ უაშოია „დაპატარავების ილუზიებსა“ და ადეკვატურ აღქმებს შორის. ეს ფაქტი კი იმას ნიშნავს, რაც ჩვენ ზემოთ დებულების სახით წამოვაცენეთ და ახლა, როგორც ვხედავთ, ექსპერიმენტულადაც მტკიცდება:

დასაფხურებულად განსხვავებული კრიტიკული წრეების სიტუაციაში ტოლობის ილუზია განწყობის მოქმედების ის „ზღვრული საფეხურია“, რომლის იქით იგი ილუზიას აღარ აჩენს, თუმცა კი, როგორც უკვე შევნიშნეთ, მომდევნო კრიტიკული წრეების დაპატარავებას მაინც ახერხებს.

3. რიგით უკანასკნელ ორ ცდ. პირთან (№ 9—10) შეფასებები ასეთია: პირველ სამ ცდაში მარჯვენა დიდი კრიტიკული წრეები აღქმულია ილუზურად როგორც მარცხენაზე უფრო პატარა („+ შეფასება“), ხოლო მეოთხე ცდაში 6 მილიმეტრით განსხვავებული წრეები (16—22 მლ) შეფასებულა ადეკვატურად („0—შეფასება“).

Комплексе экономико-математических моделей, включенных в имитационную модель, условно можно разбить на две части: в первую входят статические модели, имитирующие этап планирования на базе; во вторую — динамические модели, описывающие процесс развития системы во времени. Период (полугодие, год и т. д.) имитации разбит на равные промежутки — интервалы принятия решений. Изменение состояния системы во времени моделируется путем рассмотрения следующих друг за другом интервалов принятия решений. В начале интервала решаются уравнения уровней и интенсивностей. Уровни характеризуют состояние системы в тот или иной момент времени (например, уровень фактических запасов, уровень невыполненных заказов и т. д.) и обуславливают принимаемые решения. Принятые решения реализуются в виде изменений интенсивностей потоков (информационных, материальных и т. д.), существующих между уровнями. Принимаемые решения изменяют значения уровней и переводят систему в новое состояние.

ФУНКЦИОНАЛЬНАЯ БЛОК-СХЕМА ИМИТАЦИОННОЙ МОДЕЛИ





Здесь приведена укрупненная блок-схема алгоритма функционирования имитационной модели системы ПБП. Работа модели начинается с ввода в ЭВМ заказов потребителей на транзитные и складские поставки, а также статистической информации, необходимой для планирования снабжения с базы (блоки 1, 2). В блоке 3 происходит определение суммарного складского спроса потребителей на отдельные типоразмеры продукции. В блоке 4 на основе информации о выделенных фондах, объемах реализации за прошедший период и суммарного предварительного складского спроса, прогнозируется величина ожидаемого объема снабжения потребителей с базы. В зависимости от целей исследования в четвертый блок могут быть включены алгоритмы, реализующие различные методы прогнозирования спроса. В блоке 5 на основе ожидаемого спроса и ряда дополнительных факторов, состав которых определяется применяемым методом нормирования, рассчитываются плановые величины товарных запасов на базе. На основе полученных норм запасов и величины ожидаемого спроса в блоке 6 формируются заказы на поставку продукции базе в планируемом периоде с разбивкой на кварталы. С учетом особых условий поставок продукции, транзитных нарядов заказов потребителей, заказов базы и величины транзитной нормы в блоке 8 происходит расчет графиков поставок продукции транзитом и на базу по месяцам.

В блоке 7 задаются начальные условия для функционирования базы: в ЭВМ вводятся данные об уровне запасов на складе, о текущем спросе и т.д., аналогично, в блоке 10 формируются начальные условия для функционирования потребителей. К этому моменту вся информация, необходимая для оперативного управления процессом снабжения потребителей, находится в ЭВМ и начинается моделирование развития системы во времени.

В блоках 9 и 11 происходит расчет интенсивностей поступления продукции на базу и потребителям соответственно. Здесь же моделируются случайные отклонения фактических поставок от плановых в объеме и по срокам, для чего используется два генератора случайных чисел с равномерным и нормальным распределениями.

В блоке 12 рассчитываются интенсивности потоков, существующих между уровнями звена «база». В зависимости от текущего состояния базы вырабатываются управляющие воздействия (решения), которые в следующий момент времени переводят систему в новое состояние. Аналогично, в блоке 13 определяются управляющие воздействия для звена «потребитель».

В блоке 14 моделируется стохастический процесс возникновения оперативного спроса потребителей. Случайными величинами являются: количество и номера потребителей, представивших оперативные заказы; набор типоразмеров в заказе; объемы затребованной ими продукции и моменты поступления заказов на базу. На основе интенсивностей, рассчитанных в начальный момент каждого интервала принятия решений, в блоке 15 к концу того же интервала рассчитывается новое состояние звена «база», а в блоке 17 — новое состояние звена «потребитель».

В блоке 16 рассчитываются и выводятся на печать показатели, характеризующие качество функционирования базы: фактические запасы к концу месяца по отдельным типоразмерам и по виду в целом, текущие объемы неудовлетворенного спроса, процент выполнения планов поставок продукции с базы, интегральный и локальный уровни обслуживания потребителей и т. д.



В блоке 18 рассчитываются показатели для звена «потребитель». К концу месяца для каждого потребителя рассчитываются и выводятся на печать уровни фактических запасов и дефицита, уровень обслуживания, планы поставок с базы и транзитом и фактическое их выполнение, величина оперативного спроса в разрезе типоразмеров.

Кроме того, к концу каждого месяца распечатываются показатели, отражающие картину работы системы в целом: объем складского фонда, величина пропускной способности базы за интервал принятия решений, процент заспецифицированной части фонда, нормы запасов и фактические запасы на базе в процентах от фонда.

Перечисленные показатели дают возможность детального анализа развития системы ПБП в течение моделируемого периода времени.

Комплекс программ имитационной модели реализован на алгоритмическом языке ФОРТРАН-IV операционной системы ДОС/ЕС. Прогнывание одного варианта процесса снабжения 72 потребителей двумястами типоразмерами продукции одной номенклатурной группы в течение полугодия занимает на ЭВМ ЕС-1022 в среднем 50 минут машинного времени.

С целью уточнения области практического использования имитационной модели и установления степени адекватности реализованных в модели алгоритмов планирования и оперативного управления, реально применяющимся в системе материально-технического снабжения, были проведены экспериментальные исследования. В результате 86 экспериментов, проигранных на ЭВМ ЕС-1022 было установлено, что имитационная модель системы ПБП позволяет исследовать следующие вопросы:

- влияние ошибок прогнозирования складского спроса на качество функционирования базы и потребителей;
- зависимость качества снабжения потребителей от пропускной способности базы;
- эффект использования взаимозаменяемости типоразмеров в процессах снабжения потребителей;
- влияние нарушений заводами-поставщиками планов поставок продукции на качество снабжения потребителей экономического района;
- расчет дополнительных запасов на базе, предназначенных для страхования транзитных поставок;
- изменение совокупного уровня запасов в экономическом районе в результате централизации запасов потребителей.

Кроме того, в ходе экспериментов на имитационной модели были апробированы различные модели принятия решений по обеспечению ресурсами планов поставки продукции с базы [3].

Совершенствование информационного обеспечения модели с учетом единой системы классификации и кодирования технико-экономической информации в системе материально-технического снабжения позволит решить ряд практических задач по контролю, учету и отчетности, возникающих на снабженческо-сбытовых базах.

В настоящее время проводится доработка ряда алгоритмов планирования и оперативного управления на основе типовых проектных решений функциональных задач территориального комплекса АСУ Госснаба СССР и привязка имитационной модели к тбилисской металлобазе Госснаба Грузинской ССР [4].

ЛИТЕРАТУРА

1. Динамическое моделирование на ЭВМ системы «поставщик—база—потребитель». Отчет по НИР, № гос. рег. 75012074, ТО НИИМС, 1976.
2. Экспериментальное исследование на ЭВМ имитационной модели «поставщик—база—потребитель». Отчет по НИР, № гос. рег. 77039680, ТО НИИМС, 1977.
3. Разработка и опробование моделей оперативного контроля и принятия решений по обеспечению ресурсами планов поставки продукции с баз. Отчет по НИР, № гос. рег. 77039679, ТО НИИМС, 1977.
4. Комплекс задач планирования и оперативного управления запасами на базах. Типовой технорабочий проект, № гос. рег. 76084625, ТО НИИМС, 1977.

Представлена Институтом экономики и права
АН Грузинской ССР



მიხილ რეპბლიკაში

კაპიტალური დაბანდების ეფექტურობის ამაღლების მნიშვნელობა საბინაო მშენებლობის დაფინანსება-დაკრედიტებაში

საბჭოთა ქვეყანა კაპიტალური მშენებლობის უდიდესი მასშტაბების ქვეყანაა. 1918—1977 წწ. კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობამ სახალხო მეურნეობაში 1 ტრილიონ 700 მილიარდ მანეთზე მეტი შეადგინა. ამ წლების მანძილზე ძირითადი საწარმოო ფონდები გაიზარდა 36-ჯერ, საზოგადოებრივი პროდუქტი გაიზარდა 96-ჯერ, ხოლო წარმოებული ეროვნული შემოსავალი კი 103-ჯერ.

სოციალიზმის უპირატესობათა წარმატებით გამოყენების მეოხებით მიღწეულია ისტორიაში განუმეორებელი სამრეწველო განვითარების ტემპი. 60 წლის მანძილზე მრეწველობა 225 ჯერ გაიზარდა. რაც შეეხება შრომის ნაყოფიერების ზრდას 1977 წელს, 1940 წელთან შედარებით მრეწველობაში 711%-მდე გადიდა, მშენებლობაში 625%-მდე, რკინიგზის ტრანსპორტზე კი 490%-მდე¹.

სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობამ მერვე ხუთწლეულში (1966—1970 წწ.) შეადგინა 352 მილიარდი მანეთი², ხოლო მეცხრე ხუთწლეულში 500 მილიარდ მანეთზე მეტი³. ეს ბევრად აღემატებოდა წინა დანარჩენი 6 ხუთწლეულის კაპიტალურ დაბანდებათა საერთო ჯამს, რომლის თანხა 1918—1965 წლებში დაახლოებით 600 მილიარდ მანეთამდე აღწევდა.

უდიდესი მიღწევები გვაქვს ეროვნული შემოსავლის ზრდის საქმეშიც დასძინა ანხ. ლ. ი. ბრეჟნევი მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრაზე 1979 წლის 2 მარტს, „დღეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბი ისე დიდია, რომ გვიხდება ქეშმარიტად ასტრონომიული ციფრებით ოპერირება. ეროვნულმა შემოსავალმა არჩევნებიდან არჩევნებამდე პერაოდში თითქმის ორი ტრილიონი, ანუ 400 მილიარდი მანეთით მეტი შეადგინა, ვიდრე წინა ასეთივე პერიოდში“⁴.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ „წარმოებრივი სიმძლავრეების გადიდება მოქმედი საწარმოების გაფართოებისა და რეკონსტრუქციის გზით, გაცილებით უფრო უზრუნველყოფს წარმოების სწრაფ ზრდას, შრომის მწარმოებლურობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და ისიც შედარებით ნაკლები კაპიტალური დაბანდებით, ვიდრე ახალი მშენებლობა. ეს გახშირობებულია მნიშვნელოვან ზომით, იმით, რომ საწარმოს გაფართოებისა და რეკონსტრუქციის დროს, როგორც წესი, უმჯობესდება კაპიტალური დაბანდების სტრუქტურა: მოწყობილობათა დანახარჯების წილი მატულობს, ხოლო

¹ ქუჩან. „ეკონომისტი“, 1977, № 12, გვ. 7.
² სსკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971, გვ. 168.
³ სსკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 156.
⁴ ლ. ი. ბრეჟნევი, საბჭოთა ადამიანების ბედნიერებისათვის, სიტყვა ქ. მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩ. შეხვედრაზე, 1979 წ. 2 მარტს, თბ., 1979, გვ. 6.



სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოებზე კლებულობს, რაც ხელს უწყობს ტალური დაბანდების ეფექტურობის ამაღლებას⁵.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი სამი ხუთწლეულის მანძილზე ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის დარგებში თითქმის ერთიორად იზრდებოდა კაპიტალური დაბანდება, რაც შეეხება მეთექვსმეტე ხუთწლეულს 1976—1980 წლებისათვის გათვალისწინებულია 630 მილიარდი მანეთის ოდენობით, ანუ მხოლოდ 129 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე წინა ხუთწლეულში. ამჯერად კაპიტალური დაბანდების მოცულობა მცირედით გავზარდეთ, რადგან მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ მთელი ძალები ხარისხის გაუმჯობესებაზე წარმართულიყო და არა ძირითადი ფონდების ორმაგ ზრდაზე. ამასთანავე, კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის ზრდასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი ეფექტურობის ამაღლებას, როგორც მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი განვითარების აუცილებელ პირობას.

პარტია პირველხარისხიდან მნიშვნელობას ანიჭებს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის გადიდებას, კაპიტალურ სამუშაოთა ყველაზე ხელსაყრელ და ეკონომიურ მიმართულებათა არჩევას, კაპიტალურ დაბანდებათა ყოველ დასარჯულ მანეთზე პროდუქციის უდიდესი მატების უზრუნველყოფას და ამ დაბანდებათა ანაზღაურების ვადების შემცირებას.

კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალური კონკრეტული გზების არჩევას სჭირდება საფუძვლიანი ეკონომიკური და საინჟინრო განვითარება. ყველაზე დიდ ეფექტს მოგვცემს სიმძლავრეთა მატება მოქმედ საწარმოებში მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, მოწყობილობის მოდერნიზაციისა და მოძველებული მოწყობილობის შეცვლის შედეგად.

ჩვენს რესპუბლიკაში კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობა მეცხრე ხუთწლეულში (1971—1975 წწ.) 5 მილიარდ 340 მილიონ მანეთი შეადგინა. ამუშავდა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი 72 დიდი საწარმო, რეკონსტრუირებულია ასობით მოქმედი საამქრო, ქარხანა და ფაბრიკა. გარკვეული დადებითი ძვრები მოხდა საბინაო მშენებლობაშიც. მაგრამ მიუხედავად ამისა იგი კვლავ ითვლება ყველაზე ჩამორჩენილ დარგად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში, რადგან ძირითადი ფონდებისა და კაპიტალური დანადგარების ათვისების გეგმები არ შესრულებულა ხუთწლეულის არც ერთ წელს და განვილი წლების მანძილზე კაპიტალურ დაბანდებათა ფაქტორმა ზრდამ 24% შეადგინა, ნაცლად დავალებით დაწესებული 36%-სა⁶.

მეცხრე ხუთწლედი — ეს ინტენსიური მასობრივი საბინაო მშენებლობის ზედიზედ მეოთხე ხუთწლედი იყო. 1971—1975 წლებში მთელს ჩვენს ქვეყანაში აშენდა თერთმეტ მილიონზე მეტი ბინა და ინდივიდუალური სახლი 544 მილიონი მ² საერთო ფართობით, რის შედეგად საბინაო პირობები გაუმჯობესდა 56 მილიონმა საბჭოთა მოქალაქემ. მთლიანად უკანასკნელი ოთხი ხუთწლეულის მანძილზე აშენდა ორ მილიარდ მ²-ზე მეტი საერთო ფართობის ბინები; ასეთი მასშტაბი მსოფლიოს არ ახსოვს⁷.

⁵ სრკ ფინანსები, ავტორთა კოლექტივი პროფ. ი. დ. ზღობინის ხელმძღვანელობით; რუსულად ქართული თარგმანი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1977, გვ. 343.

⁶ სკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1971, გვ. 201, 202.

⁷ საქ. კპ ცკ საინფარმო მოხსენება საქ. კპ XXV ყრილობას, თბ., 1976, გვ. 27.

⁸ Основные направления развития народного хозяйства СССР на 1976—1980 г. Доклад XXV съезду КПСС, 1 марта 1976 г. Изд. полит. лит., Москва, 1976, с. 9.



მიუხედავად საბინაო მშენებლობაში ესოდენ დიდი მიღწევებისა, ბინის ფონდით მოსახლეობის სრულად დაკმაყოფილების პრობლემა მთელს პლანეტაზე და მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც, კვლავ დღის წესრიგში დგას. მეათე ხუთწლეულში (1976—1980 წწ.) დაგეგმილია, აშენდეს ყველა წყაროს ხარჯზე 545—550 მილიონი მ² საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. გაუმჯობესდება ხარისხი, კომფორტულობა და დაგეგმარება, გადიდდება კოოპერაციული და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მოცულობა⁹. მთლიანად საბინაო კომუნალურ მშენებლობას მოხმარდება კაპიტალურ დაბანდებათა დაახლოებით 100 მილიარდი მანეთი¹⁰.

საბინაო პრობლემის გადაჭრის საკითხში სხვა მოძმე რესპუბლიკებთან ერთად საქართველოს რესპუბლიკამაც გიგანტური ნაბიჯები გადადგა წინ და მკვეთრად გააუმჯობესა მშრომელი მოსახლეობის საბინაო პირობები.

მერვე ხუთწლეულში, 1966—1970 წლებში საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა 8 მილიონ 700 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, ანუ 814 ათასი კვადრატული მეტრით მეტი, ვიდრე წინა მეშვიდე ხუთწლეულში¹¹, მეცხრე ხუთწლეულში კი საექსპლოატაციოდ არის გადაცემული 4 მილიონი 876 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები¹², რაც შეეხება მეათე ხუთწლეულის ორნახევარი წლის მანძილზე (1976, 1977 და 1978 წლის პირველი ნახევარი) ჩაბარებულ იქნა 2,3 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი¹³, რაც 400 ათასი მ²-ით აღემატება მეცხრე ხუთწლეულის შესაბამის პერიოდს.

ამასთან ცნობილია, რომ საერთოდ ბინების მშენებლობის გეგმა ქ. თბილისში 1973 წელს, მრავალი წლის მანძილზე პირველად შესრულდა გადაჭარბებით და ამ წლიდან მოყოლებული უმეტეს შემთხვევაში ბინები შენდება დაწესებულ ვადებში და შედარებით ხარისხიანად, ვიდრე წინა წლებში. მიუხედავად ამისა, ფაქტები მოწმობს, ითქვას კვ 1978 წლის ნოემბრის მე-13 პლენუმზე, ჩვენში ჯერ კიდევ ირღვევა ასმშენებლო წარმოების ტექნოლოგია, მრავალრიცხოვანი დეფექტები აქვს ბეტონის კონსტრუქციებსა და სადურგლო ნაკეთობებს; ბოლო წლებში კარგი შეფასებით მიღებული საცხოვრებელი სახლების ხვედრითი წილი 53 პროცენტს არ აღემატება.

უკანასკნელ პერიოდში პარტიის და მთავრობის მიერ არა ერთი მნიშვნელოვანი დადგენილება იქნა მიღებული მშენებლობისა და სახალხო მეურნეობის დარგთა ეფექტური განვითარების საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია სკკპ ცკ და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის დადგენილებანი, პირველი, „კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის გაუმჯობესების და ასმშენებლო წარმოების ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერების“, მეორე, „საპროექტო სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესების“, ხოლო მესამე, „საბინაო სამოქალაქო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

აღნიშნული დადგენილებებით დაევალით საკავშირო სამინისტროებსა და

⁹ სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ. 1976 გვ. 296.

¹⁰ იქვე გვ. 163.

¹¹ საქ. ცკც საანგარიშო მოხსენება საქ. კპ. XXIV ყრილობას, თბ., 1971, გვ. 15.

¹² საქ. ცკც საანგარიშო მოხსენება საქ. კომპ. XXV ყრილობას, თბ., 1976, გვ. 27, 28.

¹³ გახ. „კომუნისტი“, 1978 წლის 28 ივლისი, გვ. 2.



უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ^{საქართველო} საპროექტო ორგანიზაციებს: სამშენებლო ობიექტების დაპროექტება მოაწონ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების მაქსიმალური გათვალისწინების საფუძველზე და დამპროექტებლებს ფართო შესაძლებლობა მისცეს, გამოიჩინონ შემოქმედებითი ინიციატივა დაპროექტების დროს რაც შეიძლება უფრო პროგრესული, ეკონომიკური გადაწყვეტის არჩევანში; უზრუნველყონ ხარჯთაღრიცხვის სწორად განსაზღვრა და გაზარდონ მისი როლი და მნიშვნელობა იმ დონემდე, რომ შეეკვეთება და სამშენებლო ორგანიზაციებს შორის ხარჯთაღრიცხვა იყოს ანგარიშსწორების ძირითადი დოკუმენტი; კაპიტალური მშენებლობის სახელმწიფო დაგეგმვის ძირითად ფორმად მიიჩნიონ ხელშეწყობა ან გეგმა წლებად დანაწილებული.

დადგენილია ისიც, რომ მშენებლობის ხარჯთუნახაც წარმოადგენს უცვლელ დოკუმენტს მშენებლობის მთელ პერიოდში, რომლის საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვა, მშენებლობის დაფინანსება და ანგარიშსწორება მოიჯარესა და შემკვეთს შორის, შესრულებული სამუშაოებისათვის.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, აძლედა რა უდიდეს მნიშვნელობას მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებაზე გატარებულ ღონისძიებათა შედეგებს, მიიღო სათანადო დადგენილება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის დადგენილების „საბინაო სამოქალაქო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, მიმდინარეობის თაობაზე.

საკავშირო მშენბანკის გამგეობამ თავის 1975 წლის 23 დეკემბრის № 278 წერილთ, აღნიშნული დადგენილება სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად გაუგზავნა მშენბანკის რესპუბლიკის ყველა კანტორებსა და მათ შორის სსრკ მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას, სადაც აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში კვლავ ადგილი აქვს უხარისხო საბინაო სამოქალაქო მშენებლობის ექსპლოატაციაში მიღებას.

შენობა-ნაგებობათა ხარისხს დიდ ზიანს აყენებს მათი არაართმულად და ზშირ შემთხვევაში წლის ბოლოს ჩაბარება, ისიც რიგი დეფექტებითა და ხარვეზებით. საკავშირო მთავრობამ განიხილა რა ხსენებული დარღვევები გაამახვილა ბანკებისა და სტატისტიკური ორგანოების ყურადღება ამ საკითხზე და აღნიშნა, რომ ისინი არ იღებენ საჭირო ზომებს, რათა ზუსტად წარადგინონ მათ ანგარიშსწორების მონაცემები, ამასთან ავლენენ რა ადგილებზე მიწერებასა და სახელმწიფოს მოტყუების ფაქტებს, ყოველთვის როდი იჩენენ პრინციპულობას და ბოლომდე როდი მიჰყავთ საქმე, რათა აღკვეთონ დარღვევები და დამნაშავე თანამდებობის პირნი მისცენ პასუხისმგებლობაში.

საინსტრუქციო წერილთ დავეალათ სსრკ მშენბანკის ყველა რესპუბლიკურ კანტორებს და მათ შორის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას, რათა დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით, შერჩევით შეამოწმონ შესრულებულ სამუშაოთა წარმოდგენილი ანგარიშები მიმღები კომისიის აქტებთან ერთად დამთავრებულ საცხოვრებელ სახლებსა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებზე და დაშვებული დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ეს საბუთები გაუნაღდებლად დააბრუნოს უკან ამ დარღვევათა მთლიანად აღმოფხვრამდე. რაც შეეხება იმ სამშენებლო ორგანიზაციებს რომელთა მხრივ სისტემატურად ჰქონდა ადგილი საცხოვრებელი სახლების

და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების დეფექტების და სხვადასხვა დარღვევებით ჩაბარებას, მოახდინონ მათ მიერ ჩაბარებულ ყველა ობიექტზე შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის შემოწმება და მიღონ საჭირო ზომები გამოვლინებულ დარღვევათა აღმოსაფხვრელად. შემოწმების შედეგად გამოვლინებული დარღვევების, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების უხარისხოდ შესრულების და ობიექტის დეფექტებით ჩაბარების შემთხვევაში აქტები და საგადასახდლო დავალებანი, თანახმად სსრკ მშენბანკის № 7 ინსტრუქციისა „სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოებზე საკონტროლო აზომვების შესახებ“, გაუნადგებლად უბრუნდება წარმომდგენს.

სამართლიანობა მოითხოვს, დასძინა სკკ ცკ 1978 წლის ნოემბრის პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევა, აღენიშნოთ მშენებელთა უდიდესი წვლილი ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების ზრდაში¹⁴. მეათე ხუთწლედის სამწელიწადში წარმოებულა 450 მილიარდ მანეთით მეტი პროდუქცია, ვიდრე მეცხრე ხუთწლედის პირველ სამწელიწადში¹⁵. ქვეყანას ჭერ კიდევ არ ჰქონია ესოდენ მძლავრი ეკონომიკური პოტენციალი, ესოდენ განვითარებული მრეწველობა, მეცნიერება და ტექნიკა¹⁶.

ერთი სიტყვით, ამოცანა ის არის, რომ ავამაღლოთ დაგეგმვისა და მეურნეობრიობის დონე, შევესაბამოთ იგი ახლანდელი ეტაპის, განვითარებული სოციალიზმის ეტაპის მოთხოვნებს¹⁷. ლ. ი. ბრეჟნევა ამასთან აღნიშნა, რომ დღემდე ვერ შევაჩერეთ მრავალ მშენებლობაზე კაპიტალურ დაბანდებათა გაფანტვის პროცესი, იზრდება დაუმთავრებელი მშენებლობის რიცხვი, საწყობებში უსარგებლოდ აწყვია რამდენიმე მილიარდი მანეთის ღირებულების დაუდგმელი მოწყობილობა. ამაზე არაერთხელ გაგვიმახვილებია ყურადღება, მაგრამ ვერ ვატყობ, რომ სსრკ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი შემკვეთები და მშენებლები გრძნობდნენ პასუხისმგებლობას კაპიტალურ დაბანდებათა, მოწყობილობისა და მასალების გამკვდარებისა და უმომართობისათვის. საილუსტრაციოდ მოიყვანა რამდენიმე მაგალითი, სადაც მშენებლობა 12 და 17 წელს ჰიანურდება და სახელმწიფოს მილიონობით სახსრები გაყინულია. ჩვენი რესპუბლიკის კვ ცენტრალური კომიტეტის 1978 წ. ნოემბრის მეცამეტე პლენუმზე ანალოგიური სიმძაფრით ითქვა, რომ სოციალისტური ეკონომიკის განვითარებას თანამედროვე ეტაპი, მისი დინამიკა და მასშტაბების ზრდა ახალ, უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს დაგეგმვის ორგანიზაციებს იმიტომ რომ მეცნიერულად დასაბუთებული სწორი დაგეგმვა უზრუნველყოფს უპირველეს ყოვლისა კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობის ზრდას. ჩვენი რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტი და სამინისტროებიც ზნირად გეგმავენ კაპიტალურ დაბანდებებს მხოლოდ მიმდინარე ამოცანების დონეზე. არაერთხელ უშეებენ სახსრების დაქსაქსის შემთხვევებს მრავალ მშენებარე ობიექტზე და არ ზრუნავენ თავი მოუყარონ ამ სახსრებს ძირითადად, ასამოქმედებელ და გარდამავალ ობიექტებზე, რათა რაც შეიძლება დროულად დაამთავრონ დაწყებული მშენებლობანი. კვლავ წლიდან წლამდე გრძელდება გეგმით გაუთვალისწინებელი მშენებლობის პრაქტიკა და სხვ.

¹⁴ გაზ. „კომუნისტი“, 1978, 28 ნოემბერი, გვ. 1.

¹⁵ იქვე, გვ. 2.

¹⁶ იქვე გვ. 3.

¹⁷ იქვე.

აქვე აღნიშნულ იქნა, რომ საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ზუსტად დიდი დაგვიანებით, ხშირად იცვლება მშენებლობის პროცესში, რაც იწვევს მშენებლობის გაძვირებას და მისი ვადების გაჭიანურებას. რესპუბლიკაში მეათე ხუთწლედში გათვალისწინებული იყო 281 ობიექტის ახალი მშენებლობა და რეკონსტრუქცია, ფაქტიურად ამ დროის მანძილზე დამთავრდა მხოლოდ 37 ობიექტის მშენებლობა და რეკონსტრუქცია. 129 ობიექტზე წარმოებს სამუშაოები, 73 ობიექტის მშენებლობა გათვალისწინებულია დაიწყოს მხოლოდ ხუთწლედის დამლევისათვის, ხოლო 42 ობიექტი, მათ შორის საწარმოო დანიშნულებისა საერთოდ არ არის შეტანილი მეათე ხუთწლედის გეგმაში¹⁸.

კვლავ გრძელდება საბინაო მშენებლობაში სახსრების აუთვისებლობის და ჩაბარებული სახლების უხარისხობის შემთხვევები. 1973—1977 წლებში აუთვისებული დარჩა ამ მიზნისათვის განკუთვნილი 38 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდება. ყოველივე ეს გადაჭრით უყენებს საკითხს საკრედიტო საფინანსო ორგანოებს, განსაკუთრებით კი მშენბანკის დაწესებულებებს, რათა ზუსტად დაიცვან მოქმედი დაფინანსების და დაკრედიტების წესები და სათანადო კონტროლი განახორციელონ საერთოდ კაპიტალური დაბანდების და მათ შორის საბინაო მშენებლობის დაფინანსება-დაკრედიტებაზე.

როგორც ცნობილია, მშენბანკის დაწესებულებები მუშაობენ დამტკიცებული წესდებით და მათი ამოცანაა უზრუნველყონ მშენებლობაზე კაპიტალურ დაბანდებათა სწორი დაფინანსება და დაკრედიტება, სათანადო კონტროლი გაუწიონ ძირითადი ფონდების და სიმძლავრეების მოქმედებაში დაწესებულ ვადაში გადაცემასა და კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულებას. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თეოლირიკულების შემცირებას, საიჯარო და საპროექტო ორგანიზაციების დაგროვების დავალების შესრულებას, კაპდაბანდებათა დაფინანსებისათვის გათვალისწინებული სახსრების დროულ შემოსავალსა და შიდასამეურნეო რეზერვების მობილიზაციას, ნუსხურ-საგეგმო და ფინანსური დისციპლინის დაცვასა და მეურნეობრივი ანგარიშის განმტკიცებას მშენებლობაში. თუნდაც ერთი ნებისმიერი წლის, სახელდობრ 1977 წლის მონაცემებით რომ ვიმსჯელოთ, უდავოდ დავრწმუნდებით იმ საფინანსო საკონტროლო მუშაობის გრანდიოზულობაში, რასაც მშენბანკის დაწესებულებები ეწევიან კაპმშენებლობის დარგში. ასე მაგ., 1977 წლის საანგარიშო პერიოდში სსრკ მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა და მისი დაწესებულებები აფინანსებდნენ 5164 სამშენებლო ობიექტს, რომლის კაპდაბანდების წლიური მოცულობა შეადგენდა 949,8 მლნ მანეთს, ამასთან, კონტროლს ახორციელებდნენ 244 საიჯარო და ქვემოიჯარე ორგანიზაციაზე, რომლის სამუშაო პროგრამა განისაზღვრებოდა 609,0 მლნ მან. და 48 საპროექტო და გეოლოგიურ ორგანიზაციაზე, რომლის წლიური სამუშაო პროგრამა უდრიდა 65,3 მლნ მანეთს¹⁹.

კაპიტალური მშენებლობის გეგმების და სატიტულო სიების შემოწმების შედეგად გამოვლინდა ისეთი ახალი ობიექტების გეგმაში ჩართვა, რომლებსაც აკლდა შესაბამისი ასიგნება და ამავე დროს, გარდამავალი მშენებლო-

¹⁸ ვახ. „კომუნისტი“, 1978, 25 ნოემბერი, გვ. 3.

¹⁹ № 05-18 дело отчет об экономической работе Грузконтори Стройбанка СССР за 1977 год.

ბაც არ იყო უზრუნველყოფილი სათანადო სახსრებით. ბანკის ინიციატივით კაპშენებლობის გეგმიდან ამოღებულ იქნა 212 ახლადდაწყებული მშენებლობა, რომლის საერთო მოცულობა უდრიდა 29,5 მლნ მანეთს. და ეს სახსრები კაპდაბანდების დამატებით სახსრებთან ერთად მთლიანად წარმართულ იქნა 449 გასაშვებ ობიექტზე. ყოველივე ამან კი შესაძლებლობა მოგვცა გავვედიდებინა 98390 ათასი მანეთის ღირებულების ძირითადი ფონდების ექსპლოატაციაში შესვლის გეგმა 338 მშენებლობაზე.

რესპუბლიკის მშენბანკის დაწესებულებების მომსახურებაში შემაჯალი 244 სამშენებლო ორგანიზაციის საფინანსო სამეურნეო საქმიანობის შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ 63 მათგანს ანუ 25,8%-ს არ აქვს შესრულებული საწარმოო სიმძლავრეების მოქმედებაში შესვლის გეგმა, ხოლო 58 სამშენებლო ორგანიზაციას, ანუ 23,7%-ს არ აქვს შესრულებული საჯარო სამუშაოთა შესრულების გეგმა (როგორც ობიექტების ასევე ეტაპების მიხედვით), ხოლო 70 ორგანიზაციას ანუ 28,6% არ აქვს შესრულებული მოგების გეგმა. „1977 წელს მშენებლობის ბანკმა 684,5 ათასი უგვეგმო სამუშაოები გამოაყენა“²⁰ და საკითხი საჭირო ზომების მისაღებად ზემდგომ ორგანოებში დააყენა; მანვე გამოაყენა 2794-ათასი მანეთის წამატებანი და სათანადო ფინანსირს სანქციებთან ერთად მამხილებელი მასალები პროკურატურას ორგანოებს გადაუგზავნა²¹.

როგორც ცნობილია მშენბანკის დაწესებულებანი საკონტროლო აზომეებს ატარებენ შერჩევითი წესით და ისიც ობიექტის ექსპლოატაციაში ჩაბარებიდან გარკვეულ ვადაში. მუშაობის პრაქტიკა მოწმობს, რომ ნაკლოვანებათა და დარღვევების შემთხვევების გამოვლენა და მათი აღმოფხვრა გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ შემოწმებას ატარებდნენ არა შერჩევითი წესით, არამედ ყველა ობიექტისას და ამასთან არა გარკვეული ვადის განმავლობაში, არამედ ამ ვადის გასვლის შემდეგაც იმ შემთხვევაში, თუ სათანადო დამაჯერებელი სიგნალია არსებულ ხარვეზებზე და მით უმეტეს, თუ მოცემული ობიექტი არც ერთხელ არ შემოწმებულა.

აღნიშნული ღონისძიების გატარებით ნამდვილად მიინიშნა მადე დავიდოდა უხარისხო მშენებლობანი და წამატებანიც ლოკვიდირებული იქნებოდა.

სახალხო სამეურნეო დარგებში მშენებარე ობიექტების დროულად ამოქმედების, დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირების, კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების საკითხებს დიდი ყურადღება დაუთმო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის უკანასკნელ პლენუმებზე. ამ დიდმნიშვნელოვან ამოცანათა განხორციელების საქმეში გარკვეული ხედრითი წილის შეტანა შეუძლია ბრიგადულ სამეურნეო ანგარიშის ახალ ფორმას — ეგრედწოდებულ ნ. ზლობინის მეთოდს, რომელიც დანერგილია, როგორც მთლიანად ჩვენი ქვეყნის რიგ მოწინავე სამშენებლო ორგანიზაციებში, ასევე ჩვენი რესპუბლიკის. სამშენებლო წარმოების პროგრესული ორგანიზაციის ეს ფორმა, სულ უფრო ფართოდ ვრცელდება და პოპულარული ხდება ჩვენში. ბრიგადული იჯარა, როგორც ცნობილია, იმითაა მნიშვნელოვანი, რომ სტიმულის მომცემი და წამახალისებელი ფორმაა, იგი ხელს უწყობს მშენებლობის ხანგრძლივობის შემცირებას, მატერიალურ-ტექ-

²⁰ გაზ. „კომუნისტი“, 1978, 14 ნოემბერი გვ. 2.

²¹ იქვე.



ნაკური რესურსების მომპირნეობით ხარჯვას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებასა და თვითღირებულების შემცირებას.

„სამეურნეო ანგარიშის ახალი ფორმა — ბრიგადული იჯარა 1970 წელს პირველად გამოიყენა მთავარმოსმენის ზელენოგრაფდშენის № 111 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ნ. ზლობინი ხელმძღვანელობს“²².

თუ კომპლექსური ბრიგადა ჩვეულებრივ პირობებში მთავარმოსმენის ობიექტებზე 2—2,5 სართულს აგებს თვეში, ბრიგადული იჯარის პირობებში ნ. ზლობინის ბრიგადამ თვეში 4,5—5 სართული ააგო. ეს მიღწეულ იქნა წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფით, მუშათა მატერიალური წახალისების ეფექტიანი ფორმების დანერგვით. ამჟამად, ჩვენს ქვეყანაში ბრიგადული იჯარის მეთოდით მუშაობს 9000 ბრიგადაზე მეტი²³.

საქართველოს რესპუბლიკაშიც დანერგა ბრიგადული სამეურნეო ანგარიში მშენებლობაში. იგი პირველად გამოიყენა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მე-14 ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელმაც 50 დღით შეამცირა 71 ბინიანი, მსხვილბლოკიანი სახლის მშენებლობის ფაქტორი ხანგრძლივობა. ამავე მეთოდით იმუშავეს ტ. ქართველიშვილის (მე-15 ტრესტი), ა. ინსარიძის (მე-10 ტრესტი), სოციალისტური შრომის გმირის, შ. მოდებაძის (I ტრესტი) და ვ. აზზიანიძის (ქუთაისის სახლმშენებელი კომბინატი) ბრიგადებმა. მათ საგრძნობლად შეამცირეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ფაქტორი თვითღირებულება საგვემო თვითღირებულებასთან შედარებით. თუ ანალიზს გაუუკეთებთ და პარალელს გაავლებთ ამ მეთოდით ჩვენი ქვეყნის სხვა დიდ ქალაქებში წარმოებულ მშენებლობასთან დაეინახავთ რომ გაცილებით მეტი დროითაა შემცირებული როგორც მშენებლობის ხანგრძლივობის ვადები, ასევე სამუშაოთა ფაქტორი თვითღირებულება.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამ დარგში გარკვეული მიღწევებისა, ბრიგადული სამეურნეო ანგარიშის დანერგვის ტემპის მხრივ არა სახარბიელო მდგომარეობა ვგქონდა. ამ მეთოდით ჩვენი რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს სისტემაში საერთო რაოდენობის მხოლოდ 4 პროცენტი მუშაობდა, სსრ კავშირის მშენებლობის სისტემაში კი ეს მაჩვენებელი 8 პროცენტს აღწევდა. როგორც ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ვიქტორ სუშბათოვი თავის ერთ-ერთ ნაშრომში „ბრიგადული იჯარა მშენებლობაში სამეურნეო ანგარიშის ეფექტიანი ფორმა“, სამართლიანად შენიშნავდა რომ ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ამ პროგრესული მეთოდის დანერგვის ღონისძიებათა შესრულების ვადების დარღვევა; კერძოდ, 1973 წელს არ შესრულებულა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს 1973 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება ე. ზლობინის მეთოდით მომუშავე ბრიგადების რაოდენობის 80-მდე გაზრდის შესახებ. ჩამოთვლილია სამშენებლო ტრესტები, რომლებმაც საკმარ რაოდენობით ვერ უზრუნველყვეს ასეთი ბრიგადების შექმნა²⁴.

ჩვენი რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებში ბრიგადული სამეურნეო ანგარიშის ნელი ტემპით დანერგვის ძირითად მიზეზად ხსენებული

²² ფერნ. „ეკონომისტი“, 1975, № 3, გვ. 80.

²³ იქვე.

²⁴ იქვე, გვ. 84.

ავტორი იმ დროისათვის იმასაც თვლიდა, რომ პარტიულ-პროფკავშირული ხელმძღვანელობა სათანოდ ვერ აფასებდა ამ მეთოდის უპირატესობას, არა-დამაკმაყოფილებელი იყო სამშენებლო ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური დანტერესების პრინციპი, მუშებს არ ეძლეოდათ პრემიები ბრიგადის ზეგეგმითი მოგებიდან. ქვემოიჯარე ორგანიზაციების ბრიგადები მოკლებული იყვნენ იმის შესაძლებლობას, რომ სამუშაოები ეწარმოებინათ ბრიგადულ იჯარაზე გადაყვანილ ბრიგადებთან ერთად და სხვ. სასურველი შედეგის მთავარ პირობად მიაჩნდა წინა ციკლისა და სამუშაოთა ეტაპების მთლიანი დასრულება. ნაგებობის მიწის ზედანაწილის მშენებლობის დაწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთლიანად იქნებოდა დასრულებული ნულოვანი ციკლის სამუშაოები, გადაყვანილი და შეერთებული იქნებოდა მოქმედ ქსელთან ყველა მიწისქვეშა კომუნიკაცია (მშენებარე კორპუსი უზრუნველყოფილი წყლით, სითბოთი, ელექტროენერგიით და ა. შ.)²⁵. აი, ყოველივე ზემოხსენებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, დასძენდა ავტორი, საწინდარი იქნებოდა მშენებლობის ეფექტიანობის ამაღლებისა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად საგრძნობლად იმატა ბრიგადული იჯარის მეთოდების დანერგვამ, მას იყენებს ჩვენი ქვეყნის ძირეული სამშენებლო კოლექტივების დაახლოებით მესამედი. ამ მხრივ გარკვეული მიღწევებია საქართველოს რესპუბლიკაშიც. თუ მისი შექმნის პერიოდში ამ ბრიგადების რიცხვი ოცს არ აღემატებოდა, 1978 წლის 1 იანვრისათვის ამ მეთოდით უკვე მუშაობდა 600-ზე მეტი ბრიგადა, ანუ ბრიგადის საერთო რაოდენობის 28,6%²⁶. უდავოა, რომ მათი შრომის შედეგი ძირითადად დადებითია, როგორც მშენებლობის გეგმების შესრულებაში, ასევე მისი ვადების შემცირებაში, მაგრამ მიღწეული ზღვარი როდია, სწორად შენიშნავს „თბილქალაქმშენის“ მე-14 ტრესტის №2 სამშენებლო სამმართველოს უფროსი მ. ჯაში: — მაჩვენებლები უკეთესი გვექნებოდა, რომ ზემდგომი ორგანოები მომავალი წლის გეგმებს დაიყვანდნენ არა უგვიანეს 1 სექტემბრისა და ადგილი აღარ ექნებოდა ამ გეგმების წლის მანძილზე რამდენჯერმე შეცვლას. ამასთან, სამართლიანად აყენებს წინადადებას, რომ დაინერგოს თრიორგელთა მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს ბრიგადის მიერ ორი წლის გეგმის წინასწარ ცოდნას²⁷.

მიუხედავად იმისა, რომ ბრიგადის სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის წესი, გაწეული სამუშაოს დანახარჯთა აღრიცხვის მეთოდი, აგრეთვე შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური წახალისების პირობები დიდად ხელსაყრელი და მისაწვდომია, მაინც, რატომღაც, მთელ რიგ რესპუბლიკებში, და მათ შორის ჩვენშიც ბრიგადული სამეურნეო მეთოდი ნელი ტემპით იწერება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შედგეს სპეციალური კომისია ხსენებული დებულების შემსუშავებელ დაწესებულებათა წარმომადგენლების მიერ და დაევალოს მას შეისწავლოს იმ სამშენებლო ტრესტებისა და სამმართველოების სამუშაო პირობები და მდგომარეობა, სადაც დღემდე არ იქნა დანერგილი ანგარიშსწორების ბრიგადული საიჯარო მეთოდი. იმ შემთხვევაში, უკეთეს დადგინდება, რომ მუშაკთა უმრავლესობას ამ მეთოდის დანერგვის სურვილი ჰქონდა და აგრეთვე საამისო პირობებიც არსებობდა, მაგრამ მაინც არ იქნა იგი დანერგილი, მაშინ დამნაშავე პირთა საკითხი გაე-

²⁵ ეურ. „ეკონომისტი“, 1975, № 3, გვ. 84—85.

²⁶ ეურ. „პარტიული სიტყვა“, 1978, № 11, გვ. 25.

²⁷ იქვე, გვ. 27.

ხადოთ მკაცრი მსჯელობის საგანი, მათი სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემითაც კი. ასეთი სანქციის გატარებით უდავოდ ხელს შევეწყობოთ ბრიგადული სამეურნეო ანგარიშის ფორმის მასიურად დანერგვას და იმის შესაძლებლობას, რომ მოვახდინოთ მშენებლობის ვადების შემცირება, მისი ხარისხის გაუმჯობესება და გაიაფება, დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის მინიმუმამდე დაყვანა და კაპიტალური დაბანდების ეფექტურობის ამაღლება.

უნდა აღინიშნოს, რომ საბინაო მშენებლობის საერთო ფონდში გარკვეული წვლილი შეიტანა კოოპერაციულმა ბინათმშენებლობამ.

სსკ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულ 1962 წ. 1 ივნისის დადგენილებიდან „კოოპერაციულ და ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის განვითარების შესახებ“ განვიღო 15 წელიწადში რესპუბლიკაში აშენდა და ექსპლოატაციაში იქნა ჩაბარებული 500-მდე კოოპერაციული მრავალსართულიანი და მრავალბინიანი სახლი 2 მილიონ კვ. მეტრზე მეტი საერთო ფართობით. სახელმწიფო ყოველ წელიწადს კოოპერაციული ბინების მშენებლობაზე რესპუბლიკაში მშრომელებს გამოუყოფს 17—20 მილიონი მანეთის ოდენობით კრედიტს. საბინაო სამშენებლო კოოპერატივებზე მათი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის კრედიტი გაიცემა თითოეული მოკავშირე რესპუბლიკისათვის სსრკ მშენებლობის ბანკის საკრედიტო გეგმით.

რესპუბლიკის ფარგლებში საბინაო სამშენებლო კოოპერატივებს სენსიტივურობით მშენებლობის ნუსხური ღირებულების 60%-მდე 10—15 წლის ვადით, ხოლო ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი რესპუბლიკისა და მხარისათვის განსაზღვრულია 70%-მდე 10—20 წლის ვადით.

განვიხილოთ რა მდგომარეობაა რესპუბლიკაში კოოპერაციული სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის მხრივ 1963—1977 წლებში (ცხრილი №1).

ცხრილი 1²⁸
 ექსპლოატაციაში გადაცემული კოოპერაციული სახლების მდგომარეობა

წლები	საქართველოს რესპუბლიკაში საექსპლოატაციოდ გადაცემული კოოპერაციული სახლების ოდენობა		
	გეგმით კვ. მეტრი	ფაქტურად კვ. მეტრი	ფაქტურად კვ. მეტრი
1963	52000	667	51000
1964	77000	78107	82957
1965	124000	92985	94299
1966	221000	109257	94299
1967	220800	132397	102799
1968	226600	83448	59840
1969	230000	102103	84447
1970	219000	200489	157378
1971	220000	99440	73064
1972	223000	187172	144564
1973	220090	209585	163746
1974	187140	186188	133964
1975	191150	170459	113024
1976	191110	189848	127728
1977	189404	170625	117952
სულ	2972258	2012770	1506760

²⁸ ცხრილი № 1 შედგენილია სსრკ მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტონის ველწლეთი ანგარიშების საფუძველზე (საქმე № 09—9).

№1 ცხრილიდან და წლიური ანგარიშებიდან ჩანს, რომ მთელი 15 წლის განმავლობაში არ სრულდებოდა კოოპერაციული სახლების ექსპლოატაციაში გადაცემის გეგმა. ამის მიზეზი შემდეგში მდგომარეობდა: ირვევოდა სახლების მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები და მათი ექსპლოატაციაში ჩაბარების ვადები, ფულადი სახსრები დაქსაქსული იყო მრავალრიცხოვან სახლებსა და ობიექტებზე იმ დროს, როდესაც უზრუნველყოფილი არ იყო გარდამავალი ობიექტები სათანადო ასივნებით; თავის დროზე არ თავისუფლდებოდა ტერიტორია მშენებლობისათვის. მშენებლობა არადაამკამყოფილებლად მარავდებოდა სამშენებლო მასალებითა და დეტალებით და მრავალჯერ იცვლებოდა საპროექტო ნუსხური დოკუმენტაცია მისი უხარისხობის გამო. ამასთან სატიტულო სიებში ჩართული იყო ისეთი ობიექტები, რომლებიც მთლიანად არ იყო უზრუნველყოფილი მუშა ნახაზებით და ხშირად დიდი დაგვიანებით წარედგინებოდა მშენბანკს დასაფინანსებლად; სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომები, რომლებსაც დაკისრებული აქვთ დამკვეთის ფუნქციები, თითქმის ყოველწლიურად იწყებდნენ ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, მაშინ, როდესაც მრავალი სახლი, რომელთა მშენებლობა წინა წლებში დაიწყო, დასამთავრებელი ჰქონდათ. რიგ შემთხვევაში ზოგი აღმასკომი ქმნიდა საბინაო სამშენებლო კოოპერატივებს, შეატანინებდნენ მათ წევრებს სახლის ნუსხური ღირებულების 40%-ს, მაშინ, როდესაც უახლოეს ორ-სამ წელიწადში არავითარი შესაძლებლობა არ არსებობდა ასეთი კოოპერატივების სახლთა მშენებლობის გეგმაში ჩართვისა.

არ სრულდებოდა აგერთვე, წლების მანძილზე როგორც სესხის ათვისების, ასევე მისი დაფარვის გეგმები და ამასთან, ყოველწლიურად იზრდებოდა ვადაგადაცილებული დავალიანება.

მიუხედავად მშენბანკის და თბილისის საბჭოს რაიონული აღმასკომების მიერ გატარებული ღონისძიებისა, საბინაო სამშენებლო კოოპერატივებზე რიცხულმა ვადაგადაცილებულმა დავალიანებამ 1978 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რესპუბლიკაში შეადგინა 2818,6 ათასი მანეთი, ქ. თბილისში კი 2645,4 ათ. მანეთი, რაც მთელი კავშირის მასშტაბით არსებულ ვადაგადაცილებული დავალიანების 80%-ზე მეტია. ცნობილია, რომ ამის მთავარი მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, თვით საბინაო კოოპერატივების გამგეობათა უმოქმედობაა, რომლებიც არ იყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებებს ურჩი წევრების მიმართ დავალიანების იძულებითი წესით ამოღების საქმეში. მეორე ის, რომ სასამართლო ორგანოებმა, რომლებმაც მართალია გარკვეული მუშაობა გასწიეს და უზრუნველყვეს ნაწილი მოპასუხე ურჩი მსესხებლებიდან დავალიანების ამოღება, მაგრამ ვერ შექმნეს ერთი ინციდენტი მაინც ბინიდან გამოსახლებისა, რათა მკაცრი გაკვეთილი და მაგალითი ყოფილიყო ყველა დანარჩენ ურჩი წევრისათვის.

ვადაგადაცილებული დავალიანების ზრდის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიც არის, რომ მთელმა რიგმა კოოპერატივმა რომელთა სახლების სახარკთა-ღირებულება 1966—1974 წლებში გააძვირა მათივე საგარანტიო წერილებით იმ პირების უსასყიდლოდ შესახლებამ, რომელთა კერძო ბინები მოჰყვა ალებში, სრულიად შეწყვიტეს სესხის დაფარვა იმის მოლოდინში რომ, თითქოს, რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები დაად-



გენდენ ბიუჯეტის სახსრებიდან ასეთ კოოპერატივებს ანაზღაურებოდა ყიდლოდ შესახლებულ პირთა ბინების ღირებულება.

საბინაო კოოპერატივების სახლების არასწორი ექსპლოატაცია და თვით-ღინებაზე მიშვება, ამასთან, კომუნალურ ორგანიზაციებთან ნორმალური ურთიერთობის უქონლობა, გარკვეულ წილად ხელს უშლის კოოპერატივებს აღსარულონ მშენებანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულება, სახელმწიფო სახსრების დროზე დაფარვის საქმეში.

ამრიგად, მოწოდების სიმაღლეზე რომ იდგენ წყალმომარაგების, თბომეურნეობის, ელექტროგასაღების და სხვა მომსახურების ორგანიზაციები და ზუსტად იცავდნენ საბინაო კოოპერატივებთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, წინასწარი წერილობითი გაფრთხილებისა და ამ ხელშეკრულების გარეშე რომ არ ახდენდნენ კოოპერატივების ანგარიშიდან სახსრების იძულებით ჩამოწერას, ისიც ხშირ შემთხვევაში მშენებანკის სესხის დასაფარავად განკუთვნილი თანხისა და ფაქტიურად რომ არ წარმართავდნენ თავიანთი სხვათა ვალების დასაფარავად, მაშინ საბინაო კოოპერატივებს არ ექნებოდათ ესოდენ დიდი ვადაგადაცილებული დავალიანება. აღნიშნული ნაკლის გამოსწორების მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია ცალკე დამატებითი ანგარიშის გახსნა.

ამგერად უფრო ფართოდ უნდა გაიშალოს ჩვენს ქვეყანაში კოოპერაციული და ინდივიდუალური ბინათმშენელობა, არა მარტო ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, არამედ სოფლადაც; მიზანშეწონილი იქნება კრედიტის გაცემა კი არ შევზღუდოთ, არამედ პირიქით, უნდა გავადიდოთ და ეფექტური გავხადოთ, ამასთან, სახსრების ათვისების გეგმაც ამიერიდან ყოველ წელიწადს შევასრულოთ, რადგან კოოპერაციული ბინათმშენელობის განვითარება გარკვეულ წილად ხელს შეუწყობს ჩვენს რესპუბლიკაში საერთოდ საბინაო პრობლემის გადაჭრის საქმეს.

საბინაო მშენელობის საქმეში არანაკლები როლი შეასრულა ინდივიდუალურმა ბინათმშენელობამაც, რომლის დაფინანსება-დაკრედიტებას ახდენს ბანკის დაწესებულებები.

ცნობილია, რომ ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლების ადგილებში 1977 წლის ივნისამდე მოქმედი დაკრედიტების წესის შესაბამისად მშენებანკის დაწესებულების მეშვეობით სესხი ეძლეოდათ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს 700 მანეთამდე, ხოლო მასწავლებლებსა და ექიმებს 1000 მანეთამდე 7 წლის ვადით; სამამულო ომის ინვალიდებს და იმ ინვალიდებსაც სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც სოციალისტური სამშობლოს დაცვის ან სხვა სამხედრო ვალდებულებათა შესრულებისას მიღებული ჭრილობების და ტრამეების შედეგად დაინვალიდნენ, სესხი მიეცემოდათ 1000 მანეთამდე 10 წლის ვადით. რაც შეეხება სსრკ სოფლის მშენელობის სამინისტროს სისტემის საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების მუშაკებს, სესხი ეძლეოდათ 2000 მანეთამდე 10 წლის ვადით.

შენაშენე მსესხებელთათვის მეტი შეღავათებისა და ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინების მასიური მშენელობის ხელის შეწყობის მიზნით, საკავშირო მთავრობამ 1977 წელს მიიღო სათანადო დადგენილება, რომლის შესაბამისად სსრკ მშენებანკის გამგეობამ 1977 წლის 10 ივნისის № 133 საინსტრუქციო წერილით ცვლილებები შეიტანა მანამდე მოქმედ დაკრედიტების წესებში და ყველა იმ პირთა მიმართ, რომელთათვისაც მისაღები სესხი ოდ-



ნობად დაწესებული ჰქონდათ 700 და 1000 მანეთამდე თანხა, ამ ახალი წესით გაეზარდათ სესხის თანხა 1500 მანეთამდე 10 წლის ვადით, ხოლო სხვა მნიშვნელობის სამინისტროს მუშაკებს კი უცვლელად შეუნარჩუნდათ 2000 მანეთამდე განსაზღვრული სესხის ოდენობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის დაკრედიტების გეგმა არც ერთ წელიწადს არ შესრულებულა მიუხედავად იმისა, რომ მშენებანკის კანტორა დროულად უშვებდა ლიმიტებს სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომებზე და წერილობით სისტემატურად მოაგონებდა მათ ბანკს მიერ დაშვებული კრედიტების ათვისების და სახლების ექსპლოატაციაში დაწესებულ ვადებში გადაცემის აუცილებლობაზე.

დაკრედიტების გეგმის შესრულებისა და ზოგიერთ წლებშიც კი სახლების ექსპლოატაციაში გადაცემის გეგმის ჩამორჩენის მიზეზი იყო მრავალ საწარმოსა და ორგანიზაციების მიერ მათთან მომუშავე მენაშენეთათვის ტრანსპორტისა და საშენი მასალის არა საკმარისად გამოყოფა და თავიანთ მუშაკათათვის კრედიტის ლიმიტების დიდი დაგვიანებით ათვისება. ერთ-ერთ მიზეზად ისიც შეიძლება ჩაითვალოს, რომ 1963 წლიდან ჩვენს რესპუბლიკაში კოოპერაციული ბინათმშენებლობის განვითარებამ განსაკუთრებით იმ ქალაქებში, სადაც ფართოდ გავრცელდა, გამოიწვია ინდივიდუალური ბინათმშენებლობის შემცირება, რადგან მოქალაქეები კოოპერაციულ მშენებლობაში შესვლას ამჯობინებდნენ.

როგორც აღრიხდელი, ასევე მოქმედი დაკრედიტების წესები ითვისების, აგრეთვე, კერძო მფლობელობაში არსებული ბინების რემონტზე სესხის გაცემას 300 მანეთის ოდენობით 5 წლის ვადით. თანხის გაცემა ორ ნაწილად ხდება. პირველად 150 მანეთი, სესხის მიღების საბუთების გაფორმებისთანავე, ხოლო მეორე ნახევრის გაცემა ხდება, როდესაც სახლის მფლობელი ბანკს წარუდგენს ბინის კაპიტალური რემონტის დამთავრების დამადასტურებელ ცნობას. ეს გარემოება ჩვენი აზრით, ერთგვარ დაბრკოლებას ქმნის სესხის ათვისების საქმეში, რადგან მსესხებელთა უმრავლესობას ბინის რემონტი გაცილებით მეტი უჯდებათ ვიდრე სესხად მიღებული თანხა. ამასთან, ესოდენ მცირე თანხის, ისიც ორ ნაწილად მიღება, აიძულებს საერთოდ თავი შეიკავოს სესხის გაფორმებისაგან. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა ბინის კაპიტალური რემონტისათვის დაწესდეს კრედიტის 500 მანეთამდე გაცემა, ნაცვლად 300 მანეთისა და ისიც წინასწარვე ერთიანად, ნაცვლად ნაწილ-ნაწილ გაცემისა. მით უმეტეს, იშვიათ გამონაკლისს შეადგენს, რომ რომელიმე მსესხებელმა ბინის რემონტისათვის მიღებული სესხი არამიზნობრივად გამოიყენოს.

დაკრედიტების წესებში, როდესაც სესხის გასაცემი თანხა თავდაპირველად დაწესდა, იმ პერიოდისათვის ჩვენი ქვეყნის ეროვნული შემოსავალი დაახლოებით 154 მილიარდ მანეთს შეადგენდა, ღღისათვის კი ორ ტრილიონ მანეთამდე აღწევს და ამდენად დროული იქნება მოქმედ წესებში მოხდეს ზემოთ ნახსენები სათანადო ცვლილება და გაეზარდოს სესხის ოდენობა.

აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს სახლის მფლობელთა საბინაო პირობების გაუმჯობესებას და სახელმწიფოსათვის კი დაკრედიტების გეგმების შესრულებას.

ცნობილია, რომ სამრეწველო დარგებისაგან განსხვავებით, რომელთა განვითარებაზე გაწეული კაპიტალურ დაბანდებათა დანახარჯების ანაზღაურება



სწრაფად ხდება, საბინაო მშენებლობაზე გაწეული ხარჯების დაბრუნება არ წარმოებს და მისი მთლიანად ანაზღაურება გამორიცხულია, ან კერ ხერხდება. იგი არ იღარება შემდგომი ბინის ქირითაც, რომლის გადასახდელი თანხა 1928 წლიდან მოყოლებული არ შეცვლილა, თუმცა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე გაიზარდა. „კომუნალური მომსახურების და ბინის ქირა, აღნიშნულა ლ. ო. ბრევენევი თავის სიტყვაში ლიხაჩოვის სახელობის ქარხნის მუშებთან შესვედრისას, არ ფარავენ ამ მიზნით გაწეული ხარჯების ერთ მესამედსაც კი, ამიტომ სახელმწიფო ყოველწლიურად გამოყოფს 5 მილიარდ მანეთამდე საბინაო კომუნალური მეურნეობის ხარჯებისათვის. ჩვენ მომავალშიც გავიღებთ ასეთ ხარჯებს“²⁹.

სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია საბინაო მეურნეობა, რომელსაც გარკვეული ადგილი უჭირავს სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების საერთო მოცულობაში. საბინაო მეურნეობის საფუძველი კი სახელმწიფოს საბინაო ფონდია, რომელიც ითვლება საზოგადოების მონაპოვრად. საბინაო ფონდის ექსპლოატაცია ხორციელდება სახლმმართველობების (საბინაო საექსპლოატაციო კანტორების) მიერ, რომლებიც ჩამოყალიბებულია სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომებთან ან საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და უწყებებთან.

ცნობილია, რომ საბინაო ფონდი სახელმწიფო საკუთრებაა, რომელიც მშრომლებს სარგებლობისათვის გადაეცემა. რაც შეეხება სათავსოებს, ისინი იჯარით აქვთ აღებული წარმოება-ორგანიზაციებს. ბინის ქირა ყველაზე დაბალია საბჭოთა კავშირში, მისი ზვედრითი წილი საშუალოდ მშრომელთა საერთო შემოსავლის 2%-ს შეადგენს, რაც 10-ჯერ მცირეა, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში³⁰.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ბინების მიმდინარე რემონტზე გაწეული ხარჯი მთელ საბინაო მეურნეობაზე გაწეული ხარჯის 1/3-ზე მეტს შეადგენს³¹.

ეს თანხები, როგორც სახელმწიფოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი, ასევე თვით კომუნალური ფონდის სახსრები და სახელმწიფოს უკან აღარ უბრუნდება. ბანკის კრედიტი კი როგორც ცნობილია დაბრუნებას ექვემდებარება და ისიც სათანადო სარგებლით, ხოლო რაც შეეხება კომუნალურ ბინებს მასზე კრედიტის გაცემას მოქმედი დაკრედიტების წესები არ ითვალისწინებენ. იგი გაცემა მხოლოდ კოოპერაციული და ინდივიდუალური ბინების მშენებლობაზე. კომუნალურ ბინებში მცხოვრები ძირითადი დამქირაველები ადგილობრივ სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომებს ან მათ საბინაო სამმართველოებს ზშირად მიმართავენ თხოვნით, რათა ჩაუტარონ კაპიტალური, მიმდინარე ან შიდა რემონტი და ამასთან, პარალელურად ზოგი მათგანი მიმართავს მშენებანკის დაწესებულებებსაც გასცენ კრედიტი. აღმასკომი უარს ეუბნება რემონტის ჩატარებაზე იმ მოტივით, რომ მისი ჩატარება გეგმით და გრაფიკით მიმდინარეობს და ასეთის გეგმაში ჩასართავად საჭიროა ტექნიკური განყოფილების სატეიალური დასკვნა, რადგან, თუ გეგმაში არ ზის, კაპიტალური რემონტი არ ჩაუტარდება. რაც შეეხება შიდა რემონტს, ის სრულიად არ წარმოდგენს აღმასკომის მოვალეობას და მოზინადრემ თავისი საკუთარი სახსრებით უნდა

²⁹ Журн. «Политическое образование», 1978, № 6., с. 122.

³⁰ Финансы предприятий и отраслей народного хозяйства. Коллектив авторов под руководством Н. Г. Сычева, изд. «Финансы», М., 1967, с. 385, 386.

³¹ იქვე.



აწარმოოს. ამავე მოქალაქეებს და იმათაც კი ვისაც აღმასკომი საჭირო შემთხვევაში ბინების კაპიტალურ რემონტს უტარებს, მშენებანკის დაწესებულებები კრედიტის გაცემაზე უარს ეუბნებიან, რადგან მოქმედი დაკრედიტების წესების თანახმად იგი გაიცემა მხოლოდ კოპერატიულ და ინდივიდუალური ბინების მშენებლობაზე და კერძო ბინებზე რემონტისათვის და არა კომუნალურ ბინებზე.

ჩვენი აზრით, საცესებით შესაძლებლად მიგვაჩნია, კომუნალურ სახლებში მცხოვრებ მოზინადრეებსაც (ვისაც ასეთის სურვილი აქვს) დაერთოთ ნება აღმასკომების სათანადო გადაწყვეტილებათა საფუძველზე იმავე თანხითა და ვადით, როგორც ეს გათვალისწინებულია ინდივიდუალური ბინათმშენებლობის და კაპიტალური რემონტის მოქმედი დაკრედიტების წესებში, მიეცეთ სესხი მათი ბინების კაპიტალური თუ შიდა რემონტის ჩასატარებლად (ჭერის, ოთახების, გაზის, გათბობის, სანატექნიკის და სხვ.). ამ ღონისძიებათა გატარებით, ჭერ ერთი, მასიურად დაავაყოფილებთ კომუნალური ბინების ძირითად დამჭირავებელთა სურვილებს შეაკეთონ მათ თავიანთი ბინები და გაუმჯობესონ საბინაო პირობები, მეორე მხრივ, შესრულდება ბანკის კრედიტის ათვისების გეგმა და რაც მთავარია, სახელმწიფოს ბიუჯეტში და აღმასკომების კომუნალურ ფონდებში მილიონ მანეთობით დაეზოგავთ სახსრებს, რომელიც განკუთვნილია მათი მეურნეობის საექსპლოატაციო ხარჯებისათვის. აქ არაფერი კანონსაწინააღმდეგო მოქმედება არ იქნება. მხოლოდ საჭირო იქნება საკავშირო მშენებანკის გამგეობამ და კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით, დაუშვან ერთობლივი წესები ბანკის კრედიტით სარგებლობისათვის კომუნალური ბინების კაპიტალური და შიდა რემონტის ჩასატარებლად. მითუმეტეს, დღევანდელ პირობებში ზემოაღნიშნული ღონისძიება გაბედულად უნდა გატარდეს, რადგან, ჩვენი ქვეყნის ეროვნული შემოსავლის და ბიუჯეტის ზრდის ასეთი მასშტაბი არ ახსოვს მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას.

7. В. Фальзенбаум. Совершенствовать методы определения эффективности новой техники (обзор материалов, поступивших в редакцию), «Вопросы экономики», 1978, № 12.
8. Народное хозяйство СССР за 60 лет. Юбилейный статистический ежегодник, М., 1977.

Представлена Институтом экономики и права
АН Грузинской ССР

ჯამალ შათირიშვილი

პროდუქციის თვითღირებულების კალკულირებისა და საკალკულაციო მუხლების სრულყოფის პრობლემური საკითხები სოფლის მეურნეობაში

პარტიის თანამედროვე აგრარული პოლიტიკა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმით იწყება და მეცნიერულად ასახავს სოციალისტური საზოგადოების ახალ პირობებსა და მოთხოვნებს, წარმოადგენს განვითარებული სოციალიზმის პირობებში პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიასა და ტაქტიკას სოფლის მეურნეობის დარგში.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახულია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებული განვითარების საფუძველზე საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ყოველმხრივი ზრდა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და ეკონომიის რეჟიმის გაძლიერება.

პროდუქციის თვითღირებულება, როგორც ერთ-ერთი პირველი რიგის ეკონომიკური კატეგორია სოციალიზმის დროს, რომელიც წარმოების ყველა ფაქტორის გავლენის შედეგების სინთეზს წარმოადგენს, მიჩნეულია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მისი (წარმოების) სამეცნიერო-ტექნიკური დონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმად. თვითღირებულების კატეგორია სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მათ შორის სოფლის მეურნეობაში, გამოიყენება როგორც დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო ინსტრუმენტი წარმოების მართვის, შრომითი და მატერიალური რესურსების ყაიხთანად ხარჯვის (დაზოგვის) ღონისძიებათა განხორციელების საქმეში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თვითღირებულების საკალკულაციო მუხლების ნომენკლატურის მოფიქრებულად დადგენასა და სრულყოფას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება პროდუქციის თვითღირებულების სწორად კალკულირების და მისი სარწმუნოების ამაღლებაში, თვითღირებულების, როგორც ეკონომიკური კატეგორიის, წარმატებით გამოყენებაში სოციალისტურ საწარმოთა, ცალკეული დარგებისა და მთლიანად სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა შექმნა-განხორციელების საქმეში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პროდუქციის საწარმოო თვითღირებულების დონის დასადგენად (სამწუხაროდ, შეიძლება ითქვას, რომ დღემდე სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში პროდუქციის საწარმოო თვითღირებულების კალკულირება ფაქტიურად არ ხდება, რადგან მასში, ნებით თუ უნებლიედ, ჩართულია ე. წ. წარმოებისგარეშე და სხვა ხარჯები) საჭიროდ და დროის მოთხოვნად მიგვაჩნია, რომ მეცნიერული სიღრმით იქნეს შესწავლილი და დაზუსტებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დანახარჯების მუხლები, თვითღირებულებს შედგენილობა და მისი საკალკულაციო მუხლების ნომენკლატურა.



მრავალი წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის აგარარკოს მეცნიერ-ეკონომისტთა შორის მიმდინარეობს ცხარე, მაგრამ ღრმა შინაარსიანი და გამართლებული დისკუსია სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში პროდუქციის თვითღირებულების შედგენილობის (თვითღირებულების საკალკულაციო მუხლების) სრულყოფის თაბაზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ამჟამად მოქმედი საწარმოო დანახარჯების დაგეგმვის, აღრიცხვისა და პროდუქციის თვითღირებულების კალკულირების ძირითადი დებულებანი დაზღვეული არ არის არსებითი თუ არაარსებითი ხასიათის ნაკლოვანებებისაგან.

მეცნიერული დისკუსია ძირითადად შეეხება საკითხს იმის შესახებ, რომ პროდუქციის თვითღირებულების შემადგენლობაში შეტანილ იქნეს თუ არა ისეთი დანახარჯები, როგორცაა:

- ა) კოლმეურნობათა სადაზღვევო გადასახდელები;
- ბ) ანარიცხები კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში;
- გ) სოციალური დზღვევის დანარიცხები ხელფასზე (შრომის ახაზღაურებაზე);
- დ) ბანკის მოკლევადიანი სესხებით სარგებლობისათვის გადახდილი პროცენტები;

ე) დანახარჯები მისობრივი კვალიფიკაციის კადრების მომზადებაზე;

ვ) კოლმეურნობების სამშემოსავლო გადასახადი შრომის ახაზღაურების ფონდის დასაბეგრავი ნაწილის ანგარიშზე და სხვ.

მეცნიერ-ეკონომისტთა ერთი ნაწილი გამოდის იმ მოსაზრებებიდან, რომ შემოადმიწნულ დანახარჯებს არა აქვთ უშუალო დამოკიდებულება საწარმოო პროცესთან. არ არიან დაკავშირებულნი წარმოების ტექნოლოგიასა და ორგანიზაციასთან და, ფაქტობრივად, წარმოადგენენ ზედმეტი ღირებულების (მოგების) ელემენტებს, რის გამოც გაუმართლებლად მიიჩნევენ ასეთი დანახარჯების პროდუქციის თვითღირებულებაში შეტანას.

ეკონომისტების მეორე ნაწილი მცდარად თვლის შემოსენებულ პოზიციას და ამ შეცდომას, უწინარეს ყოვლისა, უკავშირებს მათ (პირველი გჯუფის) მიერ თვითღირებულების კატეგორიის თვით არსის არასწორ გაგებას. იშველიებენ რა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომებს და მათ შეხედულებებს აღნიშნული საკითხის ირგვლივ, ასკენიან, რომ გამართლებულია ზემოთ დასახელებული ყველა დანახარჯის შეტანა პროდუქციის თვითღირებულებაში.

ეკონომისტთა მეორე ნაწილი ასეთი დასკვნის გაკეთებისას ეყრდნობა მარქსის იმ დებულებას, რომ ზედმეტი ღირებულების ფორმები ერთ შემთხვევაში გამოდის როგორც მოფუნქციონირებ საწარმოს დანახარჯები და მისი წარმოების აუცილებელი წანამძღვარი, ხოლო მეორე შემთხვევაში — როგორც საწარმოს შემოსავალი. მაგალითად, ზედმეტი ღირებულების ისეთი ფორმები, როგორცაა პროცენტი ავანსირებულ კაპიტალზე და გადახდილი საიჯარო გადასახადი, მსესხებულებისათვის (ვინც ისესხებს) წარმოადგენს წარმოების ხარჯებს, ხოლო კრედიტორების და მიწათმფლობელებისათვის, რომლებიც იღებენ ამ პროცენტებსა და საიჯარო გადასახადს, იგი ზედმეტი ღირებულებაა (წმინდა შემოსავალი).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობებს რა



წარმოების ხარჯების კატეგორიის შესახებ მარქსისტულ-ლენინური საბოლოოდ მიდიან დასკვნამდე, რომ სოციალისტური სასოფლოვეზობის წარმოების პირობებში თვითღირებულების კატეგორია განიხილება როგორც პროდუქციის წარმოებაზე საწარმოს მიერ გაწეული მიმდინარე დახარჯები, გამოსატული ფულად ფორმაში. თვითღირებულების შემადგენლობაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს წარმოების ტექნოლოგიასა და მართვასთან დაკავშირებული დანახარჯები, პროდუქციის რეალიზაციის ხარჯები, უშუალოდ წარმოების პროცესში წარმოშობილი არამწარმოებლური ხარჯები და აგრეთვე წარმოებისგარეშე ხარჯები, რომელიც წარმოების წანამძღვრებს და მის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ განსახილველი საკითხი თეორიულად და მეთოდოლოგიურად საკმაოდ რთულად გადასაწყვეტ საკითხთა რიცხვს განეკუთვნება. არა თუ ზემოთ მოტანილი დებულებანი, არამედ უფრო მეტიც, მარქსისტულ-ეკონომიკურ მოძღვრებაში, კ. მარქსის ფუძემდებლურ დებულებათა მიხედვით, „წარმოების დანახარჯების“ ცნება იხმარება რამდენიმე ერთმანეთისაგან განსხვავებული მნიშვნელობით, სახელდობრ:

1. წარმოების ნამდვილი დანახარჯები, რომელიც გულისხმობს საქონლის წარმოებაზე დახარჯული ცოცხალი და განიცემული შრომის მთლიან რაოდენობას და ემთხვევა მის ღირებულებას.

$$C+V+m$$

სადაც C არის მოხმარებული წარმოების საშუალებათა ღირებულება (მუდმივი კაპიტალი);

V—სამუშაო ძალის ღირებულება (ცვალებადი კაპიტალი);

m—ზედმეტი შრომით შექმნილი ღირებულება (ზედმეტი ღირებულება).

2. წარმოების კაპიტალისტური დანახარჯები — კაპიტალის დანახარჯები, რომელიც შედგება მოხმარებული წარმოების საშუალებათა ღირებულებისა და გამოყენებული სამუშაო ძალის ღირებულებისაგან, რაც ახასიათებს კაპიტალის მარტივ აღწარმოებას. ხოლო რაც შეეხება ზედმეტი ღირებულებას (m), იგი კაპიტალისტს (როგორც წარმოების ერთპიროვნულ მებატრონეს) არაფერი არ უღირს და ამდენად ზედმეტი ღირებულების (m) არავითარი ელემენტები არ შედის და არც შეიძლება შედიოდეს წარმოების კაპიტალისტური დანახარჯების (C+V) მარქსისტულ კატეგორიაში.

3. წარმოების დანახარჯები, ამ სიტყვის განსაკუთრებული კაპიტალისტური გაებით, გამოიყენება წარმოების ფაზის მნიშვნელობით, როგორც წარმოების კაპიტალისტური დანახარჯებისა და საშუალო მოვების (P^I) ჯამი.

$$C+V+P^I \quad (P^I \text{ — საშუალო მოვება}).$$

4. „წარმოების დანახარჯების“ ცნება შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე მეწარმე კაპიტალისტის წარმოების ინდივიდუალური დანახარჯების ანუ მეწარმის მიერ სამეურნეო ცხოვრებაში გაწეული ხარჯების მნიშვნელობით.

როგორც კ. მარქსი „კაპიტალის“ III ტომში მიუთითებს, აღნიშნული ხარჯები თავისთავად ახასიათებს მარტივი აღწარმოების პროცესს, ოღონდ უკვე ისეთ სამეურნეო პრაქტიკაში („მოვლენათა ზედაპირზე“), როდესაც ფაქტურად არსებობს არა ორი, არამედ სამი ძირითადი კლასი (მუშები, კაპიტალისტები, მიწათმფლობელები), აგრეთვე ბურჟუაზიული საზოგადოებას



სხვადასხვა ექსპლოატატორული ჯგუფები — ეპურების, ბანკირების და სხვათა სახით. ასეთ პირობებში აუცილებელი ხდება ზედმეტი ღირებულების ანგარიშგამართვის რისკის დაზღვევა, როგორცაა სესხის პროცენტი, საიჯარო გადასახადის ფორმით გადახდილი მიწის რენტა, სადაზღვევო გადასახადებები, მიმოქცევის სუფთა ხარჯები და სხვ., რომლებიც შედის საწარმოს წარმოების დანახარჯებში და, მასასადამე, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაში:

C+V+m (ნაწილობრივ)

მარქსის მიერ აღმოჩენილი წარმოების კაპიტალისტური დანახარჯების კატეგორიის (C+V) შედარება მეწარმე კაპიტალისტის წარმოების ინდივიდუალური დანახარჯების კატეგორიასთან (C+V+m ნაწილობრივ) ანუ თვითღირებულებასთან თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ისინი დიდად განსხვავებულ ეკონომიკურ კატეგორიებს წარმოადგენენ.

ამრიგად, კაპიტალისტური წარმოების წესისათვის დამახასიათებელი წარმოების დანახარჯების კატეგორიის და, მასთან დაკავშირებით, მარქსიზმის კლასიკოსთა მიერ გამოთქმული დებულებების მექანიკურად მისადაგება და გადმოტანა სოციალისტური წარმოების პირობებში, სოციალისტური ტიპის საზოგადოებრივ საწარმოთა წარმოების დანახარჯების და თვითღირებულების კატეგორიის კერძო კაპიტალისტურთან მექანიკური გაზვივება, ცხადია, არ მოგვცემს სასურველ და ეკონომიკურ-პოლიტიკური თვალთახედვით გამართლებულ შედეგებს.

ამიტომ ისეთი პრობლემური საკითხის განხილვა-გადაწყვეტა, როგორცაა სოციალისტურ წარმოებაში, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში პროდუქციის თვითღირებულების შედგენილობის, ქმნის საკალკულაციო მუხლების ნომენკლატურის სწორად დადგენა, მოითხოვს საკითხისადმი დიფერენცირებულ მიდგომას და ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე მეცნიერულად სრულყოფილი დასკვნების გაკეთებას.

სოციალური დაზღვევის დანარიცხები ხელფასზე (შრომის ანაზღაურებაზე), მართალია, პირდაპირ არ არის დაკავშირებული წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებთან ან მის მართვასა და მომსახურებასთან, მაგრამ მას მაინც აქვს გარკვეული არაპირდაპირი კავშირი წარმოებასთან. ეს კავშირი იმაში გამოიხატება, რომ იგი ძირითადად ემსახურება წარმოების მუშაკთა სოციალურ-მატერიალურ კეთილდღეობას მათი ავადმყოფობის, შრომითი დასახიჩრების და შრომისუნარიანობის დროებითი დაკარგვის სხვა შემთხვევაში, რითაც გარკვეულად ხელს უწყობს მუშახელით წარმოების უზრუნველყოფის გაუმჯობესების საქმეს; გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ სახსრების ძირითადი ნაწილი ფაქტიურად იხარჯება საწარმოებშივე.

ამიტომ შესაძლებელია, რომ ამ სახის დანახარჯები, სახელდობრ, სოციალური დაზღვევის დანარიცხები ხელფასზე (შრომის ანაზღაურებაზე) და ეწეროს წარმოებას დანახარჯად და ჩართულ იქნეს პროდუქციის თვითღირებულებაში როგორც წარმოების გარე ხარჯები.

საწარმოო საპირობების მიზნით აღებული ბანკის მოკლევადიანი სესხის წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან საწარმოსათვის აღმოჩენილ ოპერატიული დამარების ფორმას, რომლითაც ხელს უწყობს საწარმოს საკუ-



თარი სახსრების ნაკლებობის პირობებში, შეუფერხებლად შეიძინეს საჭირო ნედლეული და სხვადასხვა მასალა საწარმოო პროცესის ნორმალურად განხორციელებისათვის.

ვინაიდან სესხის სახსრების გამოყენება უშუალოდ დაკავშირებულია წარმოების პროცესთან, ამიტომ სესხებისათვის ბანკის სასარგებლოდ გადახდილი პროცენტების თანხა, რომელიც არაპირდაპირ წარმოშვა საწარმოო საქმიანობაში, უხდა დაეწეროს მოცემულ წარმოებას დანახარჯად და შეტანილ იქნეს პროდუქციის თვითღირებულებაში წარმოებისგარეშე ხარჯების საკალკულაციო მუხლით.

სადაზღვევო გადასახდელები საკმაოდ ფართო მნიშვნელობის ცნებას წარმოადგენს. როგორც საწარმოო დანახარჯების დაგეგმვის, აღრიცხვისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციების ძირითად დებულებასა და მითითებულ, კოლმეურნეობების სადაზღვევო გადასახდელებს მიეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითად დარგებში (მემცენარეობა, მეცხოველეობა) გამოყენებული ძირითადი საშუალებების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნათესების, საწერგების, ბაღების, ვენახების, კენკროვნების, ძირითადი ჯოგის პროდუქტული და მოზარდული პირუტყვის სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელების თანხები.

ამავე მოქმედი ძირითადი დებულებებით გათვალისწინებულია, რომ ყოველგვარი სადაზღვევო გადასახდელი მიეკუთვნება მემცენარეობისა და მეცხოველეობის შესაბამის დარგებსა და კულტურებს დანახარჯად და შეიტანება წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაში.

აღნიშნული საკითხისადმი ასეთი, შეიძლება ითქვას, სინთეზური მიდგომა მთლად გამართლებულად არ მიგვაჩნია და, ჩვენი აზრით, იგი ნაწილობრივ საპირობეს გარკვეულ დახვეწა-სრულყოფას.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ კოლმეურნეობების ქონების სახელმწიფო დაზღვევა წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ მეურნეობათა ურთიერთდახმარების საკმაოდ პროგრესულ ფორმას. იგი, ცხადია, მოიცავს ჩვენი ქვეყნის ყველა კოლმეურნეობას და უქმნის მათ დიდ ფინანსურ სიმყარეს და, მაშასადამე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნორმალური გაძლიერებისათვის საჭირო პირობებს.

კოლმეურნეობათა ქონების სახელმწიფო დაზღვევა ხორციელდება სავალდებულო პრინციპით და მოიცავს მთელ მათ ქონებას. სადაზღვევო გადასახდელები, რომლის სიდიდე დადგენილია სატარიფო განაკვეთითა და დასაზღვევი ქონების ღირებულებით (რომელიც კოლმეურნეობებში 1976 წელს 1965 წელთან შედარებით გადიოდა 3,4-ჯერ და 1839 მლნ მანეთი შეადგინა), არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წარმოების გაფართოებაზე, რადგან სადაზღვევო გადასახდელებს იხდის ყველა მეურნეობა, ანაზღაურებს კი ღებულობს მხოლოდ მათი ნაწილი, სტიქიური შემთხვევების კვალობაზე. სახელმწიფო სადაზღვევო ფონდის შექმნა გათვალისწინებულია არა გაფართოებული, არამედ მარტივი კვლავწარმოებისათვის.

პროდუქციის თვითღირებულებაზე მიკუთვნების მიხედვით სადაზღვევო გადასახდელები უნდა დაეყოთ ორ ნაწილად. პირველი ნაწილი, რომელსაც მიეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნათესების, საწერგების,



საწყობო მრავალწლიანი ნარგავების, პროდუქტიული და მოხარდებული პირუტყვის სადაზღვევო გადასახდელები არაპირდაპირ დაკავშირებულია წარმოებისთან, რამდენადაც ნათესების ნარგავების ან ცხოველთა სულაღობის მიმართ მომხდარი სტიქიური უბედურების კვალობაზე მეურნეობის მიერ მიღებული სადაზღვევო გადასახდელები დარიცხული თანხით ამცირებენ შესაბამისი დარგის, კულტურის ან ცხოველთა სააღრიცხვო ჯგუფის დანახარჯებს.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით სხვა ძირითადი საშუალებებისა და ქონების მიმართ. მაგალითად, ხანძრის შედეგად შენობის ან პირუტყვის სადგომის დაწვისათვის მიღებული სადაზღვევო თანხები, ცხადა, ჩაირიცხება ძირითადი საშუალებების აღსადგენად შესაბამის ფონდში (კადაბანდებისა და კაპექვეთების ფონდში) და არა წარმოების დანახარჯების შემამცირებელ მუხლში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა პირველ შემთხვევაში. ე. ი. ძირითადი საშუალებების ანგარიშში გადახდილი სადაზღვევო გადასახდელები არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ არ არის დაკავშირებული წარმოების პროცესთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად და ეკონომიკურად გამართლებულად მიგვაჩნია, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნათესების, სანერგეების, ბაღების, ვენახების, კენკროვნების, პროდუქტიული და მოხარდებული პირუტყვის დაზღვევის გადასახდელები დაეწეროს დანახარჯად შესაბამის დარგებს, კულტურებს, ცხოველთა სააღრიცხვო ჯგუფებს და შეტახილ იქნეს პროდუქციის თვითღირებულებაში წარმოების გარეშე ხარჯების მუხლით, ხოლო ძირითად საშუალებათა დაზღვევის გადასახდელები (გარდა მრავალწლიანი და პროდუქტიული პირუტყვისა) გადახდილი იქნეს მოგების ან სხვა შესაბამისი წყაროს ანგარიშზე.

დიდ ზეცნიერულ დავას იწვევს კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში წარმოებული ანარიცხების წარმოების ხარჯების ნომენკლატურაში და პროდუქციის თვითღირებულების შემადგენლობაში შეტანის საკითხი.

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის შესახებ არსებული დებულების შესაბამისად ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობები (თევზსაშერ კოლმეურნეობათა ჩათვლით) აღნიშნულ ფონდში ყოველწლიურად რიცხავენ კოლმეურნეობის წინა წლის მთელი შემოსავლის 5%-ს. ანარიცხების თანხა საკმაოდ სოლიდურია. ამ ფონდის სახსრებმა 1976 წელს კავშირის მასშტაბით შეადგინა 1198 მლნ მანეთი, ანუ კოლმეურნეობებში გაწეული წარმოების მთელი ხარჯების 3,5%.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობების წლიური ანგარიშგების ნაკრები მონაცემების მიხედვით, კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში 1975 წელს გადარიცხულია 19497 ათასი მანეთი და 1976 წელს — 19354 ათასი მანეთი. რესპუბლიკის კოლმეურნეობათა წარმოების მთლიანი დანახარჯები კოლმეურნეთა სოციალურ უზრუნველყოფაზე ანარიცხების ჩათვლით, შესაბამისად, უდრის 478237 ათას და 485223 ათას მანეთს, ანუ კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში შენატანების ხვედრითი წილი



წარმოების მთლიან დანახარჯებში 1975 წელს შეადგენს 4,1%-ს, ხოლო 1976 წელს — 4,0%-ს (შესაბამის საკავშირო მაჩვენებელზე 1,14-ჯერ მეტს).

ამ ფონდის სახსრები არსებითად წარმოადგენს საზოგადოებრივი მოხმარების ფონდს, რომელიც უმთავრესად გამოიყენება მოხუცებულობისა და ინვალიდობის გამო კოლმეურნეობის შრომისუნარმოკლებულ წევრებზე პენსიების გასაცემად.

ანარიცხებს კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში არაერთი დამოკიდებულება არა აქვს წარმოებასთან. ამასთან მოხუცებულთა და შრომისუნარდაკარგულთა მატერიალური უზრუნველყოფა ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო მასშტაბის ერთიანი სოციალური ღონისძიებაა, რომელიც სახელმწიფო საწარმოებში, ორგანიზაციებში და დაწესებულებებში, მათ შორის საბჭოთა მეურნეობებშიც ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ანგარიშზე და იგი, ცხადია, არ შეიტანება ფაბრიკა-ქარხნების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა წარმოება-ორგანიზაციათა არც წარმოების დანახარჯებში და არც წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაში.

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში წარმოებული ანარიცხების თვითღირებულებაში შეტანილ ხელოვნურად იზრდება საკოლმეურნეო პროდუქციის თვითღირებულება, იცვლება მისი შედგენილობა (სტრუქტურა), რითაც მახიჯდება თვითღირებულების სახელმწიფო ტიპის მეურნეობების (საბჭოთა მეურნეობების) შესაბამის ეკონომიკურ მაჩვენებლებთან შესადარისობის პრინციპი და მცირდება მაჩვენებელთა მეცნიერული დონით ეკონომიკური ანალიზის ჩატარების შესაძლებლობა.

ამიტომ აღნიშნულ ფონდში კოლმეურნეობების მიერ წარმოებული ანარიცხების, როგორც წარმოებისაგან იზოლირებული ხარჯების, წარმოების დანახარჯებში და პროდუქციის თვითღირებულების შემადგენლობაში შეტანა, ეკონომიკურ-ფინანსური და მეცნიერული თვალთახედვით, მიზანშეუწონლად მიგვაჩნია.

იმის გამო, რომ კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდი თავისი ეკონომიკური შინაარსითა და სახსრების გამოყენების დანიშნულებით განეკუთვნება საზოგადოებრივი მოხმარების (სოციალური უზრუნველყოფის) ფონდებს, მეცნიერულად უფრო დასაბუთებულად და ეკონომიკურად გამართლებულად უნდა ჩაითვალოს ამ ფონდში ანარიცხების წარმოება არა წარმოების დანახარჯებისა და პროდუქციის თვითღირებულების, არამედ კოლმეურნეობების წმინდა შემოსავლის (მოგების) ანგარიშზე.

კოლმეურნეთა სოციალურ უზრუნველყოფაზე ანარიცხებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების წარმოების დანახარჯებში და, მაშასადამე, პროდუქციის თვითღირებულებაში შეტანით, გარდა იმისა, რომ ხელოვნურად ვზრდით თვითღირებულების დონეს და ვუქარავთ მას (თვითღირებულებას) სხვა მაჩვენებლებთან შესადარისობის თვისებასა და საანალიზო მნიშვნელობას, მეორე მხრივ, ხელოვნურად ვადაბლებთ კოლმეურნეობების რენტაბელობის მაჩვენებლებს (პროცენტს) და ამით, რაც ყველაზე მთავარია, მნიშვნელოვნად ვამცირებთ კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი თანხების (საშემოსავლო გადასახადის) ოდენობას.

მაგალითისათვის მოვახდინეთ მიახლოებითი გაანგარიშებანი იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში წარმოების დანახარჯებსა და პროდუქციის თვითღირებულებაში კოლმეურნეთა სოციალურ უზრუნველყოფაზე წარმოებული ფულადი ანარიცხების შეტანა მიღებული წმინდა შემოსავლის (მოგების) სიდიდეზე და კოლმეურნეობათა რენტაბელობის დონეზე, რომლის მიხედვითაც დგინდება მოგებიდან საშემოსავლო გადასახადების სიდიდე (იხ. ცხრილი 1):

კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ანარიცხების გავლენა კოლმეურნეობის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე (მიახლოებით).

მაჩვენებლები	1975 წ.			1976 წ.		
	უნდა იყოს	არის	სხვაობა	უნდა იყოს	არის	სხვაობა
ფულადი ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან და მოსახარჯებიდან (ათ. მან.)	503847	503847	—	496120	496120	—
რეალიზებული პროდუქციის და მოსახარჯების თვითღირებულება (ათ. მან.)	413729	413729	—	426215	426215	—
მ. შ. ანარიცხები კოლმეურნეთა სოცურზე ველოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში (ათ. მან.)	19497	19497	—	19354	19354	—
წმინდა შემოსავალი (ნაგება)	109615	90118	19497	89259	69905	19354
რენტაბელობის დონე (%)	26,5	21,8	4,7	21,0	16,4	4,6
საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრად მოგების* ნაწილი (ნიახლოებით), ათ. მან.	28059	28059	—	5987	5987	—
საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრად პროცენტი* (%)	3,45	2,04	1,41	1,8	0,42	1,38

ცხრილის მონაცემებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ანარიცხების წარმოების დანახარჯებში და პროდუქციის თვითღირებულების შემადგენლობაში შეტანის შედეგად წმინდა შემოსავლის სიდიდის ხელოვნურმა შემცირებამ (ანარიცხების გამოთ) გამოიწვია რენტაბელობის კოლმეურნეობებში წარმოების რენტაბელობის ნორმის შემცირება 1975 წელს 4,7%—ით (21,8% ნაცვლად 26,5%—სა), ხოლო 1976 წელს—4,6%—ით (16,4% ნაცვლად 21,0%—სა).

წარმოების რენტაბელობის ნორმის ხელოვნურმა დაქვეითებამ საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრავე მოგების ნაწილიდან ანარიცხების პროცენტული სიდიდე 1975 წელს შეამცირა 1,41%-ით (2,04% ნაცვლად 3,45%-ისა) და 1976 წელს—1,38%-ით (0,42% ნაცვლად 1,8%-ისა), რის შედეგადაც, ცხა-

* საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრავე მოგების ნაწილი განისაზღვრება როგორც სხვაობა მიღებულ მოგებასა და რეალიზებული პროდუქციისა და მოსახარჯების თვითღირებულების 15%-ის შესაბამისი მოგების ნაწილის შორის (თუ კოლმეურნეთა სოცურზე უზრუნველყოფის ანარიცხებში არ შედის თვითღირებულებაში, მაშინ მისი სიდიდეც გათვალისწინებულია მოგებას, როგორც დაუბეგრავე ნაწილი).

** საშემოსავლო გადასახადის პროცენტის გასაანგარიშებლად რენტაბელობის მაჩვენებელს აკლდება 15% და სხვაობა პრაქტიკულად 0,3 ზე. მიღებული რიცხვი წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადის პროცენტს დასაბეგრავე მოგებიდან. 1978 წლიდან საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრავე კოლმეურნეობები, რომელთა რენტაბელობის ნორმა 25 %-ზე მეტია.

დია, მნიშვნელოვნად შემცირდა მოგებიდან ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის სიდიდე.

ამრიგად, ზემოთ მოტანილი მსჯელობაც იმის უტყუარი დამადასტურებელია, რომ ანარიცხები კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში არ შეიძლება მიექუთვნოს წარმოების დანახარჯებს და მიჩნეულ იქნეს პროდუქციის თვითღირებულების შემადგენელ ელემენტად. იგი წმინდა შემოსავლის ნაწილია, რომელიც განკუთვნილია კოლმეურნობის მოხუცებულ და სხვა შრომისუნარდაკარგულ წევრთა მატერიალურ-სოციალური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ამ ანარიცხების წმინდა შემოსავლის განაწილების ელემენტად შეტანამ უნდა უზრუნველყოს სარწმუნო ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიღება და სახელმწიფოსთან სწორი ფინანსური ურთიერთობის დამყარება.

ანარიცხები კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში არ წარმოადგენს რა წარმოების დანახარჯებს, იგი დადგენილი პერიოდების მიხედვით გადახდილი უნდა იქნეს მოგების ანგარიშებიდან წარმოებული ანარიცხებით. წლის განმავლობაში მოგებიდან ამ ფონდში აღარიცხული სახსრების ბუღალტრული ასახვა მოხდება განყენებული საშუალებების № 80 ანგარიშთან კორესპონდენციით (ანალიზურ ანგარიშზე „ანარიცხები მოგებიდან კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში“), რომელიც წლის ბოლოს ჩამოიწერება მოგება-ზარალის ანგარიშიდან. მოგების სახსრების უკმარისობის შემთხვევაში ამ მიზნით გაწეული დაუფარავი ხარჯები ჩამოიწერება რომელიმე შესაბამისი (საბრუნავი საშუალებების ან სხვა) წყაროს ხარჯზე.

მეცნიერული დავის საგანს წარმოადგენს აგრეთვე კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ფონდის დასაბეგრავი ნაწილის ანგარიშზე გადახდილი საშემოსავლო გადასახადის წარმოების დანახარჯებში და პროდუქციის თვითღირებულებაში შეტანის საკითხი.

ცნობილია, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სახელმწიფო საწარმოებში საშემოსავლო გადასახადი მუშებსა და მოსამსახურეებს უკავდებათ ხელფასიდან, რომელიც გაიცემა შრომის ანაზღაურების (ხელფასის) ფონდიდან. ხელფასიდან დაკავებული საშემოსავლო გადასახადი შედის პროდუქციის თვითღირებულებაში.

კოლმეურნეობებში კი, სახელმწიფო საწარმოებისაგან განსხვავებით, არსებული წესის მიხედვით, კოლმეურნეებს საშემოსავლო გადასახადი გამოუმუშავებული ხელფასიდან (შრომის ანაზღაურებიდან) საერთოდ არ ეკავებათ მიუხედავად იმისა, ხელფასის თანხის ოდენობის მიხედვით ექვემდებარება თუ არა იგი დაბეგვრას.

სამაგიეროდ, კოლმეურნეობები შრომის ანაზღაურების ფონდის დასაბეგრავი ნაწილიდან ბიუჯეტის სასარგებლოდ იხდიან საშემოსავლო გადასახადს დასაბეგრავი თანხის მ%-ის ოდენობით, რომელიც საწარმოო დანახარჯების აღრიცხვისა და თვითღირებულების კალკულირების შესახებ მოქმედი

ძირითადი დებულებებით აღირიცხება წარმოების დანახარჯებში და შეიტანება პროლეტციის თვითღირებულებაში.

საკითხის მეცნიერულმა შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ საკოლმეურნეო პროლეტციის თვითღირებულებაში საშემოსავლო გადასახადი შრომის ანაზღაურების ფონდის დასაბეგრავე ნაწილიდან შეიტანება ორმაგად. დასკვნის უტყუარობა იქედან გამომდინარეობს, რომ წარმოებას საშემოსავლო გადასახადის ხარჯები შრომის ანაზღაურების ანგარიშზე პირველად დაეწერა კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებული შრომის ანაზღაურების დარიცხვისას, მიუხედავად იმის, რომ იგი კოლმეურნეთა ხელფასიდან არ დაკავებულა (ეს, ცხადია, მოხდა კოლმეურნეების და არა წარმოების სასარგებლოდ, რადგან წარმოებას შრომის ანაზღაურებიდან დასაკავებელი საშემოსავლო გადასახადი დანახარჯად დაეწერა შრომის ანაზღაურების დარიცხვის ბუღალტრული ასახვისთანავე).

შემდეგ, კოლმეურნობათა მიერ დადგენილი პერიოდების მიხედვით ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხული და გადახდილი საშემოსავლო გადასახადი (შრომის ანაზღაურების ფონდის დასაბეგრავე ნაწილის 8%-ის ოდენობით) განმეორებით ეწერება წარმოებას დანახარჯად და შეიტანება პროლეტციის თვითღირებულებაში, რითაც ხელოვნურად იზრდება ფაქტიურა თვითღირებულება და, შესაბამისად, გარკვეული ზომით მახინჯდება კოლმეურნობათა საწარმოო-ფინანსური საქმიანობის ეკონომიკური მაჩვენებლები.

ჩვენი აზრით, შრომის ანაზღაურების ფონდის ანგარიშში დარიცხული საშემოსავლო გადასახადის გასხვორებით წარმოებაზე დანახარჯად დაწერა ეკონომიკურ-მეცნიერული თვალთახედვით გაუპართლებელია. წარმოების ეკონომიკური მაჩვენებლების ხელოვნურად დამახინჯების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ საშემოსავლო გადასახადი შრომის ანაზღაურების ფონდის დასაბეგრავე ნაწილის მიხედვით გადახდილ იქნეს იმ სახსრების ანგარიშზე, რომელიც წლის ბოლოს გამოიყოფა კოლწევრებზე შრომის ანაზღაურების სახით ფაქტურით გასაცემად (წმინდა შემოსავლის ანგარიშში).

საკითხის მოწესრიგების ყველაზე უტყუარ გზას კი, ჩვენი შეხედულებით, წარმოადგენს კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებიდან (ხელფასიდან) საშემოსავლო გადასახადების დაკავება ისეთივე წესით, როგორც ეს სორციელდება სახელმწიფო ტიპის საწარმოებსა და ორგანიზაციებში, რაც აღმოფხვრის ერთი და იგივე დანახარჯების პროლეტციის თვითღირებულებაში ორმაგად შეტანის შესაძლებლობას და საკოლმეურნეო პროლეტციის თვითღირებულებას არ დაუკარგავს თავის დიდ სამეურნეო-ეკონომიკურ და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, უწინარეს ყოვლისა კი კოლმეურნეობებში, საწარმოო დანახარჯების ნომენკლატურისა და პროლეტციის თვითღირებულების შედგენილობის (თვითღირებულების საკალკულაციო მუხლების) მეცნიერული დონით დაზუსტება-დადგენის ერთ-ერთ მთავარ ზედშემწეულ პირობად შეიძლება გვევლინებოდეს მეურნეობათა სამეურნეო საქმიანობის შედეგად მოგების მიუღებლობის შემთხვევაში მათ

მიერ სავალდებულო გადასახდელების გადახდისა და სხვადასხვა ანარიცხების წარმოებისათვის საჭირო სახსრების უქონლობა. მაშასადამე, თუ მეურნეობამ საანგარიშებო წელში საწარმოო საქმიანობის შედეგად ვერ მიიღო წმინდა შემოსავალი, მაშინ თითქოს იქნება სადროზე (რა თქმა უნდა, მოჩვენებით) მოგების ანგარიშზე გათვალისწინებული ანარიცხებისა და გადასახდელების გადახდის ფინანსურ დაბრკოლებათა შესახებ.

იქნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს იმ შემთხვევაში, როცა წარმოებისათვის მიკუთვნებული ხარჯები (ანარიცხები კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში, ძირითად საშუალებათა სადაზღვევო გადასახდელები, საშემოსავლო გადასახადი შრომის ანაზღაურების ფონდის დასაბეგრავ ნაწილში და სხვ.) თავიდანვე მიკუთვნებული იქნება (ალირიცხება) საწარმოო დანახარჯებში და ჩაირთვება პროდუქციის თვითღირებულებაში, მაშინ ამ გადასახდელთა გადაუხდელობის საშიშროებას აღვილი აღარ ექნება.

ასეთი მოჩვენებითი სიფრთხილე (შეში), ცხადია, საფუძველს მოკლებულია. რადგანაც, ჯერ ერთი, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში (კოლმეურნეობებში) წმინდა შემოსავლის მიუღებლობის, ანდა მისი სიდიდის შემცირების ობიექტურ საფუძველს, პირველ რიგში, ქმნის წარმოებისათვის მისგან სრულიად იზოლირებული და საზოგადოებრივი მოხმარების ფონდში შემავალი (ან სხვა სახსრების ანგარიშზე ასანაზღაურებელი) ხარჯების მიკუთვნება, რაც ამაღლებს პროდუქციის ფაქტური თვითღირებულების დონეს და ამით ხელოვნურად ამცირებს (ამ დანახარჯების სიდიდით) წმინდა შემოსავლის მიღების შესაძლებლობას, აგრეთვე წარმოების რენტაბელობის მაჩვენებელს.

ამასთანავე, მოგების მიუღებლობის შემთხვევაში, წარმოების შედეგების მხედველთ აუნაზღაურებელი დანახარჯები (როცა ხარჯები გაწეულია უფრო მეტ, ვიდრე პროდუქტია მიღებული) აუცილებლად უნდა ჩამოიწეროს მეურნეობის საშუალებათა რომელიმე წყაროს ანგარიშზე. სწორედ ასევე მოხდება იმ შემთხვევაშიც, როცა კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში ანარიცხების და სხვა გადასახდელებს თანხები წარმოების ხარჯებში და, მაშასადამე, პროდუქციის თვითღირებულებაში კი არ იქნება შეტანილი, არამედ ანაზღაურდება წმინდა შემოსავლის ანგარიშზე (ამ შემთხვევაში მიღებული წმინდა შემოსავლის აბსოლუტური სიდიდე, სხვა თანაბარ პირობებში, გადიდება ე. წ. წარმოებისათვის მიუკუთვნებელი ხარჯების ჯამით).

მოგების მიუღებლობის ან მისი სახსრების უქმარისობის შემთხვევაში მოგების ანგარიშზე წარმოებული ანარიცხები კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში და სხვა გადასახდელები (სახსრების უქმარისობის თანხით) ჩამოიწერება საბრუნავი საშუალებების ან სხვა შესაფერისი წყაროს ხარჯზე.

ამგვარად, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მიერ სავალდებულო გადასახდელებისა და ანარიცხების გადახდა, განურჩევლად იმისაგან, შეტანილი იქნება იგი წარმოების დანახარჯებსა და პროდუქციის თვითღირებულებაში, თუ იწარმოებს მოგების ანგარიშზე (წლის განმავლობაში მოგებიდან ანარიცხების სახით), ყველა შემთხვევაში მათი გადახდა გარანტირებულ ფორმას ღებულობს.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, განსაკუთრებით კი კოლმეურნეო-

ბეჭდში, საწარმოო-ტექნოლოგიურ პროცესში უშუალოდ მონაწილე დანახარჯებთან, ამ პროცესის ორგანიზაცია-მართვასთან და საერთოდ წარმოებასთან დაკავშირებით წარმოშობილ წარმოებისგარეშე და უსარგებლო ხარჯებთან ერთად წარმოების დანახარჯებში და წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაში ყველა სხვა სავალდებულო ანარიცხებისა და გადასახდელების შეტანა (რომლებსაც არავითარი არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი კავშირი არა აქვს წარმოებასთან და მისგან იზოლირებულად წარმოიქმნებიან), ფაქტობრივად იძლევა წარმოებული პროდუქციის არა თვითღირებულებას, არამედ, უფრო სწორად, იგი უახლოვდება მის ღირებულებას, რაც, რა თქმა უნდა, თვითღირებულებას უკარგავს ძირითად შინაარსს და ამცირებს მას, როგორც უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური კატეგორიის, საანალიზო მნიშვნელობას.

აქედან გამომდინარე, მიუღებელია ზოგიერთი ეკონომისტის მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების პროდუქციის თვითღირებულებაში ჩართვა წარმოადგენდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე შესასყიდი ფასების ფორმირებისა და სხვადასხვა საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და სახელმწიფოსთან კოლმეურნეობების ეკონომიკურ ურთიერთობათა დამყარების საფუძველს.

რაც შეეხება წარმოებისათვის მასობრივი კვალიფიკაციის კადრების მომზადებას, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში იგი სისტემატური ხასიათის ღონისძიებას არ წარმოადგენს. ამასთანავე, ძნელია იმის განსაზღვრა, თუ ამ სახის ღონისძიებაზე გაწეული ხარჯები რომელ ან რამდენი წლის მოსავალს უნდა დაეწეროს დანახარჯად. ამიტომ, ვფიქრობთ, უმჯობესია, რომ ამგვარი ხარჯები გაწეულ იქნეს მოგებიდან შექმნილი სპეცფონდების სახსრების ანგარიშზე და არ მიეკუთვნოს პროდუქციის წარმოების ხარჯებს, ე. ი. არ იქნეს შეტანილი პროდუქციის თვითღირებულების შემადგენლობაში.

ამრიგად, ზემოთხსენებული მსჯელობიდან გამომდინარე, მეცნიერული თვალთახედვით მიზანშეწონილად და ეკონომიკურად გამართლებულად მიგვაჩნია, რომ წარმოების დანახარჯებში და პროდუქციის თვითღირებულებაში შეტანილ იქნეს: სოციალდღევის დანარიცხები ხელფასზე (შრომის ანაზღაურებაზე), კოლმეურნეობათა სადაზღვევო გადასახდელები ნათესი კულტურების, სანერგეების, სანაყოფე მრავალწლიანი ნარგავების, მოზარდი და პროდუქტიული პირუტყვის დაზღვევის ნაწილში, აგრეთვე საწარმოო საქირებებზე მოკლევადიანი სესხებით სარგებლობისათვის გადახდილი პროცენტები, ხოლო ისეთი ხარჯები, როგორცაა ანარიცხები კოლმეურნეთა სოციალურ უზრუნველყოფაზე, სადაზღვევო გადასახდელები ძირითადი საშუალებების დაზღვევის ნაწილში (გარდა მრავალწლიანი ნარგავებისა და ძირითადი ჯოგის პროდუქტიული პირუტყვისა), კოლმეურნეობების მიერ შრომის ანაზღაურების ფონდის დასაბეგრავ ნაწილში გადახდილი საშემოსავლო გადასახადი (როგორც განმეორებადი დანახარჯი), მასობრივი კვალიფიკაციის კადრების მომზადებაზე გაწეული და წარმოებისაგან იზოლირებული სხვა ანალოგიური ხარჯები გადახდილ იქნეს მიღებული წმინდა შემოსავლიდან, მათი წარმოების დანახარჯებზე მიეკუთვნებისა და თვითღირებულებაში შეტანის გარეშე.



ამასთან, მიზანშეწონილია, რომ სოცდაზღვევის დანარიცხები ხელფასზე (შრომის ანაზღაურებაზე), ნათეს-ნარგავებისა და პირუტყვის სადაზღვევო გადასახდელები, სესხების პროცენტები და წარმოებასთან არაპირდაპირ დაკავშირებული სხვა გადასახდელები პროდუქციის თვითღირებულებაში შეტანილი იქნეს კომპლექსური მუხლით „წარმოებისგარეშე ხარჯები“ (შემდგომი შიგნ-მუხლობრივი კლასიფიკაციით).

სერიოზულ სრულყოფას მოითხოვს პროდუქციის თვითღირებულების არსებული საკალკულაციო მუხლების ნომენკლატურა. საკალკულაციო მუხლების ნომენკლატურის სრულყოფა უნდა განხორციელდეს როგორც რაოდენობრივად, ისე შინაარსობრივად.

ამჟამად სასაოფლო-სამეურნეო საწარმოებში მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულების კალკულირება წარმოებს შემდეგი საკალკულაციო მუხლების კრილში:

1. დარიცხული ხელფასი სოციალური დაზღვევის დანარიცხებით (საბჭოთა მეურნეობებში);

შრომის პირდაპირი ანაზღაურება კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის და სოციალური დაზღვევის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში დანარიცხების ჩათვლით (კოლმეურნეობებში);

2. თესლი (მემცენარეობაში);

3. საკვები (მეცხოველეობაში);

4. საწვავ-საცხები მასალები;

5. სასუქები (მინერალური, ორგანული);

6. ავტოტრანსპორტი;

7. ძირითად საშუალებათა ამორტიზაცია;

8 ძირითად საშუალებათა მიმდინარე რემონტი;

9. დანარჩენი დანახარჯები;

10. საერთო საწარმოო და საერთო სამეურნეო ხარჯები;

11. სულ დანახარჯები

მათ შორის მიკეთვებულთა თანამდე პროდუქციაზე;

12. წარმოებული პროდუქციის რაოდენობა (ფიზიკურ ერთეულებში);

13. თვითღირებულება (მანეთობით):

ა) მთელი ძირითადი პროდუქციის;

ბ) 1 ცენტნერი ძირითადი პროდუქციის.

როგორც ვხედავთ, თვითღირებულების პირველი საკალკულაციო მუხლი მოიცავს არა მარტო დარიცხულ ხელფასს (შრომის პირდაპირ ანაზღაურებას), არამედ სოცდაზღვევის დანარიცხებს ხელფასზე და აგრეთვე დანარიცხებს კოლმეურნეთა სოციალურ უზრუნველყოფაზე (კოლმეურნეობებში). ამდენად, თვითღირებულების ერთ საკალკულაციო მუხლში ერთდროულად გაერთიანებული სახით მოცემულია წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული საწარმოო მუშაკთა შრომის ანაზღაურების (ხელფასის) დანახარჯები, წარმოების პროცესთან არაპირდაპირ დაკავშირებული ხარჯები (სოციალური დაზღვევის დანარიცხები) და აგრეთვე ისეთი ხარჯები (დანარიცხები კოლმეურნეთა სოციალურ უზრუნველყოფაზე), რომლებსაც არავითარი (არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი) კავშირი არა აქვთ წარმოებასთან და მისგან იზოლირებულად წარმოიშობიან.

ცხადია, თვითღირებულების ერთ საკალკულაციო მუხლში ეკონომიკური

შინარსით სრულიად განსხვავებული სხვადასხვა დანახარჯებს მექანიკურ გაერთიანება თვითღირებულების მაჩვენებელს გარკვეულად უქარგავს საანალიზო მნიშვნელობას.

ამიტომ პროდუქციის თვითღირებულების დამოუკიდებელ საკალკულაციო მუხლად ჩვენს მიერ რეკომენდებული „წარმოებისგარეშე ხარჯები“-ს მუხლის შემოღება, რომელშიც ასახული იქნება ხელფასზე (შრომის ანაზღაურებაზე) სოციალური დაზღვევის დანარიცხები. აგრეთვე კოლმეურნეთა სოციალურ უზრუნველყოფაზე ანარიცხების წარმოების ხარჯებისა და თვითღირებულების შემადგენლობიდან გამორიცხვა (რომელიც გადახდილი იქნება წმინდა შემოსავლიდან), შრომის ანაზღაურების (ხელფასის) დანახარჯებს წარმოგიდგენს თვითღირებულების უმნიშვნელოვანეს დამოუკიდებელ საკალკულაციო მუხლად და ამასთანავე დიდად გაზარდის მის საანალიზო ღირებულებასაც.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მთავარ საფუძველს, ძირითად მასალას, მეცენარეობაში წარმოადგენს თესლი და აგრეთვე სარგავი მასალა, ხოლო მეცხოველეობაში — საკვები და მასთან ერთად ქვეშაფენი. ამიტომ გამართლებულად მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკალკულაციო მუხლები თვითღირებულების კალკულაციაში შეტანილ იქნეს სრული მოცულობით და შესაბამისი სახელწოდებით, სახელდობრ: „თესლი და სარგავი მასალა“ და „საკვები და ქვეშაფენი“.

თვითღირებულების საკალკულაციო მუხლების მოქმედ ნომენკლატურაში სასუქები წარმოდგენილია ერთ მუხლად და ისიც მხოლოდ ღირებულებითაა საზომში. თვითღირებულების ანალიტიკურობის ამაღლების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ „სასუქების“ მუხლი თვითღირებულების სტრუქტურაში მოცემული იყოს ორი საკალკულაციო მუხლის სახით, სახელდობრ: „მინერალური სასუქები“ და „ორგანული სასუქები“. ამასთანავე უეუიგისი იქნება (ცვლად საანალიზო დანიშნულებიდან გამოდინარე) მათი გამოსახვა არა მარტო ღირებულებით საზომში, არამედ ფიზიკურ ერთეულებშიც, ხოლო მინერალური სასუქები — მოქმედ ნივთიერებაზე გაანგარიშებითაც.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანაში, მეცხოველეობის დარგების წარმოებაში და, აქედან გამომდინარე, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურაში სოფლის მეურნეობის დამხმარე წარმოებათა ხვედრითი წილის დასადგენად საჭირო ეკონომიკური ანალიზის ჩატარება თვითღირებულების საკალკულაციო მუხლების ამჟამად არსებული ნომენკლატურის პირობებში ყოვლად შეუძლებელია.

ცხადია, რომ თვითღირებულების საკალკულაციო მუხლების ნომენკლატურაში დამხმარე წარმოებათა წარმოდგენა მხოლოდ „საწვავ-საცხები მასალების“ და „ავტოტრანსპორტის“ საკალკულაციო მუხლებით ვერ გვაძლევს (და არც შეიძლება მოგვეცეს) სოფლის მეურნეობის პროდუქტების თვითღირებულების სტრუქტურაში დამხმარე წარმოებათა ხვედრითი წილის განსაზღვრის შესაძლებლობას.

ამასთან საწვავ-საცხები მასალების დანახარჯების თვითღირებულების ცალკე საკალკულაციო მუხლად გამოყოფა, რომელიც მოიცავს მხოლოდ სატრაქტორო პარკის მიერ მეცენარეობის დარგში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებაზე დახარჯული საწვავი და საცხები მასალებს ღირებულებას, არსებითად არაფერს არ იძლევა არც თვითღირებულების

სტრუქტურის დადგენის მნიშვნელობით და არც მისი საანალიზო-ეკონომიკური თვალსაზრისით.

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ საერთოდ და განსაკუთრებით საქართველოს სსრ-ის სინამდვილისათვის, მისი მრავალფეროვანი ბუნებრივი, რელიეფური, კლიმატური პირობებისა და სოფლის მეურნეობის წარმოების მრავალდარგოვანი მეურნეობის გამო, მანქანა-სატრაქტორო პარკის უვლუბელყოფა დამხმარე წარმოებათა შემადგენლობაში, საწვავ-საცხები მასალებისა და ტრაქტორისტ-მემანქანეების შრომის ანაზღაურების ტრანზიტული მეთოდით აღრიცხვა, სატრაქტორო პარკის მუშაობის თვითღირებულების დაუდგებლობა (გაუანგარიშებლობა) გაუმართლებლად მიგვაჩნია მით უმეტეს, რომ საწვავ-საცხები მასალების ტრანზიტით აღრიცხვამ მრავალდარგოვანი მეურნეობის პირობებში ადვილად შეიძლება წარმოშვას ხელოვნური დამახინჯებანი დარგებსა და კულტურებზე ამ დანახარჯის (საწვავ-საცხები მასალების) მიკუთვნების საქმეში.

ამიტომ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების თანამედროვე პირობებში, როდესაც სოფლის მეურნეობის საწარმოთა საწარმოო-ეკონომიკურმა გამსხვილება-გაძლიერებამ, სამეურნეობათაშორისო კოოპერირებისა და აგრო-სამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე წარმოების გაღრმავებულმა სპეციალიზაციამ და კონცენტრაციამ მნიშვნელოვნად აამაღლა დამხმარე წარმოებათა როლი და მნიშვნელობა, მიზანშეწონილად და მეცნიერულ-პრაქტიკული თვალთახედვით გამართლებულად ვთვლით დამხმარე წარმოებათა სახეების მიხედვით მათი მუშაობისა და მომსახურების თვითღირებულების კალკულირებას, პროდუქციის თვითღირებულების საკალკულაციო მუხლების ნომენკლატურაში „დახმარება წარმოებანი“-ს დამოუკიდებელი საკალკულაციო მუხლის შემოღებას, ოომელიც დიფერენცირებული იქნება დამხმარე წარმოებათა ძირითად სახეობათა ჭრალში, როგორცაა, მაგალითად: მანქანა-სატრაქტორო პარკი, ავტოტრანსპორტი, ელექტრომომარაგება, წყალმომარაგება და სხვ.

პროდუქციის თვითღირებულებაში დამოუკიდებელ საკალკულაციო მუხლად უნდა იქნეს შემოღებული წარმოების პროცესში და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი უსარგებლო ხარჯები (ეს ხარჯები სააღრიცხო-ეკონომიკურ ლიტერატურაში ფორმირებულია ე. წ. არამწარმოებლური ხარჯების სახელწოდებით, რაც არ შეესაბამება მათ ეკონომიკურ შინაარსს), რომელიც უნდა დაიყოს არაუმცირეს ორ ქვემუხლად: ა) საწარმოო წუნი და ბ) დანახარჯი უსარგებლო ხარჯები.

საერთო-საწარმოო და საერთო-სამეურნეო ხარჯები კი, უსარგებლო ხარჯების ცალკე მუხლად გამოყოფის შედეგად, პროდუქციის თვითღირებულებაში შეტანილი იქნება მათი ნამდვილი ეკონომიკური მნიშვნელობით, სახელდობრ: „წარმოების მმართველობისა და მომსახურების ხარჯები“, „მეურნეობის მმართველობისა და მომსახურების ხარჯები“.

ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების საკალკულაციო მუხლების ნომენკლატურა, ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, წარმოგვიდგება დაახლოებით შემდეგი შემადგენლობით:

1. დარიცხული ხელფასი (შრომის პირდაპირი ანაზღაურება);

2. თესლი და სარგავი მასალა;
 3. საკვები და ქვეშაფენი;
 4. ბიოპრეპარატები და მედიკამენტები;
 5. მინერალური სასუქები;
 6. ორგანული სასუქები;
 7. დამახმარე წარმოებანი;
- მათ შორის:

- ა) მანქანა-სატრაქტორო პარკი;
 - ბ) ავტოტრანსპორტი;
 - გ) ელექტრომომარაგება;
 - დ) წყალმომარაგება;
 - ე) დანარჩენი დამახმარე წარმოებანი;
8. ძირითად საშუალებათა ამორტიზაცია;
 9. ძირითად საშუალებათა მიმდინარე რემონტი;
 10. დანარჩენი დანახარჯები;
 11. საწარმოო წუნი;
 12. წარმოების მმართველობისა და მომსახურების ხარჯები;
 13. მეურნეობის მმართველობისა და მომსახურების ხარჯები;
 14. დანარჩენი უსარგებლო ხარჯები;
 15. წარმოებისგარეშე ხარჯები;

მათ შორის:

- ა) სოცდაზღვევის დანარიცხები ხელფასზე (შრომის ანაზღაურებაზე);
- ბ) სადაზღვევო გადასახდელები;
- გ) მოკლევადიანი სესხებით სარგებლობისათვის დარიცხული პროცენტები.

პროდუქციის თვითღირებულების შედგენილობის სრულყოფა და თვითღირებულების საკალკულაციო მუხლების დაზუსტებული ნომენკლატურის გამოყენება ყოველმხრივ უპასუხებს წარმოების ორგანიზაციისა და მართვას თანამედროვე მოთხოვნებს. ამ სახით გაანგარიშებული თვითღირებულება ხასიათდება დიდი ანალიტიკურობით, რაც უზრუნველყოფს წარმოების რაციონალური დაგეგმვისათვის, საწარმოო საქმიანობის ფინანსური შედეგების, წარმოების ეფექტიანობის დონის განსაზღვრისა და სხვა ეკონომიკურ მაჩვენებელთა სწორად დადგენისათვის საჭირო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა

ს ა მ ა რ თ ე ლ ი

ინიღორა ღოლიძე

ვახტანგის სამართლის წიგნის კრიტიკული ტექსტის დადგენისათვის

ვახტანგის სამართლის წიგნი ქართული სამართლებრივი კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლია, რომელიც შეიცავს ძვირფას საკანონმდებლო მასალას გვიანფეოდალური ქართლის სოციალ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი წყობილების შესასწავლად. იგი ქართული ფეოდალური სამართლის მთავარი საკანონმდებლო ძეგლია, რომელშიც ასახულია მრავალფეროვანი სამართლებრივი ინსტიტუტები, ჩვეულებითი სამართლის ნორმები. ეს კანონები ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის საფუძველთა საფუძველია.

ამიტომ თავისთავად ცხადია, რომ ქართული სამართლის მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის ვახტანგის სამართლის წიგნის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დადგენას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს. ვახტანგის სამართლის ტექსტი, ქართული სამართლის სხვა ძეგლებთან ერთად, ჩვენი გულმოდგინე შესწავლის საგანს შეადგენს. წინამდებარე წერილი ამ ტექსტოლოგიური კვლევის ზოგიერთ შედეგს წარმოადგენს, რომელიც განხილულ იქნება სამართლის წიგნის 1955 წლის გამოცემასთან შედარებით¹. დასახელებული გამოცემა, როგორც ქვემოთ დავინახავთ ძირითადად S — 3683 ნუსხასა და მის მცდარ წყიბთხეებს ემყარება.

მუხ. 3. „მოჩივრის მოადის მომცდელი“

ვახტანგის სამართლის წიგნის მესამე მუხლი ჩამოთვლის მოსამართლის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს: „მოსამართლე დიდად მჩხრეკელი, მიმხედარი, გამომძიებელი, გონებააუჩქარებელი, დაწყნარებულო, გამგონე, საჩივრის ყურის მიმდებელი, გამსინჯავი და სხვისაც მკითხველი, მოწმის მოძებარი უნდა იყოს, უქრთამო და ღმრთის მოშიში“. Q 575 ტიპის ნუსხები ამ ნიშნებს შემდეგ ფრაზას უმატებს: მოსამართლე „მოჩივრის მოადის მომცდელი უნდა იყოს“. „მოადი“ მოდავე მხარეს — ბრალდებულს (მოპასუხეს) ან დაზარალებულს (მოსარჩელეს) ეწოდება. მაშასადამე, კანონმდებელი მოითხოვს, რომ მოსამართლე არა მარტო მომჩივნის, არამედ მოპასუხე მხარის ახსნა-განმარტებასაც უნდა დაელოდოს და გულისყურით მოუსმინოს. Q 575 ხელნაწერი ვახტანგის ხელიდან გამოსული ნუსხაა, რომელიც გადაწერილია 1710 წელს. მაშასადამე, ეს ფორმულა გადამწერთა გვიანდელი ინტერპოლაცია კი არ არის, არამედ კანონთა ტექსტში თვით სჯულმდებელი მეფის სანქციით ჩართული ნორმაა, რომლის დაცვა მოსამართლისათვის სავალდებუ-

¹ ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, თ. ენუქიძის გამოცემა, 1955.

ლოა. ამიტომ იგი შენარჩუნებულ უნდა იქნეს კანონთა ტექსტში. 1955 წლის გამოცემაში ეს ფრაზა უგულვებელყოფილია.

მუხ. 4. „თუ იასაულმა ღმერთი გამო“

სამართლის წიგნის მე-4 მუხლი ისეთ შემთხვევას ითვალისწინებს, როცა მოსამართლე ადგილზე საქმის გამოსაძიებლად და „მართალი ამბავის“ მოსატანად თავის იასაულს გზავნის. მაგრამ შეიძლება იასაულმა ღმერთი გამოს, ქრთამი მიიღოს და მოსამართლეს „მრუდი ამბავი“ მოუტანოს. ასეთი მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად და ამგვარი საქმის გამოსარკვევად მოსამართლეს სხვა „მართლის მოქმელი სიმართლეზე ცნობილი იასაული“ უნდა ჰყავდეს, რომ მისი მეშვეობით საქმის ნამდვილი ვარემოება დაადგინოს. S-3683 ნუსხის გადაჭყერს lapsus calami მოსვლია და სიტყვა „გმო“ ორჯერ დაუწერია. სხვა ძველი ხელნაწერები, და კერძოდ ქუთაისის 201 ხელნაწერი, რომელიც გადაწერილია S-3683 ნუსხიდან 1746 წელს, ამ შეცდომას ასწორებენ. 1955 წლის გამოცემაში კი კალმის ეს შეცდომა შენარჩუნებულია და დაბეჭდილია: „იასაულმა ღმერთი გამო, გმო“.

მუხ. 12 „იქნების, დღიურზე ერთი მოფიცარი შევარდნა“

სამართლის წიგნის მე-10—12 მუხლები ფიცისა და მოფიცებების, როგორც სასამართლო დამამტკიცებელი საბუთების, გამოყენების წესებს ადგენს. მე-12 მუხლში ლაპარაკია საადგილმამულო დეაზზე და აღნიშნულია, რომ „მამულის ცილებაში“ ვარემო მოფიცარი არ უნდა იქნეს დანიშნული, ხოლო მოფიცართა რაოდენობა მამულის სიდიდის მიხედვით უნდა განისაზღვროს. ამასთან შესაძლებელია, ერთი დღიურის ოდენობის სადავო მიწის საქმეზე ერთი მოფიცარაც დაინიშნოს. S ნუსხაში და მისი ტიპის ხელნაწერებში ამ ადგილას „მოფიცარის“ ნაცვლად „მოწამე“ სწერია, რაც დატოვებულია 1955 წლის გამოცემაშიც. მაგრამ ეს შეცდომაა, რადგან „მოწმით სამართლის კმნისა“ და მოწმების, როგორც მტკიცებულობათა სახეობის, შესახებ სპეციალურად ლაპარაკია სამართლის წიგნის მომდევნო მე-13 მუხლში. ამიტომ „მოწმის“ ნაცვლად აქ „მოფიცარი“ უნდა დარჩეს, როგორც ეს Q 575 ნუსხასა და მისი ტიპის სხვა ხელნაწერებშია დაცული.

მუხ. 23. „ესეები მოსამართლეთ კარგად გახინჯეთ და გამოიძიეთ“

23-ე მუხლში თავადთა და აზნაურთა წინათ განწესებულ სისხლის განაჩენებსა ანუ მკვლელობის საზღაურზეა ლაპარაკი. კანონი ადგენს, რომ ძველად განსაზღვრული სისხლის მიხედვით ახლა საზღაურის გადახდა შეუძლებელია, რადგან „ახლა მაშინდელზე ქართველს ბატონსაც ბევრი ადგილი აკლია და მისი თავადიც მამულზე დამცრობილია“. ამიტომ მკვლელობის შემთხვევაში მოსამართლემ ყოველივე ეს კარგად უნდა შეამოწმოს და გამოიძიოს. S ტიპის ნუსხებში „და გამოიძიეთ“ არ არის, ამის გამო იგი არც 1955 წლის გამოცემაშია. მაგრამ არის Q 575 ნუსხაში და მისი ტიპის ხელნაწერებში. „გახინჯვა“ და „გამოიძიება“ სინონიმური ცნებებია არაა. „გამოიძიება“ უფრო ღრმა, თანაც სპეციალური იურიდიული ტერმინია, რომელიც საქმის საფუძვლიან გამო-

კვლევას გულისხმობს. ამ მოსაზრებათა გამო მისი შენარჩუნება ტექსტში აუცილებელია.

მუხ. 24. „ფიცო მოკდეს, თუ ისრე სისხლი გააჩინონ“

სამართლის წიგნის 24-ე მუხლი ადგენს: „დიდროანს კაცში სიკვდილი და რა გინდა რა სისხლი მოკდეს“, მეფემ და კათალიკოზმა მოქიშვე მხარეებს არ უნდა მისცეს ნება, რომ ერთმანეთი ძარცვონ და არბიონ, აგრეთვე არც მათ ნათესავებს — მიეშველონ და დახმარება აღმოუჩინონ მათ. ასეთ შემთხვევაში მესისხლე მხარეებს კაცი უნდა განუწესონ და ისინი ერთმანეთზე სარბევად აღარ მიუშვან. მეფემ და კათალიკოზმა, ეპისკოპოზ-დარბაისელთა თანდასწრებით, მათი საქმე და საჩივარი არაერთგზის უნდა მოისმინონ, გულდასმით განიხილონ, „ბევრჯერ გასინჯონ“, და ამგვარად ფიცის დაკისრებით, თუ უფიტრად, დამნაშავე მხარეს სისხლის გადახდა მიუსაჯონ, ხოლო იმ სისხლის მესამედი მეფემ და კათალიკოზმა აპატიოსო. S ნუსხაში ჩვენთვის საინტერესო ადგილი ასე იკითხება: „ფიცო მოკდეს თუ ისრე სისხლი“. წინადადება დაუმთავრებელი ჩანს, აკლია შემასმენელი. ტექსტი ასეა დაბეჭდილი 1955 წლის გამოცემაში. ამავე დროს ტექსტის სრულიად იმართება Q 164 უძველესი ნუსხის მოშველიებით, სადაც ნათქვამია: „ფიცო დაადვან, თუ უფიტრად სისხლი გააჩინონ“, იმისი მესამედი მეფემ და კათალიკოზმა აპატიოსო. ამრიგად, აუცილებელია ტექსტში აღდგენილ იქნეს: „გააჩინონ“.

მუხ. 36. „დიდებულისა და გამოჩენილი სისხლი მართებია“

36-ე მუხლი ადგენს: უკეთუ დიდებული თავადი თავის ტოლ („ამხანაგ“) დიდებულ თავადს მოკლავს და მკვლელი ცნობილი იქნება. აგრეთვე დადგენილ იქნება, რომ დაზარალებულს (მოკლულს) დამნაშავეს „სისხლი მართებია და მისთვის მოუკლავს“, მაშინ „ნამართები სისხლი“ უნდა შეუფარდონ და გამოაკლონ დაზარალებულის სისხლს და დანარჩენი სისხლის ანაზღაურება დააკისრონ დამნაშავეს დაზარალებულის სასარგებლოდ. S ნუსხაში ეს ტექსტი გაუმართავია და ასე იკითხება: „თუ ამხანაგი არის ის დიდებულის მკვლელი, დიდებულა და გამოჩენილი სისხლი მართებია“. გამოცემელმა ტექსტი ვერ გაიგო და ასე უკრიტიკოდ დაბეჭდა, რის გამოც მივიღეთ „დიდებული სისხლი“, რაც უარობაა. ეს ტექსტი Q 575 ნუსხის მიხედვით ასე იმართება „თუ ამხანაგი არის ის დიდებულის მკვლელი დიდებულისა და გამოჩენილი სისხლი მართებია“, გასინჯეთ და ისე უანგარიშეთო. მაშასადამე, კანონში ნათქვამია, რომ მკვლელი დიდებული სოციალურად მოკლული დიდებულის ტოლია, წოდებით მისი თანასწორია, მისი „ამხანაგია“. ამრიგად „დიდებული სისხლი“ აქ არაფერ შუაშია.

მუხ. 38. „დაწამებულს მთხრობლის ტოლი ყმა ყვანდეს“

38-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა ფეოდალთა კლასის წარმომადგენელს (თავადს ან აზნაურს) ბრალი ედება რაიმე დანაშაულში „მთხრობლის“ — დამსმენის მეშვეობით. კანონი ადგენს: თუ ბრალდებულს „დაწამებულს“ ბრალმდებლის ანუ „მთხრობლის“ ტოლი ყმა (ხელქვეითი,

ვასალი) ჰყავს, იგი „კმაღში გაატანოს“, ე. ი. ორთაბრძოლაში გაიყვანოს მთხოვრის წინააღმდეგ და ამ წესით იმართლოს თავი წაყენებული ბრალდებისაგანო. გარდა Q 164 ხელნაწერისა, რომელიც თავდაპირველ დედანს წარმოადგენს, სამივე ნუსხაში, S ნუსხის მიხედვით „დაწამებულს“ ნაცვლად „დამწამებელი“ სწერია, რაც აშკარა შეცდომაა, რადგან მომდევნო ტექსტიდან ჩანს, რომ ხმაღში გადის არა ბრალმდებლის — „დაწამებულის“ ყმა, არამედ ბრალდებულის — „დაწამებულის“ ყმა. ტექსტის გამომცემელი ამას არ ჩაკვირებია და დაბეჭდილ ტექსტში მცდარი წაკითხვა — „დამწამებელს“ დაუტოვებია. ეს შეცდომა თავის დროზე მართებულად აღნიშნა პროფ. ვ. ნადარეიშვილმა.

მუხ. 42. „თუნდა კიდევ მოკლას“

სამართლის წიგნის 42-ე მუხლში ჩამოთვლილია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი ათი შემთხვევა. მეხუთე კაზუსში გათვალისწინებულია ასეთი შემთხვევა: თუ წოდებით თანასწორი პირი მის ტოლ კაცს შეუტევს და ხმაღზე ხელს გაიკრავს, ხოლო მოპირდაპირე მხარე მას დაასწრებს, უწინ შემოჰკრავს, დაჭრის, თუნდა კიდევ მოკლას მკვლელი პასუხს არ აგებს. აქ გათვალისწინებულია აუცილებელი მოგერიების თავისებური შემთხვევა, როცა მომგერიებელი მხარე დამდგარი შედეგისათვის პასუხისმგებლობისაგან თავისუფალია. S ტიპის ნუსხებში აღნიშნული კაზუსი ვაუმართავია: „თუ სწორმან სწორს შეუტია და კმაღს კელი გაიკრა, და იმ მეორემ შემტევებელს უწინ შემოჰკრა, დაჭრა, და თუნდა მოკლას, ვერას შეუა“. ასევეა 1955 წლის გამოცემაშიც. აშკარაა, რომ ფრაზა „უწინ შემოკლას“ აქ უაზრო და შეუსაბამოა. მომგერიებელ მხარეს, სიკვდილის რეალური საფრთხისაგან რომ თავს იცავს, ცხადია სურს, თუნდა რომ მოკლას თავდამსხმელი — „შემტევებელი“, რათა თავისი სიცოცხლე შეინარჩუნოს. ამიტომ ტექსტი Q 164 და Q 575 ნუსხების მიხედვით უნდა გაიმართოს და ასე აღდგეს: „თუნდა კიდევ მოკლას“.

მუხ. 49. „ექვსი თუმანი და ოთხი მინალთუნი“

49-ე მუხლი მიყენებული ჰრილობის საზღაურს განსაზღვრავს სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის ადამიანებისათვის. საზღაურის ოდენობა განისაზღვრება ჰრილობის სიდიდისა და დაზარალებულის წოდებრივი მდგომარეობის მიხედვით. ჰრილობის სიდიდე კი ჰერის მარცვლით იზომება. ყოველ მომდევნო საფეხურზე მდგომი ადამიანის ჰრილობის საზღაური ერთობრად იზრდება. ერთი ჰერის მარცვლის ოდენა ჰრილობის საზღაური სხვადასხვა წოდების წარმომადგენელთათვის შემდეგ ნაირად განისაზღვრება: გლეხისა ორ მინალთუნად, მსახურისა ოთხ მინალთუნად, ცალმოგვი აზნაურისა რვა მინალთუნად, შუა აზნაურისა თექვსმეტ მინალთუნად, დიდი აზნაურისა სამ თუმნად და ორ მინალთუნად, დაბალი თავადისა ექვს თუმნად და ოთხ მინალთუნად, შუა თავადისა თორმეტ თუმნად და რვა მინალთუნად, დიდებულისა ოცდახუთ თუმნად და ექვს მინალთუნად. S ნუსხაში, გადამწერის შეცდომით, დაბალი თავადის ერთი ჰერის მარცვლის ოდენა ჰრილობის საზღაურად



სწერია „ექესი თუმანი და სამი მინალთუნი“. Q 164 და Q 575 ტიპის წიგნების ში კი „სამის“ ნაცვლად იკითხება „ოთხი“ მინალთუნი, რაც სწორია. მეტი ამას არ უკვირდება და დაბეჭდილ ტექსტში S ნუსხის მცდარ ვარიანტს ტოვებს.

მუხ. 51. „თუ მიმვდომი და ან ასაბია მოკვდეს“

კანონი ადგენს: უკეთუ ვინმე თავს დაესხმის სხვას თავის სახლკარსა და ცოლ-შვილში და თავდამსხმელი ან მისი (ასაბია) შემწე, მოკლული იქნება, მათი მოკვლისა ან დაჭრისათვის „სისხლი არ არის“ ე. ი. საზღაურს არ გადაიხდის, პასუხს არ აგებს. S ნუსხაში სწერია: „თუ მიმვდომი და ასაბია მოკვდეს“, Q 164 და Q 575 ტიპის ნუსხებში კი სწერია — „თუ მიმვდომი ან ასაბია მოკვდეს“. მაშასადამე, კანონმდებელი გულისხმობს არა ორივეს მოკვლას, არამედ ერთს ან მეორის — მიმვდომის ან ასაბიის მოკვლას, ამიტომ „და“ კავშირის ნაცვლად ტექსტში „ან“ უნდა დარჩეს.

მუხ. 52. „ორკეცი სისხლი და წანაღებცა მისცეს“

ეს მუხლი გლეხის სახლკარსა და ოჯახზე თავდასხმას ითვალისწინებს. კანონი ადგენს: თავდასხმის შედეგად გლეხის ოჯახში რამდენიც მოკვდეს და დაიჭრას, დამნაშავემ სისხლი ორკეცად აღნაზღაუროს და მიტაცებული ქონებაც დაუბრუნოს. S ნუსხაში ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი: „იმ გლეხისა რაც მოკვდეს და დაიჭრას ორკეცი სისხლი და წანაღებცა“. წინადადების ბოლო გაუმართავი და ბუნდოვანია, რადგან აკლია შემასმენელი. დაბეჭდილ ტექსტშიც S ნუსხის ვარიანტი დატოვებული. Q 575 ნუსხაში კი ეს ადგილი გამართულია: „იმ გლეხისა რაც მოკვდეს და დაიჭრას, ორკეცი სისხლი და წინაღებცა მისცეს“. ტექსტიც ასე უნდა გაიმართოს.

მუხ. 57. „რამდენიც იმისი ყმა დაჭერილი თან წაეყვანოს“

მისდომისა და თავდასხმის დროს დამნაშავე რამდენ ყმასაც დაჭრის, მან იმდენი მთელი სისხლი უნდა გადაიხადოს. და რამდენ ყმასაც დაჭერილ წაიყვანს, იმდენი ნახევარი სისხლი უნდა მისცეს. მაშასადამე, კანონი ითვალისწინებს ორ შემთხვევას: ყმის დაჭრას და დაჭერილი ყმის წაყვანას. ყმის დაჭრისათვის მთელი სისხლია დაწესებული, ხოლო მისი დაჭერისა და წაყვანისათვის — ნახევარი სისხლი. S ნუსხაში კი ვადამწერის შეცდომით მეორე შემთხვევაშიც „დაჭერილი ყმა“ სწერია „დაჭერილი ყმის“ ნაცვლად, მაგრამ საზღაური — ნახევარი სისხლი სწორადაა ნაჩვენები. გამომცემელს ეს ვერ შეუნიშნავს და ტექსტში S ნუსხის მცდარი წაკითხვა აღარ გაუსწორებია.

მუხ. 61. „რჭულის გარდამავალს საქმეში კათალიკოზს ჯელი აქვს“

61-ე მუხლის ბოლოს ნათქვამია: „სატანჯელის სიკვდილში და რჭულის გარდამავალ საქმეში კათალიკოზს ჯელი აქვს“. S ნუსხაში ვადამწერს კალმის შეცდომა მოსვლია და სიტყვა „რჭულის“ ორჯერ დაუწერია. გამომცემელიც უკრიტიკოდ იზიარებს ამ შეცდომას და ბეჭდავს „რჭულისა და რჭულის.“! Q 164-სა და Q 575-ში კი ეს სიტყვა, როგორც ჯერ არს, ერთხელაა დაწერილი.

მუხ. 78. „რასაც გვარისა ის კაცი იყოს“

კანონი ადგენს: „თუ კაცმან მისგან უდიდებულესის კაცის ქალი დააგდოს, რასაც გვარისა ის კაცი იყოს, იმტოლი მთელი სისხლი მისცეს“. ე. ი. კანონი ამბობს, ქმარი, მასზე უფრო მაღალი წოდების ცოლს უმიზეზოდ რომ გაეყაროს, სისხლი თავისი გვარის მიხედვით უნდა დაუტრფოსო. მაგალითად, თუ ქმარი მეორე თავადი იყო და ცოლი კი პირველი თავადის კატეგორიას მიეკუთვნებოდა, ქმარი გაშვებულ ცოლს სისხლს თავისი გვარის ღირსების მიხედვით უხდიდა. ვახტანგის სამართლის ამ მუხლის წყაროს ბეჭა მანდატურთ-უხუცესის სამართლის წიგნის 30-ე მუხლი წარმოადგენს. S ნუსხაში ფრაზა „ის კაცი“ გამოტოვებულია, რის გამო მუხლი საწინააღმდეგო შინაარსს ღებულობს, ე. ი. გამოდის, რომ ქმარმა სისხლი ცოლის საგვარეულო ღირსების მიხედვით უნდა გადაიხადოს. ასევე შეცდომითაა დაბეჭდილი ეს მუხლი გამოცემულ ტექსტში.

მუხ. 92. „ის მკვლელი იარაღი მიეცემის“

ამ მუხლში ლაპარაკია ფათერაკად, განუზრახავად მომხდარ მკვლელობაზე და ჩამოთვლილია ასეთი მკვლელობის ცალკეული კაზუსები. ერთ-ერთი კაზუსი ისეთ შემთხვევას ითვალისწინებს, როცა მკვლელობა მომხდარია ნადირობის დროს ცხენების უნებურად შეძგერებით ან თოფის შემთხვევით გასროლით. კანონმდებელი ადგენს: ასეთ შემთხვევაში დაზარალებულს (მოკლულს) ის ცხენი და ის იარაღი უნდა მიეცეს, რომლითაც ფათერაკად მკვლელობა მოხდა. S ნუსხაში კანონის ტექსტი დამახინჯებულია და ასე იკითხება: „ცხენისაგან მოკვდების სიკვდილი თუ იარაღისაგან, ის ცხენი, ის მკვლელი და ის იარაღი მიეცემის“. გადამწერმა უყურადღებობის გამო ორი სიტყვა „და ის“ ჩაუმატა, რამაც სრულიად დამახინჯა კანონის აზრი. ტექსტის გამომცემელიც ასევე აქვეყნებს მას. გამოდის, რომ ფათერაკად მომხდარ მკვლელობისთვის, ცხენსა და იარაღთან ერთად, მათ პატრონსაც დაზარალებულს აძლევენ სისხლის საზღაურში. ტექსტის ასეთი დამახინჯებული გაგება ეწინააღმდეგება ვახტანგის სისხლის სამართლის კანონმდებლობის მთელ აზრსა და შინაარსს.

„ან ყაბახს ესროდეს, ისარი კაცს დაეცეს“

ამავე 92-ე მუხლში გათვალისწინებულია ფათერაკად სიკვდილის კიდევ ერთი შემთხვევა, რაც ყ ა ბ ა ხ ის თამაშის დროს ხდება. საბურთაო, საჯირითო ზოედანზე აღმართულია გრძელი ძელი, რომლის თავზე ბურთი დევს; მოჯირითე მხედარმა ბურთის ისარი უნდა ესროლოს და მოარტყას. მაგრამ შესაძლოა ეს თამაში უბედური შემთხვევითაც დამთავრდეს, ისარი ბურთის ნაცვლად მაყურებელს მოხვდეს და მოკლას. ასეთ შემთხვევაში ყაბახის მსროლელმა მოკლულის ოჯახს მხოლოდ „ს ა ფ ე თ ე რ ა კ ო ს ი ს ხ ლ ი“ უნდა მისცეს, ე. ი. ფათერაკად, განუზრახავად მკვლელობისათვის დაწესებული საზღაური ვადა უხადოს. დაბეჭდილ ტექსტში ეს ადგილი ასე იკითხება: „ან ყაბახს ესროლოს და ისარი კაცს დაეცეს“. გამომცემელი სჭოლითონი მიუთითებს რომ „ისარი“ ABC ნუსხებში არ არისო, მაშასადამე, მხოლოდ D-ში უნდა იყოს, მაგრამ D-ში არის „ისარი“ და არა „ისარი“. ამრიგად, „ისარი“ გამომცემლის



უხეირო კონიექტურაა. Q 164 და Q 575 ხელნაწერებში კი სწავნიან: „ყაბახს ესროდეს და ისარი კაცს დაეცეს“. ცხადია, ამ ვარიანტში ტექსტი გამართულია და ასე უნდა დარჩეს.

მუხ. 101. „იქნების იმათშივე ერთსა და ერთს უბოძოს“

ეს ტექსტი S ნუსხაში არ არის, ამიტომ ის არც 1955 წ. დაბეჭდილ ტექსტში აღმოჩნდა. ამავე დროს Q 164 და Q 575 ნუსხებში იგი დაცულია. 101-ე მუხლი ითვალისწინებს თავადანაურული წოდების ძმების გაყრას და იმ გასამყრელო წილს, რომელიც ხელმწიფეს ეძლევა ასეთი გაყრის შემთხვევაში. დიდი თავადის გაყრის შემთხვევაში ხელმწიფემ გასამყრელოდ შეიძლება მთელი სოფელიც კი აიღოს და დაიჭიროს როგორც თავისი სახასო ყმა-მამული. ან სხვა ვინმეს უბოძოს; ან იქნებ ხელმწიფემ შიშობდეს და თავისი კუთვნილი გასამყრელო ყმა-მამული რომელიმე გაყრილ ძმას უბოძოს, ან ისევე იმას დაუტოვოს, ვის მფლობელობაშიაც იგი ადრე იყო. აქ გათვალისწინებული ოთხივე შემთხვევა ცხოვრების პრაქტიკას ასახავს და ამიტომ კანონთა ტექსტშიც შენარჩუნებული უნდა იქნეს.

მუხ. 103. „საუფროსო ერგოს და საუარესო აღარ მისცენ“

სამართლის წიგნის მე-100 მუხლის თანახმად თავადი ან აზნაური ძმების გაყრის შემთხვევაში ოთხი განსაკუთრებული წილი გამოიყოფა: გასამყრელო, საუფროსო, საშუალო და საუმცროსო.

გასამყრელო — ძმების გაყრისათვის დაწესებული ხელმწიფის განსაკუთრებული წილი, საუფროსო — უფროსი ძმის განსაკუთრებული წილი სამკვიდრო ქონებაში, საშუალო — შუათანა ძმის განსაკუთრებული წილი სამკვიდრო ქონებაში, საუმცროსო — უმცროსი ძმის განსაკუთრებული წილი სამკვიდრო ქონებაში. ამრიგად, უფროსს, საშუალოსა და უმცროსს ძმას თავ-თავისი განსაკუთრებული წილი აქვს კანონით განწესებული.

S ნუსხაში, გადამწერის მიზეზით, ტექსტი დამახინჯებულია და ასე იკითხება. „საუფროსო ერგოს და საუმცროსო აღარ მისცენ“. ეს უაზრობაა, რადგან უფროსს ძმას თუ საუფროსო მისცეს, ცხადია, მას საუმცროსო აღარ ერგება. გამომდევნებით ამას არ უკვირდება და S ნუსხის მცდარ წაკითხვას იზიარებს. Q 164 და Q 575 ნუსხებში კი, როგორც ჯერ არს, ისე სწერია: „საუფროსო ერგოს და საუარესო აღარ მისცენ“. ტექსტიც ასე უნდა გაიმართოს.

მუხ. 119. „მარჩილის თავს წელიწადში ერთი აბაზი ხარგებელი მისცენ“

119-ე მუხლი თეთრის ვალის (ფულის სესხის) წლიურ სარგებელს განსაზღვრავს. სარგებელი შეიძლება იყოს როგორც ნატურალური ისე შრამითი ან ფულადი. ყოველ ერთ მარჩილ (სამ აბაზ) ვალზე წელიწადში „სარგებლად ოთხი მუშა უნდა უმუშაოს“, ან ერთი აბაზი მისცეს. S ნუსხის ტექსტი ხარვეზიანია, ფრაზა „წელიწადში ერთი“ გამოტოვებულია, რაც აზრს ბუნდოვანს ხდის. გამოქვეყნებულ ტექსტშიც ასეა დაბეჭდილი. Q 575 ნუსხაში კი ეს ადგილი არის და ტექსტიც ასე უნდა გაიმართოს.

მუხ. 147. „იქნების, რომე კაცს კაცთან ესთიბარი ქონდესთ“

როგორც დავინახეთ, S ნუსხის გადამწერი ზოგჯერ უყურადღებობას იჩენს ტექსტის მიმართ, იგი არ უკვირდება ტექსტის შინაარსს, გაუაზრებლად იწერს მას. ამის საუცხოო ილუსტრაციაა კანონთა 147-ე მუხლიც, რომელიც უხეშად დამახინჯებულია გადამწერის მიერ. აღნიშნულ მუხლში ლაპარაკია ისეთ შემთხვევაზე, როცა ფულის მსესხებელი ნდობით სარგებლობს გამსესხებლის წინაშე, რომელიც კარგად იცნობს და ენდობა მას და ამიტომ უთამასუქოდ, უხელწერილოდ ან უთავდებოდ აძლევს ფულს სესხად.

Q 164 და Q 575 ნუსხებში ტექსტი ასე იკითხება: „იქნების, რომე კაცს კაცთან ესთიბარი ქონდესთ, უთამასუქოდ, უთავდებოდ თეთრი ევალეზინოს“. S ნუსხის გადამწერმა, უცხო სიტყვა „ესთიბარი“ (ნდობა), რომ ვერ გაიგო, კანონთა ტექსტი ასე დაამახინჯა: „იქნების, რომე კაცს კაცთან ერთი ბარი ქონდესთ“. ამრიგად, „ესთიბარი“ გამომცემლის დაუდევრობის გამო, დაბეჭდილ ტექსტშიც „ერთი ბარი“ გახდა. წარმოუდგენელი კურობია.

მუხ. 159. „დაფიცებელი“ თუ „დაფიცებული“

ამ მუხლში კანონმდებელი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა ვინმე ქურდობას ან სხვა რაიმე დანაშაულს შესწამებს სხვას და აიძულებს მას დაიფიცოს, რომ დანაშაული არ ჩაუდენია. თუ შემდეგ აღმოჩნდება, რომ ეს ბოროტმოქმედება სხვას ჩაუდენია, მაშინ ცილისმწამებელმა ანუ „დაფიცებელმა“ გარჯის საუპატიო უნდა გადაუხადოს ცილდაწამებულს ანუ „დადიცებულს“, რომელიც ტყუილბრალოდ გასარჯა, გააწვალა და დააფიცა. ამ მუხლის ტექსტი S ნუსხაში დამახინჯებულია და ასევე დამახინჯებულადაა იგი გამოცემული. მოვიყვანოთ პარალელური ტექსტები.

„ამ დაფიცებულმან თუ რამ იქი-
დამ გამოიტანოს, ნახევარი ფიცისა-
თვის მიეცემა და გარჯის საუპატიოც
უნდა მიეცეს. და დაფიცებულმა იქი-
დამ კიდევ ვერა გამოიტანოს რა,
გარჯის საუპატიო მაშინაც უნდა მის-
ცეს“.

„და დამფიცებულმან თუ რამ იქი-
დამ გამოიტანოს, ნახევარი იმისია, ვინც
იფიცავს, და გარჯის საუპატიოც უნ-
და მოსცეს დაფიცებულსა. თუ უნდა
კიდევ ვერა გამოიტანოს რა, უბრალოდ
გარჯის საუპატიო მაშინაც უნდა მოს-
ცეს“.

პირველ სვეტში მოყვანილია 1955 წლის გამოცემის ტექსტი, ხოლო მეორეში — ჩვენი ტექსტი. ამ მუხლის წყაროა აღბუღას სამართლის 86-ე მუხლი, რომელიც ანალოგიურ შემთხვევას ითვალისწინებს. გამომცემელს ტექსტის აზრი სრულიად ვერ გაუგია, S ნუსხის მცდარი წაკითხვები ტექსტში დაუტოვებია, ხოლო სხვა ნუსხების მართებული ჩვენებები სქოლოში ჩაუტანია. სასვენი ნიშნები აურ-დაურეგია, ცილისმწამებელი და ცილდაწამებული ვერ გაურჩეგია, რის გამოც „გარჯის საუპატიოს“ გადახდას ცილისმწამებლის ნაცვლად ცილდაწამებულს — „დაფიცებულს“ აკისრებს.

მუხ. 168. „თუ ვინ იცის, ქორწილზედ კაცი უოფილა“

სამართლის წიგნის 168-ე მუხლი ცოლ-ქმრის გაყრის საკითხებს ეხება. აღნიშნულია, რომ უშვილობის გამო ქმარი ცოლს ვერ გაეყრება და არც ცოლს

შეუძლია განაყოფიერების უნარს მოკლებული ქმარი მიატოვოს. მაგრამ თუ კაცი „სულ ასე მცვედანი არის, რომ ქალთან წოლა არ შეუძლია“, ქალს გაყრის დასტური და სხვაზე გათხოვების ნება უნდა მისცეს. ასეთია ამ მუხლის შინაარსი. S ნუსხის მიხედვით და ასევე იგი დაბეჭდილი 1955 წელს გამოცემულ ტექსტშიც.

1710 წელს გადაწერილია და ვახტანგის ხელთ ნაყოფი Q 575 ნუსხა ამას შემდეგ გლოსას უმატებს: „თუ, ვინ, იცის, ქორწილზედ კაცი ყოფილა და ან ქორწილს უწინაც, და მერმე ქორწილზედ დამცვედნებულა, არ გაიყრებთან. კანონმდებელი ყოველმხრივ ცდილობს გააძნელოს ცოლ-ქმრის გაყრა და ოჯახის დანგრევა. ეს გლოსა საკანონმდებლო კომისიის, ან თვით სჯულმდებელი მეფის მითითებით უნდა იყოს დართული, რადგან Q 575 ნუსხაში იგი ტექსტისავე ხელითა დაწერილი და ყოვლად შეუძლებელია ეს გადამწერის ჩანართს წარმოადგენდეს. ამიტომ ეს მნიშვნელოვანი დებულება კანონთა ტექსტში შენარჩუნებული უნდა იქნეს.

მუხ. 178. „რომელიც უფროსი იყოს, მან მშვილდ-ისარი დააყაროს“

ამ მუხლში ლაპარაკია „ნადირობის ცილებაზე“—მოკლულ ნადირზე მონადირეთა შეცილების შესახებ. სამართლის წიგნი აკანონებს ხალხში ძველთაგანვე დამკვიდრებულ სამონადირეო ჩვეულებას, რომლის თანახმად ცილება მოდევნებარეთა შორის ასე უნდა გადაწყდეს: მოკლულ ნადირს ერთ-ერთმა მოცილე მხარემ მშვილდ-ისარი უნდა დააყაროს და თქვას „ღმერთმან ნულარა მომაკლევინოს რა, თუ ამას უწინ ჩემი ისარი არ მოკვდომოდესო, და დარჩეს მას“. მაგრამ რომელმა მონადირემ უნდა დააყაროს მოკლულ ნადირს მშვილდ-ისარი, ამის თაობაზე ნუსხები განსხვავებულ წაკითხვებს იძლევიან. Q 164 და Q 575 ტიპის ნუსხებში წერია „რომელიც უმცროსი იყოს“, მან დააყაროსო. S ტიპის ნუსხებში კი პირიქით „რომელიც უფროსი იყოს“, მან შეასრულოს ეს წესიო. გამომცემელს ტექსტი ვერ გაუგია და ნაცვლად ნუსხების მართებული წაკითხვისა—„მშვილდ-ისარი დააყაროს“, დაუბეჭდია: მონადირემ „მშვილდ-ისარი დააყაროსო“. ამავე დროს ნუსხის სწორი წაკითხვა უარუყვია და Q 164 და Q 575 ტიპის ნუსხების მცდარი წაკითხვა გაუზიარებია. როგორც ვთქვით, S ნუსხის მიხედვით, მოკლულ ნადირს მშვილდ-ისარი მან უნდა დააყაროს, „რომელიც უფროსი იყოს“. ეს ვარიანტი სწორია და ტექსტში ასე უნდა დარჩეს. საქმე ის არის, რომ ძველი ქართული სამონადირეო წეს-ჩვეულების მიხედვით, უკეთეს მოკლულ ნადირზე „ნადირობის ცილება“ წარმოიშობა, ასაკით უფროსი მონადირე უმცროსთან შედარებით უპირატესობით სარგებლობს, მას მეტი პატივი აქვს და ამიტომაც ამ წეს-ჩვეულების შესრულებას კანონი მას ავალბებს.

მუხ. 188. „ნაშრომისა და რასაც ფერის პირუტყვისაგან წანაჭედისა“

ასეთია ამ მუხლის სათაური უძველეს Q 164-სა და Q 575 ნუსხებში. S ნუსხაში კი „წანაჭედის“ ნაცვლად „წაჭედენისათვის“ წერია. „წანაჭედი“ (портпана) იურიდიული ტერმინია და მართებულია ტექსტში დარჩეს. მით უმეტეს, რომ ამავე მუხლის ტექსტში კანონმდებელი ორჯერ იმეორება, საქონლის („ჩრომის“) პატრონმა მამულის პატრონს „წანაჭედის პასუხი“ ნაშრომის წახდენისათვის უნდა ვასცესო.

მუხ. 201. „კელმწიფეს ყმად მოუვიდა“

ამ მუხლის თანახმად, თუ ერთი საბატონოს გლეხი აიყარა და მეორე საბატონოში წავიდა, იქ ექვსი წელიწადი დაყო და შემდეგ ხელმწიფეს ყმად მოუვიდა, ხელმწიფის ნებაზეა დამოკიდებული, თუ უნდა, მისცემს ძველ მებატონეს, თუ არადა თავის სახასო ყმად დაიტოვებს. ნუსხაში ტექსტი ასეთი რედაქციითაა: „თუ აქადამ აყრილი გლეხი სხვის საბატონოში წავიდეს, თუ იქ ექვსი წელიწადი დაყოს და ისრე კელმწიფეს მოუვიდა, თუ უნდა, მისცემს პელმწიფე და, თუ უნდა, არ მისცემს“. Q 164 და Q 575 ტიპის ნუსხები კი ფრანგის „კელმწიფეს მოუვიდა“, ასე მართავენ: „კელმწიფეს ყმად მოუვიდა“. ეს უფრო სწორი და მართებულია, რადგან მუხლის ბოლოსაც კანონმდებელი აფრთხილებს მებატონეებს, ყმის მიმართ ძალმომრეობას ნუ გამოიჩენთ, თორემ წავა, ექვს წელიწადს სხვავან დაპყოფს მოვა, „პელმწიფეს ეყმობა“ და ყმა დაგეკარგებათო. ამიტომ ტექსტშიც ეს ვარიანტი უნდა იქნეს შენარჩუნებული.

მუხ. 203. „გლეხის კაცის ცოლი რომ დაქვრივდეს“

203-ე მუხლის პირველი წინადადება სამივე ნუსხაში ასეთი რედაქციითაა წარმოდგენილი: „გლეხი კაცის ქვრივი რომ დაქვრივდეს, მისი მებატონე ქვრივს ძალით ნუ გაათხოვებს“. ამასვე იმეორებენ ვახტანგის სამართლის წიგნის გვიანდელი ნუსხებიც. ასეა დაბეჭდილი 1955 წელს გამოქვეყნებულ ტექსტშიც. ამჟამად, რომ „ქვრივი დაქვრივდეს“, უხეირო და უაზრო გამოთქმაა. ეს კარგად შეუნიშნავს S 3683 ნუსხის ზანდუკის შემდგენელს და ამ მუხლის შინაარსი ზანდუკში ასე გადმოუცია: „გლეხის კაცის ცოლი რომ დაქვრივდეს ძალით ნუ გაათხოვებენ“². ეს გასწორება რედაქტირებულია თვითონ სჯულმდებელი მეფის მიერ და ზანდუკში ამ პუნქტის გასწვრივ მისივე ხელით მიწერილია: „ქვრივის გათხოვებისა“. მაშასადამე, ამ გასწორებას აუტენტუიური ხასიათი აქვს და კანონთა ტექსტშიც ასე უნდა იყოს.

ბოლოსიტყვა: „შეუორგულებულნო მამანო“

ვახტანგის სამართლის წიგნის თავდაპირველი რედაქცია 204-სა და 205 მუხლებს შორის ჩართული ბოლოსიტყვაობით მთავრდება, სადაც სჯულმდებელი მეფე ხაზს უსვამს თავისი სამართლის წიგნის უპირატესობას კრებულში შესულ სხვა უცხოური სამართლის ძეგლებთან შედარებით. ბოლოსიტყვის დასაწყისში ვახტანგი ასეთი სიტყვებით მიმართავს სამღვდელოების წარმომადგენელთ: „ეპა წარჩინებულნო და ღმრთისა ერთუფლებისა და სამთვითების გულმჭურვლად მადიდებელნო და შეუორგულებულნო საკუთარნო მამანო: კათალიკოზნო, ებისკოპოზნო, მიტროპოლიტნო, წინამძღვარნო, მღვდელნო და სხვანო საღმრთოვანო“, ამ ჩვენი სამართლის წიგნის შესავალმა („დასაწყისმა წიგნისა“) გამცნოთ, თუ რა მიზეზებმა განაპირობებს ამ კანონების შედგენაო.

S ნუსხაში „შეუორგულებულნო საკუთარნო მამანო“-ს ნაცვლად სწერია: „შეუორგულებულნო საკუთარნო მონანო“, რაც ასევე შეცდომით დაბეჭდილია 1955 წ. გამოქვეყნებულ ტექსტშიც. მაგრამ, თავისთავად ცხადია, ტექსტში

² ქართული სამართლის ძეგლები 1, 1963 გვ. 31. პუნქტი 282.

„მამანო“ უნდა იყოს. მეფის ასეთი ფორმით მიმართვა სამღვდელთა კლეროსზე ძველთაგანვე ცნობილია და დამოწმებულია როგორც კანონიკური, ისე აგიოგრაფიული მწერლობის ძეგლებშიაც. გრიგოლ მერჩულეს სიტყვებით გურამ მამფალმა მასთან მოწვეულ სამღვდელთ ასე მიმართა: „წმინდანო მამანო, ეპისკოპოსნო და მეუღაბნენო, იცით ყოველთა კანონი სჯულისაჲ, რამეთუ არა ბრძანებს ეპისკოპოსისა და კათალიკოზისა მძღავერებით დაჯდომას“³.

მუხ. 205 „მოსამართლეს აღიღათს ვერავინ დაუქერს“

S 3683 და Q 575 ნუსხებში ეს წინადადება ასე იკითხება: „მოსამართლეს დაღათს ვერავინ დაუქერს“, ხოლო ქუთაისის 201 ხელნაწერში წერია: „მოსამართლეს და დაღათს ვერავინ დაუქერს“. სამართლის წიგნის გვიანდელ ნუსხებშიც ეს სიტყვა სხვადასხვა ვარიანტითაა წარმოდგენილი. უმრავლეს ნუსხებში შენარჩუნებულია S 3683 ნუსხის დაწერილობა — „დაღათი“.

მამასადამე, გაუგებარი სიტყვა „დაღათი“ გვიანდელი ნუსხების გადამწერთა მიერ ტექსტის უნებლიე დამახინჯებას როდი წარმოადგენს, ეს შეცდომა იმთავითვე მოსვლიათ. სამწუხაროდ, დედნის პირვანდელი ტექსტი (Q 164) ნაკლებულია, 202-ე მუხლზე წყდება. ამიტომ ძნელი სათქმელია, თავდაპირველ ტექსტში რა ფორმით იყო ეს სიტყვა წარმოდგენილი.

თუ ტექსტის დადგენისას შემთხვევათა უმრავლესობას მიეცემოდა უპირატესობა, მაშინ ეს ტერმინი „დაღათი“-ს სახით უნდა შეგვენარჩუნებინა, მაგრამ რაკი მისი შინაარსის გარკვევა არც უცხოური ლექსიკონებით ხერხდება, იგი ეპეს იწვევს და რომელიღაც სიტყვის დამახინჯებულ ფორმად ჩანს.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს დამახინჯებული სიტყვა ქართული წარმოშობის არ უნდა იყოს. დანამდილეებით ძნელია იმის თქმა, თუ როდის შემოდის ეს ტერმინი ხმარებაში, ყოველ შემთხვევაში მისი არსებობა ქართულში სავარაუდებელია XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან. პირველი საბუთი, დღემდე გამოქვეყნებულ საბუთთა შორის, სადაც ეს ტერმინი გვხვდება, 1708 წლით თარიღდება. ეს სწორედ ის დროა, როცა ვახტანგის სამართლის წიგნის შედგენა მთავრდება. საბუთში ნათქვამია: „ბატონმა ვეიბრძანა, წადით, ის ადგილი ნახეთო და აღიღათი მოგვახსენეთო“⁴. საბუთის გამომცემელი ამ ტერმინს ასე განმარტავს: „აღიღათი — ჰეშმარიტება, სინამდვილე, საქმის ნამდვილი მდგომარეობა“. საისტორიო საბუთებში ეს ტერმინი ორი ძირითადი ფორმითაა მოცემული — „აღიღათი“ და „ჰაყყათი“.

მე-18 ს. სასამართლო არზა-ოქმებსა და საჩივრის წიგნებში ხშირად გვხვდება ასეთი გამოთქმები: „ამ არზის აღიღათი ნახეთ, მოიკითხეთ, აღიღათი შეიკითხეთ, აღიღათი მოგვახსენეთო“. აღიღათის მოკითხვა არზაში აღნიშნული გარემოების გამორკვევას, შემოწმებას ნიშნავს, ხოლო აღიღათის შეტყობა სინამდვილის, სიმართლის, ჰეშმარიტების დადგენას გულისხმობს. ნიშანდობლივია, რომ სასამართლო არზა-ოქმებში ამ ტერმინის სინონიმებად ნახმარია სიტყვები სიმართლე, სისწორე, ჰეშმარიტება.

³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1, 1962, გვ. 288.

⁴ ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ვლ. ფუთურძის გამოცემა, 1955, გვ. 421.



ვახტანგის სამართლის წიგნის 205-ე მუხლის იმ ადგილას, სადაც ლაპარაკია „დალათის“ შესახებ კანონმდებელს მხედველობაში აქვს მოსალოდნელი საჩივარი მოსამართლის უკანონო მოქმედებაზე: „ქრთამითა და მიდგომით მოსამართლემ უსამართლო მოყოლო“. მაშასადამე, „დალათი“, ისევე როგორც „აღილათი“, საჩივართან დაკავშირებული ცნებაა, თანაც ისეთი, რომელიც 205-ე მუხლის თანახმად „უსამართლოსა და მოგონებულს სამართალს“ უპირისპირდება.

ამრიგად, ვახტანგის სამართლის წიგნის 205-ე მუხლის „დალათი“ არის გრაფიკულ ნიშანზე წარმოსმობილი დამახინჯებული ფორმა „აღილათისა“. თუ გავითვალისწინებთ ამ ორი სიტყვის დიდ მსგავსებას, ადვილი წარმოსადგენი იქნება, რომ უცხო ტერმინის დაწერილობის ასეთი უნებლო შეცდომა შავად ნაწერი ღედნის გადაწერისას დახელოვნებულ მდივანმწიგნობარსაც შეიძლებოდა მოსვლოდა. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ აღილათი იმთავითვე დამახინჯებული დალათის ფორმით შევიდა დედნად მიჩნეულ S 3683 ნუსხაში, ხოლო აქედან, როგორც ზემოთ დავინახეთ, კანონთა გვიანდელი ნუსხების გადამწერებმა იგი სხვადასხვა ვარიანტით თავიანთ გადამწერში შეიტანეს.

ვახტანგის სამართლის წიგნის 1955 წლის გამოცემაშიც ეს დამახინჯებული ტერმინი, S ნუსხის მიხედვით, სხვა ნუსხების ვარიანტების მიუთითებლად, ასეა დაბეჭდილი: „მოსამართლეს დალათს ვერავინ დაუქერს“.

ზემოთქმულის შემდეგ 205-ე მუხლის ეს ადგილი ასე ვაიმართება: „მოსამართლეს აღილათს ვერავინ დაუქერს“. კანონმდებლის აზრიც სრულიად ცხადი ხდება: მოსამართლეს სიმართლეს ვერავინ დაუქერს, სიმართლეს ვერავინ ეტყვის.

მუხ. 225. „თუ ეს სენი ქორწილს წინათ სჭირს“

სამართლის წიგნის აღნიშნული მუხლი ადგენს: უკეთუ ვინმეს გიყი ან ბნედიანი ქალი შეატყუეს და ცოლად შერთეს, თუ დადგინდება, რომ ეს სენი ქალს ქორწინებამდე სჭირდა, ქმარს შეუძლია გაუშვას იგი, ოღონდ სამკვდრო უნდა მისცეს; ხოლო ქალის მშობლებმა ეკლესიის ხელისუფალთ საკანონო უნდა გადაუხადონ, რადგან ქალის გათხოვება რომ არ შეიძლებოდა, არ უნდა გაეთხოვებინათ. სამართლის წიგნის ნუსხებში ამ მუხლის პირველი წინადადება ასე იკითხება: „თუ ეს სენი ქორწილს წინათ სჭირს და ქმარს შეატყუეს“. ტექსტის გამომცემელი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარყოფს ნუსხების ამ მართებულ წაკითხვას და სრულიად უსაფუძვლოდ „ეს სენი“-ს ნაცვლად „ესენი“-ს გვთავაზობს, რითაც კანონთა აზრს უხეშად ამახინჯებს.

მუხ. 239. „ძმა თუ შვილიანი სიძე“

ამ მუხლით კანონმდებელი ადგენს: დედაკაცს ფიცი არ უნდა დაეკისროს, არც გარეშე კაცი მოფიცრად დაენიშნოს, იმიტომ რომ სიმართლეს მაინც არ ეტყვის და არც მისი ფიცისა ენაღვლება რა. მოსამართლემ დედაკაცს უნდა მოუძებნოს მისთვის ძვირფასი და საყვარელი არსება „ძმა თუ შვილიანი სიძე“ და ის დაუნიშნოს მოფიცრად. ასეა ყველა ძველსა და ძირითად ნუსხაში. ქუ-13. „მაცნე“, ფილოსოფიის... სერია, 1979, № 2

თაისის 201 ნუსხაში ოდნავი განსხვავებაა „თუ“-ს ნაცვლად „ან“ არის, რაც აზრს არ ცვლის.

ვახტანგის სამართლის წიგნის 1955 წლის გამომცემელი, უარყოფს რა ყველა ნუსხის მართებულ წაკითხვას, სრულიად უსაფუძვლოდ და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ასეთ მცდარ კონიექტურას გეთავაზობს: „**ძმა თუ შვილი ან სიძე**“.

ამ ვარიანტის გაზიარება შეუძლებელია შემდეგ მოსაზრებათა გამო. ჯერ ერთი, კანონმდებელს „დედაკაცი“ გათხოვილი ქალის ზოგადი მნიშვნელობით ესმის. შეძლება მას შვილიც არ ჰყავდეს, მაგრამ ჰყავდეს ძმა, რომელიც მის მაგივრად მოფიცრობას გასწევს სასამართლოში.

მეორეც, შვილიც (ვაჟიშვილი) რომ ჰყავდეს, არ შეიძლება დედის ფიცი შვილს დაეკისროს და დედის საქმეზე ის მოფიცრად გამოვიდეს სასამართლოში. ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ მრავალიცხოვან სასამართლო განჩინებებს შორის ერთადერთი შემთხვევა გვხვდება, ისიც კახეთში, მე-18 საუკუნის მიწურულს (1793 წ.), როცა სხვა მტკიცებულებათა უქონლობის გამო ვინმე ყმა ლაღალას სარჩელის თაობაზე სასამართლოში მოწმედ გამოდის ამ ყმის მსყიდველის, უკვე გარდაცვლილი ბერო მზარეულის, ქვრივი. მაგრამ მისი მოწმობა სასამართლომ მაინც არ შეიწყნარა და დაადგინა: თუ მაძიებელი სარწმუნო მოწმეებს ვერ იშოვნის, მაშინ მან ორი მოწმით შეფიცოს, რომელთაგან ერთი ქვრივ ქალს რომ პირველ „ქმართან შვილი ჰყოლია, ის მიიყოლოს და ერთი სხვა“. ამავე დროს სასამართლომ ამ გამოჩაყლის შემთხვევის გამო საპიროდ სცნო განჩინებაში საგანგებო განმარტება ჩაეწერა: „იმ დედაკაცის შვილი ამიტომ დაეწერეთ, რომ ის დედაკაცი ემოწმება — ჩემის ქმრის ნასყიდი არისო. და თუ ნასყიდი არის, თავისი შვილი მიიყოლოს ფიცში, თორემ ცარიელის ლიტონის სიტყვით კი ვერ შევიწყნარეთ დედაკაცის მოწმობა“. როგორც მოტანილი ტექსტიდან ჩანს, სასამართლო, გამონაკლისის წესით, შესაძლებლად თვლის მოფიცრად გამოვიდეს გარდაცვლილის ვერი, რომელიც ერთგვარად გარეშე კაცად ითვლება და, თუ მეორე მოფიცარიც მაძიებლის, — ყმა ლაღალას ჩვენებას ფიცით დაადასტურებს, რომ იგი გარდაცვლილი ბერეუას მიერ ნასყიდი იყო, სასამართლო ასეთ ფიცს შეიწყნარებს. ცხადია, ეს განსაკუთრებული და საერთო წესისგან გამონაკლისის სახით დაშვებული შემთხვევაა.

ამრიგად, როგორც წესი, შვილი დედის საქმეზე და დედის მაგივრად სასამართლოში მოფიცრად ვერ გამოვა. მაშასადამე, ვახტანგის სამართლის 239-ე მუხლში შვილი მოფიცრად მოხსენებული არ არის და საზოგადოდ სიტყვა „შვილი“ ტექსტში არ არის.

მესამეც, შეუძლებელია შვილი, დედისათვის ყველაზე საყვარელი არსება, კანონმდებელს ძმის შემდეგ ეხსენებია, ხოლო ძმა მასზე წინ დაეყენებია და ეთქვა: „**ძმა თუ შვილი ან სიძე**“. მაშასადამე, „შვილი“ აქ არაფერ შუაშია და გამომცემლის კონიექტურის მიღებაც შეუძლებელია.

ვახტანგის ნარედაქციევ ორივე ძველ ნუსხაში (S 3683 და Q 575), აგრეთვე ქუთაისი 201-სა და სხვა გვიანდელ ნუსხებშიც ერთადერთი სწორი წაკითხვაა—„**ძმა თუ შვილიანი სიძე**“. და, რა თქმა უნდა, დაბეჭდილ ტექსტშიც ასე უნდა იყოს.

² ქართული სამართლის ძეგლები, IV, 1970, № 344.

ჩვენს შენიშვნაზე გამომცემელმა ასე გვიპასუხა: „ტექსტის დასადაგენად გამოყენებულ ხელნაწერებში ყველგან ასეთი წაკითხვაა. აკად. ი. დოლიძე პუბლიკაციაში უშეცვლოდ (!) ტოვებს ამ წაკითხვას. ჩვენ უფრო მართებულად (!) ჩავთვალეთ ხელნაწერთა წაკითხვა სტოლოვიჩის ჩაგვეტანა“ (საბჭ. სამართ. № 3, 1975, გვ. 66). ტექსტოლოგიაში საყოველთაოდ მიღებული წესია, როცა ყველა ნუსხა მართებულ წაკითხვას იძლევა, ტექსტს არავითარი შენიშვნა არ სჭირდება. მაგრამ, როცა მართებულ წაკითხვას უარვყოფთ და საკუთარ კონიექტურას ვიძლევი, ამას კი საფუძვლიანი და დამაჯერებელი დასაბუთება სჭირდება.

მუხ. 251. „დაჩხუბილნი“ თუ „დაჩხიბულნი“

ამ მუხლის ტექსტი ყველა ნუსხაში დამახინჯებულია და, რაღა თქმა უნდა, ასევე დამახინჯებულადაა იგი დაბეჭდილი 1955 წლის გამოცემაშიც. აქვე მოვიყვანოთ მუხლის მთლიან ტექსტს S ნუსხის მიხედვით.

„ქ. მისანთა და კუდიანთ ამყოლი კაცი ღვთისაგანაც დაწყველილი არის და პატრონისაგანაც წასაყდენი. ამ მისნისა და კუდიანისაგან დაჩხუბილნი კაცნი თუ სამართალში მოვიდნენ, მისანი და კუდიანი გასახებობრებელი არის. და რაც იმ მკითხველს სხვაზე ან ჩხუბი ან წასაყდენი მოუბდენია, მოსამართლემ გაუკითხავად, სისხლი იყოს თუ საუბართო, წაუტოოს და მისცეს. იქნება საქონელიც წაერთოს მისნის პირით, ის ერთი ორად გამოუტოოს მოსამართლემა“.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ S ნუსხის გადამწერი ზოგჯერ არ უკვირდება ტექსტის აზრსა და მნიშვნელობას, არ წელება მის შინაარსში და დაუკვირვებლობის გამო მთელ რიგ ტერმინებს დამახინჯებულად წერს. ასეა ამ შემთხვევაშიც. შეუძლებელია ეს მუხლი თავდაპირველ შავად ნაწერ ტექსტში ასე დამახინჯებული ყოფილიყო. ეს უთუოდ გადამწერის შეცდომაა, რამაც მთელი მუხლის აზრის დამახინჯება გამოიწვია. გაკვირვებას იწვევს ისიც, რომ სჯულმდებელ მეფეს უკვე გადამწერილი S ნუსხის გულმოდგინე რედაქციის დროსაც კი ვერ შეუნიშნავს ტექსტის ეს დამახინჯება.

არსებობს ძველი ქართული ტერმინი „ჩხიბი“, რაც, საბაზს განმარტებით, გრძნებით შესაკრავს“ ნიშნავს, ხოლო „ჩხიბვა“ — გრძნებით შეკვრას. აქედან წარმოსდგება ტერმინი „მჩხიბავი“, რასაც საბა „გრძნებით შემკრავს“ უწოდებს. მაშასადამე, „მჩხიბავი“, იგივე გრძნეული კაცი, მისანი, ჯადოსანია.

ზემოთ მოყვანილ მუხლში კანონმდებელი ლაპარაკობს მისნის და კუდიანის მიერ „დაჩხუბულ კაცზე“, ე. ი. ისეთ კაცზე, რომელიც მისანმა და კუდიანმა ნოჯადოვა, გრძნებით შეკრა, დაჩხიბა. მაშასადამე, ტექსტში უნდა იყოს არა „დაჩხუბილნი კაცნი“, არამედ „დაჩხიბულნი კაცნი“, ე. ი. მოჯადოვებული, გრძნებით შეკრული კაცნი. ამ ორი სიტყვის მსგავსების გამო ნუსხის დაუკვირვებელ გადამწერს ასეთი შეცდომა ადვილად შეიძლებოდა მოსელოდა. რაკი ერთმა გადამწერმა ასეთი შეცდომა დაუშვა, შემდეგ ის სხვა ნუსხების გადამწერებმაც გაუაზრებლად გაიმეორეს.

იგივე უნდა ითქვას ზემომოყვანილი მუხლის მეორე ნაწილზეც, სადაც

“ 1955 წლის გამოცემაში შეცდომით „წინა კედი“ არის, მაგრამ S 366-ში „წასაყდენი“ იკითხება.

„ჩიბი“-ს ნაცვლად „ჩუბი“ იკითხება, რაც ასევე გადამწერის მიერ შერყენილი ფორმაა.

ამრიგად „ჩიბი“ ნიშნავს ჯაღოს, გრძნებით შესაკრავს, ხოლო „დაჩიბულნი კაცი“ გრძნებით შეკრულ, მოჯაღობულ ადამიანებს. ამის შესაბამისად ვახტანგის სამართლის წიგნის აღნიშნული მუხლის დამახინჯებული ტექსტი ასე უნდა აღდგეს.

„მისისა და კუდიანისაგან დაჩიბულნი კაცი თუ სამართალში მოვიდნენ, მისანი და კუდიანი გასახეიბრებული არის. და რაც იმ მკითხველს სხვაზედ ან ჩიბი, ან წახაჯდენი მოუკდენია, მოსამართლემ გაუკითხავად, სისხლი იყოს თუ საუბატიო, წაურთოს და მისცეს“.

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მართებულ პუნქტუაციას საერთოდ საისტორიო ძეგლების და განსაკუთრებით სამართლის წიგნის მუხლების აზრის სწორად გაგებისათვის. 1955 წლის გამოცემა ამ მხრივაც დიდად სცოდნავს, რადგან გამომცემელს ტექსტის შინაარსი არ ესმის.

სასვენი ნიშნების უადგილო ადგილას და არასწორად ხმარების გამო ანდა, სადაც ჯერ არს, მათი გამოუყენებლობის გამო კანონთა აზრი მთელ რიგ მუხლებში მახინჯდება, ან სრულიად გაუგებარი ხდება (4, 24, 56, 164, 174, 179, 197, 205, 210, 211, 254, 261, 264, 270).

მხოლოდ ორიოდ მაგალითს მოვიყვანო. სამართლის წიგნის 179-ე მუხლში ლაპარაკია „ნადირობის ცილებაზე“. კანონმდებელი ადგენს, თუ მოკლულ ნადირზე ცილება დააწყება, ვასინჯვა უნდა, საიდან, რომელი მხრიდან აქვს ისარი მოხვედრილი, ან რა ალაგას აქვს ნაკრავი. თუ ამგვარის ძებნით ვერ იპოვნონ ისრის ნაკრავი (ჭრილობა), მათი დავა ამ წესით უნდა გადაწყდესო. გამომცემელს ტექსტი ვერ გაუგია, იგი ფიქრობს, რომ აქ ლაპარაკია არა ისრის ნაკრავის პოვნაზე, არამედ სამართლის პოვნაზე, რის გამო სასვენი ნიშანი სრულიად უმართებულოდ დაუსვამს და ტექსტიც ასე დაუმახინჯებია: „თუ ვერ იპოვნონ მათი საქმართალი“.

270-ე მუხლში, რომელიც თვითონ ვახტანგის ხელითაა ჩაწერილი, ნათქვამია: წინათ, როცა მეფე-ბატონი ვისმე გლესს უბოძებდა, ან წაართმევდა, ან ასაყრელი იყო და აყრიდენ, უშიკადასი და იასაულნი იმავე გლესს ხარსა და მარჩილს გამოართმევდნენ, რაც „დიდი უსამართლო იყოო“. ამიტომ ახლა ასე გავარიგეთ: ვისაც გლესს უბოძებენ, იასაულს ხარი და მარჩილი მან უნდა მისცეს, გლესი არ უნდა გასარჯონო. იმის გამო, რომ გამომცემელს ტექსტი არ ესმის, სასვენი ნიშანი თავის ადგილას არ დაუსვამს, რითაც მუხლის აზრი სრულიად გაუგებარი გახდა.

ასეთია S—3683 ნუსხის მიხედვით ვახტანგის სამართლის წიგნის ტექსტის უმნიშვნელოვანესი დამახინჯებანი, რომლებიც უკრიტიკოდ მიღებულია 1955 წლის გამოცემაში. რაც შეეხება S—3683, ქუთაისის N—201 და Q—164 ნუსხების სხვა ვარიანტებს, რომლებიც დასახელებულ გამოცემაში არაა ნაჩვენები ან ნაჩვენებია დამახინჯებით, დაწერილებით განხილული იქნება ამ ხელნაწერების აღწერილობაში.

ერთობ ნაჩქარევად და დაუდევრად არის შედგენილი ტერმინთა სპიქტელიც. მთელი რიგი მნიშვნელოვანი ტერმინებისა საერთოდ გამოტოვებულია: აუგი, ბიძა, ბიძაშვილი, ბიძა-ძენი, გამგინებელი, გამგონე, დაბრიყება, დამდგომი, დამწერი, დამზრდელი, დედა,

თავდასხმა, მეფე ქართველთა, მიმავალი, მომპარავე, მომცემი, მკირავი, მკედმპყრობელი, სულზე შევიარდნა, ტანისამოსი, უპატიურობა, ქვაბი, ქმარყოფილი, ქმნილება, შემტევებელი, შერცხვენა, შესარჩლება, შეუგდებელი, შეყრა (გაერთსახლება), შეცილება, შეძგერება, შეწამება, შევილი, შევილიშვილი, ცოდვილი, ძმისწული, წამომდგომი, წარჩინებული, წაძახილი, დიდი ჯელმწიფე, ჯელმწიფება და სხვ.

ამვე დროს საძიებელში შეტანილია ისეთი ფრაზები და სიტყვები, რომელნიც კანონთა მითითებულ მუხლებში არ არის: „გაგინებული“, „გამოვლება — ქრილობის პირს ნეკი თუ გამოველოს“, „გარიგება — უფიცრად გარიგება“, „ჯერით გარიგება“, „გლეხი — გამორჩეული გლეხი“, „მამული — მამული გასყიდული“, „რკინა — საცანა“, „საბატო აზნაურიშვილი“, „სათვითო“ და სხვ.

რიგ შემთხვევაში დამახინჯებულია საძიებელში დამოწმებული ტექსტებიც:

დაბეჭდილია

უნდა იყოს

„დათავდებება — ყმამ ბატონი ძალად დაათავდებოს“
 „დაობლებული მოვალე“
 „დაუშეებელი“
 „დახუთვილი“
 „კაცი დასაჭერელი“
 „კერძვა — სხვის შვილს“
 „მომვლომი“
 „მტერს დარჩომია“
 „საკანონო — მამა“
 „შეკრებილი“
 „ძვირად მისცეს“

„დათავდებება — ყმა ბატონმა ძალად დაათავდებოს“
 „მოვალე დაობლებული“
 „დაუშეებლად“
 „დახუთვილა“
 „კაცი დასაჭერი“
 „კერძვა — სხვას შვილს“
 „მომვლომი“
 „მტერი დარჩომია“
 „საკანონო — მამამ“
 „შეკრებული“
 „ძვირად მოსცეს“

უყურადღებობისა და სიჩქარის გამო საძიებელში კანონთა მუხლები მითითებულთა შეცდომით. მკვლევარი ამოდ დაუწყებს ძებნას მისთვის საინტერესო სიტყვას, მითითებულ მუხლში მას ვერ იპოვის. გაუგებარია, საიდან მოიტანა გამომცემელმა ქვემოთ დამოწმებული მუხლები.

აზნაური 7, გადიდებული აზნაური 37,39, აზნაურიშვილი 54; გააშიყება 60, გამოყვანა 51, გამოხუმა 19, გამლები 224, გარდაბიჯებინება 116, გარიგება 175, უფიცრად გარიგება 237, ჯერით გარიგება 3, გასინჯვა 66, გაჩენილი 226, გაცლა 187, გაწყრომა 201, გლეხი 14,23; გული 236, დაბეჭდვა 161, დახუთვა 113,175; დიდი თავადი 180, ვაჭარი — მეოთხე ვაჭარი 32, თავდავსნილი 266, კაი—კაი გლეხი 163, კარისკაცი 93, კაცი — ახლოული კაცი 103, მონათესავე კაცი 201, ნათხოვნი კაცი 110, შეწამებული კაცი 4, მამული 21, მანდილოსანი 165, მართება — თხოვნის მართება 267, მბობა — უმოწმოდ ამბობდეს 206, მისანი — მისნის პირი 252, მივლომა 175, მნითება 253, მომვლომი 52, მოფიცარი — შედგებული მოფიცარი 12, 144, 237; მოყიდვა 154, მოძღვარი 80, მოწმობა 144, მიძიმე 31, ნათხარი — ნათხარის პატრონი 254, ნასალი 95, ნასყიდი აგარაკი 265, ომი 225, პატიება — იპატიოს 14, რივი 1,269; სააქიმო 179, საკანონო 80, სამართალი—მართალი სამართალი 155, სამართ-



ლება — უსამართლები 1, სარჩლობა 97, საცხენმალე 258, სახასისა ^{საქმისა} 258, სიკვდილი 150, ნადირობაში სიკვდილი 18, ტყუილი 16, ტყუილად დაფიცებული 230, უმცროსი — უმცროსი კაცი 55, უპატიურად 80, უსამართლობა 197, უცხო ქვეყანა 198, ქალი — ქალის დავარდნა 258, ქვრივი 264, ქრთამი — ქრთამის რიდება 97, ყაზახი 299, ყმა 1, ყორული 17, ყური — ყურისგდება 196, შემოქცევა — მზითვის შემოქცევა 85, ჩამსმელი — სამნის ჩამსმელი 141, ცილება — გაყრაში ცილება 8, მამულის ცილება 18, ცოლი — ცოლის ჩაგვრა 71,84, ძმა 95; ძროხა 71, წანალები 86, წყალობა — წყალობის ყოფა 2, ხანი — ხანის დაყოფა 129, ჯელმოსაჭრელი 232, კმელი 64.

ამავე დროს ბ ე ვ რ ი მ უ ხ ლ ი, რომელშიც ესა თუ ის სიტყვაა, ტერმინის ბუდეში მითითებული არ არის: „ამხანაგი“ 36, „განზრახ“ 188, 193, „დაწამებული“ 38, „დაპრილი“ 57, „მარჩილი“ 119, 203; „მარცვალი“ 49, „ნათხოვნი“ 210, „საღმთო“ 17, „სისხლი — დიდებულის სისხლი“ 26, „უსამართლობა“ 1, „უსჯულო“ 142, „შეგდება“ 143, „ცოლ-შვილი“ 95, 133 დასხვ.

დარღვეულია ტერმინების ალფაბეტური თანამიმდევრობაც, ასე მაგალითად, „ნათესავი“ და „ნათლობა“ საძიებელში „ნათხარი“-ს შემდეგაა, ხოლო „სახნის-საკვეთი“ — „საკმრობა“-ს შემდეგ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ტერმინი საძიებელში შეტანილია არასწორი ფორმით.

ასე უდარდელად გამოცემულ ტექსტსა და საძიებელს, რა თქმა უნდა, მეცნიერული ღირებულება არა აქვს. ამიტომ ამოდ ჩივის ტექსტის გამომცემელი — ყოველგვარი კრიტიკული შენიშვნა „ჩვენი შრომის გაუფასურებას ისახავს მიზნად“; რასაც ფასი არა აქვს, ცხადია, იმის „გაუფასურება“ შეუძლებელია.

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადია, რომ გამომცემელი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართული სამართლის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის „გამომცემას“ სათანადო მეცნიერული სიფრთხილით დაკეთილსინდისიერებით არ მოეკიდა.

კრიტიკა და გიზლიმგრძობა

Куртанидзе Д. А., Вопросы оптимального развития и размещения машиностроения Советской Грузии, Тбилиси, изд. «Мецниереба», 1976 г. (на грузинском языке)

Современные высокие темпы общественного производства, ускоренный рост научно-технического прогресса, усложнение межотраслевых связей и другие вопросы, связанные с реализацией требований основного экономического закона социализма ставят все новые и новые проблемы в теории и практике современной экономической науки. Как указывалось на XXV съезде КПСС, все больше возрастают роль и значение совершенствования форм и методов социалистического управления и планирования народного хозяйства. В этой проблеме значение придается разрешению экономико-математических методов и современной быстродействующей электронно-вычислительной технике.

За последнее время накоплена обширная отечественная экономическая литература, где изучены теоретические и методические проблемы формирования системы экономико-математических моделей и проанализованы возможности внедрения этих моделей в практику народнохозяйственного планирования. Исследование проводится как в отраслевом, так и в региональном разрезе. На наш взгляд, теперь уже можно уверенно сказать, что в этой области достигнуты определенные успехи, однако ряд вопросов еще ждет своего решения.

Рецензируемая книга тов. Куртанидзе Д. А. посвящена именно малоизученным и неразрешенным проблемам региональной и отраслевой экономики. Автор поставил цель — разработать методологические и методические основы оптимального развития и размещения машиностроения Советской Грузии. При этом автор старается сформулировать также экономико-математические инструментарины размещения производства, которые не были бы оторваны от практики социалистического планирования. Решение этой проблемы потребовало усложнения существующих моделей размещения производства.

Объектом применения систем экономико-математических методов является весьма сложная отрасль промышленности — машиностроение. Логическая структура рецензируемой книги составлена таким образом, что автор, исследуя теоретические, информационные и методические аспекты, в заключение дает практические рекомендации совершенствования перспективного планирования анализируемой отрасли.

Первая часть книги посвящена вопросам анализа современного состояния машиностроительной отрасли, выявлению региональных характеристик и изучению общих перспективных закономерностей развития. Автору удалось дать ретроспективный анализ основных промышленных единиц машиностроения Советской Грузии. Изучены основные закономерности движения главных синтетических показателей как в целом по отрасли и подотрасли, так и в разрезе отдельных предприятий. В частности, исследованию подвергаются такие сводные параметры, как валовая, чистая продукция, капитальные вложения и основные производственные фонды, трудовые ресурсы, а также структурные показатели эффективности производства — производительность труда, фондоотдача и т. д. Исследование, проведенное в этой части книги, является методологической основой для формирования систем экономико-математических моделей размещения производства.

Вторая глава книги является логическим продолжением проведенного исследования и в ней рассмотрены вопросы составления экономико-математических моделей развития отрасли машиностроения в республике. При формировании модели автор старается максимально учесть все основные региональные факторы, влияющие на развитие исследуемой отрасли. Здесь рассмотрены вопросы взаимодействия факторов



в условиях их взаимозаменяемости, ограниченности, нелинейных зависимостей, существенной неопределенности, возникающей при перспективном прогнозном расчете. Разработанная автором экономико-математическая модель оптимального развития и размещения машиностроительной отрасли республики функционирует в режиме ограничения по трудовым ресурсам и целевой функции — минимизации совокупных затрат. В книге весьма большое внимание уделено вопросам подбора наиболее эффективных критериев целевой функции и делаются научно обоснованные выводы, исходящие из конкретных ситуаций. Вполне закономерно, что автор не претендует на окончательное решение проблемы по формированию экономико-математической модели развития и размещения производства и дает анализ основных направлений по дальнейшему улучшению предполагаемой им модели. Практическая апробация экономико-математической модели дает возможность разработать конкретные рекомендации по уточнению пунктов новостроящихся предприятий в данной отрасли.

На наш взгляд, одним из достоинств книги тов. Куртанидзе Д. А. является то, что в ней большое внимание уделено конкретным вопросам решения экономико-математических задач оптимального развития и размещения машиностроения с применением современной электронно-вычислительной техники. Эти вопросы освещены в третьей части рецензируемой работы. Опыт реализации экономико-математической модели дал возможность разработать общую схему последовательности стадий решения задач. Сюда входят экономическая постановка задачи и выбор экономико-математической модели; формирование исходной информации; решение задачи; анализ полученных результатов и выбор оптимального варианта плана.

Одним из достоинств рецензируемой работы является тесная связь теории с практикой. Реализация полученных практических рекомендаций будет способствовать совершенствованию составления долгосрочных планов развития и размещения машиностроительной отрасли республики.

К работе имеем некоторые замечания. На наш взгляд, в книге недостаточное внимание уделяется вопросам экономической интерпретации отдельных экономико-математических задач, что затрудняет их практическую реализацию. Так как в отрасли машиностроения производится многономенклатурная продукция, в работе следовало бы рассмотреть конкретные методические вопросы, связанные с реализацией многопродуктивных задач. Кроме того, в работе отсутствуют методические основы использования результатов расчета в составлении долгосрочных планов развития исследуемой отрасли.

В целом рецензируемая работа тов. Куртанидзе Д. А. по своей актуальности содержанию является полезным научным исследованием, способствующим дальнейшему совершенствованию планирования машиностроительной отрасли республики. Она будет полезна практическим работникам, занимающимся в области отраслевой экономики, а также научным сотрудникам, аспирантам и студентам старших курсов ВУЗ-ов.

А. Я. ЧАЧИБАЯ, Я. И. МЕСХИЯ.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და
სამართლის ინსტიტუტმა

6. 157/419



ფასი 1 მან.

Индекс 76 196